ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

3

1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უდავოა შემოქმედი მუშაკების
წარმატებანი ჩვენი
თანამედროვეობის ბრწყინვალე
სახეების შექმნაში. ეს
ნაწარმოებნი ალელვებს
ადამიანებს, იწვევს პაექრობას,
გვაიძულებს ჩავუფიქრდეთ
აწმყოსა და მომავალს.
პარტია მიესალმება საუკეთესო
ნაწარმოებებისათვის
დამახასიათებელ მოქალაქეობრივ
პათოსს, ნაკლოვანებებისადმი
შეურიგებლობას, ხელოვნების
აქტიურ ჩარევას იმ პრობლემების
გადაწყვეტაში, რომლებითაც
ჩვენი საზოგადოება
სულდგმულობს.

ლ. ი. ბრეჟნევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარკე

285
გამოცემის ოცდამეოთხე წელი

3

მარტი
1981
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. გაზაფხულს გაუმარჯოს!

პროზა და პოეზია

5. ოთარ ჭილაძე — რკინის თეატრი. რომანი. გაგრძელება
78. მედეა კახიძე — ლექსები
80. გუჩა კვარაცხელია — ლექსები
82. ნინო ჟუთათელაძე — ლექსები
84. ლილი ნუცუბიძე — ლექსები
85. ჯემალ ქარჩხაძე — მაღალი კაცი. მოთხრობა
98. მზია შეწირული, თამარ დაუშვილი, მარინა ხმალაძე, ირინე უშვერიძე, დალი მაზიშვილი, ქეთევან კვინტარაძე, თამარ კაკიაშვილი — ლექსები

ახალი სახელები

105. რუსუდან გიგინაშვილი — ლექსები
107. ნათელა დუმბაძე — ლექსები

ხალხური სიბრძნე

108. გიორგი თურმანაული — ჭრელა უქილაურის გაკვეთილები

ახალი თარგმანები

122. ძაკ კრეევერი, კოლ ელუარი — ლექსები. თარგმნა მანანა გოგოლაშვილმა

წერილები

123. აკაკი ხიხარულიძე — ოგიეტრიშვილი რეჟისორის სამყარო
124. ციური ხეთერელი — გზადაგზა
136. ლერი ალიმონაკი — სიტუაციისა და დუმილის პოეზია

საინტერესო შეხვედრები

145. ლადო ჯაფარიძე — ჩემი შეხვედრა ანატოლ ფრანსთან

რუსთაველის ნაკვალევზე

150. აკაკი ხინთიბიძე — „ვეფხისტყაოსნის“ რიტმული ვარიაციებიდან

ნარკვევი

155. იზა ჯაფვაძე — მიწავ, სტორისაო!..
160. — ინგლისური იუმორი — თარგმნა ნანა ჯარიაშვილმა

მთავარი რედაქტორი

ბორის უოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორგიჯანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ვაჟა ლორთქიფანიძე,
ედუარდ მენაგდე,

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია,

გურამ შანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წიკვინაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

გაზაფხულს გაუმარჯოს

აი, საბჭოთა საქართველოს მესამოცე გაზაფხულიც დადგა!

წელიწადის ეს ულამაზესი დრო დიდ ამედთან ერთად ყოველთვის სევდასაც ჩვენიდა ქართველ კაცს და ამიტომაც ამოოკვნესებდა ხოლმე. აუკავებულია მდელო, აუკავებულა მთები, მამულო საყვარელო, შენ როსღა აუკავდებიო... ეს ლექსად მერე უკვე ერის დიდმა მოეკრიბოფლემ თქვა, ერომა თქვა ყველას სათქმელი.

და რამდენი სიცოცხლე, რამდენი თაობის გმირობა და სიცოცხლე გაგდა საჭირო, რომ ბუნების აუკავებასთან ერთად გარენილ ამედს თან ხელდაც აღარ მოჰყოლოდა!..

„ჩვენ შემჭიდროებული რიგებით მივდივართ კლდე-ღრეებიანი და ძნელი გზით, მაგრად ხელიხელჩაკიდებულნი, — წერდა ამ საუკუნის გარიჟრაჟზე შენი თანატოლი, ძვირფასო მკითხველო, ახალგაზრდა რევოლუციონერი მარქსისტი ვლადიმერ ულიანოვი, — ყოველი მხრივ მტრებით ვართ გარშემორტყმული, და თითქმის ბუდან მათს ცეცხლს ქვეშ გვიხდება სვლა. ჩვენ შეკერთდით, თავისუფლად მიღებული გადწყვეტილების თანახმად, ხნორედ ამისთვის, რომ ვებრძოლოთ მტრებს და არ გადავცდეთ მეზობელ ჭაობში, რომლის ბინადარნი თავიდანვე გვაცხავდნენ იმის გამო, რომ ცალკე ჯგუფად გამოვეკავით და ბრძოლის გზა ავირჩიეთ და არა შერიგების გზა".

ისტორია მკაცრი და პირფთვნელია, მიუკერძებელი, ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე... გასული საუკუნის ბოლოდან რუსეთის პოლიტიკურ სარბიელზე ოთხმოცდაათამდე სხვადასხვა ჯურის პარტია გამოჩნდა, მაგრამ გამოჩენისთანავე უკვალოდ გაქრა ისტორიული პროცესის ულმობელ მდინარებაში. და მხოლოდ ის ერთი, ლენინელთა პარტია, — შემჭიდროებული რიგებით და ძნელი ბრძოლის გზით მავალი, — ჩამოყალიბდა მრავალმილიონიან მძლავრ ორგანიზაციად, რომელსაც ქვეყნად კაცობრიული გაზაფხულის დამკვიდრება ეწერა.

მართლაც რა ზუსტად, რა ბრძნულად აღმოხდა პოეტს, ჩვენებურს, ბაღდათის ზეცის მოვალე პოეტს:

პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლას
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია...
კლასის ტკინი,
კლასის საქმე,
კლასის ძალა,
კლასის დიდება
აი რა არის პტია.

ეს ჭეშმარიტება კი ერსულ კიდევ თვალცხადად დაინახა მთელმა სოფლიომ ამ დღეებში, როცა დედამიწის ეკრანზე ამაჟად გაიხმოდა სკკპ XXVI ყრილობის მართალი სიტყვა. დასახულია დიდი ეკონომიკური, სოციალური და სულიერი რგრამა.

ყრილობაზე ხაზგასმა აღინიშნა, რომ ახლა განსაკუთრებულ ადგილი საბჭოთა ერებისა და ეროვნების ეთითანობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ოიუნულ ურთიერთობათა სფეროში ყველა სიტყი გადაწყვეტილია. პარტია წინააღმდეგია ტენდენციებისა, რომ ხელოვნურად წმალის ეროვნული თავისებურებანი. ამავე დროს პარტიას შეუწყნარებლად მიაჩნია ამ თავისებურებათა ხელოვნური გაზვიადება.

და კიდევისიც ითქვა, რომ საბჭოთა საზოგადოების ულიერი ცხოვრება სულ უფრო მდიდარი ა მრავალფეროვანი ხდება, ხოლო ამ საქმე უდავო დამსახურება მიუძღვით კულტურულ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებ მაგრამ დიდსა და საამაყო წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ ვაწყდებით უიდეობის, სოფლმხედველურ განურჩევლობის, ცალკეული ისტორიული მოვლენებისა და პიროვნების კლასობრივი შეფასებიდან გადახვევებ ამოვლინებებს. „ამ. — აღნიშნა ამბავნაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — შეურიგებელნი უნდა იყოთ. პარტია არ აყოფილა და ვერც იქნებ გულგრილი ჩვენი ხელოვნების იდეური მიმართულებისადმი".

შეძლება პირდაპირ ითქვას, რომ სკკპ XXVI ყრილობა დედამიწის ზურგზე მტკიცე და შეუფერებელი მზვიდობის დამკვიდრების ყრილობა. საერთაშორისო ცხოვრების პრობლემებე ყრილობის მასალებს წითელ ზოლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდეგ პარტიის მისწრაფება კვლავაც თანმიმდევრულად იბრძოდეს მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტების გაღრმავებისათვის. უზრუნველყოს ქვეყნად ყველა ადამიანი უპირველესი უფლებით — სიცოცხლის უფლებით — ახეთი ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკის მთავარი მაღალმუმანური მიზანი.

და თუ ვინმემ იცის ქვეყნად მშვიდობის ფასი, სხვა ხალხთა შორის ერთ-ერთი ქართველი ხალხიც არის. სწორედ მშვიდობიანმა ცხოვრებამ შეიძლებინა ჩვენს ხალხს ძმური ოჯახის ჩარქეშ შეეკმნა ის ყოველივე, რასაც დღეს მოვკვრეც ხედავს და მტერიც.

და განა ნაჩქვეალად საამაყო არ არის თვითეული ჩვენგანისათვის ყრილობაზე იმის ალნიშვნა, რომ „რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან დაჩქარებას მიაღწია საქართველოს კომპარტიამ“!

აი ამ მიღწევათა გამო და ახალ მეთერთმეტე ხუთწლედის დიდ ამოცანათა შესახებ იყო ლაპარაკი თვითონ საქართველოს კომუნისტთა XXVI თავყრილობაზე, რომელიც წინ უსწრებდა სკკპ XXVI ყრილობას.

და აი ჩვენი ხალხის თავდადებული შრომის, გმირული გარჯის, სწორი ხელმძღვანელობის კიდევ ერთი ნაყოფი — სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს ზეიმზეიდ მერკელი მიენიჭა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

ახლა კი, როგორც ჩვენი ხალხის შეუპოვარი ბრძოლისა და შრომის ლოგიკური დაგვირგვინება, თვითონ რესპუბლიკის ნაცადი ხელმძღვანელის — ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მკერდზეც აკიაფდა გმირობის ვარსკვლავი — მთელი რესპუბლიკის ჯილდო. და რა მრავლისმეტყველად ეღერს ამ მოვლენის გამო ამხანაგ ლ. ბრეჟნევის მიერ თქმული სიტყვები: „საქართველოში საქმე კარგად მიდის და მტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში“.

როგორც წინა ათი ხუთწლედის მანძილზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის მხარდამხარ ირაზმება დღეს ქართული მწერლობაც, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია სხვა რამ უფრო საპატიო დანიშნულება, ვიდრე ერისა და ქვეყნის მსახურებაა...

კვირტმა უკვე დაიბახა. მარტი, კარიბჭე გაზაფხულისა, დედათა ჩვენთა პატივდების თვე, ზურმუხტის კაბას უკერავს ხმელეთს, ცას კი ფირუზი ღებავს. და გულში მხოლოდ იმედი ისადგურებს, უფრო ღონიერი ხვალინდელი დღის დიდი და ნათელი იმედი!

ოთარ ჭიჭინაძის
ბიბლიოთეკა

რომანი

3

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ რომ ეთქვათ იმისთვის, ხუთი წლის მერე ასე და ასე მოხდება და თქვენ როგორ ფიქრობთ, თქვენ როგორ გგონიათ, რომ შეიძლება გადაადგმევინოს თქვენს შვილს ამგვარი სულელური, ყოვლად გაუმართლებელი და, რაც მთავარია, მისთვის ესოდენ საზიანო ნაბიჯიო — სიყვარულმაო — უპასუხებდა დაუფიქრებლად, რადგან ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ, ბაზრიდან მობრუნებულმა, იატაკზე, გაჭუტულსა და კატის ბალნით მოფენილ ნოხზე, მტაცებელი ნადირის ლეკვებივით, ერთმანეთს ჩაფრენილი, ოფლად გახვითქული, ტანსაცმელშემოჩაჩული, ჯობნის, დაჩაგვრის, ძლევის, გამარჯვების ენით თვალგადათეთრებული გელა და ნატო რომ დაინახა, იმის მერე არ განელებია ავი წინათგრძნობა, ერთი წამითაც არ დაუშვია, ეს ჩვეულებრივი ბავშვური თამაში რომ იყო და არა პირველი იდუმალი ნიშანი, პირველი გამოძახილი, სულაც დასაწყისი ბევრად ძლიერი, ბევრად ხანგრძლივი, ბევრად დაუნდობელი და სახიფათო მოვლენისა, ვიდრე ნებისმიერი თამაშია, ანდა თავად ბავშვობა. პირველად რომ გაიქცა გელა, არ გაჰკვირვებია, და იმასაც მაშინვე შეეგუა, ახლა უფრო დიდხანს რომ მოუწევდა ლოდინი, თუკი მისი მოლოდინი საერთოდ უსასრულობაში არ გადაიზრდებოდა, თუკი მისი, შვილი როდისმე მაინც მოიხდიდა სასჯელს, ახალს აღარაფერს დააშავებდა, რაც ისეთივე ძნელი წარმოსადგენი, ძნელი დასაჯერებელი იყო მისთვის, როგორც მკვდარი ქმრის გაცოცხლება; მის შვილს ახლა პეტი მიზეზი ჰქონდა დანაშაულის ჩასადენად, ახლა იძულებულიც იყო ჩაედინა დანაშაული, რამდენადაც აღარც დედას ეკუთვნოდა და აღარც საკუთარ თავს, სხვა ყავდა მბრძანებელიც და წარმმართველიც მის გულსა და გონებას, სხვა — უმეცართა, გულუბრყვილოთა, მეოცნებეთა და მოიმედეთა პირსისხლიანი ეერპი, ბელადი — ნებისმიერი ნათესაური კავშირის დამარღვეველი. ნებისმიერი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი" № 1, 2.

ადამიანური ურთიერთობის შეძღალავი — რომლისაც ბრმად სჯერათ და რომელსაც ბრმად ეწირებიან. საკუთარ კისერზე ჰქონდა ნაწვნევი იმისი დაძღუპველი ძალა, კარგად იცობდა იმის ვერაგულ ბუნებას, ძალაუნებურად რომ გაკეთებინებს და გალაპარაკებს. რისი თქმაცა და გაკეთებაც თავად სურს, და რასაც არასოდეს გააკეთებდი ან იტყოდი, მხოლოდ შენს ნებაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული: მაგრამ რაკი უკვე იმისი ტყვე ხარ, რაკი უკვე დაგაბრმავა და დაგაყრუა, ვერ ფიქრობ იმაზე, რაზედაც ლაპარაკობ, და ვერ ამბობ იმას, რასაც ფიქრობ. არც სხვისი გეუცრება; სხვისი კი არა — შენიანების. შენი სიბრმავითა და შენი სიყრუით შეწუხებული ხალხისა: არავისი არ გჯერა; არავინ არ გინდა; დაუფიქრებლად სპობ, ანანაგებ ყველფერს, რითაც იქადდე გიცხოვრია; თუმცა ჯერ საკითხავია, სან

მული ქვეყნის კარიბჭე, სადაც შენი გმირი (მომავალი მაჩაბელი) ვარსკვლავებს სწყვეტს და შენსკენ ისვრის მღელვარებისგან, აღტაცებისგან სუნთქვაშეგუებულ დარბაზში, მთელი საქალეთის გულის გასახეთქად. „გაიგე? გაიგე? — ეკვირის დედაშენი მამაშენს — შენი სანაქებო ქალიშვილი შარვალგამოხეული მსახიობს მიჰყვება თურმეო“. შენ უკვე სარკეში იყურები, სარკეში ხარ შეხიზნული; შენდაუნებურად, თავისთავად გამოგიმუშავდა თავდაცვის ეს ერთადერთი ხერხი („გარდასახვის უნარი“ — როგორც შენი გმირი იტყოდა) და ამიტომაც არ იშორებ სარკეს: ქუჩაში ჩანთით დაატარებ, შინ ხალათის ჯიბეში გიდევს. ღამით კი — ბალიშის ქვეშ ინახავ, მარტო რომ არ დარჩე შენთვის ყველაზე ძმიე წუთებში, უფრო სწორედ, გარდასახვა რომ მოასწრო და შემცბარი, დამფრთხალი, კიკოსავით არ იდგე ბრძოლის ველზე, სადაც შენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება: „ძმრის“ სიმრავლეშ რომ არ წაგახდინოს: საცოდავი, უმწეო, უნებისყოფო არ მოეჩვენო მტერს: წარბი არ შეგიკრთეს, ფერი არ დაგეკარგოს, ტუჩი არ აგიცახცახდეს ამაზრზენად (როგორც მსახიობებს ემართებათ თურმე, ვიდრე როლში შესვლას მოასწრებენ); თვალები არ ამოგიტოლოს შებრალების, პატიების მაკედრებელმა ცრემლმა. საკმარისია, ჩაიხედო სარკეში, ენა გამოუყო შენს დაბნეულ, დამფრთხალ ორეულს, და გათავდა, ორივენი, შენცა და შენი ორეულიც მზადა ხართ უარესის მოსასმენად, მოსათმენად, გადასატანად. „რა გვჭირდა საამისო. რა გვჭირდა! რა გვჭირდა!“ — ყვირის დედა. მამაშენი კი იცინის, სასაცილოდ არ ყოფნის ქალიშვილის „დახაშული“ თბილისის გუბერნიის მთავარ მოსამართლეს, უარეს დანაშაულთა მცოდნეს, მომსწრეს, გამომჩხრეკელს... ანდა არ სჯერა, ვერ დაუჯერებია, არ უნდა რომ დაიჯეროს, მართლა ასეთი სულელი თუა მისი ქალიშვილი — სხვათა, უცხოთა, შემთხვევითთა ბედის წარმმართველის, იმპერიის ბეჭდისა და კეკრთხის მპყრობელის ქალიშვილი. ჩვეულებისაებრ, როგორც ყველა სხვასოჯახური უსიამოვნება, ხუმრობად უნდა აქცეს ესეც და, გაზეთზე თავდახრილი, ბაზეთიდანაც არ სწევს თავს, ამდენი ყურადღების ღირსადაც არ თვლის ამ მორიგ უსიამოვნებას), სიცილით პასუხობს დედაშენს: შენ რას ღელავ, შენ რას განიცდი, ეგ მიყვება, შენ ხომ არაო. „დარწმუნებული ვარ, ჩემი ქალიშვილი ცუდს არაფერს ჩაიდენს“ — აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ, უსიცოცხლოდ, ყრუდ, ყოველგვარი ენებისაგან, გრძნობებისაგან, განცდისაგან განტკივრთული ხმით, თითქოს თავის ღრმა რწმენას კი არ გამოთქვამს, გაზეთიდან კითხულობს მოარულსა და გაცვეთილ ფრაზას. მაგრამ ყველაფერი ეს, უშენოდ ხდება, შენი არსების გარეთ; შენ სარკეში იჭყიტები. არა, შენ იქა ხარ, შარვალგამოხეულთან. შარვალ-გა-მო-ხე-ულ-თან! გუნებაში ეფერები, ელოლიავები ამ სიტყვას, ბრაზით, ღვარძლიანად რომ წამოისროლა წეღან დედაშენმა, თითქოს უმიზეზოდ დატუქსულსა და სატირლად გამზადებულ ბავშვს ამშვიდებ, თავზე ხელს უსვამ, ამხნევებ, ათამამებ, აქებ: მოდი, ამათაც დავუმტკიცოთ ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე წესიერი, ყველაზე კარგი ბავშვი რომ ხარ მთელს ქვეყანაზეო, და გაღუწყვეტლივ ის გიდგას თვალწინ, ვისი მისამართითაც ეს სიტყვა წამოისროლეს წეღან, საერთო საცხოვრებლის ოთახში გამომწყვდეული, უჰაერობისგან, პაპიროსის ბოლისგან გადაფითრებული, ახალი როლით შეპყრობილი, სხვის ცხოვრებაში ჩაფლული, ჩაკარგული, სხვისი ნაკლისა თუ ღირსების შემსისხლხორცებელი, სხვათა ნათქვამისა და ნაფიქრალის გამზუთხველი, ბედნიერი, ნეტარი წამებული, იმდენად მოწყვეტილი ყველასა და ყველაფერს, შენთვისაც კი ვერ მოუცლია — ეს დღეები ვერ ვნახავო — რადგან უნდა შესძლოს, უნდა დასძლიოს საკუთარი სისუსტე და სხვა-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

თა სისუსტის მამხილებლად, მგმობელად იქცეს, რა თქმა უნდა, სხვისი სახელით, სხვის სახეს ამოფარებული, სხვისი კაბა-ჯუბით შენიღბული. შენ ვითომ მშობლებს უსმენ, მაგრამ იმის ხმა გიტრიალებს ყურში, შენთვის ბოლომდე გაუგებარი, მაგრამ თავზარდამცემი, შემაწუხებელი, შემაშფოთებელი სიმართლით გაჟღენთილი, როგორც სახვევი სისხლით. რომელსაც, გინდა თუ არა, მაინც უნდა მიაქციო ყურადღება, აუცილებლად უნდა მოიხსნა, მოიშორო, ახლით შესცვალო, ჭრილობაც რომ დაგიმშვიდდეს და გულიც. მაგრამ ახალი სახვევი აღარა გაქვს; უფრო სწორედ, იმ ტკივილის გეშინია, ჭრილობაზე მიწებებული სახვევის ამრობას რომ ახლავს, და ჯიუტად ამბობ უარს გამოცვლაზე, რადგან „სახვევის გამოცვლა“ იმის დაჯერებასაც ნიშნავს, რასაც შენინებები, შენი „მკურნალები“ გეუბნებიან, ესე იგი — შინდარჩენას, მამის ჰატივისა და დედის ქარაფშუტობის გაზიარებას, იმის სამუდამოდ დავიწყებას, ვისი დავიწყებაც არ შეგიძლია, რაც შენს ძალღონეს აღემატება, გინდაც იმას როლის დაზუთხვა ერჩიოს შენთან ყოფნას და სცენაზე, წამიერი ღიმაფრენისას განცდილი თავისუფლება — შენს მარადიულ მონობას. შეიძლება, გრძნობ კიდეც „სახვევის გამოცვლის“ აუცილებლობას, შეიძლება, დედის გაუთავებელმა შეგონებებმა შენს გულშიაც აღძრა რაღაც ექვის მაგვარი, მაგრამ მშობლის სიმართლეს — მრავალგზის შემოწმებულს, შეურყეველს, შეუვალს — მაინც იმისი ზღაპარი, ოცნება და სიზმარი გირჩევნია, და თუმცა თვითონვე არ გჯერა, გინდა — ყველას სჯეროდეს, შენი რჩეული, შენი გმირი მართალი რომ შესძლებს შეუძლებელს და, ერთხელაც იქნება, ხმალშემართული ისკუპებს სცენიდან, როგორც ნაპირსმოდგარი ხომალდიდან, რათა ნაკუწ-ნაკუწ აქნას, აჩეხოს ცხრათავიანი გველეშაპი, სამშობლოს სულის წყაროს რომ შემოხვევია, კუდი თავზე გადაუდია და ოხშივრიანი. შხამიანი ამონასუნთქით განუსჯელად სწამლავს ყველაფერს, ბალიგით ეკიდება გულს, თვალს, ენას, ბასრავრობას. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“ — შეშფოთებული იძახი [illegible] იმიტომ, ასე შეშზარავად რომ გიხატავს შენი გმირი სინამდვილეს, არამედ იმიტომ, ძალიან რომ დაგწყდება გული, ძალიან რომ გაწბილდები. თუკი ამგვარი გმირობის ჩადენის საშუალება არ მიეცემა იმას, გინდაც მამაშენის სახიანად. ვერაგი, დაუნდობელი ძალის კლანჭებში ხარ მოქცეული და იმას არ აკეთებ, რაც უნდა გააკეთო: ნათქვამს არ უფიქრდები და იმას არ ამბობ, რასაც ფიქრობ. „ბიდვიარ. ერთი დღე აღარ გავჩერდები აქ“. — ყვირი, მოწაფეთა მიუხვედრელობით მოთმინებიდან გამოსული მასწავლებელივით; დედის საერთო რეუულს, რომელიც ჟურნალ-გაზეთებიდან გადმოწერილი ლექსებითა და მკვდარი ფოთლებითაა სავსე, მაგიდაზე ანარცხებ და ოთახიდან გამორბიხარ; მაგრამ იქამდე მაინც ასწრებ დაინახო, ჰაერშივე როგორ იფშხვნება რვეულიდან გამოვარდნილი ხმელი ფოთოლი, და ერთი წუთით, თვითონაც რომ არ იცი — რაზე, გული გწყდება, წამიერი სევდა და სინანულის გრძნობა გეუფლება ოთახიდან გამოსულს (ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო) და აი, უკვე ტრამვაიში ხარ; მამისეულ ეტლში კი არა, როგორც მიგაჩვევს თავიდანვე, არამედ — ტრამვაიში, სადაც ძნელი გასარჩევია ქალბატონი და ქუჩის ქალი. თანაც კი არ ზიხარ, ფეხზე დგახარ, თითქოს პირველსავე გაჩერებაზე აპირებ ჩამოსვლას. „გათავდა. მეყოფა. მართალი ვარ“. — ბრაზიანად, ჯიუტად იმეორებ გუნებაში, თუმცა, მშობლიური ციხიდან თავდაღწეულმა, უკვე საკუთარი თავის ბატონ-პატრონმა, წესიერად აღარ იცი, რა გათავდა, რა გეყო, რაში ხარ მართალი. ტრამვაი კი მიერჭიალებს, მიბორძიკობს, მიკანკალებს; აღარ თავდება ნაცრისფრად, ლურჯად, მწვანედ, აგურისფრად გადაღებილი სახლების რიგი, მღვიმეებივით თვალგამოშავებული სადარბაზოები, დარაბებით დაგმანული თუ მძიმე, სქელი ფარდებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოქოლილი ფანჯრები — თითქოს იმათ იქით ისეთი რამე ხდება, კაცის თვალს არ ეხახვება. ლამის თავით წამოედო ათასნაირი ხარახურით დატვირთულსა და ჩამოსაქცევად გამზადებულ აივნებს. სკლინტუშემხარი გალია ანდა კიდეჩამოტვრეული. ყვავილჩამქნარი ქოთანი გზედება თვალში წარაბარა და შენც ტრამვაისთან ერთად მიღრეკილებ, მიბორძიკობ, მიკანკალებ სასოლის გაუთავებელ გვირაბში, მახეში გაბმული ნაღირივით გიძირწის სხეული. თითქოს ტრამვაიში კი არა, სასამართლოს დარბაზში ხარ და თითქოს ეტმნინ კი არა, ძამაშენი აწკრიალებს ასე შემოწუხებლად ზარს, აყაყანებული ხალხი რომ ჩაწყნაროს და შშრალი, მაგრამ ღითონივით მტკიცე ხმით ერთხელ კიდევ გკითხოს: სად მიდიხარ და რატომ. „სადაც მინდა. ვისთანაც მინდა". პასუხად ბავშვური სიჯიუტით, ახლა უფრო ხალხის ჯიბრით, კვიმატურად ძომღიმარი, ხან შენ რომ შემოგხედავს, ხან — ძამაშენს, ხან ბრალდებულს, ხან ბრალმდებელს, და ერთი სული აქვს. შეიტყოს, როგორ გათავდება ეს უჩვეულო სანახაობა, რა გადასძლევს ძართლმსაჯულების სასწორს, ვალდებულება თუ ძამაშვილობა. უნებურად, ის შორეული დღე გახსენდება. პატარა გოგო ძამამ სამსახურში რომ წაგიყვანა. „აი, აქ წყდება ადამიანის ბედი" — გითხრა და ხელი ჰაერში მოატარა. შენ ძამის ხელს თვალი გააყოლე და ჩიტი დაინახე. ქუჩიდან შემოფრენილი, ცარიელი სკამების ზღვაზე დაფრთხიალებდა. ალბათ ეღარ მიეკვლია იმ ადგილისთვის, საიდანაც ეს წუთია შემოფრენილიყო ძლიერ ძლიერობით, ფრთების გაძალებული ფრთხუნით მოიკიდებდა ფეხს დაბღეჯილი კარიატიდის თავზე. ეროს დაიკიკვლებდა და ისევ წამოფრინდებოდა. წინ და უკან დაჭროდა უზარმაზარ დარბაზში. ვერ ხედავდა პირთამდე მოღებულ, თაღიან სარკმლებს, საიდანაც უხვად იღვრებოდა სიცრცე, როგორც ნათურიდან — შუქი (მას მერე, რატომღაც, დარწმუნებული იყავი, სასამართლოს დარბაზში ყოველთვის ფრინავდა ბაბაანბული ჩიტი). შეცდომილი სულის სიმბოლო, და სულ ასე იფრენდა, ვიდრე გული გაუსქდებოდა, ვიდრე ცარიელ სკამების ზღვაში ჩაინთქმებოდა სამუდამოდ. ბოლოვებდაკაპიწებულმა, ვიდრეზე დახრილმა დედაბერმა გაზურული ტილო მკვდარი, ყავისფერი თეკზვივით ამოიღო ვედრიდან და მოგაძახა: „აიზარდე დიდი გოგო". „სადაც მინდა, ვისთანაც მინდა". — იმერად გაზებაში ეს უჩვეულო, მოულოდნელი ჩვენებით, ლოტა არ იყოს, შემცარი, ნირწამხდარი, მაგრამ მაინც თავზეხელაღებული კაცის სიმკაცრით, სიუხეშით, მრისხანებით მიიხედა ფი შენი ცხოვრებისთვის. ყველაზე დიდი წამისკენ, თუმცა ძალი ლათრგუნული, შეგნებულად მიჩქმალული, ვინ იცის, რა გზებითა და რა სასწაულებით გადარჩენილი ნასახი შენი ბავშვობისა, გამწარებული გეკაჩება უკან, წუხს, წრიალებს, შფოთავს, კენწეროზე შერჩენილი ერთადერთი ფოთოლივით, სადღაც, შენი გაოგნებული არსების სიბნელეში, თითქოს იცის, თითქოს გული უგრძნობს, ეს გზა ბომაკენინებული რომ იქნება მისთვის, ამ გზის მერე ვეღარ დამალავს, ვეღარ შეინახავს თავს და ისევაც გატიტვლებულ ხეს, ისიც სამუდამოდ მოწყდება. მაგრამ შენ, სწორედ საკუთარ არსებაში საკუთარი ბავშვობის უკანასკნელი ნასახის აღმოსაფხვრელად ძიდიხარ, ყოყმანისა და გაურკვევლობისგან განთავისუფლებლად, და ეღარაფერი შეგაჩერებს, ვერც გამოფხიზლდები, ვიდრე თავისთავად არ გამოგნელდება სიმთვრალე, ვიდრე ცხვირს არ ჩაყოფ ტალახში, ვიდრე არ დარწმუნდები, გძირები მხოლოდ ზღაპრებში რომ არსებობენ და თვითონვე არ ირწმუნებ ამას, რასაც შენი ეთილმსურველები იქამდეც გიმტკიცებდნენ, მაგრამ შენ იმას არ აკეთებ, რაც უნდა გაკეთო, ანუ იმას აკეთებ, რის გაკეთე-

ოთარ ჭილაძე
რაინის თეატრი

ბასაც ვერაგი. დამღუპველი ძალა გაიძულებს და ამიტომ აღარაფერს შეუჭლია, ხელი აგდებინოს განზრახვაზე, არც საერთო საცხოვრებლის წინ აკაციის ხეზე აფიფქიებულ ჩიტს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მართლმსაჯულების ტაძარში გამომწყვდეულ ჩიტთან, წეღან რომ მოგელანდა ტრამვაიში. და რომელიც მინდერებიდან სხვებზე ადრე თითქოს მხოლოდ იმიტომ დაბრუნებულა, შენ რომ ჩამოგძახოს ხიდან: რას სჩადიხარ, გოგო, გონს მოდიო; არც ტრამვაის, შენ რომ მოგიყვანა და ახლა ნელა, ზარის გაუთავებელი წკრიალით უხვევს პატარა მოედანზე. თითქოს შენ რომ მოგახედოს, გაგახსენოს გადაძრეხელი გზის არსებობა. და არც მთვარეს, ორმა მეეზოვემ რომ გადაათარია ლიანდაგზე, თითქოს მხოლოდ იმიტომ. თავლნათელი მაგალითით რომ ეჩვენებინათ შენთვის, თუ რა მოსდევს უგონო სიმთვრალეს. ჩირქსფილი შენც გრცხვენია. ფეხები უკან გიჩქენია, მაგრამ თავს ძალას ატან და მაინც მიდიხარ (გმირს უნდა მიეხმარო ლაბირინთიდან გამოსვლაში). ისე მტკიცედ აბიჯებ ფეხებს, ლოყები გითრთის. ერთ სიკვდილს გაათავებ, ვიდრე საერთო საცხოვრებლის ეზოს გადაჭრი, მოჩვენებითი გულგრილობით გაიელი ეზოში გამოფენილ კაცებს შორის — ბილწი ცხობისმოყვარეობით რომ გაყოლებენ თვალს მათ სამფლობელოში შემოფრენილ უცხო ჩიტუნას. ვიდრე კიბეს ათავებ, ვიდრე, გარეგნულად მშვიდი, ამაყი, უკარება, მაგრამ უკვე ფარხმალდაყრილი, დაბნეული შეაღიჯებ მარტოხელა კაცების სუნით გაჟღენთილ დერეფანში, შენი ფეხის ხმაზე გამოქყეტილი ბიჭის დაყვლეპილ თვალებში - ჯარისკაცის ძველი მაზარა რომ მოუგდია შიშველ მხრებზე, ხელში ეთო რომ უჭირავს და ისე ძალიან უნდა იმასთან მიდიოდე, ვითომ ზრდილობისთვისაც ვერ უკითხავს: ვის ეძებთ, ქალიშვილო. საუკუნე გავა, ვიდრე დერეფნის ბოლოში გაჩვალ, ვიდრე მისი ოთახის კარს მონახავ, მხოლოდ და მხოლოდ, ქალური გუმანისა და ყნოსვის წყალობით. და კი არ შეაღებ, შეგდგა, მაგრამ ბევრ ხედავად გადატანილი ძრძოსა და ძღლვარებისა, შენი უპირველესი მიზანი ერთი წუთითაც არ გავიწყდება. სირცხვილისგან, გადატანილისგან ოგვერილ სიწითლეს სიცხესა და ჩჩარ სიარულს აბრალებ. ისევ ის ვერაგი და დამღუპველი ძალა გაიძულებს ითვალთვალკო და იმას, შენი მოულოდნელი გამოცხადებით არა ნაკლებ დაბნეულსა და დამფრთხალს, ჯერ ცივი წყლის ამოსატანად აგზავნი ეზოში — ცოტა დრო რომ მიიგო, დამშვიდდე, დალაგდე, საბრძოლველად მოემზადო, თანაც, ერთხელ კიდევ შეამოწმო, რამდენად უყვარხარ, რამდენად გიკვლს პატიეს და რამდენად იქნება შენი მორჩილი სულ. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე — დეკთა და გველეშაპთა შემმუსვრელი — მერე კი, პირთან მიტანილ ჭიქას (მაინც ვერ ენდობი იქაურ ჭურჭელს.) ისევ მაგიდაზე დგამ და ისე ეუბნები იმას, ქაკდარივით გაფიორებულს, მოწიწებით, სუფევილით, სიყვარულით საკუნ თვალებად ქცეულს, ჯერ შემომფიცე, ხელს რომ არ დამაკარებო, თითქოს აძისთვის არ იყო აქ მოსული.

დიახაც რომ იცოდა გელას დედამ. რა მოსდევს სიყვარულს: იცოდა, რას მოითხოვდა უძეცართა, მეოცნებეთა. მოიმედეთა — ტომის ეს გულქვა, გულღრძო, სისხლისმსმელი ბელადი ტომის ყველა წევრისგან, წამიერი სიმთვრალის, გაწბილებული ოცნებებისა და საწინააღმდეგოდ ახდენილი სიზმრის საფასურად. ისიც იცოდა, ყველა ქალი, როგორც კი თავის ნებაზე მიუშვებს ამ გრძნობას, მაშინვე სიკვდილის მატარებელი რომ ხდება, იმ კაცის სიკვდილს, ატარებს ნაყოფივით, ვინც უყვარს, ანდა ჰკონია, რომ უყვარს, რადგან მთავარი თვითონაა და არა ის; ის იმდენად ჭირდება, რამდენადაც იალქანს — ქარი, წისქვილის ბორბალს — მდინარე, ანდა ჯალათს მსხვერპლი, რათა ამოქმედდეს, მოლოდინისგან, ყოყმანისგან, გაურკვევლობისგან განთავი-

სუფლდეს და შეუდგეს თავისი მოვალეობის აღსრულებას: ხომალდი ზღვაში გაიყვანოს, ხორბალი დაფქვას, მსხვილი კი — ეთხელ და საძუდამოდ ძოსვეხოს. ამიტომაც გაფთრდა ალბათ ის — გელას მამა, იმ დღეს, გელას დედის დანახვაზე: თავისი სიკვდილი დანახა. თავისი აღსასრული იგრძნო, აღსასრული კი არა, უაზრობა ლოდინისა, თმენისა, ოცნებისა, იგრძნო, მისმა ცოლმა რომ დაჭკა, უფრო დიდსა და უფრო დაუნდობელ სცენაზე რომ მოუხმეს, ვიდრე თეატრის სცენა. და ამან ააღელვა. ამან ააფორიაქა, როგორც სნეული, დღედათვლილი პატიმარი ამნისტიამ. საკუთარ სიკვდილს ეხვეოდა ის და არა საყვარელ. სასურველ ქალს, რომელსაც წარმოდგენილი თავისუფლების კალთის ქვეშ მისთვის გაგზავნილი მოოქროვილი ბორკილები უყურიალებდა. აღგზნებული. ბედნიერი. საკუთარ სიკვდილს ეჩურჩულებოდა ყურში ლექსებს. რადგან სიკვდილი თავისებური ბედნიერებაა. როცა ადამიანს სხვა გამოსავალი აღარა აქვს. მუცელი შენი, ეითარა ხვეკ ოფლნილია: ძუძენი შენი უმჭობეს ღვინისაო ჩურჩულებდა. ჩურჩულებდა. აღგზნებული: ეს კი ბედნიერი — იყო. რადგან უკვე მტკიცედ იცოდა. საითაც მოეს-ულებოდა. იქით წაიყვანდა ხომალდს: იმ ხორბალს დაფქვავდა. რომლისგანაც მისი პური გამოცხვებოდა მხოლოდ. ხოლო მზის ქვეშ თავზე საყრელად იყო დროცა და ადგილიც სასჯელისა. „ეს გადასაგდება. ესეც. ესეც. ლიზამ ისეთი რეცხვა იცის, მაინც ხელში შემოეფლითებაო" — იძახდა გამარჯვების სიხარულით ღაწვშეფაკლული და გელას მამის საკუტმოშლილი ჩემოდნიდან. მკვდარი ენუტებივით. ორ-ორითთა ამოჩქმოსდა ეჩუსლგამოხეული წრიდა. დაჭმუტხული. წვიტლშემხმარი ცხეირსახოცი თუ საყელოგაცრეცილი პერანგი. არ უკვირდებოდა. ვერ ამჩნევდა: გელას მამა. „საკუთარ ოჯახში". დამაბული. დამფრთხალი. რომ იჯდა სკამის კიდეზე. ისა როგორც გმირი დაპატიმრებილ ძმაზე. არამედ — სემინარიელი ეკატერინეს ძმისაკ�delში. გულიანად ეფიცებოდა. როცა ის. დაბნეული. დაოსებული შლდა ხელებს. ცამეტამრის გამონაცვალ კოსტუმში გამოწყობილი (ასლად ახალივითაო — იძახდა ლიზა). რადგან სიყვარულით იყო დაბრმავებული. დაყოფებული. გულგაქვავებული: განუსჯელად ასრულებდა ბელადის ყოველ ბრძანებასა და მითითებას — სიყვარულით სიყვარულის დამორეულელი — და როცა ლიზა იტყოდა ხოლმე, ეს ბიჭი აქ გამჩერებელი არ არისო, გაკაპასებული ეცემოდა პირში, თითქოს ლიზაზე იყო დამოკიდებული მათი პირადი ბედნიერება. თითქოს ისე იქნებოდა, როგორც ლიზა იტყოდა. სხვათაშორის. ასედაც გამოვიდა ბოლოს. რაც არ უნდა ბრიყვი ყოფილიყო ლიზა. მაინც ამაზე სალად აზროვნებდა. რადგან ამას ეუყარდა. ლიზას კი — არა. ლიზა იმას ამჩნევდა. რასაც ხედავდა. ეს კი წარმოდგენილს ელოლიავებოდა. ლიზა მართალი აღმოჩნდა. ლიზას ნათქვამი გამართლდა. „აწერთნილი კაკაკვივით რომ იმეორებდა სულ: ეს ბიჭი აქ გამჩერებელი არ აოს, დღეში სამჯერ მეტლმეტება და სტუდარეთ ყველაფერზე ძადლობას ძიდგისო. თანაც როდის ამბობდა! როცა ვერ კიდეე ძოდიოდნენ ძიმლოცველები. როცა ვერ კიდეე საქორწილო ერეკა სუფრას: რაცა იმას. გელას ძამას. ვერ კიდეე ყველაზე გამოსაჩენ ადგილას სვამდნენ: ა. ეს ბ. ბლავთ ჩვენი სიტ, თუმცა ჩვენ უკეთესის ღირსნი ვიყავითო. არა. ამას ხმამაღლა არ ამბობდნენ, დიდი-დიდი ერთმანეთში თუ წამოცდებოდათ ოჯახის ნამდვილ წევრებს, როცა ის, გელას მამა, მათი ქალიშვილის სისულელით, დაუფიქრებლობით შენაძენი, შინ არ იყო და ყველას შეეძლო, გულახდილად გამოეთქვა თავისი აზრი. „ამა, მე თუ მკითხავთ, რაც მეტს მოეფერებთ, უფრო თაკზე დაგაჯდებათ ეგ თქვენი მოწონებული სიძეო"

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

იძახდა ლიზა. „მდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვეულს ფურცლავდა და იმის შიში ელავდა, ხმელი ფოთოლი არ ჩამეფშვნაოს ხელშიო; ანდა როცა სუფრასთან იჯდა და მღელვარებისგან, დაძაბულობისგან, ხან ჭიქა უბრუნდებოდა, ხან სმაძრილე. ირგვლივ კი სანიმუშო წესიერება სუფევდა; ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი, ერთხელ და სამუდამოდ. ლიზა სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა; მამა საკარძელში თვლემდა; დედა პატარა კალათიდან საერთო რვეულში ჩასაწყობ ფოთლებს არჩევდა და ხანდახან თავისთვის შესძახებდა ხოლმე: ვიშ, რა ლამაზი ფოთოლიაო; გელას მამა შინ არ იყო, ან, როცა შინ იყო, ფლოსტებში ფეხწყაფოფილი. სარკმლიდან გასაკვირდა ქუჩას: თვითონ კი, გელას დედა, წიგნს კითხულობდა, — ანდა პატარა, მრგვალ სარკეში იქუიტებოდა, ტახტზე მიწოლილი; ვერ მოიშალა ეს ჩვეულება, რადგან ბევრი არაფერი შეაკლილა მის ცხოვრებაში. ისევ მშობლიური ციხის ტუსალი იყო და ახლა ალბათ უფრო მეტადაც, რადგან ახლა ისიც ციხის კედელს აქეთ ჰყავდა, ვისი იმედითაც საერთოდ აპირებდა ტყეეობიდან თავის დახსნას (სარკმლიდან გასაკვირდა ქუჩას, ფლოსტებში ფეხწყარილი). ეს კი ლიზაზე ბრაზობდა, ლიზას ედგა ჯიბაში. სხვა არაფერზე ფიქრობდა, ოღონდ ლიზასთვის ჩაეწყვეტინებინა ხმა, ლიზას წინასწარმეტყველება გაებათილებინა. ლიზასთვის დაემტკიცებინა, ერთი ჭკუანაკლული დედაკაცი რომ იყო მხოლოდ და ოჯახისა არაფერი გაეგებოდა, ჭურჭლის რეცხვისა და იატაკის ხეხვის მეტი. მაგრამ ლიზა მართალი აღმოჩნდა ბოლომდე, და არა მარტო იმიტომ, ყველაზე ადრე რომ იწინასწარმეტყველა, ეს კაცი აქ გამჩერებელი არ არისო, არამედ იმიტომაც, თავიდანვე რომ შეატყო, როგორი გმირი იყო ის და დაურიდებლად მიეკაკუნებდა ხოლმე საპირფარეშოში მეოცნებეს — იქნება სჯისაც უჭირსო. ამას ცეცხლი ეკიდა გულზე, მაგრამ ლიზასთან ქმრის დაცვა და გამართლებაც ეთაკილებოდა, — ეს ოღონდ და, ასე დაემცირებინა [illegible] საც მისი გადარჩენა დაესახა მიზნად და თუ ითმენდა, ისევ მისი გულისთვის ითმენდა ყველაფერს. „მხოლოდ შენი გულისთვის, მხოლოდ ჩვენი სიყვარულის გულისთვისო“ — ეზურჩულებოდა ლოგინში და ამასაც იმედი ჰქონდა, როდისმე რომ ამოიწურებოდა მისი ქმრის მოთმინება, როდისმე რომ მისცემდა იმის საშუალებას, ლიზასთვის ნიშნი მოეგო და ეთქვა: ახლა რაღას ტყვი, ახლა ხომ დარწმუნდი. ჭკუაც რომ მეტი მაქვს შენზე და გემოვნებაც. მაგრამ ხანდახან თვითონაც ეჭვდებოდა, ერთი წუთით იმის სულშიც წამოყოფდა ხოლმე ბორტი, შეურაცხმყოფელი ეჭვი თავს და გველივით სისინებდა: ხომ შეიძლება, ხომ შეიძლება, ლიზა კი არ იგონებდეს, მართლა მამაშენის სახელისთვის, გაელენისთვის და ქონებისთვის უნდოდე შენს გმირსო. მზად იყო, ცეცხლისთვის მიეცა ყველაფერი, ქმარიც მოეკლა და თავიც, მაგრამ, საბედნიეროდ, პატივმოყვარეობა არ აძლევდა ნებას, დიდხანს აჰყოლოდა ამ ეჭვს, თავი გაეყადრებინა იმისთვის: ოღონდ ისე მოულოდნელად, ისეთ დროს განუდგებოდა ხოლმე ქმარს, თვითონვე იტანჯებოდა, ქმრის დაბნეულობისა და უმწეობის შემყურე, საკუთარი სიმკაცრით, სიეჯაგით, უხამსობით დათრგუნული. ბათუმშიც ლიზას ჯიბრით წაჰყვა ქმარს, თუმცა ბოლოს სამთვიანი გასეირნება გამოუვიდა, დამოუკიდებელი ოჯახის შესაქმნელად აბარგებულს: იმიტომ რომ, ქმარს კი არ წაჰყვა, ლიზას გაეცა: თუმცა ლიზამ იმათ გაბეზარებამდეც იცოდა, მალე უკანვე რომ მობრუნდებოდა კუდამოძუებული. „წადი, რა გენაღვლება, თვალს წყალს დაალევინებ და ყველაფერს უკეთ გაარკვევ ადგილზეო“ — უთხრა ლიზამ საღგურში (ალბათ წინასწარ დარიგებულმა)

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ეა მართლაც. პირველი, რაც „ადგილ-ზე" გაარკვია, ის იყო, ვერაფრიდან რომ ვერ შეეგებებოდა იქაურობას, გინდაც იმ სახლში ეშოვნათ ბინა, რომელიც თვითონ მოეწონა; თუმცა იმ სახლსაც იმიტომ აქებდა და შენატროდა განუწყვეტლივ, „თავისი" რომ დაეკნინებინა, ქმრისთვის რომ გაეგებინებინა: დაგიჯერე, წამოგვეკი, მაგრამ იქ არ ვცხოვრობ, სადაც მინდაო, შენ თუ ჩემი, ნამდვილად ჩემი ფუფუნება ვერ აიტანე, მე სრულებითაც არა ვარ ვალდებული, ნასხვისარ ნივთებს ვეფერო და ველოლიავოო. არა და, იმ სალამის, როცა მისი ქმარი უჩვეულოდ აღელვებული, აფორიაქებული მობრუნდა თეატრიდან და განაცხადა: ბათუმში გადავდიარ საცხოვრებლადო, ეს სიხარულით ცას ეწია, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა იმაზე. რამაც მისი მშობლები და, რა თქმა უნდა, ლიზაც შეაშფოთა. ნიკა რომ ჯობდა ბათუმს, თვითონაც იცოდა, მაგრამ „საქმენი საგმირონი" ბათუმში ელოდებოდნენ მის ქმარს და არა ნიკაში, რაც არ ესმოდა. ანდა განგებ არ უნდოდა გაეგო დედამისს. არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება, რამდენჯერმე რომ გაიმეორა გუბერნიის მთავარმა მოსამართლემ— რომელსაც ამ საკითხში ნამდვილად დაეჯერებოდა — ბათუმი აეაზაკობისა და გარყვნილების ბუდეაო. ბოლოს და ბოლოს, უკვე გათხოვილი ქალი იყო და. ბოლოს და ბოლოს, ქმრის მხარი უნდა დაეჭირა, მით უფრო რომ, თვითონვე ამოერჩია იგი. იმისი გამტყუნება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი უმკუობისა და უგემოვნობის აღიარება იქნებოდა და ძეტი არაფერი, რითაც ლიზას გულს გაახარებდა ისევ, ლიზას შემოაკვრევინებდა ტაშს: აი, ახლა კი კარგი გოგო ხარ, ისე იქცევი, როგორც შენს მშობლებს ეკადრებათ და გაუხარდებათო. ნახევარი არც ესმოდა ქმრის ნალაპარაკევი: მისთვის მთავარი ის კი არ იყო, დიდი მამულიშვილობა რომ იქნებოდა მისი ქმრისგან ბათუმში გადაკარგვა და იქაურ თეატრში სამსახური, რომელიც თურმე ჯერ მხოლოდ იდგამდა ფეხს და ხელის მოსაბმელი, გამაძხრეველი ჭირვეულ-ლი, გამაძხრეველი ჭირვეულ-ლ-ბედ ისევ მხსნელისა და გადამარჩენელის სახე რომ აღედგინა იმას ცოლის თვალში. „ახლავე უნდა დაესვა ლიზა და ყველა კაბა გადავაკეთებინო, ზღვაზე რომ ჩაიცმეოდესო" — ტიტიკებდა სულელი ბავშვივით და თან პატარა, მრგვალ სარკეში ჩარაძარა ულოფდა ენას საკუთარ გაძოსახულებას. მაგრამ, მართლაც რომ სულელი ბავშვი იყო მაშინ, არ ესმოდა, ვერ ხვდებოდა, მისი ქმრის აღზრდაში განწირულის უკანასკნელი, საბედისწერო გაბრძოლება რომ იყო და უჩვეულო მღელვარებით იმას კი არ აუწყებდა ცოლოურს, რაც უნდოდა, რაც გადაეწყვიტა — შეფარულად თბოულობდა რჩეულს. შეელას: გამარკვიეთ, გამაგებინეთ, როგორ მოვიქცეო. ამიტომაც მოაყოლა ალბათ ბოლოს: სჯობია, გინდოდეს და არ შეგეძლოს, ვიდრე შეგეძლოს და არ გინდოდესო. მისთვის შეუფერებელ ტვირთს იყო მოკიდებული, როგორც ჭიანჭველა დამწვარი ასანთის ღერს, და თან გულში იმის იმედი ჭქონდა, მინც არ მიმატანინებენ ბოლომდეო, არა იმიტომ, დამწვარი ასანთის ღერს რომ ვერ შეელეოდნენ, ანდა ჭიანჭველას დაზოგავდნენ. გაეფრთხილდებოდნენ. არამედ იმიტომ, ტვირთისა და ძტვირთავის შეუსაბამობა მაშინვე თვალში რომ ეცემოდათ და გააოცებდათ (თუ არ გაბარაზებდათ). რაც სასებით საკმარისი იქნებოდა ტვირთისა და ძტვირთავის გასათიშად, როგორც მოხდა კიდეც. „თავისუფლება მოსატანებია ჩემს სიძესო" — ჩვეულებისამებრ გაიხუმრა მამამ, გუბერნიის მთავარმა-მოსამართლემ: მერე ცხვირსახოცში ცხვირი ხმიდ მოიხოცა და გაიგრძელა: თავისუფლება ლამაზი ქალივითაა, შენთანაა — ვერ აფასებ, სხვასთანაა და გშურსო. მაშინ კი, ცოტა არ იყოს, შეცბა მისი ქალიშვილი, თავის თავზე მიიღო მამის ქარაგმა, რადგან ქმრისთვის ყველაზე ლამაზი ქალიც ის იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავისუფლებაც. თითქოს მამა იმას ეუბნებოდა, შენმა ქმარმა არც შენი ფასი იცის და ვერც ის სიკეთე დაუნახავს, იმისთვის რომ გაიღეო. თავისებურად მამაც მართალი იყო: მადლობის მაგივრ. ედიდგულებოდნენ, გაურბოდნენ, თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ, როცა არც ერთისთვის იყენენ მზად და არც მეორისთვის. ერთი უსაქმურობაში ეშლებოდათ, მეორე კი — უპატრონობაში. ოჯახი ერთ ლოგინნენ წოლა ეგონათ, ის კი ავიწყდებოდათ, სად იდგა ის ლოგინი. ვის ეკუთვნოდა, ვინ უეცლად თეთრეულს ყოველ მესამე დღეს. როგორ დააყვედრიდა რამეს, ან ქალიშვილს, ან სიძეს. მაგრამ აღარც ისეთი პატარები იყვნენ ისინი, თეთრი შავისგან ვერ გაერჩიათ. იმდენი არ სცოდნოდათ, თავისთავად. დამოუკიდებლად არაფერი რომ არ არსებობს არც ბუნებაში და არც ცხოვრებაში, ლომი იქნება თუ კოო. კათალეოსი თუ ტაძრის გლახა. მშობლის სიმართლე ისევ მყარი. შეუვალი იყო. მაგრამ უფრო გამაღიზიანებელიც. სწორედ თავისი სიმყარისა და შეუვალობის გამო. სარკეში იქყიტებოდა და თან ტიტინებდა: ძალიან მიყვარს ჩემი მამიკო. მაგრამ როგორც ქმარიკო გადაწყვეტს, მეც ისე მოვიქცეევო. „ღარ გამაგონოთ ბათუმი!“ — მუშტი დაკრა მაგიდას დედამ, მამამ შუბლი შეიქმუხნა, არ ესიამოვნა მუშტის დაბარახუნება. „ჩვენ ლექსებს კათეთრებთ, აქ კი თურმე შეთქმულება მზადდებაო“— დაუძახა ცოლს, მაგრამ მაშინვე გაიღიმა და პროფესიული სიდინჯით, ყურადღების, ნდობის, მორჩილების მომთხოვნი ხმით გააგრძელა: კარგმა ცხოვრებამაც იცის მოყირჭებაო: მე თუ მკითხავთ, ჯობია შევინგოთ ეს კარგი ცხოვრება, ვიდრე იმაზე ვიფიქროთ, თუ რითი შევცვალოთ იგი. იმ საღამოს სხვაც ბევრი თქვა: სიტყვამ სიტყვა მოიყოლა, ჯიბრმა ჯიბრი, წყენამ— წყენა, გაუგებრობამ გაუგებრობა, და კართან ატუზული ლიზა ხან ერთს შეხედავდა, გაოცებისაგან პირდაღებული, და ხან მეორეს. მარტო ეძახ. ოიცოდა, რა ხდებოდა, რა ეთქვა, რადგან იმდენად მოულოდნელად დაიწყო ყველასათვის ეს ამბავი, უბრალოდ, ვერც მოახერხებდნენ ლიზას დარიგებას და ვერც ლიზა მოასწრებდა სათქმელის დაზეპირებას. დედამ ცოტა წაიტირა კიდეც, თითქოს იმდღევანდელი უსიამოვნება მისი ყოველად უწყინარი საქმიანობის უდიერად მოხსენებებით იყო გამოწვეული და არა სიძის მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ამბოხით. ბოლოს, უაზრო სჯა-ბაასით გაბეზრებულმა მოსამართლემ გაზეთზე დაგდებული სათვალე ისევ მოირგო, გაზეთს ხელისგული გადაუსვა, ნაოჭი გაუსწორა, დააცქერდა და — მდააააო— ამოიღერღალა გაბზარული ზარივით; ეს კი უტყუარი დადასტურება იყო იმისა, ბატონი მოსამართლე საჭიროდ რომ აღარ თვლიდა საუბრის გაგრძელებას და ყველას აფრთხილებდა, არ აჰყოლოდნენ მოუზომავ სიტყვას, დროულად მოეთოკათ თავიანთი ენებები. ასედაც აღიქვა ყველამ ამ უაზრო ბგერების ელვარადობ და მაშინვე თაკიანთ ოთახებს მიაშურეს, რათა ახლა იქ ეფიქრათ და ეცადათ, უფრო ღრმად ჩასწვდენოდნენ მოსამართლის „განაჩენის“ ჯზასა და მნიშვნელობას. ამ ხმით იყვნენ სავსენი, როგორც ნიავრები ზღვის გუგუნით. მაგრამ ყველაზე ცუდ დღეში ძაინე ყელს მამა იყო: თუ ცოლოურს დაუთმობდა, ცოლის თვალში გაამპარტლდებოდა სამუდამოდ, თუ არა და, ცოლოურს გადაიყდებდა, რადგან მართლმსაჯულება მორჩილთა და მონანიეთა მიმართ არის მხოლოდ ლმობიერი, ხოლო ურჩთა და განდგომილთ, აღრე თუ გვიან, მაინც აგებინებს პასუხს. ის ღამე თეთრად გაათენეს ორივემ. მართალია ჩურჩულით, მაგრამ შთაგონებული, აღგზნებული უმტკიცებდა ცოლს, ეს რომ

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

იყო მათი გზა, სხვა გზა რომ არ ჰქონდათ და არც უნდა ეძებნათ, თუკი მართლა უნდოდათ გაეგოთ, რანი იყვნენ, რა შეეძლოთ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თვითონვე იქნებოდნენ თავიანთი თავის პატრონნი და იმას შეჰაძლებენ, რასაც იშოვიდნენ, იმას გააკეთებდნენ, რაც მოეპრიანებოდათ და იმას იტყოდნენ, რაც ენაზე მოადგებოდათ, რადგან თავისუფლება იმიტომაა თავისუფლება, იმაზე ფიქრით რომ არ აიტკიო თავი, ვისთან რა ვთქვა და როგორ ვთქვაო. იცოდა, განწირული რომ იყო და ამხანაგს ეძებდა, მარტო ეშინოდა თავის გოლგოთაზე ასვლა. თუმცა, ამასაც მოსწონდა ქმრის ნალაპარაკევი, თვითონაც თანახმა იყო ამგვარ ცხოვრებაზე: მეც თეატრში ვიმუშავებ, ბილეთებს გავყიდი და წარმოდგენაზე თუ არა, ჩემს სანახავად მაინც მოვა იმდენი ხალხი, შიმშილით რომ არ გაგვჩეხს სულიო — ტიტინებდა ქმრის მხარზე თავმიდებული, მაგრამ გულში უკვე იცოდა, ცუდად რომ დამთავრდებოდა მათი დამოუკიდებლობა; და უკვე ისიც იცოდა, არასოდეს რომ აპატიებდა ქმარს იმ დამცირებასა და სირცხვილს, რომელიც მისი მიზეზით უნდა გადაეტანა შშობლიურ ციხეში მობრუნებულს. მაგრამ ჯერ მაინც უნდა აჰყოლოდა ქმარს, თუნდაც იმიტომ, ბოლომდე რომ გაერკვია, რა უნდოდა და რა შეეძლო იმას, ბოლომდე, ბოლომდე, რათა თვითონაც მტკიცე და შეურყეველი ყოფილიყო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას; და თუ გამთენიისას მაინც ამოაყოლა მთქნარებას, ვნახოთ ჯერ, რას იტყვიან ჩვენებიო, მხოლოდ იმიტომ, უარესად რომ გაექეზებინა ქმარი; ხოლო როცა ის საწოლიდან გადაუხტა, იმიტომ გადაჰყვა თან, იმიტომ მოეხვია ფეხზე და იმიტომ არ დაანება შარვლის ტოტში ფეხის გაყრა, საერთოდ რომ მოესპო იმისთვის აქ დარჩენის იმედი.

მაგრამ, შეძლებულსა და გავლენიან ოჯახში გაზრდილმა გოგომ, დიდხანს მაინც ვერ გაუძლო დაქირავებულ ოთახში ოჯახობანას თამაშს; ხოლო ფეხმძიმობა რომ იგრძნო, უკანასკნელ ბეჯითობა, თავზარი დაეცა, [illegible] შვილი წარმოიდგინა ამ უცხო კედლებსა და სავნებს შორის, ნასხვისარი ცხოვრების ბურანიდან გულგრილად რომ შემოსცქერიდნენ, და არა თუ თავიანთ პატრონად თვლიდნენ, საერთოდ არ აგდებდნენ არაფრად, ახლოს არ იკარებდნენ, იმდენი მტვერი ედოთ, ამასაც ძალაუნებურად უკან მიჰქონდა მჩვრიანი ხელი, რადგან მაინც ვერ მოერეოდა, არ ეყოფოდა, ვინ იცის, რაჰქნენ სიცოცხლის დანატოვარ მტვერს. საათი-ამერიც უკვე გარდასულ, ანდა სხვებისთვის განკუთვნილ დროს აღნიშნავდა და ყოველ თხუთმეტ წუთში იმიტომ წკრიალებდა რომელიღაც მელოდიის ნაგლეჯს, ერთხელ კიდევ რომ შეეხსენებინა ამისთვის, შემთხვევითა ხარ აქ მოხვედრილი და ვიღრე კვერცის დებას დაიწყებ, ის გარჩევნია, ჯერ საკუთარ ბუდეზე იზრუნოო. დაბნეული, დამფრთხალი, დაეჭვებული შესაცქეროდა უცხო სახეებს, ქართულ კაბებში გამოწყობილ ქალებს, ჩოხიანსა თუ ქულაჯიან კაცებს, კედლებზე დაკიდებული სურათებიდან რომ შემოსცქეროდნენ, წარბებაწეკეპილნი, ღიმილშეკავებულნი, თაგადახრილნი — თითქოს უკვირდათ, ეს ვინ მობრძანებულა აქაო; ანდა თითქოს დამცინავი მოთმინებით ელოდებოდნენ, როდის მიხვდებოდა თვითონვე, არაფერი რომ ესაქმებოდა იმათთან. „მეცელს თუ მოიშლი, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდებაო“ — ეუბნებოდა ქმარი, მაგრამ იმ წუთას ქმარიც სძულდა, რადგან ქმრის უაზრო აჩემები ბრალი იყო, ამ დღეში რომ ჩავარდნილიყო; ქმარს კი არ გადაერჩინა (რა სჭირდა გადასარჩენი?), როგორც პირდებოდა (როგორც ატყუებდა), გადასარჩენად გაეხადა ამისთვის საქმე, რადგან თვითონ, ბოლოს და ბოლოს, არაფერი არაფერში გაეცვალა. ამას კი ყველაფერზე ააღებინა ხელი, ყველაფერზე, რაც სიკვდილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდე ამის საკუთრება უნდა ყოფილიყო. სისხლი გაეყინებოდა ხოლმე საათის ყოველ დაწკრიალებაზე, თითქოს სხვის დროს ხარჯავდა, სხვის დროს ითვისებდა, როცა საკუთარი უმეთვალყურეოთ დაეგდო თბილისში. ნასხვისარ ტახტზე დაწოლილი, ქმრის მკლავებში მოწყვდეულიც კი, დეკის მიზეზიანი ქალივით სწუხდა სულ, ადამიანის სუნი მცემდო, რადგან მართალი განუწყვეტლივ სცემდა მძაღე, მდორე, მტვერწყარილი სუნი იმათ, ძასზე ადრე რომ ეცხოვრათ ამ ოთახში, ამ საათით რომ ითვლიდნენ დროს, ამ ტახტზე რომ წვებოდნენ, მაგრამ მისგან განსხვავებით, ნამდვილად შინ იყვნენ და გაურკვეველი, ძნელად ასახსნელი, მაგრამ ასევე ძნელად დასაოკებელი შიშით არ უფრიალებდათ გული, გახდისას, დაწოლისას — აი, ახლა გაიღება კარი და აი, ახლა შემოვა ვიღაცაო. ეს შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი, გამაბითურებელი, გამაბიჭძერებელი შეგრძნება ერთხელ უკვე გადაეტანა და სწორედ იმიტომ გადაეტანა, საბოლოო რომ ყოფილიყო იგი, იმის მერე ყოველთვის იქ რომ დაწოლილიყო, სადაც ჭეშმარიტად მისი ადგილი იქნებოდა. ქმარს არ ესმოდა, არ უნდოდა გაგება. ისე იყო მოწადინებული, თავი გამოეჩინა, ვიღაცისთვის რაღაცა დამტკიცებინა, ჭიანჭველა აქლემად ეჩვენებოდა, მგელი კი გოშად. იმპერიას ებრძოდა და ზედსიძობისა ეშინოდა. „ჩვენი ადგილი იქ არის, სადაც ერთად ვართ და ერთ საქმეს ვემსახურებითო“ — ერთნაირად იმეორებდა, ჩხუბობდა თუ ხუმრობდა. არ ინტერესებდა, რას პასუხობდნენ, რადგან, ალბათ, თვითონაც ხვდებოდა, რა იოლი გასანადგურებელი იყო მისი მრწამსი, რომლის მიზედვითაც, თავისუფლად შეიძლებოდა, ასევე ყოფილიყო მათი „ადგილი“. ანუ მათი ბინა, მათი ოჯახი, ნებისმიერი ბნელი ქუჩა, ნებისმიერი ბაღის მიყრუებული კუთხე ანდა იგივე საერთო საცხოვრებლის ოთხსაწოლიანი ოთახი, სადაც, ყველა სიკეთესთან ერთად, სულ ცოტა, სამი მოწმე. ძალიც ეყოლებოდა მათ ყოველ გადასაფარებლ თუმცა უმალ ასეთ ცხოვრებ ვდა, ვიდრე ცოლს დაუთმობდა, თუნდაც იმიტომ, ცოლისგან ჯერჯერობით მხოლოდ დამომთას რომ იყო მიჩეული. უმალ მტკრთავად დადგებოდა ნავსადგურში, ვიდრე ცოლოუთან დაბრუნდებოდა. შართალია, მისი ცოლი მაძისეულ სახლს გთხოვებამდე „შშობლიურ ციხეს“ ეძახდა და წყალსა და შავ პურზეც თანახმა იყო, თუკი ვინმე გაანთავისუფლებდა იქიდან. მაგრამ პაემანზე მისული გოგო სხვაა, ცოლი კი — სხვა, და გინდაც ის გოგო ცოლობაშიც ერთგული დარჩეს ნეტარი ძღვენარების ჟამს წამოცდენილი სიტყვისა, მისი ოჯახი არაის მისცემს ნებას, წყალსა და შავ პურზე ამყოფოს იგი, თითქოს გათხოვება სასჯელი იყოს და არა ბედნიერება, რისი უფლებაც ისევე აქვს გუბერნიის მთავარი მოსამართლის ერთადერთ ქალიშვილსაც, როგორც ნებისმიერ სხვა გოგოს. გარდა ამისა, ქალები გათხოვებამდე არასოდეს არ ფიქრობენ იმაზე, რაზედაც ლაპარაკობენ, ხოლო გათხოვების შემდეგ, არასოდეს არ ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ. მაგრამ გელას დედას მამისეულ სახლში, „შშობლიურ ციხეში“, თუკი მართლა დაღუპვა ელოდებოდა, თუკი დედამისს მსგავსად, თანდათანობით, ისიც ხმელი ფოთლებისა და გაზეთებიდან გადმოწერილი ლექსების მხელად იქცეოდა, მაშინ, რაღა თქმა უნდა, გელას მამა მართალი იყო: მაშინ ამ ერთი ქალის გადარჩენაც ბევრს ნიშნავდა, რადგან ერთია საფუძველი მრავლისა, ერთით იწყება სათვალავი, და როგორც ხალხი შეიძლება დავიდეს ერთამდე, ასევე შესაძლებელია, ერთი იქცეს ხალხად. ცხადია, გელას მამა აზვიადებდა, მაგრამ ასე იმიტომ ფიქრობდა, დამნაშავედ რომ გრძნობ-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავს ცოლის წინაშე, ვის გადარჩენასაც აპირებდა თავისი ჭკუით, თუმცა ხმამაღლა რომ გამოეთქვა თავისი განზრახვა, ათასი კაცი დან ათასივე ერთხმიერად ეტყოდა ალბათ, არაფერი სჯირს შენი გადასარჩენო. არა მარტო ეტყოდა, დაუმტკიცებდა კიდეც, რადგან გელას მამის გამორჩენამდე, გელას დღეა ეგეიპტელ ზედსაგური თრმის კი არ ზელდა, ოთახის ყველივიეა. განუწყვეტელი ჟურადღებითა და მზრუნველობით იყო გარემოცული, ჩიტის რძეს არ აკლებდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. და ეერც ამას გაუძტყუნებდა ვინმე მის მშობლებს, რადგან ყველა ლოიალი და ყველა ჯერის ადამიანი იმისთვის იღწვოდა და იმისთვის იღწვის ახლაც, ხვალ რომ მეტი ჭმნდეს, ვიდრე დღეს აქვს. ეს ეფექტ საფუძველად სულერამდგარი თიხის ქარადიულ ლტოლვას ცოდვისკენ და ცოდვიდან ამოსვლის ასევე ქარადიულ ვინსაც: უფრო ძარტივად — ქარადიულ ტანჯვას. ესასრულოს, რადგან წარსული ყოფილი ომმავალია, ხოლო ომმავალი — პოტენციური წარსული. ეს, ალბად გაძოცდარე, ომმავლისკენ მისწრაფება წარსულში შებრუნებას ნიშნავს, გიჟი მთეპატიკოსის სურვილსა ჰგავს, რომელსაც უცნობის ამოხსნა უცნობისაკენ ძეწვებით განუზრახავს, რამდენადაც ადამიანი, ედამიწასავით, ორ ყინულოვან პოლუსს შორისაა ომქეული, წარსულსა და ომმავალს შორის. და წინაც ისაა, რაც უკან. გაყინული სიდუძლო, თეორი, სუსხიანი სიცარიელე. მაგრამ ამის ცოდნა მაინც არ იყო საკმარისი, გელას მამა უაზრო ფაფუტის რომ შეშვებოდა. ისევ სიდეერ-სიმამრთან მობრუნებულიყო და ეთქვა: მართლები ყოფილხართ, რაც ჭიმივიდა, ალგაზზოდითია და გამოუცდელობით ომივიდა. მაგრამ უკვე მზადა ვარ, მთელი სიცოცხლე თქვენი თვეშიდან ვკამო და ძეიდი სიცოცხლე თქვენი ნამოძები ხალათი ვატარო. არაეიოარ შემთხვევაში. უმალ მოკვდებოდა, ვიდრე ასე დაკინდებოდა. ზედსიძეს ალბ „დამოუკიდებლობის ... ძიებლის“ სახელი ერჩია, სიდედმა რომ შეარქვა სადგურში, გამოსათხოვარი კოცნის წინ. თუმცა, არც ზედსიძობა იყო ისეთი სათაკილო და საგანგაშო ამბავი, როგორადაც მიაჩნდა: თითქოს ზედსიძედ შედგომას მხოლოდ ანგარება განაპირობებდა და სიყვარული არაფერს ნიშნავდა, როგორც ლაპარაკობდნენ კიდეც მის ჩურგს უკან ბოროტი ენები. მაგრამ ეს კი არ ხეთქავდა გულზე გელას მამას, ის ვერ მიეხელებინა, იმას ვერ შეჰგუებოდა, ჯერ კიდევ რომ არ იყო მზად თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, როგორც სიმამრმა უთხრა, და რომ, ერთადერთ ადგილს, სადაც მეტნაკლებად თავისუფალიც იქნებოდა და დამოუკიდებელიც, სწორედ სიმამრის ოჯახი, მისი მეუღლის „მშობლიური ციხე“ წარმოადგენდა, „მშობლიური ციხე“, რომელიც კიდევ ერთი კაცის კი არა (თანაც სიძის), მთელი საერთო საცხოვრებლის თეთრეულს დარეცხავდა, სიამოვნებით, ოღონდ გელას დედა თავის ჭკუაზე მოექცია.

(შენ რომ ცხოვრებაში დამოუკიდებლად, სხვების დაუხმარებლად აპირებდი ფეხის მოკიდებას, ჩემო ბატონო ქმარო, საერთოდ ყველაფერზე უნდა გეთქვა უარი, რაც, ასე თუ ისე, მაინც დგაკავშირებდა იმ სხვებთან. ბოლომდე უნდა გაგეძლო, მგდომინა საერთო საცხოვრებლის მადეჩაგლეკილ საწოლზე, რომელიც სულის საწერთნელად იყო გამიზნული და არა საცდუნებლად. შენ კი. ცდუნებას ვერ გაუძელი და ამით თავიდანვე მოიკვეთე უკან დასახევი გზა. უფრო სწორედ, გზის არჩევის უფლება: სხვებს მიანდე შენი ბედი და არსებითად იმ დღეს თქვი უარი ნანატრ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე. როცა შენი მაცდუნებლის მუცელი იხილე, ვითარცა ხვავი იფქლისაი, და იმის ძაგივრად, რომ გამოგეპანღურებინა, უპატრონო ძაღლივით აეტოროიალე. თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რაც თავისთავად იგულისხმებოდა შენი მაცდუნებლის გადასარჩენად წამოწყებულ ბრძოლაში, რადგან ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიყვანდი მას „შშობლიური ციხიდან“, თუკი ჯერ თვითონაც არ გახდებოდი იმ ციხის ტუსაღი. მაგრამ მოსახდენი დროზე ადრე მოხდა, ჩემი საბრალო ქმარო, რაც შემდეგი ნაბიჯიც ასევე ადრე გადაგადგმევინა: ხოლო ყველაფერმა ამან, დანაშაულის გრძნობა გაგიჩინა, უპირველეს ყოვლისა: ხოლო დამნაშაკე. შენც კარგად მოგეხსენება, მეამბოხედ და მეომრად ვერ გამოდგება, მაშინვე თავში ჩაუპარტყუნებენ, ჯერ გულში ჩაიხედე და მერე ისე ესროლე სხვას ქვაო. ის გრძნობ. კი, დანაშაულის მტანჯველი გრძნობა, აქეთიქით რომ გახეთქებდა, თავგზაც რომ გიბნევდა და ბოლოს სამარეშიც ჩაგიყვანა, დღითი-დღე იზრდებოდა, ღონერდებოდა. სხვა გრძნობებსაც აჩლუნგებდა, ანდა მათ ადგილსაც თვითონ იკავებდა და საერთოდ გიკარგავდა გულწრფელობასა და „სითამამეს, არა მარტო ცოლის მიმართ. ცოლს შშობლების მიმართ, არამედ ყველასთან, ნაცნობთანაც და უცნობთანაც. შინ და გარეთ. ლოგინშიც და სეანაზეც. ამ გრძნობამ მიგიყვანა შენთვის სძულველ გუბერნიის მთავარ მოსამართლესთან, ქალიშვილის ხელის სათხოვნელად: ეს გრძნობა გაიძულებდა, კუდი გეკბინებინა ყველა ძალლისა და მამაძაღლის წინაშე, შენს სანახავად, შენს შესამოწმებლად რომ მოდიოდნენ და ერთნაირი სიყალბით ეიძახდნენ, მასპინძლის გულის მოსაგებად: რას უწუნებთ, მშვენიერი ბიჭი ყოფილაო. ეს გრძნობა გაარნახობდა, შენი გემოვნების, შეხედულების, მრწამსისა და ცოდნის საწინააღმდეგოდ, მოგწონებოდა ან დაგეწუნა ის, რაც შენს შემწყნარებელს მოწონდა ან არ მოწონდა: ეს გრძნობა გაკალდებულებდა, განსაკუთრებული ყურადღება გამოგვმეოავნებინა სიდედრის ხელით გადაწერილი, საკლუტმა ჯარის ნაწილებივით, ლამაზად ... წყებული ლექსებისა და ... წინათ გარდაცვლილი, გამოფიტული ფოთლებისადმი: ამ გრძნობის ბრალი იყო, გული შიშით რომ გისცდებოდა, ფურცელი არ დამეკმეუნოს ანდა ფოთოლი არ ჩამეფშხვნას ხელშიო: დაჯარიმებული ლეკვივით, დაბნეული, გაოგნებული, დარცხვენილი რომ ისმენდი პოეზიის სიყვარულით ლოყებშეფაკლულს სიდედრის შენიშვნებს, შეგონებებს, დაცინვასაც, და იმის მაგივრად, იატაკზე დაგეჯარცხებინა ერთნაირად მეკდარი ლექსებისა და ფოთლების კუბო (როგორც, სხვათაშორის, მე მოვიქეცი ერთხელ), ნებას აძლევდი, უსასრულოდ ეკეკლუცა შენს სიდედრს, ოღონდ არა როგორც ასაკოვან ქალს — ბიჭთან, არამედ მცოდნეს — უვიცთან. სიდედრს კი არა, ლიზასაც თვალებში შესცინინებდი, რამე ისე არა ეთქვა, რამე ისე არ გაეკეთო. ლიზას შენიშვნა დაეიმახუროო. დანაშაულის გრძნობა გახუკვინებდა თვალს, ჩემო სულელო ქმარო, იმის შესამჩნევად, შენს სიდედრსაც სიმდიდრისადმი ჩვეულებრივი, უადრესად ადამიანური მიდრეკილება რომ დაატარებდა დუქან-დუქან — კიდევ ერთი ბროლის თასის, ვერცხლის საშაქრისა თუ ოქროს კოვზის შესაძენად— და არა ხელოვნებისადმი, მშვენიერისადმი განსაკუთრებული სიყვარული. ხალხი ყიდდა, ის კი ყიდულობდა: დედაშენი ყანას თოხნიდა სოფელში, ის კი ძვირფას ნივთებს დაეძებდა ლომბარდში; ძვირფასს კი არა — ძვირს, იმიტომ რომ, შენთვის ძვირფასი ნივთი (თუნდაც გვერდამოკმეული ჭიქა), შეიძლება, სხვისთვის კაპიკიც არ ღირდეს, ხოლო შენთვის ძვირი ნივთი, სხვებისთვისაც ძვირია, თანაც, გაჭირვების გამო გაყიდული ნივთი, სინამდვილეში გაცილებით მეტი ღირს და კიდევ

ოთარ ჭილაძე
რაჭინის თეატრი

უფრო მეტი ეღირება ხვალ. მაგრამ ღმერთმა თუ არა, მე ხომ ვიცი, რომ შენ გელას დედა არც ბოროლის თასის, არც ვერცხლის საშაქრისა და არც ოქროს კოფხისთვის შეგირთავს; შენ შენი შემცდენელის გაწბილება მოგვრიდა მხოლოდ და აი, სწორედ ამშინ წაიტეხე კისერი. კი, მართალი ხარ, კეთილშობილება იყო შენგან, საერთო საცხოვრებელში გაბასებულ გოგოს ზუგი რომ არ შეაქცევ და ცოლად შეირთო. მაგრამ ეს შეუღლება არა მარტო მთელი იმ სამყაროს ეღირებასაც გულისხმობდა, რომელმაც შენი შემცდენელი წარმოქმნა, არამედ გაეალღებულებდა კიდევ, კეთილი ბენება და, რაკი ასეთი მორიდებული ბრძანდებოდი, თავადაც გაგზიარებინა იმ სამყაროს ავიცა და კარგიც, დაგეკიწყებინა, თუ რამე მტრობა გქონდა იმისი და მშვიდად, უდრტვინველად, მორჩილად და მადლიერების გრძნობითაც კი, სამუდამად შერწყმოდი, შეერთებოდი, შემატებოდი გუბერნის მთავარი მოსამართლის ოჯახს, რომელიც სრულებითაც არ იყო წინააღმდეგი ამგვარი ნამატისა, პირიქით, ქალიშვილის გაჯენის დღიდან, ამის მოლოდინი ჰქონდა სულ, ოღონდ, ცხადია, იმისთვის სულერთი არ იყო, ვინ შეემატებოდა, შენ თუ სხვა. ისე, ეაცმა რომ თქვას, ეზია თქვენზე, ჩემო ძვირფასო მეუღლეო! ჯერ ერთი... ჯერ ერთი, წინააღმდეგი თუ იყავი ამგვარი შერწყმისა, შემცდენელი ცოლად აღარ უნდა შეგერთო; ეერც ის დაგავალდებულებდა და ეერც იმის მამა მოგთხოვდა პასუხს, რამდენიც არ უნდა ექნა თავისი კოდექსები, ეერავითარ მუხლს ვერ მიუყენებდა შენს „დანაშაულს“. რადგან შენს ადგილას ალბათ თვითონაც ასევე მოიქცეოდა, ასევე მოიქცეოდა ნებისმიერი მამაკაცი თხუთმეტიდან ოთხმოც წლამდე, რაც არ შეიძლება არ ჰქონდეთ გათვალისწინებული კანონმდებლებსა და მართლმსაჯულების მსახურებს, რამდენადაც თავადაც მამაკაცები არიან. მეორეც ერთი, თუ მაინცდამაინც გიყვარდა შენი შემცდენელი, ... ცხოვრება ეერცეი წარმოგრიც არაერთგზის გითქვამს სიცოცხლეში), ბატონ მოსამართლეს კი არ უნდა ხლებოდა, ქალიშვილის ხელის სათხოვნელად — მით უფრო რომ, ის ქალიშვილი უკვე შენ გეკუთვნოდა — თავი ისე უნდა დაგეჭირა, აქეთ რომ ეხლებოდა ბატონი მოსამართლე საერთო საცხოვრებელში და მოწმეების თანდასწრებით, ეღიარებინა შენი უფლებები. და კიდევ ერთი, ჩემო ძვირფასო, ჩემო საბრალო, ჩემო ტანჯულო ქმარო (გაახათლოს მამაზეციერმა შენი სული), გელას დედის გადარჩენას მხოლოდ შაშინ ექნებოდა აზრი, თუკი დაარწმუნებდი, მართლა გადასარჩენად რომ ჭქონდა საქმე. თუკი დაარწმუნებდი, საერთოდ რამის გადარჩენა რომ შეგეძლო შენ. დიახ, თუნდაც ჭიქის. შენი საკუთარი ხელფასით ნაყიდი ჭიქისა! თუკი აგრძნობინებდი, მამამისზე ძლიერი რომ იყავი. იმის დანგრევა რომ შეგეძლო, რასაც ეჯაჯგურებოდა, რათა ისიც მთლიანად შენს მხარეზე გადმოსულიყო, ორ ცეცხლს შუა კი არ ყოფილიყო სულ გაბმული, დაუფიქრებლად გაეკეთებინა არჩევანი მამასა და ქმარს შორის, რაც საერთოდ ხვედრია ქალისა: მამისა და ქმრის ბრძოლის ოთვალთვალე კი არ ყოფილიყო, არამედ ქმრის მოკავშირე ამ ბრძოლაში. რაზედაც ყველა ქალი ოცნებობს; თანაც, ისეთი მოკავშირე, შეუძლებელს რომ შეგაძლებინებდა, რადგან მან უკვე იცოდა საკუთარი მამის სისუსტეები და არც არავიზე ნაკლები ქალი იყო: აღარაფერს მოერიდებოდა, აღარაფრის შერცხვებოდა, პირიქით, ეერცეი წარმოიდგენ, როგორი ბედნიერი იქნებოდა, როცა მისი მამის მტერს, მაგრამ ღირსეულ მტერს, ჭეშმარიტ გმირს დაუამახებდა: მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჭკარ რბილოსაო. და კიდევ ერთი, — შენ მე მამის გაწირვის საშუალება არ მომეცი და ეს ვერ გაპატიე ეერც ცოცხალს და ეერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკედარნ. სიმართლე თუ გინდა, ესაა სიმართლე!).

ისიც სიმართლე იყო, ერთად ცხოვრება რომ უნდოდათ და არ შეეძლოთ: სხვადასხვა მხარეს იყურებოდნენ: ერთი ალთას, მეორე ბალთას: ერთი იმას ვერ ელეოდა, რასაც სხვაგან ვერ მიიპოვებდა, ხოლო მეორე იმის მოპოვებას ცდილობდა, რაც არასოდეს ჰქონია და არც ექნებოდა. სიყვარულის მეტი არაფერი გააჩნდათ საერთო, არც სიმდიდრე, არც სიღარიბე. სიყვარული კი — ვერაგი, გულღრძო, სისხლისმსმელი სიყვარული — სრულებითაც არაა საკმარისი ერთად ცხოვრებისთვის, პირიქით, სიყვარული ყველაზე დიდი ჯებირია ორ სულელს შორის, რომლებსაც ერთად ცხოვრება განუზრახავთ. სიყვარულის ანბანის, პირველ რიგში სიყვარულის უნდა დაანგრიო, სახლი რომ აიშენო, აუჯი რომ შეიძინო, კედლები რომ მოკაზმო და მტრების გულის გასახეთქად, ზილიპიპილოებით გამოტენო კარადის თაროები. მაგრამ იმიტომ კი არ გამოექცა ის ქმარს, სიმდიდრე რომ ერჩია სიყვარულს — როგორც ქმარმა უთხრა ერთხელ, მორიგი კინკლაობის ჟამს — სხვისას საკუთარი ამჯობინა, სიმდიდრე სიღარიბეს კი არა, საკუთარი სხვისას, ისევე როგორც მისმა ქმარმა. საკუთარი ოფლი გაცილებით ძვირი ეღირდა, ვიდრე ცოლის ცრემლი. ცოლიც ადგა და საკუთარ ბუდეს დაუბრუნდა, სადაც არც თეთრეულის გარეცხვას შეახსენებდა ვინმე და არც იმაზე უნდა აეტკივა თავი, დღეს რა გაეაკეთო სადილათო. არაფერი არ იყო ამაში წარმოუდგენელი ანდა გასაკვირი, რადგან ასეევ მოიქცეოდა არა მხოლოდ გონიერი, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსება. მინდერის თაგვი რომ მინდვრის თაგვია, ისიც ირჩევს ადგილს, ისიც ცდილობს უკეთესად მოეწყოს: და რა დანაშაულია, ამასაც უკეთესი რომ აერჩია? თუმცა, უკეთესი უკან დარჩა და ლიზას თქმისა არ იყოს, „ადგილზე" მიხვდა ამას. ჯერ კიდევ მატარებელში. მატარებელ-ლაქი რომ დაინახა, ნავთის სუნი რომ ეცა ცხვირში, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მკედარი იყო, თითქოს რკინის კუთში ჩამწყდეული მისი სული ჯოჯოხეთში მიჰქონდა მის ქმარს — მარადიულ, გაუნელებელ ცეცხლზე შემოსადგმელად. არაფრის არ შეშინებია ისე, როგორც ბათუმის დანახვამ შეაშინა. და მართლაც, ის სანი თვე, ამ წყეულ ქალაქში რომ გაატარა, ერთი წუთით არ გადაჰყრია გულიდან შიში, ავის, საზარელის წინათგრძნობა. შუაღამისას, თითქოს იმის ჯიბრზე, ხან სროლა აგუდებოდა, პორტსა თუ ბულვარში, ხან კი — ქალი კიოდა, არაადამიანური, სისხლის გამაყინავი ხმით. ძილგამკრთალი, აძაგძაგებული ეტმასნებოდა ქმრის გაკვარვებულ ზურგს, როგორც გზამოკრილი — კედელს, და ისეთი ჩვენებები უტრიალებდა თავში, საკვირველი ის იყო, სული როგორ მიყვებოდა ხოლმე დილამდე. ხან კითომ ყარაღები მოსდევდნენ მოსაკლავად, ხან კი — მთვრალი მეზღვაურები აუპატიურებდნენ. ლიზა კი, ქირქილებდა: არა უშავს, ასე უკეთ გაარკვევ ყველაფერსაო. რაღა უნდა გაერკვია: ფეხძირამდე იყო, ახალ სიცოცხლეს დაატარებდა მუცლით და იმ ახალი სიცოცხლისთვის უნდა ეზრუნა. პირველ რიგში. ერთხელ, პატარობისას, მათ აივანზე, მის თვალწინ, ტრიდა ბუდე გაიკეთა. ნისკარტით ეზიდებოდა ხმელ წკირებს და დანჯღრეული, აივანზე გატანილი, ბოთლებითა და ქილებით გამოკუბული კარადის კუნჭ აწყობდა. ისიც იქვე იდგა, ორ ნაბიჯზე, აივანზე ერთი წუთით გასული, იმდენად გაოცა, გააოგნა, მოხიბლა მტრედის საქმიანობამ, ფეხი ვეღარ მოიცალა. არც მტრედს შეშინებია მისი: საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას: თავისი საქმით იყო გართული. ფაცაფუცით, ღუღუნით

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვრებოდა ხოლმე კარადის ქვეშ და მეორე წუთას, ფრთების გაშალებული ბათქუნით, ახალი წკირის მოსატანად მიფრინავდა. „აღარ დაბრუნდებაო“— შიშობდა, წუხდა ეს, მაგრამ მტრედი ჯიუტად ბრუნდებოდა, კიდევ ერთი წკირი მოჰქონდა მომავალი ბუდისთვის. პირით მოჰქონდა, როგორც ძაღლს — პატრონის გადაგდებული ჯოხი. არაფრად აგდებდა მოთვალთვალე ბავშვს, საქმე ჰქონდა, კეერცხის დასადებად ემზადებოდა და სხვას ვერაფერს აშინებდა. მერე, უფრო მოგვიანებით, როცა უფროსებმაც შეიტყვეს მათ აივანზე დაბინავებული მტრედის ამბავი და როცა, რატომღაც აღშფოთებულმა ლიზამ, აწკრიალებული კარადა უხეშად გადასწია, კარადის ქვეშ, ერთმანეთზე მჭიდროდ დალაგებულ წკირებზე, სველი, ყითელი, უშნოდ გაფარჩხული ბარტყი დაუხვდათ (მტრედის შვილს ხუნდი ჰქვიაო — გაუსწორა დედამ). ეს ამბავი დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ ბათუმში ჩამოსვლის პირველსავე დღეს, მისთვისაც მოულოდნელად, სწორედ ის ჯიუტი, უშიშარი და, ცოტა არ იყოს, თავხედი მტრედი გაახსენდა, სხვის აივნზე. სხვისი კარადის ქვეშ ბუდე რომ მოიწყო და თანაც უტიფრად, აშკარად, გამომწვევადაც კი, თითქოს თუკი კეერცხის დადებას მოასწრებდა, თავის მსგავსს შექმნიდა, აღარ დაგიდევდათ, რა შეემთხვეოდა მის ნაშიერს, დააცდიდნენ თუ არა გაზრდას, ბოლომდე დაუთმობდნენ შშობლის სიჯიუტით, შშობლის სითავხედით მოპოვებულ ადგილს, თუ სკლინტშემხმარ წკირებთან ერთად, იმასაც ცოცხით გადახვეტავდნენ აივნიდან. იმ მტრედს ჰგავდა მისი ქმარიც. ყოველ დილით ფართხა-ფურთხით გარბოდა შინიდან, ზეზეურად სვამდა ჩაის, და ხელცარიელი არასოდეს ბრუნდებოდა უკან: ხან რა მოჰქონდა და ხან რა; ბუდეს აკოწიწებდა სხვის ჭერქვეშ; ბუდესაც 'არა — კეერცხის დასადებ ადგილს უმზადებდა ცოლს. ხოლო მის ცოლს, კი არ უხაროდა, აბრაზებდა, აკიფებდა ეველი შენაძენი: ყავის ხორცის საკეი ფიცარი, მრრუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული, საკმაოდ უგემოვნო და უფერული ნახატი (შადრევნის ფონზე — გრძელთვალება, სანახეკროდ შიშველი ქალები და ყურდაკქვეტილი შველი), თუ ყანრებიანთ მაღალ ფეხებზე შემდგარი ჭიქები (პოლიკმეისტერმა რომ შეუკვამა ორი კეერის მერე, „ოჯახურ ვახშამზე“). აბრაზებდა, აკოფებდა, რადგან ეს უბრალო, ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები, თავიანთი სიმრავლითა და სიმძიმით, კიდევ უფრო ძირავდნენ ნასხეასირი ცხოვრების მტკვერში, სუნში, ხმაში... ნასხვისირი ცხოვრების აშმორებულ წყვდიადში.

— ასე ხომ? ასე ხომ? — გიჟივით იმეორებდა, მრისხანებისგან მართლა სულშეგუბებული.

— ასე, დიახ, ასე! — პასუხობდა ქმარი ჯიბრით.

სხვათაშორის, უფრო ადრე თუ გამოეკეკა ქმარს, ვიდრე უნდოდა, ანდა აპირებდა, იმ ჭიქაჭამია პოლიკმეისტერსაც მიუძღვის. გარკეეული დამსახურება, რომლის მსგავსი არც არაფერი უნახავს იქამდე და არც არაფერი გაუგონია. მთელი საღამო დამფრთხალი, დაბნეული, გაოგნებული იჯდა სუფრასთან და არა ზრდილობის გამო, არა სტუმართმოყვარეობის გამოსაჩენად, შინისაგან იღიმებოდა; სულ ელოდებოდა, აი, ახლა წამოუვა პირიდან სისხლი და აი, ახლაო. ის კი, არ ხეინად ახრამუნებდა შუშას, ორცხობილასავით, და თან გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ბორძიკით, ტკეპნით, უაზროდ და უსასრულოდ, თითქოს მნიშვნელოვანს ამბობდა რამეს, თითქოს მოსასწრებად ჰქონდა საქმე და გაჩუმდებოდა თუ არა, სულსაც განუტე

ნამდვილის აღმის უნარი, სინამდვილის, რომელსაც აღარ ეკუთვნოდა, აღარ უნდოდა და იმიტომ. კბილებით დაფშვნილი, დაღეჭილი შუშის ხმა კაზზე ეკალს აყრიდა, და თუ მაინც იღიმებოდა, იმის ბრალი იყო, საკუთარ არსებასთანაც რომ ვეღარ ამყარებდა კავშირს; არც ღიმილთან ესაქმებოდა რამე; უბრალოდ, სახეზე დარჩენოდა — შეძრწუნებამდე — და დავიწყებოდა. სახე იღიმებოდა მხოლოდ, როგორც კედელზე მიკიდული ნიღაბი, რომელიც იდუმალს, შეუღწეველს, უხილავს კი არ გამოხატავს, არამედ იმას აჩვენებს, რაც ზედ ახატია, თანაც სხვისი ხელით. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“ — ფიქრობდა გაღიმებული. ჭიკჭამია კი, ისევ ისე ბორძიკობდა, იტკეპნებოდა, ხრაშუნობდა და ღრეჭიალებდა. სავსე ჭიქას ხელს ამოუდებდა ხოლმე, ვითომ უნებლიედ ღვინო არ დამეწვეთოს სუფრაზეო, ვითომ ნამეტანი თაკეზონი და ზრდილი გახლდათ, მაგრამ დაცლილდა თუ არა ჭიქა, მაშინვე ჩაკბეჩდა და ბაგაზე დამბულ ძროხასავით იკოხნებოდა; იმდენი ხნით ჩუმდებოდა მხოლოდ, ჭიქის დაცლას რომ ჭირდებოდა; მაგრამ მისი ხმა მაშინაც ქღერდა ჰაერში და იმდენად მძიმე, ტლანქი და ყოვლისმომცველი იყო, ჰაერსაც დევნიდა ოთახიდან. იმ ხმაში იყვნენ ჩაფლულები, ჩაკარგულები, იმ ხმას სუნთქავდნენ, იმ ხმით ჭერნდათ ფილტვები ამოვსებული. თუმცა, სხვები ყურადღებას არ აქცევდნენ ამ ამბავს, ეტყობა, უკვე შესჩვეოდნენ, როგორც იაპონელები მიწისძვრას, და თვითონაც ჭამდნენ, სვამდნენ, იცინოდნენ და ესაუბრებოდნენ კიდეც ერთმანეთს. „არა. ისა. შენ ხარ ჩემი ბატონი. ფუი. ეტალონი. დიახ. ეტალონი“. ბუყბუყებდა, ბუტბუტებდა, ლუღლუღებდა და გზადაგზა ყველაფერს შუშის სილაში მარხავდა უაზრობის მდინარე. ხრარარშშშ და ხრარარშშშ და ხრარარშშშ. „ეს უკვე სიგიჟეა. ეს უკვე სიგიჟეა“. — ფიქრობდა მომღიმარი ნიღაბი. ხოლო მის ძვირფასეულ ღღლეს, ისე ჭკნნდა შეფერებულობისა და ხის უფროსობა და მასპინძლობა, უმსგავსობას, გაუგებრობას, სისულელეს— აღტაცებული, რაღაცნაირი მოწიწებითაც კი, უდგამდა წინ შექმული ჭიქის მაგიერს. „ლაჟი. ლაჟი. ლაჟია. — ფიქრობდა მომღიმარი ნიღაბი. — მამაჩემს ეს ამჯობინა. ამას მიანდო თავისი ბედი. ამან უნდა მისცეს ნანატრი თავისუფლება. საკუთარი ოჯახის შექმნის ნება“. ასეთი ფიქრებით შეპყრობილს, ხანდახან თვითონაც უჭირდა გაერკვია, უყვარდა თუ სძულდა ქმარი, მაგრამ იმასაც გრძნობდა, არსებობისთვის მარტო სიყვარული, ანდა მარტო სიძულილი საკმარისი რომ არ იყო; სულ გამწარებული იქნებოდა, დღენაკლული ბავშვის პატრონივით, ვიდრე სიყვარულს სიძულილის ტალახში არ გადაზელდა და ვიდრე ამ ორი გრძნობიდან ერთ ახალ გრძნობას არ მიიღებდა, ერთ ახალ ძალას, რომელიც თავისი ორბუნებიანობის მიუხედავად, ყოველთვის ერთიდაიმაგე საგნისკენ, მოვლენისკენ, ცნებისკენ ანდა მიზნისკენ იქნებოდა მიმართული და, რაც მთავარია, მისი დაძრაც, მისი ტარებაც შეეძლებოდა, როგორც საზიდარში შებმულ ჯორს... ცხენს კი არა, ანდა ვირს, არამედ სწორედ ჯორს, რადგან ჯორისა არ იყოს, არც ეს ძალა იბადება თავისთავად ბუნებაში; როგორც ჯორის შესაქმნელად ცხენისა და ვირის შეჯვარებაა საჭირო, ასევე უნდა შეჯვარო სიყვარული და სიძულილი, ამგვარი ძალა რომ მოიპოვო; ხოლო ვინც ამას ვერ შესძლებს, ვინც „უჯოროდ“ დარჩება (როგორც მის ქმარს დამართა), ის თავიდანვე დასაღუპადაა განწირული და კიდეც უნდა შეეგუოს ამას (როგორც მისი ქმარი შეეგუა). ჯერ უნდა მიხვდე და მერე შეეგუო. მაგრამ ამას რომ მიხვდე, დიდი გზა უნდა გაიარო საერთო საცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

რებლის ბადეჩაგლეჯილი საწოლიდან ჭიქაჭამიების ქალაქამდე; გუბერნიის მთავარ მოსამართლეს ცხვირი უნდა აუბზუო, თავისიანად რომ არ ჩაგთვალოს იმან, და მეძავებისა და კონტრაბანდისტების პოლიციმეისტრს კვერცხი უნდა უგორო, იატაკი რომ არ აგიყაროს თეატრში. ამასთანავე, კეთილშობილება უნდა დაუმტკიცო ქალს, რომელსაც ეს „კეთილშობილება“ წინასწარვე გთვალისწინებული ჰქონდა, როცა საერთო საცხოვრებელში მოდიოდა, რათა სიქალწულის საფასურად, ლაბირინთიდან გამოეყვანა თავისი ოცნების გმირი. და ბოლოს, „სულგრძელად“ უარი უნდა თქვა „კეთილშობილებით“ მოპოვებულზე, მაგრამ ვერაფერი ვერ უნდა ჩაიდინო ისეთი, რაც შენს „კეთილშობილებასა“ და „სულგრძელობას“ ბრჭყალებს მოახსნიდა. გმირი რომ არ იყო მისი ქმარი, უკვე მშვენივრად იცოდა; ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ: ჯობია, გინდოდეს და არ შეგეძლოს, ვიდრე შეგეძლოს და არ გინდოდესო, რადგან ხელს აძლევდა ასეთი ცხოვრება, ვიდრე მისი პირადი თავისუფლება აღმოჩნდებოდა საფრთხეში, ვიდრე ჩამოაძენძილებდნენ ბათუმიდან, ჩამოიტყუებდნენ, ვითომ თავის ნებაზე გაშვებულს. ადამიანს ხომ, ნებისმიერი ცხოველივით, დატყვევების უფრო ეშინია, ვიდრე თავად ტყვეობისა! აივანზე გასულ კაცს კარი რომ გადაუკეტო ხუმრობით, მაშინვე აწრიალდება, მუშტებით ჩამოიღებს კარს, თითქოს კიდევ ერთი წუთით თუ შეყოვნდა აივანზე, ქვეყანა დაიქცევა, თუმცა, კარი რომ არ გადაეკეტათ იმისთვის, ვინ იცის, როდის გაუჩნდებოდა ოთახში შემობრუნების სურვილი. მოკლედ, ისეთივე გმირი იყო გელას მამა, როგორი ლაბირინთიდანაც გამოიყვანა იგი გელას დედამ. რადგან ნამდვილი ლაბირინთიდან თავდაღწეული ნამდვილი გმირები არასოდეს ირთავდნენ ცოლებად იმ სულელ გოგოებს, დაუფიქრებლად რომ ღალატობდნენ მშობლებს, გიეგბივით რომ გამორბოდნენ მშვიდი, უზრუნველი ბავშვობიდან, [illegible] ცხლწაკიდებული სახლიდან [illegible] დაერჩინათ და დაღუპულიყვნენ — მათი ბავშვობის სარკმლის წინ შემთხვევით ჩავლილი, მაჩაბელივით ახოვანი, ლომის ფაფრიანი უცხო კაცი გადაერჩინათ, თავად კი დაღუპულიყვნენ, ბედნიერნი, ცხოვრებით გულსაცვსენი იმ ერთი ღამის გამო, სიკვდილამდე სათუთად დადანახული იმ პერანგების გამო, რომელთაც ლოგინში, გადიების უჩუმრად შეჭმული ალუბლის წვენით დალაქვა უფრო შეეფერებოდათ, ვიდრე უბიწოების სისხლით. გელას მამისთვის კი, ყველაფერი პირიქით მოხდა: დაიღუპა, რათა გადაერჩინა (!), რადგან თვითონ კი არა, გელას დედა იყო გმირი. თვითონ არც იცოდა, რას სჩადიოდა, გელას დედამ კი იცოდა. თვითონ გული შიშით უსდებოდა, გელას დედას კი ფეხებზე ეკიდა დერეფნიდან შემომავალი, გაურკვეველი, ერთმანეთში თითქოს საჩხუბრად არეული ხმებიც, მინებჩალეწილი კარადის თავზე შემოდგმული, ქუდჩამოფხატებული გლობუსიც და სამი ცარიელი, ნაუცმათევად გასწორებული საწოლიც, ციხესა თუ საავადმყოფოს რომ ამსგავსებდა იქაურობას.

სიყვარული სჭირდა ორივეს და თუ დროზე არ მოეგბოდნენ გონს, სამუდამოდ დაღუპავდნენ ერთმანეთს. სიახლოვე მხოლოდ ხელს უშლიდათ, სიღიდ რომ ეაზროვნათ, თავფეხიანად რომ დაენახათ ერთმანეთი და მშვიდად გაერკვიათ, რამდენად გამართლებული იქნებოდა მათი ერთად ცხოვრება, ისიც ამიტომ გაიქცა მხოლოდ. დიახ. ამიტომ! რა თქმა უნდა, ჭორი სიმართლეზე მომხიბვლელია, მაგრამ სიმართლე თუ გაინტერესებთ, სიმართლე ესაა. დარწმუნებული იყო, ასე აჯობებდა ორივესთვის. „ცას ეწევა სიხარულითო“ — ფიქრობდა ლიზაზე, ქმარზე რომ არ ეფიქრა, ქმრისთვის დატოვებულ წერილზე (გიყვარდეს შენი ბათუმი. მშვიდობით). არაფერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ ეფიქრა საერთოდ. „თუ შეიძლება, ერთი ბილეთი თბილისამდეო“ — შესძახა სალაროს სარკმელს. არც შეუხედავს შიგ; გამწარებული იქექებოდა ხელჩანთაში, ნაუცბათევად ჩაყრილ ნივთებში პატარა საფულეს დაეძებდა.

— ერთი? — გაიკვირვა სალარომ.

— დიახ, ერთი... ერთი. — თქვა თავის აუწევლად. (გაღიზიანებულმა.

ჯერ ისევ საფულეს ეძებდა ხელჩანთის ფსკერზე. თითქოს საფულე დაჩაჯარგოდა მხოლოდ. თითქოს არაფერი ადარდებდა, საფულეზე მეტად. — რატომ გაგიკვირდათ? — ახლა მიაქცია ყურადღება სალაროს შეკითხვას და უნებურად თავი ასწია. თბილმა, კეთილმა, ვულისხმიერმა ღიმილმა მოუთათუნა სახეზე, მზის სხივივით, და ისევ დახარა თავი. ისევ საფულეს დაუწყო ძებნა. უარესად დაანბინა, დაადართხო, რკინის დაცცაული სარკმლიდან მზის სხივივით გამოსხლტილმა ღიმილმა, აღსარების, მონანიების ენის აღმძვრელმა, თავისი უბრალოებით, სისუფთავით, უანგარობით. „მეც ყველა მიცნობს, იმიტომ რომ ჩემი ქმრის ცოლი ვარო“ — გაიფიქრა ბრაზიანი სიამაყით. ჯერ სიამაყით, მერე სიბრაზით. მიხედა, რამაც გააკვირვა სალარო — უქმროდ არავის წარმოედგინა იგი, უქმროდ არავისთვის არ არსებობდა. ცოტას მორჩა, დაუყვირა: ნუ მიყურებთ ასე, თქვენ ხომ არაფერი არ იცითო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ან რა ვალდებული იყო, ანგარიში ჩაებარებინა ვიღაც მოლარისთვის, რომელიც აქ მხოლოდ იმიტომ იჯდა, ბილეთი რომ მიეცა ყველა მსურველისთვის, თუკი ბილეთის მსურველს ბილეთის ფულიც აღმოაჩნდებოდა. — სად დაიკარგა, ღმერთო ჩემო, — ამოიენაცვლა საცოდავად და ხელი ბრაზიანად ამოუსვა ჩანთაში. „ბოლოს და ბოლოს, ვისი რა საქმეა“ — შეუღრინა ვიღაცას გუნებაში. „იმედია, მალე დაგვბრუნდებითო“ — ჩაესმა ღიმილიანი თბილი, ღიმილიანი კეთილი ხმა. — ხო... არ ვიცი, ენახოთ. — ბუბასგალით შეწუხებული ცხენივით ... თავი და რატომღაც პოლ... ზარიშვილი მოელანდა — თვარ ხელთათმანს ხელის ზურგზე იტყაპუნებდა და მუსუსი კაცის ლარწოვანი ღიმილით ეუბნებოდა: იმედია. როდისმე თქვენც მოისურვებთ ჩვენი ყაზარმის დათვალიერებასო (მაქს პატივი. მაქს პატივი. მაქს პატივი). ისევ აიქნია თავი და სალაროსთან დაბრუნდა. „მე მე ვარ, ჩემი ქმარი კი ჩემი ჭმარია“ — განუმარტა ვიღაცას გუნებაში. — აი!— შესძახა გახარებულმა. როგორც იქნა, მიაგნო საფულეს. ახლა მალე მოიღებოდა ბოლო მის გაწამაწიას, ყოველად უაზრო, ყოველად უსაფუძვლო ძრწოლვასა და კანკალს, უფრო სწორედ, სინდისის ქენჯნას, მოლარეს ღიმილმა რომ აღუძრა, თითქოს საალსარგბო საკანში იდგა და ცხაურს იქით თავად ღმერთი დაბრძანებულიყო. ფეხებთან ხურდა ფულმა გაიწკრიალა: ქაღალდის ფულს ამოაყოლა ალბათ, მაგრამ არც დაუხედავს ძირს, ერთი სული ჰქონდა, როდის მიშორდებოდა სალაროს.

წესიერად არც იყო შესული შინ, ხელჩანთა ისევ მკლავზე ეკიდა, ჯერ ისევ მატარებლის სუნი ასდიოდა, ჯერ ისევ უბეუოდა ყურები ლიანდაგისა და ბორბლების დგანდარეთ, ლიზამ რომ მიახარა: დედაშენმა ... ექიმი იპოვა, მუცელს კი არ მოგიშლის მარტო, ქალიშვილობასაც დაგიბრუნებსო. თავისი ფეხმძიმობის ამბავი იქამდე მოსწყრა დედას ბათუმიდან, ვიდრე საბოლოოდ დარწმუნდებოდა თვითონ. „მგონი, მალე მეც დედიკო გავხდებიო“ — ვითომ ხუმრობით წერდა დედას, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე იდუმალი მოვლენის მოახლოვებით შეძრული, მაგრამ მუცელს მოიშლიდა თუ დაიტოვებდა, ამ საკითხზე, ჯერჯერობით, ქმრის გარდა, არა-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ვისთან ჰქონია საუბარი: მხოლოდ ქმარს განუცხადა, ისიც გაბრაზებულმა, არ იფიქრო, დაქირავებულ ოთახში რომ გავაჩენ შვილსო; მტრედი ხომ არა ვარ, სულერთი რომ იყოს ჩემთვის, სად დაიბადება ჩემი შვილიო, გაზრდას დაიცდიან თუ ცოცხით გადაჭეკავენო. მაგრამ ეს, მხოლოდ მისი და მისი ქმრის საქმე იყო და სხვა ვერავინ ჩაერეოდა. ამიტომაც გააცცხლა ალბათ ასე ლიზას ნათქვამმა. ჩანთის დაგდებაც დაავიწყდა. მეეზოვე ქალივით გაჰკვეროდა, უბინარი, ბინძური, მატარებლის სუნით გაჟღენთილი... მაწანწალა. აღარაფერი არ უნდოდა, ოღონდ როგორმე ჩაეხშო, ჩაექოლა, გაესრისა, მოესპო ლიზას ნათქვამი. ვერ ამჩნევდა, თავს ზემოთ აწეულ ხელებში რომ ეჭირა ჩანთა, ლიზასკენ რომ მიდიოდა, ხოლო ყურებზე ხელებაფარებული, თვალებგადმოკარკლული ლიზა, უკან-უკან იხევდა უნებურად. მარტო იმის ნათქვამს ხედავდა, ცივსისხლიანი, სლიპი ცხოველივით რომ უსხლტებოდა, არასოდეს არ ყოფილა ასე უმწეო, ასე შეურაცხყოფილი, ასე მარტო და, რაც მთავარია, არასოდეს არ უფრძნია ასე ცხადად, ასე გამოკვეთილად, მისი ფარული კეთილისმყოფელებისა თუ მისი ბედის ფარულად წარმმართველთა სიძლიერე, რომლებიც ლიზას მეშვეობით აცნობდნენ ხოლმე თავიანთ მოსაზრებებსა და გადაწყვეტილებებს და რომლებსაც არა მარტო მისი შენახვა, მისი ყოველმხრივ უზრუნველყოფა, არამედ ყველა სიკეთესთან ერთად, თურმე მისი სიქალწულის ამოკუმსვაც შეეძლოთ, თვალწასული წინდასავით, თიმოქის სიქალწულეც წინდა იყო და სხვას არაფერს ნიშნავდა — გაიხდიდი და გადაგდებდი, ანდა დაკეცსავდი და ახალივით იქნებოდა. „არაფრად არ მჭირდება თქვენი ექიმი და არც იმის დაბრუნებას ვაპირებ, რაც ჩემი სურვილით, თქვენი ნებართვის გარეშე გავეცი, რასაც ზოგიერთები, ძალიანაც რომ მოინდომონ, მაინც ვერ დაკარგავენო“ — ყვიროდა საკუთარი უსირცხვილობით შეწუხებული, საკუთარი უსამართლობით აღგზნებული, რადგან საბრალო, სულელური, გულუბრყვილო ლიზა ბოლთი იდგა [illegible] განი, ისარი იყო და არა მშვილდი, საყვირი იყო და არა მესაყვირე. მაგრამ დედაკაცური გუმანი, ალღო, რომელიც უმალ მის პატივმოყვარეობაზე იზრუნებდა, ვიდრე მის სიცოცხლეზე, ისევ დაყრუებას, დაბრმავებას, თავის გაბრიყვებას აიძულებდა და ისიც ვერ ბედავდა, უფრო ზუსტი მისამართი მიეცა რისხვისთვის, გულისწყრომისთვის, რადგან ახლა, ქმრისგან გამოქცეულს, მართლა აღარ ჰქონდა სხვა გზა, მშობლიური ციხის იქით. ასე რომ, შვილიც ლიზას ჯიბრით გააჩინა თითქოს, რადგან მხოლოდ ასე შესძლებდა, იმის, გელას მამის, უკვე სამშვიდობოზე გასულის, უკვე თავდაწეულის — უკანვე შემოტყუებას, ლიზასთვის რომ დაემტკიცებინა, არაფერი მჭირს საექიმო და საჩხირკედელაო. თუმცა, სინამდვილეში, შვილი კი არ გააჩინა, განაჩენი აღასრულა. „სისრულეში მოიყვანა განაჩენი“, როგორც მამამისი ამბობს და როგორც გაზეთები სწერენ ხოლმე; რადგან ცოლი კი არ იყო თავისი შვილის მამისა, არამედ ჯალათი. მის აჩხავლებულ შვილს ლიზა დაატარებდა მეზობელ ოთახში, ის კი, თვალდაჭყეტილი იწვა და წუთებს ითვლიდა, საათებს, დღეებს — ცდილობდა, ზუსტად გამოეანგარიშებინა, როდის ჩაიწერვდა წერილი ბათუმამდე; ცდილობდა, ზუსტად წარმოედგინა, როგორ აღმოჩნდებოდა წერილი მისი ქმრის ხელში. ალბათ თეატრში მიუტანდნენ წერილს, რადგან ვერაფრით ვერ დაიჭერდნენ შინ (რა გააჩერებდა შინ მატარებელა კაცს, თანაც მსახიობს!) და ალბათ ფოსტის მოხელეს, თეთრწვერა იასონს, კარებშივე მიესეოდნენ მსახიობი ქალები: ნუ მოგვკალი, გაგვაგებინე, ვის სახელზეა წერილი. ხოლო როცა შეიტყობდნენ, ვის სახელზეც იყო წერილი, ახ-

ლა იმაზე ატეხავდნენ წიოკობას, არა მე უნდა გადავცე და არა მეო (საერთოდ. მის ქმარს დიდი მოწონება ჰქონდა ბათუმელ ქალებში. რომელიმე მოროგ წვეულებაზე, სუფრაზე რომ შედგებოდა საცეკვაოდ, უკვე შეზარხოშებული, ლამის ერთი კედლიდან მეორემდე რომ გადაშლიდა თავის ტორებს, მაჩაბელიანთ ახოვანი, ფაფარაშლილი, ქალებს გული მისდიოდათ, ბნედა ემართებოდათ და ამას შემოეხვეოდნენ ხოლმე, როგორც ბავშვები ტკბილეულობის გამყიდველს, ოხერითა და ვიშით შენატროდნენ: რა ბედნიერი ქალი ხარ და რა ბედნიერი ქალი ხარო). ბოლოს, რომელიმე მათგანი — ამალია, ფლორა, ელიკო თუ სიდონია — მოიხელთებდა წერილს და ქმაძიანთ აკაკანებული გავარდებოდა სამახარობლო კოცნის გამოსატყუებლად. მაგრამ ეს არ იყო მთავარი, ეს სრულებითაც არ აღელვებდა: არასოდეს არ ყოფილა ეჭვიანი: პირიქით, სიამოვნებდა კიდეც, ასე რომ მოსწონდათ მისი ქმარი ქალებს. სხვანაირად ვერც წარმოიდგენდა, მაგრამ ის უკეთესად იცნობდა თავის ქმარს, კიდრე სხვა ქალები, და ახლა, საწოლზე გულაღმა გაშოტილი, იმის წარმოდგენას კი არ ცდილობდა, მის ქმარს როგორ მიუშვერდა ლოყას ამალია, ფლორა, ელიკო თუ სიდონია, — ის სიფთიერე არ უნდოდა გამოპარვოდა, მის ქმარს რომ გადაკრავდა სახეზე, როგორც კი წერილს დაინახავდა (აჰ, წერილი! ვის გავახსენდი, ნეტავი!). ბაშინვე მიხვდებოდა, ვისგან იყო ის წერილი, მაგრამ უდარდელად ჩამოართმევდა ამალიას, ფლორას, ელიკოს ანდა სიდონიას და უდარდელად ჩაიკუჭავდა ჯიბეში, ვითომ, არაფერია ყურადღების მისაქცევიო, ახლა ამისთვის არ მცალიაო. ისევ მოჰყვებოდა წინ და უკან წრიალს სცენაზე და მღელვარებისგან ჩახერგილი ყელის ჩასაწმენდად, „ხმის მოსანახად“, რამდენჯერმე ამოიძახებდა: მადლობეეელიიი ვააარ, ჩეეემო ამაااალიაო (ანდა — ჩემო ფლორა, ჩემო ელიკო, ჩემო სიდონიაო — ვისაც წერილის გადაცემის პატივს არგუნებდა ბედი). მაგრამ [illegible] იყო მთავარი. მთავარი ჯერ [illegible] იყო და ამასაც დაბაბულობისგან თვალები სტაიოდა, თავი უსაქდებოდა, ცდილობდა, იმდენი მოეხერხებინა, აქედან, თბილისიდან, ქმრის გულში გადასახლებულიყო უცებ, საკუთარი თვალით ეხილა, რა ხდებოდა იქ, რა ფიქრები, რა მოსაზრებები, რა ვარაუდები ენაცვლებოდნენ და სპობდნენ ერთმანეთს. და აი, ბოლოს და ბოლოს, დგებოდა გადაქმწყვეტი წუთიც, მისი ქმარი ეეღარ უძლებდა გაურკვევლობის კლანჭებს, და საპირფარეშოში შეკეტილი... („არა არა. არა“. — უყვიროდა საკუთარ თავს, არ უნდოდა, საპირფარეშოში რომ წაეკითხა მის ქმარს გაქცეული ცოლის ხელითა და მისთვის ჯერ კიდევ არარსებული შვილის სახელით დაწერილი წერილი)... და თავის ოთახში შეკეტილი, ათრთოლებული თითებით ხსნიდა კონვერტს, გაუბედავად შლიდა ოთხად გაკეცილ ფურცელს, თითქოს იქიდან მორიელი გამოუტეგბოდა, და მართლაც, იმავე წუთას. მორიელის რქებივით დაეტეგრებოდა გულზე წერილის პირველივე ორი სიტყვა: გამარჯობა, მამიკო! (ხა, ხა.). გამარჯობა, მამიკო! ასე ალუაში მომწყვდეულებს დაუძახებენ ხოლმე: დაპყარეთ იარაღი!

მერე მისი ქმარი ისევ სარკმელთან იდგა, ისევ სიმამრის სახლში, ისევ ფლოსტებში ფეხწაყრილი და ქუჩას გაყურებდა. მსახიობობას საერთოდ დაანებებ თავი. იშვიათად გადიოდა შინდან: შვილს თუ გაასეირნებდა, ანდა, ათასში ერთხელ, ძველ ნაცნობ-მეგობრებს გადაეყრებოდა. იმ პატიმარს ჰგავდა, სანიმუშო მორჩილებისთვის, სანიმუშო წესიერებისთვის, მიმე სამუშაოდან რომ გაუნთავისუფლებია ციხის ადმინისტრაციას და, უსაქმობის-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

განაკ, აღარ იცის, როგორ გაიყვანოს დრო. მაგრამ რასაც ციხის ადმინისტრაცია მორჩილებასა და წესიერებას ეძახის, იმას პატიმრების ენაზე სულ სხვა სახელი ჰქვია. ამდენი თვითონაც იცოდა ალბათ და იმიტომაც დაბორიალობდა გაოგნებული გუბერნიის მთავარი მოსამართლის ბინაში, როგორც ალბობა ყაჩაღების გამოქვაბულში. ანდა სარკმელთან იდგა, ფლოსტებში ფეხწაყრილი, და ქუჩას გასცქეროდა. საღამოობით ფანჯრების წინ ისევ ეივეიკვებდნენ ბეღურებით გადაშავებული ჭადრები. უფრო შორს, ჭადრებს იქით, მთაწმინდის ხრიოკ ფერდობზე, ისევ ტაატით, ისევ კუს ნაბიჯით დაცოცავდნენ ფუნიკულიორის პატარა, ღია ვაგონები, ფერადი ფანრებით დახუნძლულნი, როგორც ბუჩქები ნაყოფით. ისევ გუგუნებდნენ სიონისა და ქაშუეთის სამრეკლოები და, რაც მთავარია, ქუჩები ისევ მხიარული, ხმაურიანი ხალხით იყო სავსე, თითქოს ბოროტება, ვერაგობა, დაუნდობლობა, ძალადობა, სიმარტოვე და ტყეობა — გამოგონილი, ცარიელი სიტყვები იყო მხოლოდ, ძილში ჩასმული, სიზმრად მოლანდებული, და სინამდვილეში მაგავსიც არაფერი განცადათ. არასოდეს. ის კი, გელას მამა, გაუვალ ფიქრს აწყდებოდა, როგორც სარკმლის მინას — ბუზი, რომელსაც ვერ დაუჯერებია, ეს ჰაერივით გამჭვირვალე, მაგრამ მკვრივი საგანი, არაფრით რომ არ არის ჰაერი, სივრცე... მაგრამ ის სულ სხვა სივრცეებზე ფიქრობდა უკვე, უკვე ხალათის ჯიბეში, ძღილვარებისგან გაოფლილი ხელით ბღუჯავდა სამართებელს და თუკი მაინც აყოვნებდა, არა იმიტომ, კიდევ რომ იმედი ჰქონდა შეწყნარებისა, უბრალოდ ელოდებოდა, ყველანაირად მზად რომ ყოფილიყო და აღარაფერს შეეფერხებინა მისი ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად გმირული ნაბიჯის გადადგმა. „ჩემმა ქმარმა თავი მოიკლაო“ — პირველად რომ აღიქვა ამ სიტყვებში ჩაბუდებული აზრის საშინელება, ხელ-ფეხი წაერთვა, მაგრამ ერთი წამითაც არ დაუშვია, თვითონვე რომ იყო ჯალათი საკუთარი ქმრისა. საუბედუროდ, გვიან მიხვდა ამას. თანაც, მისმა მსხვერპლმა კი არ „მიანებეთო“, ... მელმაც საამისოდ ყველაფერი იღონა, არამედ მისი მსხვერპლის დანატოვარმა, შვილმა — სწორედ იმ კედლებში, იმ ჭერქვეშ აღმოცენებულმა თესლმა, საიდანაც მთესველი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, უფრო სწორედ, ამაოდ ცდილობდა გაქცევას, რადგან უყვარდა, უყვარდა, უყვარდა და ირგვლივ უგულოთა, ბრმათა, ყრუმუნჯთა ბრბო ეხვია. შვილის თვალებში დაინახა ამან საკუთარი სიბრმავე, სიყრუვე, სიმკაცრე და დაუნდობლობა, შვილის პირიდან გაიგონა ის, რისი თქმაც მისმა ქმარმა ვერ გაბედა, ანდა ვერ მოასწრო. „მეზიზღება აქაურობაო“ — უთხრა შვილმა და ამასაც მხოლოდ მაშინ აეხილა თვალი ოჯახური სიამტკბილობის, კეთილდღეობის და, რა თქმა უნდა, სიყვარულის სახელით ატეხილი ომის მონაპოვართა სახილველად. მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ეზოში რომ იბანდა მისი შვილი ხელ-პირს, ბაბუამისის მეეტლეს რომ დაჰყვებოდა აბანოში, რათა აბაზანაში არ შესულიყო, სადაც მამის ტიტველი აჩრდილი ეგულებოდა: თავზე საბანწფაარებულს რომ ეძინა, ანდა თვალდაჭყეტილი იწვა სიბნელეში, როცა ეს, თავად ძილგამკრთალი, აწრიალებული, აბორიალებული — შემთხვევით დახედავდა ხოლმე. „არ გძინავს? რატომ არ გძინავს?“ — ეკითხებოდა ყალბი გულგრილობით, ყალბი მზრუნველობით, ხმა რომ ამოეღო შვილს, ანდა განძრეულიყო მაინც, არ წოლილიყო ასე თვალდაჭყეტილი, ასე გაქვავებული... იმასაკით. „ხმა ამოიღე. ხმა ამოიღე“ — დასისინებდა ბნელში ჩაკარგულ საწოლს და ცივ რკინას ორივე ხელით ჩაფრენილი, გამწარებული აჯანღრაგებდა, თითქოს გამიზეზებულ ჩვილს აძინებდა. არა, თითქოს მათ გამთრშველ ღობეს ანგრევდა, თითქოს ასე გამოდენილი

შეილს მამის პირქუში სახლიდან. რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოეპოვებინა, მაინც აეშენებინა .იმას, ოღონდ, მხოლოდ შვილის სამყოფი. „ხმა ამოიღე. ხმა ამოიღე“ — ჩურჩულებდა, თუმცა დაძაბულობისგან ძარღვები აწყდებოდა ყელზე; გული შიშით უსდებოდა, მშობლები არ გავიგიძო, ანდა ლიზამ არ შემოიხედოს შემოხეططვეთო. მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა, არ ჩუმდებოდა, სანამ მიზანს არ მიაღწევდა, სანამ ერთხელ კიდევ არ გაიგონებდა შვილის პირიდან, ნებისმიერ ბრალდებაზე, ნებისმიერ მსჯავრზე, ნებისმიერ საყვედურზე. ნებისმიერ საწამლავზე შემზარავ შეკითხვას: რატომ მოიკლა მამაჩემმა თავი. „იმიტომ რომ ვუყვარდიო“ — ვინ იცის, მერამდენედ აკვედრა პირზე მომდგარ სიტყვებს: ვინ იცის, მერამდენედ იბრუნებდა ფანჯრიდან მათი სიმძიმით, მათი სიმკაცრით, სიდიადითა და საზარელი სიმართლით დალოლავებულ სულში, რადგან კი არ ეთაკილებოდა, მისი მიზეზით რომ დაობლებულიყო მისი შვილი, არამედ — ღმერთო მაპატიე, ეს მაინც მაპატიეო — ლოცულობდა გულში მხურვალედ — ეამაყებოდა, მისი შვილის მამას ასე რომ ყვარებია თურმე იგი. ეს სიამაყე თრგუნავდა, აკნინებდა და აუბედურებდა სწორედ. ეს სიამაყე უკარგავდა მოსაუნებას. უფრთხობდა ძილს. ეს სიამაყე აბრილებდა ქუჩებში, ოთახებში. ალეწრებდა, არინდებდა. სარკლის მიწაზე ცხეირმეჩაყლეტილს, სარკელს ეჭით მოგეგუნე წყვდიადს მიშტერებულს, ჯიუტად, შიშითა და მღელვარებით, როგორც ჯერ კიდევ ცარიელ სცენას — თეატრში პირველად მოხვედრილი ბავშვი, რომლისთვისაც სულერთია, რა გამოჩნდება სცენაზე, ოღონდ გამოჩნდეს, ოღონდ აუცილებლად გამოჩნდეს რამე. ეს სიამაყე აფრთხობდა, აბნევდა. აეკვებდა მისიანებსაც და ამ სიამაყის გამო ელაქუცაბოდნენ. ეფერებოდნენ. ევედრებოდნენ. „ისე“. „სხეათაშორის“ მაინც ჩვენებოდა ეკიმს, „გასაუბრებოდა ბოლოლოდ“. რათა, ბოლოს და ბოლოს, ყველანი დამშვიდებულიყვნენ („ეკიმ[illegible]ზე ხომ არ ვცხოვრობთ. ათასი [illegible]სი საშუალება არსებობს“. — ამბობდა [illegible]დდა), და ეს სიამაყე აიძულებდა, თვითონაც დამფრთხალიყო, თვითონაც დაეკვებულიყო. სნეულად, გიჟად ჩაეთვალა თავი. „ვთქვათ, მართლა გიჟი ეარ, — ფიქრობდა და თან ცდილობდა, უშეცდომოდ დაეთვალა თუნდაც ათამდე, ასე რომ არ ეფიქრა, ეს ძლაინჯველი, შემაძრწუნებელი ფიქრი რომ მოეშორებინა როგორმე — ერთი. ორი. სამი. — ითვლიდა ტუჩების ცმაცუნით. დაძაბული. დაძაბულობისგან ათრთოლებული. საკუთარ გონებას მიყურადებული. — მაშინ, სრულებითაც არ უნდა იყოს ჩემთვის საშინელ საგიჟეთში მოხვედრა.... სამი... სამი... პირიქით, გიჟისთვის ისეეე უცილებელია საგიჟე, როგორც... როგორც ქათმისთვის — საქათმე. ანდა ღორისთვის — საღორე. სამი. ოთხი. ხუთი. ფუნთუშისთვის — საფუნთუშე. და ასე შემდეგ. ასე შემდეგ. გელა ალბათ ისეე თვალდაკუეტილი წევს. მე რომ გიჟი ვიყო, კი არ უნდა მეშინოდეს, უნდა მიხაროდეს საგიჟეთში მოხვედრა. ხუთი. დედაჩემი მართალია. ეკიმს უნდა ვეჩვენო. ხუთი. არა, ექვსი. მთავარია, ამ აზრს შევეჩვიო. როგორმე დავძლიო, როგორც დედაჩემი ამბობს, ეს ყოველად უსაუფქელო და არაბუნებრიეი შიში, როგორი არაბუნებრიეიც იქნებოდა, მაგალითად, თევზის შიში წყლისადმი. რამდენად ბედნიერია თევზი. რამდენად ბედნიერია თევზი. რამდენად... თევზი... მაგრამ ნაეთის ზღვაში თუ აღმოჩნდა ეცვბ? ხუთი ეცვ ეთქვი. ხუთი ეცვ თქვი. შე კრეტინო. გიჟები ისინი არიან. ვისაც ჩემი გაგიჟება უნდათ. თავად ეჩვენონ ეკიმს. დაანახონ ჭიპები. მე თუ ჩემს სახლში ვარ, თუ ჩემი ფლოსტები მაცია, თუკი

ოთარ ჭილაძე
ჩაკინის თეატრი

როდის რა მომეპრიანება. იმას ვაკეთებ, გიჟი კი არა, სავსებით ნორმალური ადამიანი ვყოფილვარ. როგორ გაუხერებია ლიზას ღუმელი! იმიტომ რომ, ზამთარია. ჯერ კიდევ ზამთარია. რამდენი ქალი ზის ახლა მატარებელში. სადღაც მიიჩქარიან. იმათი თეორი, ქალთაოთ ხელები, თოვლივით მიაქვს მატარებელს სადღაც. სადღაც. ერთი. ორი. სამი". — და ასე გადიოდა დრო. ერთმანეთს ნთქავდნენ სათვალეივით არეული დღეები, თვეები, წლები — უკვალოდ, უიმედოდ, უიმისოდ. მაგრამ ექიმს მაინც ეჩვენა, უჩუმრა, სხვისი სახელით, არავის რომ არ გაეგო, თითქოს ვენერიული სენი ჰქონდა: თითქოს სიგიჟე სირცხვილი იყო, ანდა დანაშაული. „ესეიგი, თანდათანობით, ყველაფერი მოსაწყენი, ერთფეროვანი და სულერთი გახდა თქვენთვის. ესეა, არა?" — ჰკითხა ექიმმა და უშნო, ბახჯგელიანი, კოტიტი თითები მაგიდაზე აათამაშა. „დიიიახ?!" — ცივი, პირქუში გაკვირვებით უპასუხა ამან, თითქოს მისი საიდუმლო ამოეცნო ექიმს, თითქოს იგივე არ ეთქვა თვითონაც, თანაც ექიმზე ადრე. წელგამართული, მედიდურად იჯდა სკამზე. თუმცა მთელი მისი არსება თრთოლვით, ცახცახით, მოუთმენლად ელოდებოდა შველას, გადარჩენას: უკიდურეს შემთხვევაში, თანაგრძნობას, გამხნევებას, დაიმედებას; უხერხულობის იმ შეგრძნების მოშორებას მაინც, ექიმის კაბინეტში რომ დაუფლებოდა. „თქვენ გიჟი არა ხართ — თქვა უცებ ექიმმა და ისევ აათამაშა თითები. თან დაბნეულად, დარცხვენილად იღიმებოდა, თითქოს საკუთარი თითების რცხვენოდა, ერთი ჯილაგის, ერთნაირად გაბანჯგლულ ნადირებს რომ ჰგავდნენ და ასე თამამად, ასე თავისუფლად გამოფენილიყვნენ ამ ლამაზი ქალის წინ. — თქვენი ფსიქიური მდგომარეობა ახლო მომავალში, არა თუ ნორმალური, შეიძლება, სანიმუშოც გახდეს, — ისევ აათამაშა თითები, ისევ დაბნეულად, დარცხვენილად მომღიმარმა. თითქოს საჩოთიროს ამბობდა რამეს, ანდა თითქოს თითებს ვერ იმ[illegible] ... თუმცა იცოდა, მისი ა[illegible] ... რეობის კაცს, მეტი თავდაჭერილობა და სერიოზულობა რომ მართებდა. — თქვენ, უბრალოდ, დროს გაასწორით. ეგ არის და ეგ. რადგან... — შეყოვნდა. თითქოს შეყოყმანდა რაღაცაზე. თითქოს შესაფერი, უფრო ზუსტი სიტყვა ვერ იპოვა უცებ. ეს უნებურად დაიძაბა. თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, თანაც ისე, ექიმი რომ ვერ მიმხვდარიყო, დანდობას თხოვდა თუ გულადდილობისკენ უბიძგებდა, ავალდებულებდა ყველაფრის დაუფარავად თქმას. — რადგან გიყვარდათ. — თქვა ექიმმა. — და ახლაც გიყვართ. — გაგრძელა მაშინვე. — სიყვარულმა მოგწყვიტათ დროსა და სინამდვილეს. შეყვარებული ადამიანი ყოველთვის მთელი თავით ძაღლა დგას თავის თანამედროვეობაზე, როგორც... როგორც პოეტი, ბუსიკოსი, მხატვარი, ანდ. მეცნიერი. სიყვარულიც ერთგვარი ნიჭია..." „საკმარისია. გასაგებია ყველაფერი. — არ აკადო ამან სიტყვის დამთავრება ექიმს; უხეშად, დაუდევრად გააწყვეტინა სიტყვა, როგორც ქათინაურებს მიჩვეულმა და ქათინაურებით განებივრებულმა ქალმა, ყველაზე ნაკლებად სასურველ თაყვანისმცემელს. — მაგრამ მაინც უნდა გაგაწბილოთ — გაგრძელა კოპებშეკრულმა, მკაცრად. — მაინც უნდა გავაბათილო თქვენი დიაგნოზი. სამწუხაროდ, მაინცდამაინც, მე არ აღმომაჩნდა ამგვარი ნიჭი. მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. კი არ მიყვარდა, მინდოდა, რომ მყვარებოდა. მეგონა". „თქვენ ახლაც გიყვართ," — ლაშის დაუყვირა ექიმმა. ამან წარბი აწკიპა, ყელი გორიზად მოიღერა („ვით კლეოპატრა, ენებინაად გრეხ ამაყ კისერს"), შეიმართა, ვითომ, ოდგორ მიბედავთ, ამდენის ნებას როგორ აძლევთ თავსო, თუმცა გული შიშით უსკდებოდა, ეშინოდა, არ გადავ-

თქვა ექიმს, არ მოებოდიშებინა, უკან არ წაელო თავისი სიტყვა, კიდევ გაემეორებინა, კიდევ კი არა, მრავალჯერ, უსასრულოდ, სანამ ამასაც არ გასტეხავდა, სანამ ამასაც არ დაარწმუნებდა, სანამ ამასაც არ ჩაუდებდა ტკივნში ძალათი. — თქვენ ახლაც გიყვართ! — ისევ იყვირა ექიმმა, თითქოს მიუხვდა, თითქოს ამის გულში იჯდა, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, ამოიცნო ამისი სენის მიზეზი. მაგრამ ეს მაშინვე სწრაფად წამოდგა და ოდნავ, ძლივსშესამჩნევად დაუკრა ექიმს თავი, გულისწყრომაც რომ გამოეხატა და თავაზიანობისთვისაც მოეხდა ეალი.

„დროს გაასწორიო" — კი მაგრამ, რატომ? სად მიეჩქარებოდა მაინც ასე? ქმრის სიკედილისკენ? შვილის რისხვისკენ? უბედურებისკენ? სიმარტოვისკენ? არავითარ შემთხვევაში. ასე კი არ უნდოდა, ასე გამოვიდა, რადგან სულელი იყო, უგნური, უგულო, მშობლებისგან განებივრებული თოჯინა. როგორ ბედნიერების მოსაპოვებლად თითის განძრევაც არ შეუძლია, მაგრამ, იმავე დროს, მხოლოდ ბედნიერებას მოითხოვს ცხოვრებისგან. ყველასაგან, ვინც გარს ახვევია, ვინც თავიდანვე მოთხოვნას მიაჩვია და არა მოპოვებას, და ასე. ფერებ-ფერებითა და ჭება-ჭებით ბოლოს დაღუპა კიდეც. რადგან კი არ ზრდიდა, უფროსებიდებოდა, როგორც უგრძნობელ. მაგრამ ძვირფასსა და ლამაზ ნივთს. განა შეიძლება თოჯინა ნიშიერი იყოს? განა თოჯინას სიყვარული შეუძლია? დროს კი არ გაასწრო, ერთი წუთით დაიგვიწყა თავისი თოჯინობა და თაროდან ისკუპა, ისკუპა და ისე დაიჩეჩქვა დროის ფილაქანზე, ვერავითარი ძალა, წამალი და ჯადოქრობა ვეღარ შეაყოფინებდა. სამაგიეროდ, თვალი აეხილა, სმენა გაეხსნა, ცრემლის გემოც გაიგო და ტკივილისაც. აღარაფერი გააჩნდა, აღარაფერი ეგულებოდა ცრემლსა და ტკივილზე ძვირფასი, რადგან ერთიცა და მეორეც, თავისით, დამოუკიდებლად, სხვათა კარახისა და ფარ მარების გარეშე მოეპოვებინა, კი არ მიეღო — მოეპოვებინა! თ[illegible] რად ეს, რაც ყველაზე [illegible] დებოდა ახლა, რაც აუცილებელი იყო მისთვის, როგორც მყვინთავისთვის სიმძიმე, რათა ჩაშვებულიყო ჩაბორჩნილ დროში, ჩაკარგულიყო დროის ბნელ ჯურღმულებში, მოეძია, მოექუჩებინა ჩაძირული, დაღუპული ცხოვრების ნარჩენები და მონად, მხეელად დასდგომოდა იმას, რაც დროს არ ეძორჩილება, რასაც იდუმალი განპირობებს და რასაც მარადიობის დაღი აზია. ასე მონაზენებად შედგებოდნენ ხოლმე ადრე ეალები, რათა წამიერის, წარმავალის გამო, ქედი მოედრიკათ მარადიულის წინაშე. იმანაც უკვე იცოდა, სად წაიკვანდა ეს ფიქრი, ეს განზრახვა, ეს ენით აუწერელი სურვილი, ვინი, მისწრაფება თვითგვემისა. მისი სული უკვე იმ ნასხვისარ ტახტზე იწვა: იმ ნასხვისარი საათის წკარიალი აღვიძებდა, ერთი წამიი წათვლემილს, და კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა, იქ რომ იყო ადგილი მისი სასხელისა, მისი მდგომე, მისი სენაკი, მისი საკანი — სადაც შეუგნებლად ჩადენილი ცოდვა, შეგნებულად უნდა მოენანიებინა, თუკი მონანიებაც ჩვეულებრივი თვალთმაქცობა არ არის — სიცოცხლის. შენარჩუნებისა და გახანგრძლივების ჩვეულებრივი საშუალება, ისეთივე, როგორიც, დაეუშვათ, მეძავობაა. მაინც ეუბნებოდა ხოლმე ქმარი ხუმრობით, დიდი მეძავი იმალება შენშია, ბაბილონელ მეძავთა ღირსეული შთამომავალიო („მარინეს პროსპექტი... გარყვნილების რეზერვუარი. გამოგდეენე, დაკინიოთა მოთხარ უარი"). და ისიც, რაკი სხვა გზა აღარ ჭქონდა, უნდა გასულიყო თავისი ცოდვის ქუჩაში და სინანულის, მორჩილების, სიმარტოვის მეძავი გამხდარიყო, არა მარინეს პროსპექტზე. ანდა პორტის

ოთარ ჭილაძე
რაჭის თეატრი

სასტუმროების წინ ატუზული — მარად ძილსაკლულს, მთქნარებისგან ყბები რომ ტკივა („ხშირად ამთქნარე, ენებით იზმორება შენი ტანი") — არამედ მკვდარი ღმერთის ტაძარში დაყუდებული. მის ქმარს თითქოს გული უგრძნობდა, ასე რომ მოხდებოდა, ამას მიანიშნებდა თავის პირველსა და უკანასკნელ ლექსში, ხშირხშირად რომ უკითხავდა, ამაყად თავგადახრილი, ეშმაკურად მომღიმარი („ვით კლეოპატრა, ენებიანად გრეხ მაღალ კისერს. გამოგედევნე, მაგრამ შენს თავს მე ვინ მაღირსებს. კახაბერში თვლემს ხოჯას ნახირი. დაეცა ლირა. „დეტროიტის" ისმის საყვირი"..). შეშფოთებული უსმენდა შვილის პატარა გულში დაგზნებული ხანძრის გუგუნს; მძინარე შვილის პირიდან წამობოდებულ სახელს— გალიიდან თავდაწეული, მაგრამ ხანგრძლივ ტყვეობაში ფრენას გადაჩვეული, რომელიღაც გადაშენებული, უშნო ფრინველივით რომ აწყდებოდა ღამის წყვდიადში ჩაკარგული ოთახის კედლებს. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო". — წუხდა, საბოლოოდ გამოფხიზლებული, საწოლში წამომჯდარი, გადალურჯებულ სარკეზელ მიშტერებული, ცივ კედელს აკრული, თითქოს ის უცნაური, გაჩეჩილი, საცოდავი, მაგრამ მაინც რაღაცნირად საშიში ფრინველი, თვალების ამოკორტნას უპირებდა, ამას დაეძებდა ბნელში, ამისთვის უნდა ეგებინებინა პასუხი უსამართლო ტყვეობისთვის, შეჭრილი ფრთებისთვის, უმწეობისთვის... უნდა აჩქარებულიყო, უარეს ცოდვაში რომ არ ჩაეგდო. თავი, შვილიც რომ არ დაეკარგა, როგორც მისი მამა დაკარგა; შვილიც რომ არ დაეღუპა, როგორც მისი მამა დაღუპა. მკვდარ ქმარს კი არ უნდა ჩასდგომოდა ჯიბრში, მკვდარ ქმარს კი არ უნდა გაბუტეოდა, იმისი ხსოვნის ამძირკვა კი არ უნდა ეცადა შვილის გონებიდან, როგორც იქამდე იქცეოდა, უსვინდისოდ, უტიფრად და უშედეგოდ, პატიება უნდა ეთხოვა მკვდარი ქმრის შინაველი აჩრდილისთვის, შეეძლო თითით, წიგნის კითხვით, ანდა ოთახში უჯრედ ბორიალით რომ იგი [illegible] ... ...

ისევ, თანაც ახლა შვილის მკვლელობისა, მისი ქალობის, ცოლობის, დედობის და საერთოდ მისი არსებობის ერთადერთი დამადასტურებლის მკვლელობისა, და ამიტომაც იყო, ოდინდელმა სიშმაგემ რომ შეუბრუნა, ოდინდელმა მოუთმენლობამ რომ შეიპყრო და ერთ მშვენიერ დღეს, ისე დასტაცა შვილს ხელი, როგორც კუდიანმა დედაბერმა — ტყეში გზააბნეულ ბიჭს, რათა ახლა უკვე სამუდამოდ მიეტოვებინა მშობლიური ციხე, თუმცა, ის „მშვენიერი დღეც“ ტყუპისცალივით გავდა პირველ „მშვენიერ დღეს“, პირველ გასვლას, მაგრამ ახლა მეტ მოთმინებას, მეტ სიმტკიცეს, მეტ სიჯიუტეს და, რაც მთავარია, მეტ ჭკუას გამოიჩენდა, რადგან ახლა შვილის გადასარჩენად მიდიოდა და არა საკუთარი თავისა, არა შესაცოდად, არამედ მოსანანიებლად. არადა, ყველაფერი მართლა ისე გავდა ცრთმანეთს, თითქოს ერთი და იგივე დღე მეორდებოდა, თითქოს ესენი, ოჯახის ნამდვილი წევრები, ერთხელ უკვე ნათამაშებ, მაგრამ დავიწყებულ როლებს იმეორებდნენ მორიგი წარმოდგენის წინ. „მიდიივარ. მიდდიივართ. ერთი დღე აღარ გავჩერდებით აქაო“ — იყვირა იმდღანდელივით. მამამისი გაზეთის კითხულობდა. დედა ახალ ლექსს იწერდა საერთო რვეულში. ლიზა სამზარეულოში ქვაბებს ხეხავდა და სახეხი მიწის გამყიდველ გლეხს წყეველდა, ჩვეულებრივი მიწა შემომაპარა, იმ დასამიწებელმაო. „მიდდიივარ. მიდდიივართ. — იყვირა ამან და ცოტა ხნის მერე მშვიდად გააგრძელა, მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა ნთქვამისთვის, ისტერიის მორიგ შემოტევად რომ არ ჩაეთვალთ მისიანებს მისი გამოხდომა: ჩემი და ჩემი შვილის სიცოცხლე თუ გინდათ, ძებნა არ დაგვიწყოთ და, საერთოდ, არასოდეს არ იკითხოთ ჩვენი ამბავიო“. მართლაც, ვერავინ გაუბედა სიტყვის შებრუნება. კრინტი არ დაუძრავთ მის შობლებს, თუმცა ასეთაც უნდა ყოფილიყო, რადგან დუმილი და წაყრუება ძველთაძველი, ...ვალგზის წარმატებით ნაცადი ...იყო ამ ოჯახში და იმავე დანიშნულებით იყენებდნენ, რა დანიშნულებითაც წყალსა და მიწას იყენებენ მეხანძრეები. უპასუხოდ დარჩენილი, შეუმჩნეველი, უგულვებელყოფილი ნებისმიერი გაუგებრობა, უთანხმოება თუ გაბრძოლება — სამუდამოდ, უკვალოდ ქრებოდა დუმილის მდორე წყლისა და წაყრუების მძიმე მიწის ქვეშ, რადგან იმათთვის, ოჯახის უფროსებისთვის, ის კი არ იყო მთავარი, რას ფიქრობდნენ, რას განიცდიდნენ, რა ტანჯავდათ და აგიჟებდათ ოჯახის დანარჩენ წევრებს, არამედ სხვებს, გარეშეებს რომ არ შესცვლოდათ ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული წარმოდგენა და დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, მარადიული, შეურყეველი სიმშვიდე და თანხმობა რომ სუფევდა იქ, გუბერნიის მთავარი მოსამართლის ჭერქვეშ. მაგრამ ამას, ახლა არც თავისიანები აინტერესებდა და არც სხვები, ერთი ცოდვა უკვე ედო კისერზე, მეორის ჩასადნად კი აღარ ვარგოდა. მამას და მწყვდეული ტურებივით დაუდიოდა თვალები აქეთ-იქით. დედას ერთ ხელში კალმისტარი ეჭირა, მეორეში — სათვალე, თითქოს შვილს აჩვენებდა, თითქოს ასე უნდოდა ეთქვა შვილისთვის, ჩემზე ცუდი როგორ იფიქრე, როცა ამ ორი უწყინარი ნივთის მეტი, ხელში არაფერი მჭერიაო. მარტო ლიზა არ იყო ბაიბურში, ქვაბებს ხეხავდა და ვიღაც წყნეთელ გლეხს წყეველდა. შეიძლება, არც იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ დროს, ან რა უნდა ეთქვა, რადგან არც მისი დამრიგებლები ელოდებოდნენ, არც მის დამრიგებლებს ეგონათ, აქამდე თუ მივიდოდა საქმე. ერთი საათის მერე, ისა და მისი შვილი უკვე მატარებელში ისხდნენ. ბილეთი არ აუღიათ. შეგნებულად არ იყიდა ბილეთი; უნდოდა,

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

რაღაცნირად განსხვავებია ეს გზა სხვა გზებისაგან; ჩვეულებრივი მგზავრები კი არ ყოფილიყვნენ — ადგილის, ყურადღების, პატივისცემის მოთხოვნის უფლებასაც რომ ძალევთ ბილეთი — არამედ უუფლებონი, დაჯარიმებულნი, დატუქსვის, დაგმობის, აბუჩად აგდების ღირსნი. „კი მაგრამ, სადამდე აპირებთ ასე უბილეთოთ მგზავრობასო“ — გაუკვირდა კონდუქტორს. „ბოლომდეო“ ისე მტკიცედ, ისე ნირშეუცვლელად და გამომწვევად უპასუხა ამან, ცოტა არ იყოს, შემცბარმა კონდუქტორმა ერთხელ კიდევ დახედა სათვალის ზემოდან ამ უცნაურ დედაშვილს და ვიდრე ჯარიმის ქვითარს ამოიღებდა ტყავის ჩანთიდან, ერთხელ კიდევ გაიფიქრა: აქ რაღაც სხვა ამბავიაო. მატარებელი კი მიქროდა. სარკმელში ხრიოკმა ბორცვებმა და გარეუბნის ქოხმახებმა გაიელვა — თითქოს დედაბუდიანად მთთხრილი სოფელი ჩაატარა ადიდებულმა მდინარემ. კუთხეში მიყუჟული შვილი მადლიერი, ბედნიერი თვალებით გამოხედავდა ხოლმე და ამას მისი და მისი ქმრის პირველი და უკანასკნელი მგზავრობა ახსენდებოდა რატომღაც. მისი ქმარიც ასევე მადლიერი და ბედნიერი იყო მაშინ. ყოველ სადგურზე ჩადიოდა და ხორაგით ხელებდატვირთული ბრუნდებოდა, უკვე ამრულ მატარებელს ამოატხებდა ხოლმე, ფაფარგაშლილი, თავი რომ მოეწონებინა ცოლისთვის, ესიამოვნებინა, პატივი ეცა, გაეადვილებინა იმისთვის მგზავრობა. იმდენ რამეს ამოიტანდა, ეს ფანჯრიდან ყრიდა უკანვე, პირდაუკარებელ დედლებს, კეცის ჭადებს, ძმალის ფოთოლში გახვეულ ყველსა თუ ხიოს. „აი, ნახავ, ყველაფერი კარგად თუ არ იქნებაო“ — ხშირხშირად უმეორებდა ქმარი. ამას კი, მისთვისაც მოულოდნელად, მისთვისაც შეუმჩნევლად დაბადებული სურვილის ცხელი, ხავერდოვანი ზვირთები გადასდიოდა თავზე. სურვილის ზვირთებში ჩაძირული, ბაგეგაპობილი, თვალდაბინდული ასცქეროდა ქმარს და ასე არასოდეს არ სდომებია, ლოგინებოდა, დამორჩილებოდა ამას, ეგრძნო იმისი სიმძიმე, სიმყარე, სიმტკიცე, მაინცდამაინც, ამ ... ლებზე შემდგარ სახლში, უსაძირკვლო სახლში, ყოველ წამს რომ იცვლიდა ადგილს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაბრუნდებოდა იქ, სადაც წამის წინ იყო; ასე — არსად და იმავე დროს ყველგან — უნდოდა ყოფილიყო თავისი ქმრისა. მაგრამ ქმარმა რომ ჰკითხა უცებ: გულწრფელად მითხარი, თუ გჯერა ჩემიო, სურვილიც უკვალოდ გაქრა, ჩაიკარგა, ჩაიწრიტა ვაგონის ამაგდაგებულ იატაკში. ფიქრიდან რომ გამოერკვა, მატარებელი იდგა. შვილი ზედა საწოლზე ამძვრალიყო და უკვე ეძინა. სარკმელში არაფერი ჩანდა, თითქოს გარეთ არც არაფერი იყო, უკაცური მიწის მარადიული, დამაეკვეული, შემაშფოთებელი დუმილისა და ბაყაყების ყიყინის მეტი. მერე ვიღაცამ ჩაირბინა ვაგონის გასწვრივ და ქვიშა აიჩხრიალა. მერე თვითონაც ვეღარ არკვევდა, როდის ეძინა და როდის ეღვიძა. „ხეს ფოთოლი. ხეს ფოთოლი. ცვიოდა, ცვიოდა“. — დგანდგარებდნენ ბორბლები. თეთრი, გაბამებული ფარდები ხან გემის ბაირალებივით ფრიალებდნენ, ტკრიალებდნენ, ხან კი, ნანადირევი ფრინველის ფრთებივით უსიცოცხლოდ ეკიდნენ. შვილს ეძინა. მოკუნტული იწვა, კედლისკენ გადაბრუნებული. პერანგი ასჩაჩოდა და შიშველი ზურგი მოეჩანდა. „უნდა დავაფარო. გაცივდებაო“ — ფიქრობდა ეს, მაგრამ ისევ ისე წელგამართული, სახეგამეხებული იჯდა. „იცოდე, ეს ღამე არასოდეს აღარ განმეორდებაო“ — უთხრა, მისი მიუკარებლობით, სიკერპით განაწყენებულმა ქმარმა. ამან თავი აიქნია და შვილის მადლიერ, ბედნიერ თვალებს წაჰყედა ისევ. გათენებულიყო. „სადა ვართო“ — იკითხა უნებურად. შვილმა მხრები აიჩეჩა და ისევ სარკმელში გაჰყო თავი. ამანაც გაიხედა სარკმელში. რომელიღაც პატარა სადგურში იდგნენ.

ფიცრის გრძელი, შეუღებავი მესერის გასწვრივ ერთნაირად გადაყვითლებული ალვები ასვეტილიყვნენ. ალვების წინ, დამაყაყებულ ხხრილში აბურძგნული ვირთხა მისუნსულებდა. ესეც აიბურძგნა უნებურად: უსიამო, გულისამრევი გემო გაუჩნდა პირში და მაშინვე თვალი აარიდა ვირთხას. შვილი სარკმელზე იყო ჩამოკიდებული, მუხლით მაგიდას ეყრდნობოდა. მატარებელი რომ დაიძრა, ისიც შეჯანჯღარდა, ზამბარასავით მოირკალა იმისი ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი სხეული. გაახსენდა, საბანი რომ ვერ გაუსწორა წუხელ და შერცხვა. შეფარვით უყურებდა, არ უნდოდა შვილს შეემჩნია. „ერთნი არიანო“ — ფიქრობდა სასიამოვნო სინანულით, სეედიანი სიამაყით. მერე ბათუმიც გამოჩნდა, ზღვაში შეჭრილი, ნიანგივით გალურსული აბრეშუკიალებული წყლის ზედაპირზე. კუპეში ნავთის სუნი დატრიალდა. მაგრამ ჯარიმით დაწყებულ გზას ბოლო არ უჩანდა. მის შვილს, რომელს პატრონიც ახლა უკვე მარტო თვითონ იყო, პოლიცია დაეძებდა და ღმერთმა იცის, როდის დაიღწევდა თავს, ან დაიღწევდა თუ არა საერთოდ, თუკი სასჯელს პირნათლად არ მოიხდიდა და ციხეში ჯდომის ნაცვლად, ყოველ წუთას გამოიქცეოდა ნატოს სანახავად. პირველად რომ შეატყობინეს, თქვენი შვილი გაიქცა და გაქცევისთვის სასჯელი მოემატებაო, მაშინვე, რატომღაც, ნატოს პატარა, მკრივი ჩუცელი დაუდგა თვალწინ, ოქროსფერი ღინღლით მოფენილი, ჭიდაობისას, ერთი წამით, შემთხვევით მოშიშვლებული — იატაკზე, გაქუცულ ნოხზე რომ იხილა, ბაზრიდან მობრუნებულმა, და იმის მერე, ყოველთვის მოულოდნელად რომ ამოუტიტვლებდაო ხოლმე მახსოვრობის უძირო ჭიდან, რადგან ეშინოდა იმისი, რადგან თავიდანვე უგრძნო ტანმა, სწორედ ამ პატარა მუცლიდან რომ უნდა დაბადებულიყო ის ახალი სიცოცხლე, რომელსაც ისევე უნდა დაეღუპა მისი შვილი, როგორც მისი მუცლიდან დაბადებულმა — მისი ქმარი ბანაკიდან დარწმუნებული იყო, ასე რომ ბოლოს ბოდა, სხვანაირად არ შეეძლო ეფიქრა, სხვანაირად ვერ წარმოედგინა და, ერთადერთი, რაც მის ხელთ იყო, რისი გაკეთებაც კიდევ შეეძლო, შვილის საერთოდ გადარჩენას კი არ გულისხმობდა, არამედ შვილის დაღუპვის დაყოვნებას, უფრო ადრე რომ არ მომხდარიყო ის, რაც, ბოლო-ბოლო, მაინც მოხდებოდა.

ახლა სკამზე იჯდა, თავაწეული, წელგამართული, და გაშლილი ხელისგულები მიტყუპებულ ბარძაყებზე დაეწყო. ეგვიპტელ ფარაონს ჰგავდა, ქვაში გამოკვეთილს. — არა — ბებერ კლეოპატრას („ვით კლეოპატრა...“), ვითომ დედოფალს, სინამდვილეში კი — რომის ხასს. და აი, უკვე ყავლგასული, დაობებული, ცხოვრებისგან გაწბილებული და გამოპანღურებული, იმის გეგმებს აწყობდა, სხვებისთვისაც როგორ წაერთმია, მოესპო და ჩაეწარებინა ის, რაც თავად დაკარგვოდა, დაეღუპვოდა, ჩამწარებოდა. „ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო“. შვილისა შურდა. ის ხეთქავდა გულზე, მეზობლის გოგომ რომ ჯობა, მეზობლის გოგოს რომ არგუნა ღმერთმა, რასაც თავად მთელი სიცოცხლე ნატრობდა; რის მოსაპოვებლადაც არაფრის და არავის წინაშე არ იხევდა უკან: უკანასკნელი მეძავივით დაუწვა კაცს, სიყვარული რომ გამოეძალა მისთვის. მეზობელ გოგოს კი, ციხიდან აკითხავდნენ, არც სასჯელის მომატებას ეპუებოდნენ, არც ტყვიას, ვერც ბორკილი აფერხებდათ, ვერც რკინის კარი. შვილს ბედით კი არ იყო შეწუხებული, იმას კი არ წუხდა, დროულად მოიხადოს ჩემმა შვილმა სასჯელი და დროულად დაავიწყოს ხალხს ბავშვობით ჩადენილიო — არა! თუ სიმართლეა, სიმართლე იყოს. — თავისი ბინძური,

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ბებრული ეჭვიანობისა და შურის შესანიშნავად ფიქრობდა ასე. მზად იყო, პოლიციას დასდგომოდა მსახურად და მართალია რომ მოსდგომოდა კარზე შვილი, რომ ეთხოვა — დამმალეო, ბანგს შეაპარებდა საჭმელში, მძინარეს ზურგზე მოიკიდებდა და თავისი ფეხით მიარბებინებდა ციხეში, რადგან შვილი, ვიდრე ციხეში იჯდა, ისევ მისი იყო, ხოლო ციხიდან გამოქცეული, მხოლოდ იმას ეკუთვნოდა, ვისი გულისთვისაც იქიდან გამორბოდა. საინტერესოა, რა სასჯელს იმსახურებდა ასეთი ფიქრებისთვის? ერთი ადამიანი მაინც თუ აღმოჩნდებოდა მთელს ქვეყანაზე, მისი გამგები და გამმართველელი? ამის გაგება მხოლოდ მამისაგან შეეძლო. მამამისი იყო ამის ოსტატი, მამამისის საყვარელი თამაში იყო „დანაშაულის წინასწარ ამოცნობა“. დასვამდა ხოლმე ოჯახის წევრებს და უშეცდომოდ ოგებდა, ვის როგორი დანაშაულისკენ ჰქონდა მიდრეკილება, რას ჩაიდენდა მომავალში და კოდექსის რომელი მუხლი შეესაბამებოდა ჯერ კიდევ ჩაუდენელ დანაშაულს, თუკი ამ თამაშის მონაწილე, ანუ „საკუთარი თავის შეცნობის მსურველი“, გულახდილად მოპყვებოდა, რაზე ფიქრობდა ძილის წინ, რაზე ოცნებობდა, რას ნატრობდა. ერთ-ერთი ამგვარი „თამაშის“ დროს, ამან რომ უთხრა მამას, სიყვარულით მინდა გავთხოვდეო, მამამ გაიცინა და უპასუხა: ამის ჩამდენი მთელი სიცოცხლე ნაწყალობევ პურსა ჭამდეს და ზედ სირცხვილის ცრემლს აყოლებდესო. ასე აგისრულდეთ ყველაფერი! მაგრამ საინტერესო იყო, რას იმსახურებდა კიდევ, ამ ბებრული, ამ ბინძური ეჭვიანობისა და შურისთვის. ალბათ ჩამოხრჩობას, ცოცხლად გატყავებას, კუპრში ჩახარშვას. „იცი, რას ვპირებ, მამაჩემო? მეზობლის გოგოს უნდა ვუთხრა, ჩემი შვილი ნუ გიყვარს, ანდა ჩემს შვილს ნუ უყვარხარ მეთქი; მთელი სიცოცხლე დამადლებელ პურს შეჭამ და ზედ სიმწრის ცრემლს დააყოლებ მეთქი. აი, როგორ იხარა შენი სიბერისკენ და ჩაეთის თესლმა. მოიმარჯვე, ალდაქი და გამომმტანე განაჩენი. ორი წუთის მერე, მათხოვარივით მივადგები კარზე. უკანასკნელ ლუკმას ნუ მართმევთ, გეთაყვა. სიბერის პურს ნუ მიმწარებთ, გეთაყვა. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ.. მეც არავის ვუყვარვარ. ხოლო ვინც მე მიყვარდა, ზოგმა ჩემს სიყვარულს სიკვდილი ამჯობინა, ზოგმა კი — მარადიული მიუსაფრობა, გატყიურება... გიხაროდეთ! გიხაროდეთ! გამართლდა თქვენი სიტყვა. მაგრამ მე მაინც ბოლომდე უნდა ვცადო ჩემი საცდელი, ბოლომდე უნდა ჩავიწინოო სული, არაფერი რომ დამრჩეს თქვენთან, აქ, სიცოცხლის ღირსი. სიყვარულის ღირსი. ნათელი. სუფთა. შესაცოდი. წყეულიმც იყავით ყველანი!“ წუხელ მის შვილს მთელი ქალაქი გამოედევნა დასაჭერად. მოსაკლავად. თურმე, აქვე, ყურისძირში იყო, დედა კი არც გახსენებია. იმას ენდო, დედას კი არა. რამდენადაც იცის, გუშინ ვერ დაიჭირეს, ვერ მოკლეს მისი შვილი, მაგრამ ის იმიტომ კი არ გაექცა ტყვიას, რათა დაფიქრდეს და ჭკუა ისწავლოს, არამედ — ისევ უკან რომ მობრუნდეს, ძმასთან. და ასე იქნება სულ, ვიდრე... „ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. განა ესეც იგივე თვითმკვლელობა არ არის? მე და მამაი ჩემი ერთი ვართ“. შვილს მამა წაართვა, თან სიყვარულსა და პატივისცემას მოითხოვდა იმისგან. კიდევ ერთხელ შეცდა და აი, ბოლომდე ჩარჩა კიდეც ამ ვერაგ, ბოროტ, დამცინავ შეცდომაში. ამოსვლა კი არ სცადა იქიდან, უარესად ჩაიძირა შიგ, დანებდა მის ყინულოვან წიაღს. სამაგიეროდ, იმასაც მიხვდა, აღარაფერი რომ შეიცვლებოდა მისთვის, აღარავის რომ აღარ ჭირდებოდა იგი და ყველგან, ყოველთვის მარტო იქნებოდა; გელა და მამამისი ერთად, ის კი — მარტო, ცალკე. ერთადერთი, რაც კიდევ აკავშირებდა იმათთან და რითაც შეეძლო „ეამაყა“, იმის შეგრძნება იყო, მხოლოდ თვითონ

RUSTAVELI
NATIONAL
LIBRARY

რომ უნდა ეგო პასუხი, არა მარტო საკუთარი, არამედ ქმრისა და შვილის უბედურებისთვისაც. განა მისი არსებობა თავისთავად არ განაპირობებდა სამეულის დანარჩენი ორი წევრის დაღუპვას? თვითონ რომ არ ყოფილიყო, ისინიც არ იქნებოდნენ; ყოველ შემთხვევაში, იქ არ იქნებოდნენ, სადაც ახლა იყვნენ: ერთი მიწაში, მეორე ცაში. ასე კი ამბომ მოხდა, ეს რომ არსებობდა და რაკი არსებობდა, ისინიც უკვე მოწოდებულნი, ვალდებულნი, თუნდაც იძულებულნი იყვნენ, დამორჩილებდნენ მის ნება-სურვილს, მისი განრიგით ეცხოვრათ, უფრო სწორედ, მისი განრიგით გასულიყვნენ ცხოვრებიდან, როგორც სადგურიდან მატარებლები. აი, სიმართლის როგორი მარცვალი იპოვა ფიქრის ნაგავში. ტყუილად ხომ არ ქექავდა ამდენხანს ნაგავს? „იცი, რას გეტყვი, მამაჩემო? თქვენი კანონი იმათ კი არ უნდა დევნიდეს, ვინც თავს იკლავს, ანდა ციხეში არ გიჩერდებათ, არამედ იმას, ვინც თავის მოკვლასა და გაქცევას აიძულებს მათ“. რანაირი საეჭვიც არ უნდა დაეყარათ ახლა მისთვის, ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ შეელეოდა საკუთარი ნისკარტით გამოქექილსა და მოპოვებულს; მთელი სიცოცხლე უნდა ემყოფნა ფეტვის ის ერთი მარცვალი, ფიქრის ნაგავში რომ გამოარჩია, გულზე დამდგარი, ჩაუყლაპავი, მოუნელებელი და, ამავე დროს, აუცილებელი მისთვის, თუნდაც იმიტომ, ნაგვის ქექვას რომ შეშვებოდა სამუდამოდ. „არ გაუხარდებათ ჩემი დანახვაო“ — როგორც იქნა, თავი მოაბა ფიქრს და წამოდგა. კისერზე კაბის ღილი შეიხსნა. „არც მე მსიამოვნებს ბევრი რამეო“ — გაავრძელა, თითქოს მოთავებული ფიქრი,. ბრაზიანად. კაბა გადაიძრო და ტიხარზე გადაკიდა. მერე პერანგიც მიაყოლა. ნელა იხდიდა; თითქოს სხვას ხდიდა, მძინარეს, და ეშინოდა, არ გავაღვიძოო. გამბდარმა, უშნოდ აწოწილმა ქალმა შემოხედა სარკიდან. უნებურად შეკრთა, თითქოს უცხო უთვალთვალებდა, თითქოს უცხოს უნდოდა, ეხიბლა. ეხიბლა გამბდარი, აწოწილი სიშიშვლე. „ნატა“ — დამოდ დამარხული ყველასათვის. კანი აებურძგნა. თან გამალებული ფიქრობდა, უფრო დიდხანს რომ გაეჩერებინა ტიტველი ორეული სარკეში, დაესაჯა, გაემწარებინა. „ჩემი შვილი, თურმე, აქვე იყო, ორ ნაბიჯზე. მე კი ერთი წუთითაც არ გავახსენდი, არც იმასთან მისვლამდე და არც იმის მერეო“. თამამად, უტიფრად გაუსწორა თვალი ორეულს: ეს გინდოდა? ამისკენ მიბიძგებდი? მარტოხელა ქალის ეშვი და დაბნეულობა აღბეჭდვოდა სახეზე, უნუგეშოდ დაკარგული წარსული... და მაინც დაულეველი სურვილი ცხოვრებისა, ქალური ცბიერებით, არა, ბებრული ეშმაკობით, ბებერი კლეოპატრას სიცერაგით ღრმად შენიღბული. სარკეს თვალი მოარიდა და ოთახი მოათვალიერა — ძველი, უვარგისი, თანაც ნახეხისარი ავეჯით გავსებული, გახუნებული ფარდით ორად გატიხრული (მაშინ არ იყო ტიხარი. ოთახი შვილმა გაატიხრინა და არა ქმარმა. შვილი გამოეყო და არა ქმარი. ქმარმა შვილი აჩუქა. შვილმა ქმარი წაართვა). სიძველის სუნი ეცა ცხვირში, უცხო, მისთვის სამუდამოდ უცხო ადამიანების დანატოვარი. რამდენიც არ უნდა წმენდოს, მაინც ვერ ამოშლის ამ სუნს, რადგან აქ სუნი კი არ არის ზედმეტი, არამედ — თვითონ. ამას გულისხმობს სწორედ მონანიება: ზედმეტი ხარ, მაგრამ კი არ გარბიხარ, ითმენ, უძლებ, უჩუმდები, უჩერდები. მარმარილოს ცალფეხა მაგიდაზე დასკუპებული საათი-ამური, ხანდაზმულობის მიუხედავად, ყოველ თხუთმეტ წუთში რომელიღაც მხიარული მელოდიის ნაგლეჯს უკრავს, ყოველ თხუთმეტ წუთში ერთსა და იმავეს იმეორებს ჯიუტად, თითქოს შენი ჯიბრით, შენს გასაღიზიანებლად; მონანიებისთვის

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკუთვნილი დროის უსასრულობას გახსენებს, რომ არ დაგავიწყდეს შემთხვევით, არ გამოგეპაროს, ანდა კიდევ რომ არ გაასწრო დროს, გიქუცმაცებს და ძალით გატენის პირში, როგორც მზრუნველი დედა, ჯერ კიდევ უკბილო და უგნურ შვილს, მისთვის საძულველს, მაგრამ აუცილებელ საჭმელს. კარადის თაროზე სხვადასხვა სერვიზის ნარჩენები ალაგია, მუზეუმის ექსპონატებივით, შენამდე, უშენოდ და არა შენს გამო შეძენილი; მაგრამ მათ შორის ერთი გვერდამოშვული ჭიქაც დგას და რამდენჯერაც არ უნდა შეხედო, ყოველთვის სულელური სიამაყით, სულელური სიხარულით ამბობ: ეს ჩემია, ეს კი ნამდვილად ჩემიაო. დახნულ მიწასავით ოღრო-ჩოღრო ტახტზე შავი, ბინძური კატა თვლემს. ისიც სხვისია, ისიც სხვამ შემოიჩვია აქ. გეზიზღება, მაგრამ იძულებული ხარ მოითმინო. (მაინც რა საშინელი სუნი აქვს კატის ფსელს). მაინცდამაინც, შენს ფეხებთან უყვარს წოლა. თუ გაუწყენი, აიწურება, ბალანს აიშლის, კბილებს დაკრეჭს, წითელ ხახას დაგანახვებს — შენ ვინ მოგცა ნება ჩემი გაწყრომისაო. მართლაც, ვინ მოგცა ნება? შენ მხოლოდ ნამდვილად შენიანების გაძევება შეგიძლია და, ამიტომაც, კეთილი ინებე და პატივი ეცი სხვისას, დილით რძე დაუდგი ლამბაქით, ღამით კი, გინდაც ფეხები დაგიბუედეს, მორჩილად მოითმინე იმისი აქოთებული სიმძიმე და სიმხურვალე. არცა ხარ მეტის ღირსი. მეტი ვერ შეიშნოვე. აი, ამას ჰქვია სწორად „შენი კუთხე". ამისთვის იკლავს ხალხი თავს და ამისთვის ინანიებს ცოდვებს. შენც აქ ამოგხდება სული, რადგან არავის მოუვა აზრად, აქ, ამ ნასხვისარ ნივთებში დაგიწყოს ძებნა. არც სურვილი გაუჩნდება ვინმეს, სიმარტოვის, დავიწყების, უგულველყოფის ჭაობიდან ამოითრიოს უბედური ქალი, რომელიც სიმარტოვის, დავიწყებისა და უგულველყოფის მეტს არც არაფერს იმსახურებს, რადგან უყვარდა, უყვარდა, უყვარდა! დიახ, უყვარდა, მაგრამ ... ფერი გაეგებოდა სიყვარულისა, ... ტივს არ სცემდა, არ უთმობდა სიყვარულს. ამაზრზენად უცაცახებს კოცნას გადაჩვეული ტუჩები, ორი მშიერი წურბელა. „ძუძუნი შენნი უმჯობეს ღვინისა; მუცელი შენი ვითარცა ხვავი იფქლისაო". — შიშველ მკერდზე ჩამოისვა ხელი, უნებურად, სინანულით. ტანჯული ცოლი, ტანჯული დედა. უდროოდ დაბერებული, უდროოდ დამახინჯებული, მაინც რომ არ უტყდება თავს, მაინც რომ არ ყრის ფარხმალს და ყოველ დილით, დარბაისელი ქალის ხაზგასმული მედიდურობით (ხა, ხა), მიირთმევს გამხმარ ნამცხვარსა და ყავას. „ასე გავალ ქუჩაშიო" — გაიღიმა მწარედ. ნავსადგურში გემმა დაიყვირა. ბაირამობა დაუდგათ მეძავებს... დაცინვითა მითხარ უარი. უარი. უარი. უარი. გემმა ისევ დაიყვირა, გამმეულად, გამომწვევად, თითქოს იმის შესახსენებლად, ცხოვრება რომ გრძელდებოდა, ყველაფერს რომ კისრულობდა, წელებზე რომ ფეხს იდგამდა ხალხი, ოღონდ რამე წაეგლიჯა ცხოვრებისთვის. ამას კი არაფერი არ უნახავს, არსად არ ყოფილა. თბილისი და ბათუმი. ბათუმი — თბილისი. აი, მისი ცხოვრების ორი უკიდურესი წერტილი, რკინიგზითი, რკინის ხაზით დაკავშირებული ორი ბუდე, ერთნაირად უცხო, თუმცა ერთში გამოჩეკეს, მეორეში კი თვითონ გამოჩეკა სიმწრის კვერცხი. ერთიდან ამოფრენა შეეძლო მხოლოდ, მეორეში კი — ჩაფრენა. მაინც მეორე ჯობდა, რადგან აღარც თავი ჰქონდა და აღარც სურვილი ფრენისა. გინდაც თმით ამოეთრიათ აქედან, აღარც უნდა დაეთმო აქაურობა, უნდა შედუღებოდა, შერწყმოდა ამ ნასხვისარი ბუდის კედლებს, რადგან ჭეშმარიტად შენი სახლი ის არის, სადაც ყველაზე მძაფრად, ყველაზე მტკივნეულად გრძნობ, რა დაგიკარგავს და რა შეიძლება დაკარგო კიდევ. „რას მიყურებ? არ მოგწონვარ?" — უთხრა სარკეში ასვეტილ ორეულს.

დამცინავად, აგდებულად უთხრა, რადგან უცებ შეეცოდა იგი: ტიტველი, გამხდარი, უშნოდ აწოწილი, ფიქრის უნარს მოკლებული, მისგან განსხვავებით. „შენ მხოლოდ ნება მომეცი, მე თვითონ გამოვასწორებ შენს შეცდომასო“ — ეუბნებოდა გუბერნატორის ვაჟი, დედამისის სანატრელი, საოცნებო სასიძო. კი მაგრამ, განა შეიძლება შეცდომის გამოსწორება? განა საჭიროა შეცდომის გამოსწორება? განა შეიძლება სიქალწულის ამოკემსვა? ვისაც შეცდომის გამოსწორება შეუძლია, ის არც ჩაიდენს შეცდომას, უშეცდომოდ ცხოვრობს, მაგრამ ისეთი უხამსი აზრები უტრიალებს თავში, პორტის მეძავი გაწოთლდება. ამისთვის კი ყველაფერი გათავდა, შეცდომა ჩადენილია და არავითარი იმედი აღარ არსებობს; უმალ შენ დაგიგიწყებენ, ვიდრე შენს მიერ ჩადენილ შეცდომას. შვილმაც, როგორც კი სამშვიდობოს იგრძნო თავი, იმავე წუთას დაივიწყა, ქუჩიდანაც არ შემოსძახა, მიშველე, დედაო, რადგან ამის შეცდომასთანა აქვს საქმე და არა ამასთან. საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ. ერთადერთი (ნეტავი, შემჩნია თუ არა მისმა ქმარმა), ვისაც ის ნამდვილად ჭირდებოდა, თუნდაც ერთი წუთით, როგორც ყელში ძვალგაჩხერილ მელიას — ყანჩა, პოლკოვნიკი ვეზირიშვილი იყო. იმიტომ პატიქებდა წარამარა ყაზარმაში, პოლკის სარეცხის ფუთებზე რომ გადაექცია და თავისი პირუტყვული ქონი ამოვნთხია. მაგრამ ეს ამისთვისაც არ ვარგოდა. წამიერი შვებაც არ შეეძლო მიენიჭებინა სხვისთვის, თუნდაც, იმსჯე ვეზირიშვილისთვის. განა მთავარი ისაა, ვის ჭირდები? მთავარია, შენ რამდენად შეგიძლია, გამოადგე სხვას, ნებისმიერი გაგგებით, ნებისმიერი თვალსაზრისით. ქალიც ხომ თავისებური ექიმია და არც ავადმყოფის ამორჩევის უფლება აქვს, არც ავადმყოფის შეზიზღებისა. „შენი დიდი წინაპარი, ბაბილონელი მეძავი გალაპარაკებს ასეო“— ეუბნებოდა ქმარი. როგორც ყველა მამაკაცს, იმასაც იოლი ეგონა მეძავობა; გარყვნილებად თვლიდა და იძულებად, მიწიერ სიამტკბილობის ერთ-ერთ სახეობად და არა გადარჩენის ერთადერთ გზად. საათმა-ამეურმა მელოდიის ნაგლეჯი დაიწკრიალა. „მე კი ჯერ არც ჩამიცვამსო“ — გაიფიქრა შეშფოთებულმა, თითქოს კონსულთან ელოდებოდნენ წვეულებაზე, თითქოს აქვე, ორ ნაბიჯზე არ უნდა გადასულიყო მეზობელთან, რომელიც სრულებითაც არ ელოდებოდა და რომელსაც სრულებითაც არ გაუხარდებოდა მისი დანახვა.

ცოტა ხნის მერე, მშვიდად, აუჩქარებლად ჩადიოდა კიბეზე. პირბადიანი შლიაპა ეხურა. ხელში ქოლგა ეჭირა (უქოლგოდ საერთოდ არ გამოდიოდა შინიდან; ხელჯოხადაც ხმარობდა, უფრო ხნიერი რომ გამოჩენილიყო). სადარბაზოსთან ოდნავ შეყოვნდა, ჩვეულებისამებრ ახედა ცას და მშვიდად, აუჩქარებლად გამოვიდა ქუჩაში, რათა თითქმის მაშინვე, მწვანედ შეღებილ ჭიშკარში შესულიყო. იგრძნო, როგორ აწრიალდა ხისფეხა კოსტა ჯორკოზე, როგორ მოემზადა სალმისთვის, მაგრამ არც კი გაუხედავს იქითკენ. ჭიშკარი ქოლგის წვერით შეაღო, ხოლო ჭიშკარმა ქვანასროლი ძაღლივით რომ დაიწკავწკავა, მეორე ხელიც მიაშველა, თითქოს მისი გაჩუმება სცადაო. შეაკრთო ამ უსიამო ხმამ, თითქოს თავის ოთახშიც არ ესმოდა ყოველ დღე და თითქოს არაფერი აკავშირებდა ამ ხმასთან, არაფერს ახსენებდა იგი, არც ცუდსა და არც კარგს. „თხუთმეტი წლის მერე ისევ მომიწია აქ მოსვლა და ალბათ ახლაც უარით გამომისტუმრებენო“ — ფიქრობდა, მოუღლოდნელად შემკრთალი. მაგრამ გარეგნულად არაფერი შესტყობია. მშვიდად, აუჩქარებლად მიდიოდა ხრეშმოყრილ ბილიკზე, მწვანედ ახასხასებულ ხეებს შორის. გუშინ წარღვნა იყო, გუშინ ქვეყანა

იქცეოდა, მაგრამ არ დაიქცა, ამის ჯიბრზე არ დაიქცა და ისევ გამოანათა მზემ, თითქოს რაც დღემდე მოხდა, არ ითვლებოდა, ანდა არ განმეორდებოდა აღარასოდეს. ხშირხშირად ხრიდა თავს, პირბადიანი შლიაპით რომ არ წამოსდებოდა ჰაერში გალურსულ ტოტებს. მიდიოდა და ფიქრობდა: ალბათ უკვე მხედავენ, ალბათ უკვე იციან, რისთვისაც მივდიგარო. ხრეში სველი იყო. სისველეს გაეშავებინა. ხეები წუხანდელი წვიმის დანატოვარ გუბეებში იდგნენ, კენწეროები კი მზეზე უბრწყინვადათ. მშვიდად, აუჩქარებლად მიდიოდა და ფიქრობდა: ჩემი შვილისთვის ასე ჯობიაო. ერთი წამით შეჩერდა მხოლოდ, ქოლგის წვერისთვის დამპალი ფოთოლი რომ მოეშორებინა. გამობრუნებაც შეეძლო, მაგრამ მაშინვე გააგრძელა გზა. გზაცა და ფიქრიც. „ასე ჯობიაო“ — ირწმუნებდა თავს, რადგან თვითონვე ეჩოთირებოდა იმის თქმა, რის სათქმელადაც მიდიოდა. სხვისა რომ გაეგო, გაამტყუნებდა; გუნებაში მაინც. მაგრამ იმას რა ესაქმებოდა სხვასთან, ან სხვას იმასთან. ის დედა იყო და როგორც შეეძლო, ისე იბრძოდა შვილის გადასარჩენად, რომელსაც მთელი ქალაქი დასდევდა დასაჭერად და რომელსაც (გინდაც დაეჭირათ) ვერავითარი ციხე ვერ დააკავებდა, ვიდრე ნატოც არ მიუხურავდა კარს. ასე მოსდგამდა, ასე მოსდევდა დედისგანაც და მამისგანაც. „ისიც მშობელია და გამიგებსო“ — იმშვიდებდა თავს, თითქოს ნატოს დედასთან ჰქონდა საქმე და არა ნატოსთან; თითქოს ნატოს დედის დარწმუნება იყო მთავარი და არა ნატოსი. ასე განგებ ფიქრობდა, დამალული შიშის კიდევ უფრო მისაჩქმალად, რადგან გადაწყვეტილების მიღებამდე, აქ მოსვლამდეც იცოდა, ნატოს დედა რომ გაუგებდა, ნატო კი არა.

ნატოს დედა აივნის ორსაფეხურიან კიბესთან იდგა და ელოდებოდა. სრულებითაც არ უკვირდა მისი დანახვა. „ქალბატონო ელენე, ქალბატონო ელენეო“ — ამოილუღლუღა რამდენჯერმე, სამძიმარივით. დიდ ოთახში „რომ შევიდნენ, ამან შეფარვით, „ტაქტიანი“ ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა იქაურობა, თითქოს ისევ ბინის დასაქირავებლად იყო მოსული. „კარგია თქვენთანო“ — თქვა ზრდილობისთვის, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინათ, თუმცა ახლაც მართლა მოეწონა იქაურობა; რაღაცნაირად დაამშვიდა, თითქოს ბუნებრივმა, თავისთავად გაჩენილმა სისუფთავემ, ნივთების სიმყარემ და წესრიგმა. ოქროსფერი შანდლებით გაწყობილი პიანინოც იცნო, კარადაც, მაგიდაც, და რუსთაველის სურათისკენაც ისევ გაექცა თვალი, ისევ მოულოდნელი, უჩვეულოდ ცოცხალი ფერების გამო. მაგრამ უცებ რაღაცამ შეაშფოთა, შეაწუხა, როგორც ტაძრისა თუ მუზეუმის დარაჯი — მოულოდნელად გაჩენილმა ანდა მოულოდნელად ამოსვებულმა სიცარიელემ. რაღაცამ კი არა, კარადაზე შემოდგმულმა კიტრიანმა ბოთლმა. „ეს ადრე არ ყოფილაო“ — ისე გაუკვირდა, ისე შეიცხადა გუნებაში, თითქოს უმიმოდ, მისი ნებართვის გარეშე, არაფერი არ უნდა შეცვლილიყო ამ სახლში, არც უნდა მიმატებოდა რამე, არც უნდა მოკლებოდა. ვერ დამალა გაკვირვება. მაგრამ ის კი არ უთქვამს, აქ საიდან გაჩნდა ეს ბოთლიო, დიასახლისისთვის სასიამოვნო ქათინაურით შენიღბა თავისი გაკვირვება, შეშფოთება, ვითომ მარტო ის აინტერესებდა, როგორ, რანაირად, რა ჯადოქრობით აღმოჩენილიყო ბოთლში, ლამის ბოთლისხელა კიტრი (ექიმის კაბინეტი გაახსენდა ერთი წამით. იქ მოჰკრა თვალი თაროზე დალაგებულ მინის ქილებს, რომლებშიაც ამაზრზენად დაკრუნჩხული არსებები ცურავდნენ). ასე ბავშვებს ემართებათ ხოლმე. გამოცანის სიმარტივეს რომ გრძნობენ, მაგრამ ამოსახსნელად მოთმინება არ ყოფნით და უფროსებისაგან უნდათ გაიგონ, თანაც, რაც შეიძლება მალე, ამ მარტივი გამოცანის პასუხი.

— ძალიან იოლია, — გაიღიმა დარიამ. — სანამ ნაყოფი პატარაა, ბოთლში შეაყოფინებენ თავს და თავიდანვე ბოთლში იზრდება.

„თავიდანვე ბოთლში იზრდება“ — გაიმეორა ამან გუნებაში. „ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო“. — აღელდა, შეძრწუნდა ისევ. თითქოს გადაკრულად მიანიშნეს რაღაცაზე, რაღაცაზე კი არა, ყველაზე დიდ განსაცდელზე, საფრთხეზე, შეცდომაზე — რაცკი, შეიძლებოდა შემთხვეოდა ცხოვრებაში. ამჯერად, უკვე არა უსაფუძვლო შეშფოთება რომ დაეშალა, თვითონაც გაიღიმა და თქვა: რა ლამაზი ბოთლია.

— დიახ, ძველებურია. — აპყვა დარიაც.

თუმცა კიტრიანი ბოთლი იმდენად აინტერესებდა ახლა, რამდენადაც ჩინეთის იმპერატორი. დამნაშავე იყო ამ ქალის წინაშე და დანაშაულის გრძნობა აიძულებდა, ყველაფერში აპყოლოდა იმას; დაეცლია, ისე წარემართა საუბარი, როგორც თვითონ უნდოდა, როგორც მოფიქრებული ჰქონდა აქ მოსვლამდე, რადგან ის ბრალმდებელი იყო, თავად კი — ბრალდებული. მისი ქმარი ამბობდა, კიტრი თავისებურ გემოს აძლევს არაყსო, მაგრამ თვითონ არც კიტრიანი არყის გაეგებოდა რამე, არც უკიტროსი. მისი მოვალეობა იყო, ნაყლული ბოთლი დროულად გადაეგესო, ქმრისთვისაც რომ ესიამოვნებინა და კიტრიც შენახულიყო, არ დამპალიყო უარყოთ. მაგრამ ამდენს თუ ლაპარაკობდა ამ უმნიშვნელო წვრილმანზე, სტუმრის ყოვლად მოულოდნელი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას კი არ ცდილობდა მხოლოდ, დროს აძლევდა, უკეთესად რომ მომზადებულიყო იგი, ყოვლად მოსალოდნელი და სამართლიანი რისხვის გადმოსაფრქვევად. ასე რომ, ორივენი თვალთმაქცობდნენ, სტუმარიცა ! და მასპინძელიც; ორივენი ცდილობდნენ, რაც შეიძლება გვიან გაეშიშვლებინათ თავიანთი გულები და დაუფარავად ეთქვათ ერთმანეთისთვის: აპა, შეხედე, რა დღეში ვარ ჩავარდნილიო. ნეტა საუბარში არ ეროდა. კარგად ეკარგა, გულხელდაკრეფილი, დაბლა ეცქირ ბული შესცქეროდა სტუმარს. დღეს განსაკუთრებულად მოსწონდა და ნეტარებით ფიქრობდა გულში, მეც ასეთი ქუდი მეხურება, მეც ასეთი ქოლგით ვივლი, მეც ასეთი ლამაზი, ასეთი მომხიბვლელი ქალი ვიქნებიო. გუშინდელ ამბავს, მაინცდამაინც არ შეუშფოთებია, გელას მოულოდნელ გაკვირვებასაც იყო შეჩვეული და გელას მოულოდნელ გამოცხადებასაც. დარიას კი სულ სხვა ცეცხლი სწვავდა. იმ ცეცხლის ფასიც იცოდა, ამ ამაყი და გოროზი ქალის გულში რომ გუგუნებდა და, რაც მთავარია, დარწმუნებული იყო, მისი მიზეზითაც რომ იტანჯებოდა იგი, რადგან, ძალიანაც რომ მოეხდომებინა, მაინც ვერ მოიგონებდა უფრო დიდ ბოროტებას, რაც ამ ქალის მიმართ ჩაიდინა გუშინ. მართალია, ჯერ მხოლოდ ეჭვით იცოდა (შიშისაგან ვერც კი ჰკითხა), მისმა ქმარმა რომ გააფრთხილა წუხელ პოლიცია, მაგრამ ეჭვიც საკმარისი იყო, დამნაშავედ რომ ეგრძნო თავი. მთ ჭერქვეშ თავშეფარებულ ბავშვს ქვა ესროლეს, აუქშიეს, სულის მოთქმა არ აცალეს, გაგვერიდე, არ გვინდა, შენი მიზეზით რამე უბედურებაში გაეეხვითო, და თუკი მართალა ასე იყო, მაშინ თვითონაც სულწაწყმედილი დამსმენელი გამოდიოდა და მეტი არაფერი, რადგან რაც ქმარია, ცოლიც ისაა: ერთ ხორც და ერთ სულ. მაგრამ გინდაც გაბათილებულიყო მისი ეჭვი, მაინც არ არსებობდა მისთვის გამართლება. დედას შვილი დაუმალა! დედას არ გააგებინა შვილის ადგილ-სამყოფელი, დედას, რომელიც ორ ნაბიჯზე იყო და ალბათ ადგილს ვერ პოულობდა, რადგან დედაკაცის წყეული ტანი უგრძნობდა, სადღაც, ახლოს, მის სისხლსა და ხორცს

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

რომ უჭირდა, უპატრონოდ რომ ეგდო მტვერსა და აბლაბუდაში. ამან კი ყური დაიყრუა, თვალი დაიბრმავა, გვერდზე გადგა, ხელი დაიბანა — რაც მოხდება, უჩემოდ მოხდესო. მაგრამ გინდაც დედის მაგივრობა გაეწია გელასთვის, სხვენიდან ჩამოეყვანა, განებანა, დაეპურებინა, სუფთა ლოგინში ჩაეწვინა, მაინც დამნაშავე იქნებოდა გელას დედის წინაშე, რადგან თვითონ მითვისებდა, მხოლოდ და მხოლოდ, გელას დედისთვის განკუთვნილსა და, ალბათ მის ერთადერთ სიამოვნებას. არ არსებობდა, არ არსებობდა, არაკითარი გამართლება არ არსებობდა დარიასთვის და ერთნაირად უნდა ეგო პასუხი ბოროტებით ჩადენილ სიკეთეზეც და სიკეთით ჩადენილ ბოროტებაზეც. პატიების თხოვნის უფლებაც არ ჰქონდა და ახიც იქნებოდა, ამ ქალს ქოლგა რომ გადაემტვრია თავზე: რატომ დაბაზღე ჩემი შვილიო, ანდა — რატომ არ მიხედეო, ანდა — ვინ მიგდიხარ, რა გესაქმებ, ვინ მოგცა უფლება, ერთადერთ, უკანასკნელ ბედნიერებასაც რომ მაცლი ხელიდანო; შენ რა იცი, მე რომელი სანანი ვბან ჩემს შვილს ან რამდენ შაქარს ვუყრი ჩაიშიო. დარია კი ვერაფრით იმართლებდა თავს, სამივე ბრალდება უნდა მიეღო, სამივე ბრალდება შეესაბამებოდა სინამდვილეს, თუ რომელიმე იმ სამიდან. ამიტომ ვეღარ მოეშვა ბოთლში ჩამწყვდეულ კიტრს და, იმისთვისაც, ბრალმდებელისთვისაც, რომ დაეეწყებინა მთავარი სათქმელი, დროებით მაინც, ისიც კი უთხრა, ხომ არ გაესინჯოთ, ვნახოთ ერთი კაცების გემოვნებაო.

სტუმარიც ისევ კიტრზე ფიქრობდა. სანამ დარია ლაპარაკობდა, კიტრის ბუსუსებიან ყუნწზე ჭინჭით მიბმული ბოთლი ედგა თვალწინ; ბოთლის ვიწრო ყელში პატარა, ხორკლიანი ნაყოფი შეყუჟულიყო და თანდათანობით იზრდებოდა, იზრდებოდა, სულ უფრო და უფრო ავსებდა ბოთლის სიცარიელეს. „ვერაფრით ვეღარ გამოეტევა, სანამ შიგვე არ გამოლპება. არაყში ინახავენ. გვამივით“. — ფიქრობდა შეეჭუნჭულებული, ამრეზილი. დარია, [illegible] ხომ არ გაგვესინჯაო, ლამის შეჰყვირა; მაგიდაზე დასვენებული, გრძელი, გამხმარი, ლამაზი ხელი, ურარის ნიშნად, ჰაერში აასავსავა, თითქოს ეს კეთილი, გულისხმიერი მასპინძელი შხამს აძალებდა. მეორე ხელი ისევ იატაკზე დაბჯენილი ქოლგის ტარზე ედო. კი არ ედო, ქოლგის ტარს ბღუჯავდა მეორე ხელით და დაძაბულობისგან, ხელის ზურგზე ლურჯი ძარღვები ასდგებოდნენ.

— ძალიან გთხოვთ, ცუდად არ გამიგოთ. — მოაყოლა უცებ. თუმცა ჯერ არ აპირებდა ამის თქმას. შეიძლება, საერთოდ ვერ გაებედა, რადგან სახლში გამეფებულმა სიმყუდროვემ, სიმყუდროვემ კი არა, რაღაცნაირმა, ტაძრისებურმა სიწმინდემ, დიასახლისისა და მისი ქალიშვილის სახეებზე ამოკითხულმა პატივისცემამ, მოკრძალებამ კიდევ უფრო დაარწმუნა, რა შეურაცხმყოფელი, რა მტკივნეული იქნებოდა იმათთვის იმის მოსმენა, რაც თავად შვილის გადარჩენის ერთადერთ გზად მიაჩნდა, აქ მოსცალამდე, უფრო ზუსტად, ვიდრე ბოთლში ჩამწყვდეულ კიტრს დაინახავდა; კიდევ უფრო ზუსტად, ვიდრე თავის სულელურ, ყოველად გაუმართლებელ ცნობისმოყვარეობას გამოამჟღავნებდა და დიასახლისი ბოთლში კიტრის დამწყვდევის წესს გაუმარტავდა. იმის მერე, ვერ იქნა და ვეღარ დამშვიდდა ვეღარ დაიმორჩილა თავი. მაგრამ დედაშვილის სახეზე ამოკითხული პატივისცემა და მოკრძალება, შეიძლებოდა, სიბრალულითა და დამცინავი ღიმილითაც შეცვლილიყო ჰალე, თუკი კიტრზე საუბრით ამოწურავდა თავის დაუპატიჟებელ სტუმრობას, რადგან ის ჯერ დედა იყო და მერე სტუმარი, დედის უფლებები უნდა დაეცვა ჯერ და მერე თავაზიანობის წესები. — ძალიან გთხოვთ, ცუდად ნუ გამიგებთ... — გაიმეორა და

ნატოს გასხაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ამ ღიმილისთვის. მართალია, იმდენი გაეგებოდა, გელას დედის მოულოდნელი გამოცხადება, ჩვეულებრივ, მეზობლურ სტუმრობას, ნავსის გატეხვასა და დაახლოვების სურვილის გამომეღავნებას რომ არ ნიშნავდა, მაგრამ იმდენად მოწონდა. იმდენად უყვარდა გელას დედა. მაინც უფრო სიამოვნებდა, ვიდრე აკრთობდა და აწუხებდა ეს ამბავი. ჯერ ბავშვი იყო და არ შეიძლებოდა სკოდნოდა, რა მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თავად, არა მარტო იმდროვანდელ შეხვედრაში, არამედ საერთოდ, იმ დღით დაწყებულ ცხოვრებაში, სამი ქალის სურვილით, რწმენით, იმედით შექმნილ ცხოვრებაში, რომელიც ისეთივე გულუბრყვილო, მაგრამ ჯიუტი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ბოლოს, როგორც ძველი ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე. ხოლო დარია ისე აფორიაქა სტუმრის ღიმილმა, როგორც გამოცდილი მეზღვაური, ქარიშხლის მაუწყებელმა ღრუბელმა. იგრძნო, როგორ გაეთოშა ხელ-ფეხი; დაინახა, როგორ გადაეარა ავადა წინათგრძნობამ გულზე, მძიმედ, ნელა, ღრჭიალით, როგორც გუთანმა მინდორზე, და როგორ შეატოვა ზედ შავი, მკვეთრი ანაბეჭდი: მეამბეჯარაკიძიფიქრია.

— ნატო. ნატო. — დაიძახა ნირწამხდარმა, დამარცხებული კაცის ხმით.

— არა. იყოს. მოისმინოს. დასამალი არაფერია... — თქვა ამან.

„იცის რომ შეყვარებული ვარ. — მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა ნატო.— შეყვარებული ვარ. — თითქოს შიგნიდან უბიძგა გულმა და წინ წამოაგდო, გულხელდაკრეფილი, მტრაკვეცულად მომღიმარი. შორეულმა, ჯერ ბოლომდე დაუბადებელმა, გაურკვეველმა სიამაყემ ბალერინასავით, თითის წვერებზე გაირბინა მის პატარა არსებაში. ქალთათან, ჰაეროვანმა. — დიდი ამბავი!“ — ცხვირი აუბუტა საკუთარ თავს, როგორც შურისძიმა დამ — იღმერინს.

— არც გამტყუნებთ, არც ეროვნული ბიბლიოთეკა რობთ, — თქვა ამან და უფ�ნჩაბღუჯა ქოლგის ტარი. გაბდარ ხელისზურგზე უარესად დაებერა ძარღვები. — გელას თქვენ უყვარხართ და დარწმუნებული ვარ, თქვენც გიყვართ გელა. — ერთდროულად შიმართავდა ორივეს, დედასაც და შვილსაც. არ უნდოდა, გამოეყო რომელიმე, რომელიმე კი არა. ნატოს გამოცალკევება არ უნდოდა, რადგან ეს ნატოს უფლებამოსილების აღიარებასაც ნიშნავდა, ანუ ომის გამოცხადებას ნატოსთან, რადგან მერე, მესამისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა; ორნი — ისა და ნატო, უნდა დარჩენილიყვნენ პირისპირ და ჩაბმულიყვნენ ყველაზე ვერაგულ, ყველაზე ამაბრჭვნელ, ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე უსამართლო ომში, რადგან ორივე მხარეს ერთი და იგივე დროშა უნდა აღემართა, კაცთმოყვარეობის, მშვიდობის დროშა, და ორივე მხარე სიკეთის, მომტეველობის, ურთიერთგაგების, ურთიერთდანდობის მქადაგებლად უნდა ქცეულიყო, არა თავიანთი სიცუდის, სიმხდალის ანდა სიმდაბლის გამო, არამედ გრძნობათა, მრწამსთა, ვალდებულებათა და, რაც მთავარია, ბუნების ერთნაირობის გამო; ეს ერთნაირობა იძულებულს გახდიდათ, ჭირლობებიც კი შეეხვიათ ერთმანეთისთვის, მოეკითხათ, მოენახულებინათ ერთმანეთი, პური, წყალი, წამალი მიეწოდებინათ და გაემხნევებინათ კიდეც; ტყვეით, დანით ანდა შხამით კი არ უნდა ეომათ, არამედ იმით, რისთვისაც ომობდნენ: სიყვარულით უნდა დაეთრგუნათ სიყვარული, სათნოებით — სათნოება, კეთილშობილებით — კეთილშობილება. აი, როგორ ომში ჩაითრევდა ეს პატარა გოგო, როგორც კი მეტოქედ აღიარებდა მას, საკუთარ ძალასა და უფ-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ლებამოსილებას აღმოაჩენინებდა დაუფიქრებელი, მოუზომავი სიტყვით, გამოხდეიდა ანდა ღიმილით. მაგრამ ადრე თუ გვიან, მაინც ასე მოხდებოდა, რადგან ასე უნდა მომხდარიყო, და თუ ეს პატარა გოგო ჯერ აღტაცებული თვალებით შემოსცქეროდა, არც ეს ნიშნავდა არაფერს; ესეც ასე უნდა ყოფილიყო; ჩვენ ხომ იმას ვბაძავთ, ვინც ჩვენი ყველაზე დიდი მტერია და სწორედ იმიტომაა ჩვენი ყველაზე დიდი მტერი, ჩვენნაირი რომ აღარ არის უკეთ, ანდა ჯერ ჩვენც. რომ არა ვართ იმისნაირი. ამ პატარა გოგოსაც ჯერ ამისთვის უნდა მიებაძა, ჯერ ამისგან უნდა ესწავლა და, პირველ რიგში, ამასვე უნდა დაპირისპირებოდა, როგორც კი სწავლას მორჩებოდა, როგორც კი მიხვდებოდა, მთელი სიცოცხლე იმის შესანარჩუნებლად რომ უნდა ებრძოლა, რაც უკვე მოეპოვებინა უბრძოლველად, რადგან ქალი (და საერთოდ, ადამიანი) იმისთვის იბრძვის და ადამ ეწირება, რაც თავისთავად, ხელისგაუნძრეველად ეძლევა. ხოლო დარია, ზედმეტი იყო, უმნიშვნელო დანამატი; იმას, დიდი-დიდი, იმის დროებით შეფერხება შეეძლო ხმოლოდ, რამდენადაც არცერთ ბანაკს არ ეკუთვნოდა, ანდა რამდენადაც ორივე ბანაკს ერთნაირად თანაუგრძნობდა: სტუმარს — როგორც დედა და შვილს — როგორც ქალი. — მაგრამ მეორეჯერ ნუღარ გაუღებთ კარს — გაგრძელა ცოტა ხნის მერე. — ნუ გაუღებთ კარს... — უნებურად აუწია ხმას, მუდარა რომ არ გამოსულოდა — მე გელას ველოდები. ვალდებული ვარ, დაველოდო. ხოლო თქვენი საკეთის, თქვენი კეთილშობილების გამო, ჩემი მოლოდინი, შეიძლება, კიდევ უფრო გაგრძელდეს... უსასრულოდ. როცა დარწმუნდება, აღარსად შიმესვლებაო, მოიხდის სასჯელს, აბა, რა იქნება! — შაი კაბის მაჯიდან სასწრაფოდ გამოაძრო ისეთივე შავი, ოთხად გაკეცილი ცხვირსახოცი; თითქოს ტკივილის შესამცირებლად, სახვევი აიგლიჯა ჭრილობიდან. ცხვირსახოცი ტუჩებზე მიიდო, ქერეხი რომ შეეკავებინა და ისევ გაუღიმა ნატოს, მაგრამ ახლა [illegible] დედაშვილს ერთდროულად [illegible] ტანში ერუანტელმა. დარიას კი თვალები მაშინვე ცრემლით ავსებოდა.

— თქვენთანაც ყოფილა, მაგრამ თქვენ არ დახვედრიხართ შინ. — თქვა უცებ ნატომ და გაშრა, ყაყაჩოსავით წამოუბრიალდა სახე. მაშინვე ივრძნო, რაღაცა რომ დაშავა, ის არა თქვა, რაც უნდა ეთქვა, ის არ გამოუვიდა, რასაც ამბობდა, კი არ დამშვიდა, უარესად ატკინა გული სტუმარს. უნებურად დედას შეხედა, დაბნეულად მომდიმარმა, როგორც პატარაობისას იცოდა, როცა მისი არსება ჯერ კიდევ იმუშავებდა ჩვენებს და იქამდე მოიხიცავდა ხოლმე ფაფით მოთხუპნულ პირს, ვიდრე გულზე აფარებული ხელსახოცი გაახსენდებოდა.

— ჩემთანაც ყოფილა? ღმერთო ჩემო... ჩემთანაც? — შეცბა, აღელდა, გაბრაზდა, გამწარდა ეს „დაიწყოო" — უიმისოდ გაიბრძნა ფიქრმა გონებაში, ელვის სისწრაფით, როგორც განგაშის მაუწყებელმა ხმამ — ჰაერში. მაგრამ მაინც როგორმე უნდა მორეოდა თავს, არ აჰყოლოდა ამ პატარა გოგოს, რომელსაც უნებლიეთ, რა თქმა უნდა, უნებლიედ (ამდენის მიხვედრა კიდევ შეეძლო, რაც არ უნდა გაბრაზებული, შეურაცხყოფილი ყოფილიყო). უკვე გადმოუცია საზღვარზე ფეხი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ომი; ეს ჯერ კიდევ, ჩვეულებრივი, სასაზღვრო შეტაკება იყო მხოლოდ, ძალების მოსასინჯი, ერთმანეთის გასაღრიანებლად, გამოსაწვევად გამიზნული. განა ყოველთვის უნებლიედ არ მეტანდება ის, რასაც შეგნებულად, საგულდაგულოდ ვმალავთ? — ღმერთო ჩემო, — გაიმეორა ნაძალადევი და ამიტომაც ორაზროვანი გაკვირვებით; ძნელი გასაგები იყო, ნანობდა, შვილს რომ არ დახვედროდა შინ, თუ შვილის საქციელს გმობდა — დროზე ადრე, სასჯელის მოხდამდე, უკანონოდ რომ

გაებედა შინ დაბრუნება. ერთი წამით წარმოიდგინა, როგორ ჩაცუცქდებოდა გელა კარის წინ, როგორ გადასწვდა ფეხსაწმენდ ტილოს და, როცა ტილოს ქვეშ, გასაღების ნაცვლად, სისველისგან გამომშვებული სიცარიელე დაუხვდებოდა, როგორ ჩაწყდებოდა გული. თუმცა თვითონ, სწორედ თავქარიანი, უპასუხისმგებლო შვილის ჯიბრით აღარ ტოვებდა გასაღებს, ასედაც რომ ეთქვა იმისთვის (თუკი დროზე აღრე მოუცდებოდა ფეხი), არც გელოდები და არც მინდიხარ, ვიდრე პირნათლად არ მოიხდი მოსახდელსო. მაგიდაზე დასვენებული ხელი უცაბაცახებდა, თითქმის დენი გადიოდა შიგ, როგორც კარის ჩამოგლეჯილ მავთულში. — არ მოიქეცეთ... არ მოიქცა სწორედ. მხოლოდ მტერი თუ ურჩევს... მხოლოდ მტერი თუ მოუწონებს... ის ხომ ჯერ ბავშვია! — წამოიყვირა ქვითინგარეული ხმით, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, შიშნაჯამსა და ენაჩავარდნილ დედა-შვილს ღიმილით მოუბადა ბოდიში; უფრო დედას, უფროსს, თანატოლს — ვითომ, რაც იქამდე ითქვა, რაც იქამდე წამოცდა, დარიას ეხებოდა და არა დარიას ქალიშვილს. — არავის სიამოვნებს ჭკუის დარიგება — გაგრძელა უკვე მშვიდად. — ვისაც როგორ სურს, ისე მოიქცევა. მაგრამ მე ჭკუას კი არ გარიგებთ, გთხოვთ.— დარიას მიმართავდა. — გთხოვთ... როგორც მშობელი, როგორც გელას დედა. — ნელა წამოდგა, მაღალი, გორგოზი, შავად აწოწილი. ქოლგის წვერი ოდნავ მოუსხლტა გაპრიალებულ იატაკზე, მაგრამ დროულად შეაკავა, გააშეშა. მშვიდად, აუჩქარებლად გავიდა ოთახიდან.

დარია და ნატო აივანზე იდგნენ და უყურებდნენ, როგორ მიდიოდა ხრეშმოყრილ ბილიკზე; როგორ ტოვებდა მისი ქოლგის წვერი წუხანდელი თავსხმისგან ჯერ კიდევ სველ ხრეშზე პატარა, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებულ ღრმულებს; როგორ იხრებოდა, თავი რომ აერიდებინა ტოტებისთვის — გარეგნულად მშვიდი, ამაყი, ამპარტავანი, სინამდვილეში კი, მარტოსული, უმწეო, დაჩაგრული. მიდიოდა და ფიქრობდა: ჯერ კიდევ ყვავილიან თავს ბოთლში შეაყოფინებენ მაშინვეო, ფიქრობდა გაგულისებული, გაწბილებული, ზრდილობიანად გამოპანაღურებული.

ეს დღეც ძალიან ჭკვიანი იმ დღეს, როცა ვითომ საკუთარი ბედნიერების, თავისუფლების მოსაპოვებლად, გელას მამას ეახლა საერთო საცხოვრებელში. ახლა კი, ჯერ ისევ მოკლე კაბიან გოგოს ხლებოდა, შვილის ბედნიერების, შვილის თავისუფლების გამოსათხოვად. ამ ორ დღეზე, როგორც ორ საყრდენ ბოძზე, იდგა მთელი მისი ცხოვრება. ერთი ბოძი უკვე გამოსცლოდა და, დროულად თუ არ იღონებდა რამეს (რასმ?), მეორეც მალე გამოეცლებოდა. ასედაც მოხდა. პირველი გაქცევის შემდეგ, მისმა შვილმა, მთელი სიცოცხლე სულ დევნაში გაატარა; სულ გარბოდა; სულ გაქცეული იყო; იქერდნენ, უკან აბრუნებდნენ, სასჯელს უმატებდნენ, ის კი, მაინც გარბოდა, უყოყმანოდ, დაუფიქრებლად, მოკმზადებლად, როგორც ნადირი გარბის ხოლმე გალიიდან, როცა გალიის კარი შემთხვევით ღია აღმოჩნდება.

4

აკოშინებული მიუყვებოდა გაუთავებელ ფერდობებს. მერე თოვლში შეაბიჯა და თითქოს არარსებულ, თითქოს გამონაგონ დროსა და გარემოში აღმოჩნდა უცებ. თოვლს გადაეყრუებინა იქაურობა. ხანდახან ბებერი, პირქუში ფიქვი გაიჭრიალებდა მოულოდნელად და ისიც უფრო უჩქარებდა ფეხს, თუმცა არ იცოდა, სად მიდიოდა, ანდა რატომ. აღარ სჯეროდა, როდისმე თუ გააღწევდა აქედან, მაგრამ მაინც მიდიოდა, თანდათან იკარგებოდა არარსებულ დროსა და გარემოში. „ნე-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ტავი, ყველაფერი სიზმარი იყოს დ-ციხეში გამომეღვიძოსო“ — ლოცულობდა გუნებაში. გათოშილი, გაშეშებული ხელები იღლიებში ამოეწყო. ხან გველივით გალურსულ ფესვს გადაეწყდებოდა, ხან მიწის ღრმულში უვარდებოდა ფეხი და მთვრალივით დაბარბაცებდა აქეთ-იქეთ. თუ არ ეცემოდა, ესეც შიშის წყალობა იყო. შიშის ტლანქი, უხორცო სიმძიმე უნარჩუნებდა წონასწორობას. შიშს იყო ჩაფრენილი, როგორც ბრმა — ჯოხს, რომლისთვისაც ერთნაირად უცნაა, ერთნაირია ყველა გზა, სწორედ სიბრმავის გამო. სულის მოსათქმელადაც ვერ ჩერდებოდა, თითქოს კუბო მიჰქონდა, შემცველი, ხელის შემშველები კი არავინ ყავდა. ხოლო კუბო უფრო და უფრო მძიმდებოდა და აღარ სჯეროდა, როდისმე თუ გათავდებოდა ეს მტანჯველი, გამაბითურებელი, ძალღონის გამომცლელი და, რაც მთავარია, უხილავი, არარსებული გზა, მაგრამ მაინც გზა, ერთადერთი გზა, რომელზედაც გავლა შეეძლო და მიდიოდა კიდეც. სიმწრის ცრემლიც ვერ მოეწმინდა; სიმწრის ცრემლი ჩასდიოდა პირში და საცოდავად აქსუტუნებდა ცხვირს. არც მკვდარი იყო, არც ცოცხალი. უფრო სწორედ, მკვდარიც იყო და ცოცხალიც ერთდროულად. ცოცხალი კუბოში იწვა, მკვდარი კი იმ კუბოს მითრევდა ზურგით. ქვადაცეული, ტლანქი, უგრძნობელი კუბო ქვეყით ექანებოდა, მიწისკენ, საფლავისკენ, უფრო დიდი სიბნელისკენ, მარადიული სიბნელისკენ, სამარადისოდ რომ დაეწია თავი ცოცხალი ნახეკრისგან. მაგრამ არც მკვდარ ნახეკარს შეეძლო გაეტანა თავისი და არც ცოცხალს, რადგან ორივე ერთად, არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი. და ისიც მიდიოდა, მიდიოდა, მიდიოდა, მიილტვოდა უფსკრულთა და წყალთა ზედა. იცოდა, ასე რომ მოხდებოდა, იქამდე იცოდა, ვიდრე პირველად გამოიქცეოდა ციხიდან; ვიდრე პირველად დაიჭერდნენ; ვიდრე ბათუმში ჩაქანდიდოდა; იქამდეც, ვიდრე ლიზა შემოვარდებოდა ოთახში და [illegible] იცის ხოლმე, ფაცაფუცით [illegible] ნი რაღაც უბედურებაა იმ კაცის თავსო. მკვდარი მამის დანახვაზე სიცილი აუვარდა, რადგან ესეც წონასწორ იცოდა, ესეც იქამდე წარმოიდგინა, ვიდრე დაინახავდა. ვერაფრით ვერ გაჩერეს, იდგა და გიჟივით იცინოდა, ვიდრე სასულე არ გადაეკეტა სიცილისგან. ხოლო გონს რომ მოეგო, უკვე ერთი წლის ობოლი იყო. თუმცა ერთი წლის წინ, ლიზა რომ შემოვარდა ოთახში და, როგორც იცის ხოლმე, ფაცაფუცით, სულმოუთქმელად, პირზე დორბლმომდგარმა თქვა: მგონი რაღაც უბედურებაა იმ კაცის თავსო, როცა ყველანი — ბებიაც, ბაბუაც, დედაც და ლიზაც — ნახეკრად ბნელ დერეფანში იდგნენ და ერთად აბრახუნებდნენ საბაზახნოს კარზე, ამან უკვე იცოდა, ობოლი რომ იყო. ხოლო როცა კარი შეამტვრიეს და აჩოჩქოლებულ სხეულებს შორის ერთი წამით მოჰკრა თვალი წითელი წყლიდან ამოყოფილ ხელებს, სიცილი აუვარდა; ნახეკრად ბნელ დერეფანში იდგა და სიცილისგან იგუდებოდა. „მოაშორეთ ეგ ოხერი აქედანო“ — დაიყვირა ბაბუამ საბაზახნოდან. დედამ სველი ხელი შემოჰკრა ლოყაზე. ის კი მაინც იცინოდა, იმიტომ, რომ, უფრო ადრე წარმოიდგინა ის, რაც იმ წუთას დაინახა; იმიტომ რომ, რცხვენოდა, ასეთ დღეში რომ ხედავდა მამას; და კიდევ იმიტომ, მართლა სასაცილოები რომ იყვნენ ყველანი, აბაზანაზე დახრილები, აკოთქოთებულები, საქმიანები, საქმის მცოდნენი, თუმცა ერთმანეთს ხელს უშლიდნენ მხოლოდ და წარამარა უსხლტებოდათ სველი, შიშველი გვამი.

სწორედ ამ დროს, ხეზე მხრით მიყრდნობილი კაცი დაინახა. კაცს აირწინაღის ჩანთა ეკიდა მხარიღლივ. „საით გაგიწევიაო“ — დაუძახა შორიდანვე. „საით?“ — დაიბნა, გაოცდა ეს, თით-

ქოს ისეთი რამე ჰკითხეს, რაზედაც არასოდეს არ ეფიქრა, რისი ცოდნაც არასოდეს ჩაუთვლია საჭიროდ. კაცმა გაიცინა. „გზა ამებნაო" — შეჰკვირა ამან, იმედმიცემულმა, გამხნევებულმა, გადარჩენილმა. კაცმა ისევ გაიცინა, ხეს მოშორდა და თქვა: შენ ეტყობა, დიდი ხნის წინ დაგიკარგავს გზა, რადგან ამ გზა არ არის, აქ უგზოობის ქვეყანააო. მერე ხელი ჩაჰკიდა და ქოხისკენ წაიყვანა. ქოხიც ისევე მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც თავად ის აირწინაღიანი კაცი. ქოხში კიდევ ორი კაცი დაუხვდათ: სათვალიანი და ბრტყელსახიანი. ისე მიესალნენ, თითქოს მთელი სიცოცხლე იმის მოლოდინში გაეტარებინათ. „წყალი თუ გიდუღთო" — იკითხა აირწინაღიანმა. „გვიდუღს კი არა, ძლივს ვაბამთ ჯაჭვითო" — უპასუხა ბრტყელსახიანმა. სათვალიანი იღიმებოდა. ჯაჭვზე მართლაც ეკიდა შავად გაჭვარტლული კარდალი. კარდალი ნარბენი ცხენის მუცელივით ბუუბუუებდა: „თოვლი შემოტყო" — უბრძანა აირწინაღიანმა სათვალიანს. თვითონ, ცეცხლის წინ, ორი უზურგო სკამი დადგა, ზედ ფიცარი გადო და ფიცარს ორივე ხელით დააწვა, შეამოწმა, ხომ სანდოაო. სათვალიანმა ტარგადატეხილი ნიჩაბი აიღო, ჯვალოს ტომარა იღლიაში ამოიდო და ქოხიდან გავიდა. გასვლამდე რამდენჯერმე გამობედა სიცივისგან ამაგრაგებული სტუმარს. ღიმილი არ მოშორებია სახიდან. „ცოტა მოშორიდი ქოხს, სუფთა თოვლი მოიტანეო" — მიაძახა აირწინაღიანმა. „ჯერ ტომარას გავავსებ და მერე ვიზამ" — დაიძახა სათვალიანმა გარეთან. „გაიხადეო" — უბრძანა აირწინაღიანმა გელას. გელას განძრევის თავიც აღარ ჰქონდა, სული ცბილით ეჭირა, მაგრამ მაინც უსიტყვოდ დამორჩილდა ბრძანებას, თუმცა, ვერაფრით ვერ შეიხსნა ღილი, გათოშილი თითები თავისთავად ეკუნჭზებოდა. კი არ იხდიდა, ცოდვილობდა. აირწინაღიანს გაეღიმა. მერე გელასთან მივიდა და გახდაში მიეშველა. სველსა და ტანზე მიწეკებულ პერანგს, ნელნელა, თანდათანობით ხდიდა, თითქოს პერანგს კი არ ხდიდა, ატყავებდა. გელამ ძოსავალი ბული ხელები შიშველ მკერდზე გადაიჯვარედინა ენებურად. კიდევ უფრო შესცივდა. ცინგლი ჩამოსდიოდა ცხვირიდან. აირწინაღიანი წინ ჩაუცუცქდა და ფეხსაცმელიც გახადა. ახლა ფეხშიშველი იდგა მიწის იატაკზე და ფეხის თითებიც ეკრუნჭზებოდა. აირწინაღიანმა ქამარი შეუხსნა და როცა შარვალი ჩასძვრა, წვივზე შემოჰკრა, ამოიღე ფეხიო. მერე წუთას, გელა უკვე დედაშობილა იდგა ქოხში და სიცივისგან, დაბნეულობისგან, სირცხვილისგან, უმწეობისგან — ერთიანად ძაგძაგებდა. სათვალიანმა თოვლით პირმობმული ტომარა შემოიტანა ზურგით. ტომრიდან წამოიკვენინო თოვლის პატარა ბოლქვები თავზე ეყარა. „თბილი დავაქციე, ცივი წამოვიღეო" — თქვა და გაიცინა. ვერაფრით ვერ მოსწყვიტა ტიტველ გელას თვალი. გელა სკამზე გადებულ ფიცარზე იჯდა და მხოლოდ ქუსლებითღა ეხებოდა მიწას. გულმკერდზე ხელებგადაჯვარედინებული შესცქეროდა, როგორ ანელებდნენ წყალს სათვალიანი და ბრტყელსახიანი. ერთი — ტომრიდან პეშვებით ყრიდა თოვლს ვედროში; მეორე კი, თიხის ვეება ჯამით, იმავე ვედროში მდეღარეს ასხამდა კარდალიდან. „პირქვე დაწექიო" — უბრძანა აირწინაღიანმა გელას. გელა მაშინვე დაემორჩილა: პირქვე გაწვა გაურანდაკ ფიცარზე. ფიცარი ვიწრო იყო, მოსავთებული ხელები მიწაზე ჩამოუცვიდა. უცებ ცხელი წყალი გადაევლო ზურგზე და უარესად შეიკუმშა, თითქოს შოლტი გადაუჭირესო. სამივე მასპინძელმა ერთდროულად გაიცინა. ფიცრის ქვეშ გუბე დადგა. გუბის დაბუშტულ ზედაპირზე ხიწვები ბზრიალებდნენ. ისევ გადაევლო ცხელი წყალი. მასპინძლებ-

---

ოთარ ჭილაძე
რაკინის თეატრი

მაც ისევ გაიცინეს. თვითონ მკვდარივით იყო გაშოტილი ფიცარზე. აირწინაღიანი ფარდაგის ნაკუწით უხეხავდა ზურგს, კანს აბღორტნიდა, კისრის ძირიდან კუდუსუნამდე. ბრტყელსახიანი თიხის ჯამით ასხამდა წყალს. სათვალიანს კი, გაწლილი ზეწარი აეფარებინა წინ, მარტო თავიღა მოუჩანდა, ზეწარზე ნიკაპით ჩამოდებული, და უღიმოდა, თითქოს ზეწრით ფოკუსის გაკეთებას აპირებდა და ფოკუსის გაკეთებამდე, აჩვენებდა — აი, შეხედე, ჩვეულებრივი ზეწარიაო. ქოხში ბუღი დადგა. იგრძნო, როგორ აუმოძრავდა სისხლი. ქოხის შორეული კუთხიდან ცხვრებმა გამოხედეს, უაზრო, გაშეშებული თვალებით. მყრალი სუნი ეცა ცხვირში. „გადაბრუნდიო“ — უბრძანა აირწინაღიანმა. გადაბრუნებისას, ცოტას მორჩა, საკუთარ ნაბანში მოადინა ტყაპანი. მასპინძლებმა ამაზეც გაიცინეს. მადლიერების, ნდობის, სიახლოვის გრძნობის მაგვარი რაღაც გაუჩნდა იმათ მიმართ. აღარც ეშინოდა და აღარც რცხვენოდა. ცხელმა წყალმა ახლა მის მუცელზე გაიტყლაშუნა. ხორცი აეწვა და გაუწითლდა, როგორც ნაშოლტარი. მერე, ზეწარში გახვეული, ცეცხლის წინ იდგა და შრებოდა. მერე, ყაჩაღივით ნაბადმოხურული იჯდა მაგიდასთან. მაგიდაზე სველი გაზეთის ნაფლეთები და მოხარშული ხორცის ნაჭრები ეყარა. „შენ როგორ გგონია, რომელი პარტია გაიმარჯვებს და რომელი იქნება ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელიო“—ეკითხებოდა აირწინაღიანი. „ვიღაცა გაიმარჯვებს“.—თქვა გელამ, რაზე რომ ეთქვა, და უცებ ისე მოშივდა, ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი. „აი, ჩვენი ხსნა, — თითი მიუშვირა აირწინაღიანმა, — ერთი ბაბუა მოსამართლე ყავს, მეორე ვექილი“. „ეგ ხსნა კი არ არის, მახვილია უფლისა, — გაიცინა სათვალიანმა. — რამეთუ არა მოაკლინა ღმერთმან ძე თვისი, რათა აცხოვნოს სოფელი, არამედ რაითა სასჯოს სოფელი მის მიერ“. „ნუ ყრანტალებ ყვავივით, — შეუწყრა აირწინაღიანი. — ის გირჩეცნია, გაფლანდილად მოუყვე შენი დანაშაული“. „მე არაფერი არ დამიშავებია, ეგ თვითონ დამიშავეს, ბატონო მოსამართლეო, ბატონო პროკურორო, ბატონო მსაჯულებო. მერე როგორ დამიშავეს... — გაიცინა სათვალიანმა. თან სათვალეზე ეკიდა ხელი, თითქოს ვინმე არ ამოეგდოს. — არ მინდოდა და მაინც აღმომაცენეს, ბატონებო, მოაზროვნე ლერწამი, რომელიც, ჩვეულებრივი ლერწმივითო, იქით იხრება, საითაც ქარი ხრის და ჩვეულებრივი ლერწმისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, იცის, რატომ იხრება. მე თუ რამე დავაშავე, ჩემს თავს დავუშავე, ზედმეტად და ტყუილუბრალოდ გავიმწარე თავი, რადგან მამისაგან გატყორცნილმა მუცელსა დედისა თვისისას შიგან მოვადინე ტყაპანი და არა მიწაზე, მაშინვე მიწად რომ ვქცეულიყავი, ყოველგვარი შიშისა და მოლოდინის გარეშე, რაც მიწად ქცევას უსწრებს წინ და რასაც თქვენ სიცოცხლეს ეძახით“. „მაშინ ხომ, ერთი ანგელოზი მოაკლდებოდა ჯოჯოხეთს?!“ — გაიღიმა აირწინაღიანმა. „ანგელოზი! — გამოაჯავრა სათვალიანმა. — როგორ არა! გუშინ რაღაცის ასაღებად დავიხარე და თითით მატაკა უკნიდან“. — მიუბრუნდა გელას. „ჯერ სადა ხარ“ — უთხრა აირწინაღიანმა. „გესმის? მიმუქრება კიდეც“ — ისევ გელას მიუბრუნდა სათვალიანი. „მოეყეევი მეთქი! დრო ნუ გაგაყავს. ხომ ხედავ, ზეზეურად ძინავს“. — დაუყვირა აირწინაღიანმა. „მაშ ასე, — სწრაფად დაიწყო სათვალიანმა. — სემინარიიდან რომ გამომაგდეს, სამშობლოში დავბრუნდი“. „ისიცა თქვი, რისთვის გამოგაგდეს“. — შეახსენა აირწინაღიანმა. „ხელმრუშობისთვის, — თქვა სათვალიანმა, — მაგრამ ეს ჩემი მრწამსია და არა მიდრეკილება, — გააგრძელა ცხარედ. — ონანი თავის მკვდარ ძმას ჩაუდგა ჯიბრში, მე კი — მთელ კაცობრიობას. რატომ უნდა მიეცე საზრდო იმას, რაც უნდა დაიღუპოს? იმის მერე, რაც კაცობრიობამ ქრისტესა და ავაზაკს

შორის არჩევანი გააკეთა, სიცოცხლის ღირსი აღარ არის. იღუპება კიდეც. იღუპება. სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა. ამინ. მაშ ასე — სამშობლოში დავბრუნდი და თვითგანთლებას შევუდექი. წიგნში მივძვრებოდი, როგორც მატლი დამპალ ნაყოფში, ვიდრე ფსკერამდე არ დავედი და ერთხელ კიდევ არ დავრწმუნდი იმაში, რაც იქამდეც ვიცოდი. ამოოება ამათა, ყოველივე ამაო. ამას ამბობს ყველა წიგნი, ეკლეზიასტე იქნება, მეფეთა, ნეშტთა, რიცხვთა თუ რჯულთა. და განვუდექ ქვეყანასა. ეს არის და ეს ჩემი დანაშაული. — უცებ ხელი აირწინაღიანისკენ გაიშვირა და იყვირა: აჰა, კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი, მეგობარი მეძავთა და ცოდვილთა. მაგათია ქვეყანა“. გელა უნებურად ხორცის ნაჭერს წაეტანა; ნებართვაც არ უკითხავს, ისე ჩაიდო პირში ქონშეყინული ხორცის ნაჭერი, ზედაკრული გაზეთის ნაკუწებიანად. თან თითებს აშველებდა, უკანე რომ არ გადმოვარდნოდა. „ჭამს“ — რატომღაც გაუკვირდა ბრტყელსახიანს, რომელიც ისევ გულხელდაკრეფილი იდგა კარდალთან. „ყველანი ეჭამთ“ — ეკარლიანად გაიცინა სათვალიანმა. გელა კი ტყუილად აცოდვილებდა ლუკმას, ყელში არ გადასდიოდა უმარილო ხორცი: შიმშილს კი არ უკლავდა, სამი უცხო კაცის ვალში აგდებდა მხოლოდ, უარესად აკავშირებდა იმათთან; არა, მარტო იმათი ლუკმის — იმათი ბედის მოზიარედაც ხდიდა, თუმცა ისინი გულიანად იცინოდნენ. ერთობოდნენ, თავს იქცევდნენ გაყინულ ხორცთან შეჭიდებული ბავშვის ცქერით და არც აინტერესებდათ, შესძლებდა თუ არა მათი უნებლიე სტუმარი უნებლიე ვალიდან ამოსვლას, აიღებდა თუ არა ამგვარ ვალს, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული. ვალი, რომლის ანაზღაურებასაც წინასწარ არავინ გავალდებულებს, იგივე მოწყალებაა და სიცოცხლეს თუ გინარჩუნებს, სამაგიეროდ, საკუთარი თავის რწმენას გიკარგავს და ყოველნაირი ბრძოლის სურვილს გისპობს. ასე დაემართა გელასაც ერთხელ კიდევ აჯობა ტიდლიანობა ლამის გაჩენის დღიდანვე კოტაბში რომ ედგა და მაინც თავისი გაჰქონდა, როგორც არ უნდა გასძალიანებოდა ეს; მაინც იმას აჩეჩებდა, რისი მოშორებაც უნდოდა და მაინც იმას აცლიდა ხალმე ცხვირწინ, რის შენარჩუნებასაც შეეცდებოდა, რადგან ყოველთვის უშეცდომოდ იცოდა, რა უნდოდა და რა არ უნდოდა გელას, ყველაზე ძალიან რისი მიმატება დაეკნინებდა და რისი დაკარგვა ატკენდა გულს. გელამ თვითმკვლელი მამისგან იცოდა, ძალას ძალით რომ უნდა დაპირისპირებოდა, მოქმედებას — მოქმედებით, მაგრამ მისი ყოველი გაბრძოლება, კიდევ უფრო დაუნდობელსა და კიდევ უფრო ენერგიულს ხდიდა მის მოწინააღმდეგეს. გელაც მხოლოდ იმაში რწმუნდებოდა, აზრი რომ არ ჰქონდა ბრძოლას, წინააღმდეგობის გაწევას და, საერთოდ, დაბადებასაც. რასაც მამის შეგონებების საწინააღმდეგოდ, მამის საქციელიც უდასტურებდა. შეგონებები შეგონებებად რჩებოდა და გელაც ამაოდ ელოდებოდა, რადგან არც მის გარეთ და არც მის სულში არ იხსნებოდა მამისაგან აღთქმული ქვეყანა. ყველა ადამიანისთვის ერთნაირად განკუთვნილი, სადაც იგი, ადამიანი, საბოლოოდ იძენს თურმე, სულიერ სიმშვიდეს, სადაც სამუდამოდ ეუფლება, თურმე, რწმენა საკუთარი თავისა. მისი არსების ყოველი უჯრედი აზრით იტკივრება და მას, ადამიანს, არა თუ შეუძლია ჩაწვდეს იმ აზრს, არამედ დაინახოს კიდეც, როგორც სარკეში საკუთარი გამოსახულება, რადგან ადამიანი, თურმე, თვითონვეა აზრი, ყოველთვის — ჩასახვამდეც, გაჩენამდეც რაღაც მნიშვნელოვან აზრს მოიცავს, თურმე, მაგრამ ვერასოდეს ვერ

ოთარ ჭილაძე
რაკინის თეატრი

ეზიარება იმის სიღიადეს, ვიდრე არ ამოქმედდება, ვიდრე არ დაუპირისპირდება უმეცრებას, გაურკვევლობას, სიბნელეს, რაც, თურმე, არსებობისთვისაა ხელსაყრელი და არა ცხოვრებისთვის, რადგან აღმოჩენილით დაკმაყოფილებასა და არსებულთან შეგუებას გავალდებულებს და არა ახლის აღმოჩენას ანდა არსებულის გარდაქმნას. მაგრამ გელაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, იმ „აღმოჩენილსა“ და „არსებულს“ აირჩევდა დაუფიქრებლად, რითაც მისი სიცოცხლის პირველი წლები გამმორჩეოდნენ და რაც მის არსებას განუმორებელი, დასიზმრებული, ზღაპრული ბედნიერების ბურუსში ხვევდა. მაშინ ყველა დღე ერთნაირად იწყებოდა და ერთნაირად მთავრდებოდა; ყველანი ერთად იყვნენ და არავის მოუვიდოდა აზრად, როდისმე შეუძლებელი, აუტანელი თუ გახდებოდა მათი ერთად ყოფნა. ასე სჯეროდა გელასაც, ვიდრე... ვიდრე წითელი წყლიდან ამოყოფილ ხელებს დაინახავდა და მარტო აღმოჩნდებოდა უხილავი ძალის, იდუმალი ძალაუფლების წინაშე, რამაც ერთფეროვანი და ჩვეულებრივი ბედნიერება, ერთფეროვან და ჩვეულებრივ უბედურებად გადაუქცია. მას მერე, ერთნაირად საშიში და სახიფათო იყო გელასთვის, რაც უნდოდა და რაც არ უნდოდა, რადგან ერთიცა და მეორეც, საწინააღმდეგო უსრულდებოდა ყოველთვის. ცდილობდა, არავისთან არ გამოეთქვა თავისი სურვილი, ნატვრა, ოცნება... გამოეთქვა კი არა, თავსაც არ გამოსტყდომოდა, მაგრამ ეს იმდენად ძნელი შესასრულებელი იყო, იმდენ არაადამიანურ სირთულეებს უკავშირდებოდა, ალბათ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ დათრგუნავდა და დატანჯავდა ისე, როგორც თავად, შეგნებულად, შეუწყნარებლად ითრგუნავდა და იტანჯავდა თავს. მოლოდინად, ყურადღებად ქცეული, საკუთარ არსებაში იყო ჩაყურყუმალავებული, რათა მონადირის მღელვარებით, მოუთმენლობით, ახარეში გადაზრდილი სიშმაგით, სიბრმავით, სისასტიკით — ადგილზეკე ... ბისმეური სურვილი, ნატვრა, ... რომელიც მის არსებაში გაფაჩუნებასა და თავის წამოწევას გაბედავდა. დაშინებული, გაწამებული ხორცი მზად იყო ფარხმალის დასაყრელად, მაგრამ სული ზღვის გადასაცურად, ცაში ასაფრენად აქეზებდა მაინც. სულს მარტო დარჩენისა ეშინოდა; გრძნობდა, სიმარტოვე იგივე ბორკილი რომ იყო, და ყოველგვარ ტკივილს, ყოველგვარ შეურაცხყოფას აიტანდა, ოღონდ ტოლი და მსგავსი ყოლოდა გვერდით. მაგრამ თავად გელა იმდენივე იყო სულისა, რამდენიც ხორცისა, და ამ ორ სტიქიას შორის გაყოფილი, შეუმჩნევლად, საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოდ, გულქვა და გულჩათხრობილი ხდებოდა. თუმცა, რა ფხიზელი მეთვალყურეც არ უნდა ყოფილიყო საკუთარი გრძნობებისა, მაინც ბოლომდე ვერ იმორჩილებდა ცეცხლივით უცებ აბრიალებულ რისხვას, შურისძიების სურვილს, მაგრამ არავის არ ესმოდა მისი, არავინ არ უწვდიდა დახმარების ხელს, — ჟეშმარიტების, სინათლის, სიმართლის გზაზე რომ გამოეყვანა იგი. „რატომ მოიკლა მამაჩემმა თავეო“ — ეკითხებოდა, ევედრებოდა, ეჩხუბებოდა თავისიანებს, მაგრამ რაც თავისიანებისგან ესმოდა, კი არ ეხმარებოდა ამ შეშზარავი საიდუმლოს ამოხსნაში, კიდევ უფრო აბნევდა, თრგუნავდა და აღიზიანებდა. დედა საერთოდ თავს არიდებდა. ბაბუა და ბებია იმაზე სწუხდნენ, ყველას რომ ვერ აფარებდნენ პირზე ხელს, ყველას რომ ვერ აუხსნიდნენ, რამდენად კარგები იყვნენ თვითონ და რამდენად უმადური აღმოჩნდა მათი სიძე, სიკეთის, სიყვარულისა და პატივისცემის წილ, ამოდენა ცოდვა რომ აჰკიდათ ზურგზე. ლიზაც ერთსა და იმავეს გაიძახოდა სულ: მე თავიდანვე ვიცოდი, ეგ კაცი აქ გამჩერებელი რომ არ იყოო. ეს კი გაურკვევ-

ლობის მერხზე იყო დაბმული გულგრილობის თოკით, პირში დუმილის ჩვარი ჰქონდა ჩარჩილი და საცოდავად, ამაზრზენად ზმუოდა, უკვე სამუდამოდ მოწყვეტილი ბავშვობას, შმობლიურ კერას, ნათესაურ გრძნობებს, როგორც მატარებელს — ბოლო ვაგონი, მხოლოდ ქანთიდა რომ მიდის და ქანის დაკარგვის შემდეგ, ტრიალ მინდორში გაჩერებული, თვითონაც ვეღარ გაარკვევს, სადან წამოსული, საით მიდიოდა. თავისი არსებობით, კი არ აკავშირებდა, კიდევ უფრო თიშავდა მკვდარ მამასა და, მამის სიკვდილის შემდეგ, გაუცხოვებულ, გაგარეულებულ დედას, თითქოს იმათ არაფერი ესაქმებოდათ ერთმანეთთან და ამდენად, გელასთანაც. და მართლაც, ვის რაში ჭირდებოდა გელა, თუკი ვერც მამის სიკვდილში შეაღწევდა და ვერც დედის სიმარტოვეში; თუკი მათი გამთიშველი იქნებოდა მხოლოდ და არა მათი განუყოფლობის, ერთიანობის დასტური. ვერც ბათუმში გადასახლებამ უშველა რაზე. ბათუმში ისიც კი არ იცოდნენ, თავი რომ მოეკლა მამამისს. ბათუმში უარესი სიბნელე სუფევდა და იმ სიბნელეში კიდევ უფრო ეკარგებოდნენ ერთმანეთს ისა და დედამისი, კი არ ეკარგებოდნენ, ემალებოდნენ, ერთმანეთისაც და სხვებსაც. მაგრამ აქ უფრო ძნელი ასატანი იყო უმამობაც. აქ არავის არ ენახა იმისი სიკვდილი; ყველას მხოლოდ ცოცხალი ახსოვდა; თანაც ისეთი, როგორიც თავად ვეღარე კი წარმოედგინა. მკაცრად, ბრაზიანად ფიქრობდა მამაზე, აფორიაქებული, შეძრწუნებული ამ უსამართლო სიმკაცრითა და სიბრაზით. მკვდარი მამა ყოველთვის უფრო ეცოდებოდა, ვიდრე უყვარდა, ხოლო ცოცხალი — დღითიდღე შორეული, მიეღწეველი, ძნელად წარმოსადგენი და ძნელად დასაჯერებელი ხდებოდა. დრო სწორედ იმას ავიწყებდა, რაც სიყვარულისთვისაა აუცილებელი: ხმა, ფერი, სურნელი.... გარეგნობის, ხასიათის თუ ქცევის განსაკუთრებულობის დამადასტურებელი ათასი წვრილმანი, ხოლო, — სი წაშლაც არც დროს შეეძლო წითელი წყლიდან ამოყოფილ [illegible] ის მხოლოდ სიბრალულს [illegible] ბადებდა. სიბრალულს, რისხვასა და შიშს, რაც ყველაზე შეურაცხმყოფელი იყო გელასთვის, არ უნდოდა, მშიშარა ყოფილიყო, არადა, სწრეოდ შიში იყო საფუძველი დანარჩენი გრძნობებისა, შიშის გათოშილი წიაღიდან ამოდიოდა მისი სიბრალულიც და მრისხანებაც, ისიც უნაყოფო, როგორც ჭაობის მეკენარე, მხოლოდ და მხოლოდ, ვერაგი, წებოვანი, გაუვალი და დამღუპველი ჭაობის შესანიღბად გამიზნული. „არ მინდა, რომ მშიშარა ვიყო. არ მინდა, არ მინდა". — უყვიროდა გამოხმობილ მამას და ამაოდ ცდილობდა, არ ესუნთქა. იქამდე შეეკავებინა სუნთქვა, სანამ გაიგუდებოდა, თავზე საბანწოფარებული. მაგრამ საამისოდაც არ ვარგოდა: უკანასკნელ წამს მაინც ამოისუნთქავდა ხოლმე და ისევ უბრუნდებოდა სინამდვილეს. ესმოდა, როგორ წკრიალებდა საათი რომელიღაც სულელურ, მხიარულ მელოდიას, ყოველ თხუთმეტ წუთში, გამაღიზიანებელი ერთფეროვნებით, რაც, იმავე დროს, საოცრად შეესაბამებოდა კიდევ მის სასაცილო, უაზრო შფოთვასა და გაწამაწიას. ისეთი ფიქრები უტრიალებდა თავში, ისეთი წვრილმანები ახსენდებოდა, თავის დროზე უურადღების ღირსადაც რომ არ თვლიდა, ვერც კი წარმოიდგენდა, როდისმე თუ გაიხსენებდა ისევ და არა მარტო გაიხსენებდა, მოელვარებითაც დაუწყებდა კვლევასა და კრიკიტს. ახლა თითქმის ყველა სიტყვა ახსოვდა, რაც ოდესმე მისი თანდასწრებით უთქვამს მამისთვის დედას, ბებიას, ბაბუას თუ ლიზას. ახლა სულ სხვა მნიშვნელობა შეეძინათ იმ სიტყვებს, უფრო სწორედ, ახლა იმას ამბობდნენ, რასაც მაშინ გულისხმობდ-

---

ოთარ ჭილაძე
რაინის თეატრი

ხენ და რისი გაგებაც მაშინ არ შეეძლო, თუნდაც იმიტომ, მაშინ მამამისი ცოცხალი რომ იყო და რაც მის გარშემო ხდებოდა, ერთ გაუნუწყვეტელ დღესასწაულს ჰგავდა: მაშხალებით, ყვავილებით, სიმღერითა და ტაშით მოაცილებდნენ მამამისს თეატრიდან და ისიც, შინ შემოსვლისთანავე, აივანზე გამავალ კარს გააღებდა ხოლმე, რათა მისიანებსაც გაეგონათ, რას ყვიროდა ქუჩაში მისი თაყვანისმცემელი ხალხი. ცერებს ვილუტის ვიწრო ჯიბეებში ჩაიწყობდა, თავს გვერდზე გადაადგებდა და ამაყად იღიმებოდა. მაგრამ ის დღესასწაული, უკვე გადავლილი, უკვე გახსენებული, მკვდრეთით აღმდგარი, ახლა უსამართლო და დაუნდობელი ბრძოლის სახეს იღებდა, რომელშიაც თვითონაც მონაწილეობდა უკვე, როგორც მამის ერთადერთი თანამშრახველი, ერთადერთი ჯარისკაცი, ერთადერთი გამგრძელებელი უკვე წაგებული ბრძოლისა, რადგან ისიც არ იცოდა, რა ეკადრებოდა, რის დასაკავად დაეტოვებინა უფროსს ბრძოლის ველზე. ამიტომ ბრაზობდა სწორედ მამაზე, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებიდან გასაქცევი გზა ასწავლა და არა ცხოვრებაში დასარჩენი. თვითონ აქაურობას გაერიდა, შვილი კი პირში შეატოვა ცხოვრებას — მოუმზადებელი, გაუწვრთნელი, და ამიტომაც, ადვილად დასამარცხებელიც. პოლიციმეისტერმა ამის თვალწინ ამოიღო უჯრიდან ქალთა გიმნაზიის გამგის სამკაულები და უსვინდისოდ, უტიფრად მიახალა: აი, რა გიპოვეთ ჩხრეკვისასო. ამას კი, ისევ და ისევ, შიშისმიერი, უნაყოფო რისხვისაგან ისე აებნა თავგზა, სახეში კი არ მიიფურთხა პოლიციმეისტერს, ჯამბაზობას მოპყვა, შიშისა და რისხვის შესანიღბად: რა კაკვირია, ბატონო პოლიციმეისტერო, ჩემი საყვარელი გახლავთო, თან თვალს უჭუტავდა და, ქალთა გიმნაზიის გამგესავით ენის წვერს წარამარა ისვამდა ტუჩებზე. მოსალოდნელმა სასჯელმა კი არ შეაშფოთა, იმის წარმოდგენამ დასცა თავზარი, მართლა ჭურდი რომ ეგონებოდა. ეგ-რომ ადამიანებსაც, რომლებსაც, მამამისის არ იყოს, სიკეთისა და [illegible] ნსახიერებად თვლიდა, [illegible] მამამისის არ იყოს, ჩვეულებრივ მეზობლურ ურთიერთობაზე ბევრად ძლიერი, რთული, ძნელად ასახსნელი და ძნელად დასამორჩილებელი გრძნობა, სურვილი თუ მისწრაფება აკავშირებდა და რომელთა სისუფთავეს, გულკეთილობასა და გულისხმიერებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე დედის ღირსებასა და მამის ხსოვნას. პირველ რიგში, იმათთვის უნდა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა. ამ განზრახვით გამორბოდა ციხიდან, ამის გამო არ ეპუებოდა არაფერს, მაგრამ ბედისწერამ ისევ დასცინა, ისევ საწინააღმდეგოდ აუსრულა სურვილი: სწორედ იმათი სისუფთავის, სიკეთისა და პატიოსნების წამებილწავად აქცია ბოლოს და აღარც თავის მართლების საშუალება დაუტოვა, სადღაც, „უგზოობის ქვეყანაში“ გადაისროლა, საიდანაც ვეღარც უჩინმახინის ქუდი, ვეღარც მფრინავი ხალჩა და ვეღარ ნატვრის ბეჭედი გამოიყენანდა. შეაბიჯა თუ არა ქოხში, მაშინვე მიხვდა, სწორედ ახლა რომ ქონდა საქმე გასაქცევად და გადასარჩენად, მაგრამ ისე იყო ყინწმოწუყვეტილი, გაბითურებული, ვიღაცის გაზინთულ ნაბადში ჩაკარგული, ფეხსაც ვერ მოიცლიდა, გიხდაც ძალით გაეგდოთ აქედან. უცებ ვიღაცამ ხელი წაჰკრა ნიკაპზე, ხელი კი არა — რევოლვერის ტუჩი, და როცა თვალი გაანძილა, მერე მიხვდა, ძილი რომ მორეოდა, სკამზე რომ ჩამოსძინებოდა ბავშვივით. სათვალიანი მისკენ გადმოხრილიყო, ეღიმოდა და ეუბნებოდა: ჩემგან გქონდეს სახსოვრადო. აირწინაღიანი და ბრტყელსახიანი ქოხში აღარ იყენენ. დაბნეულმა მოათვალიერა ქოხი. „გამომართვი, სანამ შემოსულანო“ — ისევ წაჰკრა სათვალიანმა რევოლვერი და ამანაც სასწრაფოდ ჩამოართვა, თითქოს დიდი უბედურება დატრიალდებოდა, იმათ რომ შემოესწროთ

უცემ. „რაკი აიღე, მოიხმარ კიდეეაცო“ — გაიცინა სათვალიანმა და თავის ადგილას დაჯდა. „გავიდნენ თოვლის წასაბილწად“ — თქვა ცოტახნის მერე. „შენოა დარჩი ამ ქვეყნად წაებილწაკი, — თქვა ისევ სათვალიანმ. — მაგრამ შენი დროც მოვა“ — გაადგილა ღიმილით და, რატომღაც, თვალი ჩაუკრა გელას. გელას ძილის მეტი არაფერი არ უნდოდა; თავისთავად ეხუჭებოდა თვალები, მაგრამ სათვალიანის ერიდებოდა და ვაჟაკაცურად უძალიანდებოდა ძილს. „ჩამიძრე სანთელი გვამისა“ — წაიმღერა სათვალიანმა. გელას კანი აებურძგნა, თითქოს გველმა წამოუყო უცემ თავი. ჭრაქის ალი მოელოდნელად გატკაცუნდებოდა ხოლმე. ქოხის ბნელ კუთხეში გაუჩიხარებული ცხვრები შფოთავდნენ. სათვალიანი ისევ გადმოიხარა გელასკენ. სათვალის შუშები უსიამოდ აბრჭყვიალდნენ „რომ იცოდე, როგორი მადლობელი ვიქნები შენი... რომ იცოდე, როგორი მადლობელი ვიქნები შენი“ — დაისისინა, მართლა გველივით დაგრძელებულმა, ასავსავებულმა. გელას ისევ აებურძგნა კანი, მაგრამ სწორედ ამ დროს, ქოხის კარი გაიღო და აირწრიალიანი შემოვიდა. ბრტყელსახიანიც ფეხდაფეხ შემოპარა. „აჰა, ისინიც!“ — შესძახა სათვალიანმა. — თქვენ ხართ მარილი ქვეყნისაო. ვაი, შენდა ქორაწინ და ვაი, შენდა ბეთსაიდა!“ „გეყოფა ამდენი ლაქლაქი. დაეიძინოთ ახლა“. — თქვა აირწინაღიანმა და ჭრაქის ალი მუქში მოიმწყვდია, თითქოს ყვავილზე აფარფატებული პეპელა დაიჭირაო.

იმ დღიდან მოყოლებული, განუწყვეტლივ წუხდა, ადგილს ვერ პოულობდა კედლებგამომპალ კუბოში, სადაც მისი შემფარველი, მისი კუბოს მოზარე ხალხის გარდა, ცხვრებიც ცხოვრობდნენ, ბინძური თოკით გამიჯნულ კუთხეში; მაგრამ ეს სიუცხოვით მოგვრილი წუხილი კი არ იყო, რაც ალბათ უფრო ბუნებრივი და უფრო ადვილად ასატანიც იქნებოდა მისთვის, არამედ ყოველად მოულოდნელი, აუხსნელი აუთვისებელი ერთიანობის, ერთნაირობის შეგრძნებით, რაც ყოველნაირ ყოველსა, აქ დარჩენას ყველაფერს და არა აქედან გაქცევას; უკეთესზე, თუნდაც დაკარგულზე ფიქრით კი არ ატკივებდა თავს, მისთვის იდუმალი ცხოვრების შშფოთვარე სიფხიზლესა და ასევე მშფოთვარე ძილთან შეგვებას უადგილებდა. სხვა ყველაფერი, რაც აქ მოსვლამდე ენახა, გაეგო, განეცადა — თანდათანობით ავიწყდებოდა და უფრო უსაფუძვლოდ, უფრო. უაზროდ ეჩვენებოდა. ვიდრე კედლებგამომპალი ქოხის, ქოხის ბინადრებისა და თავად მისი საკუთარი არსებობა, ღამღამობით თოვლით დაძლეული ტყე ავის მაუწყებლად ეჩვენებოდა. ყოველ წუთას მოსალოდნელი იყო, ერთი დაეკეკქა, კედელივით გამსკდარიყო და ძლივს შეკავებული თოელის ზვავით გადაფლეკა ყველაფერი, ტყის სულივით აყოფილ მგელი

— გაუთავებლად, შეჩაძრწუნებლად — მიესაფრობით, შიშშილით. სიცივით გამწარებული, და ქოხში ჩაბუდებული წყვდიადიც წრიალებდა. წვალობდა. აწუხებდა ცოცხლად გადაყლაპული ცხვრებიცა და ადამიანებიც. ხოლო ის ქვეყანა, საიდანაც ტყვეით გამოდევნეს, აქაურობასთან შედარებით, სამოთხეს ჰგავდა: ისეთივე ბუხდოვანი და ყალბი წარმოდგება ჭკოდა იმ ქვეყანაზე, როგორიც სამოთხეზე. სადაც ყოველ ნაბიჯზე ათასნაირი ყვავილი იფურჩქნება, ათასნაირი ჩიტი გალობს, დაკუნტრუშობენ თიკნები და ბატკნები, და ადამიანებიც (როგორც სათვალიანი იტყოდა) უზრუნველად და უშფოთველად ცხოვრობენ, ვითარცა ანგელოსნი ღმერთისანი: არც შიშშილი აწუხებთ, არც სიმაძღრე, არც შიში და, არც დარდი; არც ქორწინდებიან და არც იყრებიან. ღამეული ზმები უარესად ძაბავდა, უარესად აგანგაშებ-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

და გელას დამფრთხალსა და დაბნეულ არსებას. ერთი ცხადი იყო: აჭრიალებული ტყეც, აყმუვლებული მგელიცა და აფორიაქებული წყდიადიც, რაღაცას, მისთვის ძნელად გასაგებს უფრყვდა. მაგრამ გულიცა და გონებაც ერთნაირად გამოსთქვამდა, ვეღარაფერში ეხმარებოდნენ, ვეღარაფერს კარნახობდნენ. რაც გაოგნებიდან გამოიყვანდა, მახსოვრობას აღუდგენდა, ჭკვიანურს ანდა სულელურ ნაბიჯს გადადგმევინებდა და ისევ დაკავშირებდა იმ კეკეყანასთან, საიდანაც აქ მოხვედრილიყო. ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ქურდათ ჩათვლიდნენ იმ ქვეყნის ბინადრები, თუ სიტყვაზე დაუჯერებდნენ უდანაშაულობასა და კეთილშობილებას. სამი უცხო მამაკაცის მშფოთვარე ძილს, სამი გატყიურებული მამაკაცის სუნს, ერთბაშად და უკვალოდ გამოედევნა მისი არსებიდან ყველაფერი, რაც იქაურობასთან აკავშირებდა, რაც, მაინც-დამაინც, იქ ცხოვრებას აეალდებულებდა, უხდოდა თუ არ უხდოდა, შეეძლო თუ არ შეეძლო თვითონ. აქაური ვალი კი დღითი-დღე იზრდებოდა და მოხარშული ხორცის ნაჭერიც დღითიდღე უფრო შემზარავ ძნიშვნელობას იძენდა. ვიღრე შიმშილის მოკვლა, და უფრო ძმიმე სასჯელსაც იმსახურებდა, ვიდრე ბრიყვი პოლიციმეისტერის გაპამპულება. ველაც განუსჯელად ეფლობოდა ვალში. სხვას ვერაფერს იღონებდა, რადგან ასე უნდოდა ბედისწერას. ღამის გაჩენის დღიდანვე რომ ეთვალწუნებინა იგი: სულ იმის ცდაში რომ იყო, კიდევ რა მოეგონებინა, რითი მოეკლა იმისთვის გული. როგორ წართმია, როგორ მოესპო, რაც გულში ჩაუვარდებოდა, რაზედაც თვალი მიუგდოდა, რისკენაც ხელი გაეკეცოდა იმას, და აი, ამ კედლებგამომპალ ქოხშიც შემოაგდო ბოლოს, როგორც ქარმა ხმელი ფოთოლი.

მაგრამ სამი უცხო მამაკაცის გაუთავებელ კინკლაობას, ცუდად შენიღბულ შიშსა თუ უიმედო მოლოდინს, როგორც არ უნდა გამოეცალოდენ ეგი, როგორც არ უნდა ''ეეეეგებინა ბედთან, ბედისწერასთან, ეეეეგებინა, უნდა დაეჩლუნგებინა [illegible] ჯის, აღქმის, განცდის უნარი — იმ ქვეყანას მაინც ვერ ივიწყებდა ბოლომდე; ელდა ეცემოდა ხოლმე, როცა წარმოიდგენდა, როგორ დაეკებდნენ იქ. როგორ გაიძახოდა მისი მტარვალი: თუ მოკვალი, გვაში სად არის და თუ გამეკქცა, კვალი სად გაქრაო, როგორ იქმუხნიდა დედამისი წარბებს, განგებ როგორ იმაკარებდა სახესა და ხმასა, უნებლიე სისუსტით, უნებლიე ცრემლით, თავი რომ არ დაემცირებინა, მსმენელის კი არა, შვილის წინაშე, მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ და მხოლოდ, მის გასამწარებლად, მის დასაკნინებლად რომ იქცეოდა ასე, „ძაძის ჯავრის ამოსაყრელად" — როგორც მრისხანების ეამს წამოსცდებოდა ხოლმე, შვილის მორიგი „ცელქობით" აღფოთებულს. როგორ უკვირდა ნატოს, აქამდე რომ არ ჩანდა იგი, თუკი ისევ ედგა პირში სული. როგორ არ სკვიროდა, როგორ არ უნდოდა დაეჯერებინა, როდისმე თუ დაივიწყებდა მისი მეგობარი იმას, რაც მათ შორის უკვე მომხდარიყო და რისი მსგავსიც აღარაფერი შეემთხვეოდათ ცხოვრებაში, აღარაფერი დაამდაბლებდათ და აღამაღლებდათ, დააფრთხობდათ და აღაფრთოვანებდათ ასე ერთდროულად, არა იმითომ, თანაგრძნობის, გაგების, ნდობის ღირსად რომ ჩათვალეს ერთმანეთი, არამედ, მართლა რომ არსებობდა, თურმე, თანაგრძნობაც, გაგებაც და ნდობაც და არა მარტო არსებობდა, მართლა შეიძლებოდა იმათი გაღება, გულუხვად, განუსჯელად, განუსაზღვრელად, როგორც თავად გაიღეს ერთმანეთის მიმართ. რამდენადაც იგივე თანაგრძნობა, გაგება და ნდობა, საერთოდ, ცარიელი სიტყვებია, არარაობას წარმოადგენს საპასუხო თანაგრძნობის, გაგებისა და ნდობის გარეშე და. შეიძლება, კი არ იხსნას, უარესად გააკმტვეროს ის, ვისაც საპასუხო თანაგრძნობის, გა-

გებისა და ნდობის გამომჟღავნების უნარი არ აღმოაჩნდება.

მთელი არსებით გრძნობდა, კიდევ ერთი უბედურება რომ იბადებოდა მისთვის და ალბათ უფრო შემზარავი, ვიდრე ყველა დანარჩენი, რადგან მხოლოდ იმ უბედურების გადავლის შემდეგ ეცოდინებოდა — რა თქმა უნდა, თუკი ცოცხალი დარჩებოდა — რას წარმოადგენდა საერთოდ, რისი უფლება ჰქონდა, რას უნდა შეჰგუებოდა და რაზე აეღო ხელი სამუდამოდ. მაგრამ ვერ ამოეხსნა, რა აკავშირებდა ამ უცხო კაცებს მის უბედურებასთან, რატომ გადაედებოდა ხოლმე იმათი მღელვარება, იმათი მოლოდინი ვიღაც „პირძაღლი“ მეგზურისა, რომელიც ვითომ ათგზის უნდა გამოჩენილიყო აქამდე და ათგზის უნდა გადაეყვანა ისინი მთების გადალმა. მართლაც რომ საკვირველი იყო, რადგან კიდევ სადმე თუ შეიძლებოდა აქედან წასვლა, ის, მხოლოდ და მხოლოდ, ციხეში დაბრუნდებოდა, სასჯელს მოიხდიდა და ნატოსთვისაც იცხოვრებდა: სხვა, უკეთესი ქვეყნის არსებობა არც იცოდა და არც აინტერესებდა. თავისი სიმართლის, თავისი უდანაშაულობის დამტკიცება აინტერესებდა მხოლოდ და თუკი როდისმე გააღწევდა აქედან, თუკი სიმართლისა და უდანაშაულობის დასამტკიცებელი გზა, მაინცდამაინც, ციხესა და სასჯელზე გადიოდა, ისიც აუცილებლად იმ გზას დაადგებოდა, რადგან თავიდანვე დაეშვა, და ეს იყო მისი ერთადერთი დანაშაული, სხვა გზას რომ დაუწყო ძებნა, უფრო სწორედ, თავად რომ მოინდომა ახალი, იქამდე არარსებული გზის გაკვალვა. ახლა თვითონაც ზედებოდა, ცუდად რომ მოიქცა, სისულელე რომ ჩაიდინა (თუ პოლიციმეისტერის მოწყობილი არ იყო ესეც), რადგან, ბოლოს და ბოლოს, მთავარი უდანაშაულობაა და არა — უდანაშაულობის დამტკიცება. მით უფრო, მაინცდამაინც, დღეს და არა, დავუშვათ, სამი, ხუთი, ანდა ათის წლის მერე. ასე რომ, თავისივე სისულელის გამო, ახლა ვეღარაფერს შესძლებდა იმას, რაც სამი, ხუთი, ათი წლის მერე, ასე თუ [illegible] კიდევ შესაძლებელი იქნებოდა. აბიტომაც, ისევ აქ ყოფნა ეჩრნა, რაკი იქ არ იყო, სადაც უნდოდა, ანდა იქ წასვლას თუ აიძულებდნენ, სადაც საერთოდ არაფერი ესაქმებოდა. ბოლომდე თვითონაც არ სჯეროდა, სინამდვილეში თუ არსებობდა ეს კედლებგამოშვალი ქოხი და მისი ბინადრები. ჯერჯერობით, უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა. გარდა ამისა, აქედან ამოსვლა იგივე ხელმეორედ დაბადება იყო და ამასაც უნდა მოეთმინა ბოლომდე. უფრო ამტანი, უფრო გამძლე, სიცოცხლისთვის უფრო შესაფერი რომ შობილიყო ხელახლა. პირველი სირთულეები, უცხო გარემოსთან შეგუება რომ ახლავს, უკვე დაეძლია. ქოხის ბინადრებიც უკვე თავისიანად ოვლიდნენ (სათვალიანმა რევოლვერიც კი ანუკა, დაძმობილების ნიშნად), აღარაფერს უმალავდნენ, პირიქით, რაღაცნაირი, ბავშვური სიხარულითაც უყვებოდნენ, თუკი რამე დასაგმობი, დასაკნინებელი, დასაძრახი და დასაცინი იცოდნენ ერთმანეთისა, თითქოს თავიანთი ბნელი ცხოვრების ანგარიშს აბარებდნენ, როგორც ყველაზე სუფთასა და უცოდველს, თუმცა ამას იმდენივე გაეგებოდა იმათი და იმათი ნალაპარაკევისა, რამდენიც — გაბინძურებული თოკით გამიჯნულ კუთხეში მიყუჟული ცხვრების ჰეტელისა, თოვლით დაძლეული ფიჭვნარის ჭრიალისა თუ მგლის ყმუილისა. ისინი კი ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, დასცინოდნენ, ეკინაღავებოდნენ, ექილიკავებოდნენ ერთმანეთს, თითქოს გრძნობდნენ, მოსასწრებად რომ ჰქონდათ საქმე და ლტოლვილთა ფაცაფუცით, ლტოლვილთა დაუდევრობით იბერტყავდნენ გულებს. მაგრამ ველა მაინც ამაოდ ძაბავდა სმენასა და ყურადღებას, ვერ გრძნობ-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

და იმათ სატკივარს, თვითონვე რომ ებიბრუებდნენ და ამასხარავებდნენ ერთმანეთის ჯიბრით. ვერ ამოეცნო, რას მოეყვანა ისინი ამ კედლებგამომპალ ქოხში და რას მიელტვოდნენ მოუბის გადაღმა, თუკი, როგორც თვითონვე აღმბობდნენ, მათი ერთ ნავში ყოფნა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც თბილისა, ოხისა და მგლისა. ეკითხა მოყვანილი ბავშვივით, მოთმინებით ისმენდა გაუთავებელ ამბავებს. განძრევაც ერიდებოდა, რადგან გრძნობდა, ყველაფერზე მეტად, მსმენელი რომ ჭირდებოდათ ახლა მის მასპინძლებს, უცხო, გარეშე და, რაც მთავარია, არა მათი მსგავსი ადამიანი ჭირდებოდათ, ოათა იმის სახეზე ამოეკითხათ, რანაირ გრძნობებს აღძრავდა მათ მიმართ მათივე ნალაპარაკევი, რას იმსახურებდნენ წარსულისთვის, მხოლოდ დაგმობას, შეჩვენებას, ზიზღსა და სიძულვილს, თუ თანაგრძნობასაც და სიბრალულსაც. „შენ რა, მართლა „ოხრანკა“ ხომ არა ხარ, სულ რომ ჩვენ გვალაპარაკებო“ — შეუძახებდნენ ხოლმე ხუმრობით. თავს იქცევდნენ უცხო ბავშვთან ლაყბობით, ვითომ მართლა ის უცხო ბავშვი აიძულებდათ სულის გაშიშვლებას და არა აღსარების, მონანიების დაუოკებელი ენი, განწირულთა ერთადერთი სიამოვნება, ერთადერთი შეღავათი, აღსასრულის მაუწყებელი მერცხალი. მაგრამ გელა ამდენს ვერ ხვდებოდა. საკუთარი მიუხვედრელობა აღიზიანებდა, რადგან პერანგის ქვეშ, შარვალში გაჩრილ რევოლვერს გრძნობდა სულ და თუმცა ბოლომდე არ სჯეროდა, მართლა მისი რომ იყო იგი, მაინც მეტი ცოდნის გამომჟღავნება მოეთხოვებოდა კაცურ საქმეებში. ისიც უკვე კაცი იყო, რაკი იარაღი ჰქონდა, და იმასაც კაცივით უნდა დაეჭირა თავი, თუნდაც დროებით, ვიდრე უკანვე წაართმევდნენ ნაჩუქარს, თუკი, უბრალოდ, ატყუებდნენ, აბრიყვებდნენ, უფრო დამჯერი და მომთმენი რომ ყოფილიყო იგი, ვიდრე თავიდან მოიშორებდნენ, ანდა თან წაიყოლებდნენ მთების გადაღმა. და ისიც ცდილობდა, დაეძლია, ჩაეკლა, უკვე ყოველად გამამაცებელი სიმორცხვისა და [illegible] გრძნობა, დაცინვაზე დაცინვით ეპასუხა. გინებაზე — გინებით, რაც კი არ ჭყინდა, კიდევ უფრო ამხიარულებდა მის მასპინძლებს და რაც, მაინცდამაინც, არ სიამოვნებდა თვითონ. მაგრამ ახლა შიშველი მუცლით იარაღის სასიამოვნოდ ამაფორიაქებელ სიცივეს გრძნობდა და მთვრალივით აღგზნებული, აღარაკი უკვირდებოდა, რას ლაპარაკობდა, როცა მისი მთავარი, ჭეშმარიტი ბუნება, დაეშეკებული, უკვე რაღაცას მიხვედრილი — შფოთავდა, ოფლში იწურებოდა, არ სჯეროდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, შემთხვევითი, დროებითი, არაბუნებრივი გზით შობილი სითამამე, უტიფრობა და აღტკინება თუ გადასძლევდა, დაჯაბნიდა, დაამხობდა. მაგრამ, ჯერჯერობით, დამარცხებულად უნდა ჩაეთვალა თავი, თავი უნდა მოემკვდარუნებინა, გვერდზე გამდგარიყო, დამალულიყო, საერთოდ რომ არ გამჭრალიყო ამ უთანასწორო ბრძოლაში, რადგან ნაჩუქარმა რევოლვერმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ბუნებას დაუპირისპირა გელა, როგორც მოსისხლე მტერს, დამაკნინებელს, დამთრგუნველს, მისი ოცნებებისა და მისწრაფებების სატუსაღოს; და აი, ბოლოს და ბოლოს, გარედან მოვლენილი ძალის მეშვეობით, ტლანქად, დაუდევრად იმორჩილებდა და იმონებდა საკუთარ არსებას; დაუნანებლად, დაუფიქრებლად სპობდა ყველაფერს, რაც კი რამე შერჩენოდა თავისი, განსაკუთრებული, გამომრჩეველი, წმინდა და სათუთი, რითაც კედლებგამომპალი ქოხის ბინადრებისაგან განსხვავდებოდა და რისი მაგალითის შემდეგაც, თავადაც იმათნაირი გახდებოდა. და მართლაც, ისე იყო დაბრმავებული, ისე მაცდუნებლად აკრთობდა რევოლვერის მიმზიდველი სიცივე და სიმძიმე, სხვა აღარაფერი აღარ უნდოდა, ოღონდ სათვალიანის,

აირწინაღიანისა და ბრტყელსახიანის მსგავსი, ღირსი, თანაბარი ყოფილიყო; აღარაფერი აღარ აინტერესებდა ისე, როგორც იმათი ასავალ-დასავალი. თუმცა, როგორც არ უნდა მოეწდომებინა, ბევრი არაფერი გაეგებოდა არც მოსესი და არც იესოსი; არც ქალების მკურნალობისა და არც ჩონჩხით ეაჯრობისა. ვიღაც მოსეს თავისი ხალხი სულ კინწისკვრით დაუფრენია ეგვიპტიდან: მირჩევნია, საერთოდ არ მყავდეთ, ვიდრე სხვას ემატებოდეთ სათვალავშო. იესოს კი, მოსეს გამოცალკევებული ფარა ისევ სხვა ფარებში შეურევია: სხვას თუ სათვალავში მიემატებით, იმის ძალა და გავლენა თქვენ მოგემატებათო. „აი, კაცობრიობის მთელი ისტორია. ამ ორ ჯზაზე დაძრწის იგი, წინ და უკან. ან შოვინიზმი, ან კოსმოპოლიტიზმი. თუმცა, მეტს არც იმსახურებს, რადგან ადამიანი ბუნების გვირგვინი კი არ არის, როგორც თავად ადამიანს მიაჩნია, არამედ ყველაზე დიდი სენი ბუნებისა, და იმიტომ კი არ შეჰქმნა ღმერთმა იგი ლოკოკინას, მორიელის ანდა ბაყაყის მერე, სიცოცხლის საუკეთესო მოდელს რომ მიაკვლია, ბოლოს და ბოლოს, არამედ, იმის მეშვეობით, თავისი ნამოღვაწარის გამძლეობა რომ შეემოწმებინა, რადგან წარღვნა, ქარიშხალი, მიწისძვრა თუ ხანძარი — მოგონილია ადამიანთან, რამდენადაც ისინი ბუნებისთვის აუცილებელი, სწრაფწარმავალი რევოლუციებია და, მხოლოდ და მხოლოდ, ბუნების აღზევებას ემსახურებიან, ხოლო ადამიანი ის მეთოდური, განუწყვეტელი და შეუვალი სიბრიყვეა, რომელიც გაჩენისთანავე იმ ტოტს სჭრის, რომელზედაც ზისო“ — ამბობდა სათვალიანი. „აბა, მე — შენს მოსესაც და იესოსაც — ერთი კარგად ჩაკურტუმებული დედაკაცი მირჩევნია, გინდაც ფეხშიშველი დაშლაპუნჭიდეს ტალახშია; ამძუნებული დედაკაცის ბიქგები წარმართავს კაცობრიობას და არა რელიგიური, ფილოსოფიური თუ პოლიტიკური ტრაქტატებიო“ — იცინოდა აირწინაღიანი და სინანულით იგონებდა იმ დროს, როცა მისი სახელი [illegible] ყანაზე ქუხდა, როცა მის [illegible] რიდა თავს და მოწიწებით ისოქებდა მისი ყოვლისშემძლე წამლის წინაშე. თუკი სადმე ჭკუასუსტი, მახინჯი, ქვრივი, ქმრგანაშვები და საყვარლის ათვალწუნებული ქალი იყო. ზოგი დაჭკვიანებას თხოვდა, ზოგი გალამაზებას, ზოგი მკვდარი ქმრის გაცოცხლებას, ზოგი გაგარეულებული ქმრის სიკვდილსა თუ საყვარლის მორჯულებას. და ისიც ყველას განურჩევლად მკურნალობდა. ერთს, მართლა სულელს, მართლა ბატისტივინას, თირკმლის წამალი უთხოვია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც მოურჩენია, თირკმელიც დაუვიწყებია და თავიც. „იმას რატომ არ ყვება, უპატრონო ბავშვს მამაში როგორ შეეშალეო“ — ეძახდა სათვალიანი და თან სათვალეზე ივლებდა ხელს, რადგან როცა მისი ლაპარაკი ბეზრდებოდათ ან არ მოსწონდათ, სათვალეს ართმევდნენ ხოლმე; უსათვალოდ საძოგობას კარგავდა და იძულებული ხდებოდა, დამცხრალიყო. „იცოდე, შენც არაფერი შეგეშალოსო“ — თითს უქნევდა აირწინაღიანი, მშვიდი, მომღიმარი, მაგრამ გული უნებურად იძაბებოდა, როგორც ჩხუბის წინ. გრძნობდა, ხედავდა მისი მასპინძლების მოჩვენებით გულგრილობას, არხეინობას და იმასაც გრძნობდა, მის მასპინძლებს, საერთო ბედზე მეტად, ერთმანეთის სიძულვილი რომ უნარჩუნებდათ, უძლიერებდათ სიცოცხლის, გადარჩენის სურვილს, ვინს... და ამ სიძულვილის გახანგრძლივებას რომ ცდილობდნენ მხოლოდ, როცა წამქეზებელი, ლამის მადლიერი ღიმილითაც ეპასუხებოდნენ ნებისმიერ დაცინვას, უხამსობას, რისთვისაც დაუფიქრებლად შეაკვდებოდნენ ალბათ ერთმანეთს სხვა დროსა და სხვა გარემოში. მესამე, ბრტყელსახიანი, ქურდობას

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

თელიდა თავის ერთადერთ ხელობად, თავის სამქმედ, და „ყამათში“ არ ერეოდა, შორს იდგა „პოლიტიკისგან“; იმას სხვა, განსაკუთრებული ანგარიშები ჰქონდა სახელმწიფოსთან და მხოლოდ ის ხეთქავდა გულზე, ვაჟკაცურად გატაცებულს, უკანვე რომ ადებინებდა სახელმწიფო; იმის მაგივრად, წელში მაინც რომ გაეყვანა, ისევ ციხეში უკრავდა ხელმე თავს, სადაც მისი ნიჭი და უნარი უქმად ცდებოდა; იმას კი ცოლი ყავდა შესანახი და ბავშვები გზაზე დასაყენებელი. ფული კი არ უყვარდა, ჭირდებოდა. ისიც არ იცოდა, რა ეწერა ზედ, მაგრამ თვალს თუ მოკრავდა, ანდა სუნს აიღებდა, მერე ვეღარაფერი შეაკავებდა. ერთხელ, გამომძიებლის ოთახიდანაც გაქცეულა, რადგან სწორედ იმ დროს, ქუჩაში ბანკის ოთხთვალას ჩაუვლია. განა, მწყემსებისა და ქოფაკების შიშით, მგელი პირკვარს გადაიწერს ფარეხის დანახვაზე? ისიც თავისებური მგელი იყო, არსებობისთვის იბრძოდა და, მგლისა არ იყოს, არც იმას ჰქონდა სხვა გზა; წინასწარ იცოდა, რაც ელოდებოდა ქურდობისთვის, მაგრამ მაინც ყველაფერზე მიდიოდა, კაცი რომ რქმეოდა, ცოლი რომ არ გაბოზებოდა, შვილი რომ არ ჩავარდნოდა ქუჩაში. მთელი სიცოცხლე დანის პირზე დაძონძილებდა და სულს იქით მაინც არაფერი ებადა. საკუთარი ჩონჩხიც კი გაეყიდა, თუმცა, ერთადერთი, რაც კიდევ აკავშირებდა იმ ქვეყანასთან, რაც ადამიანურ სევდასა და ადამიანურ სიამაყეს უჩენდა, ისევ გაყიდული ჩონჩხი იყო, რომელსაც მისი გულუბრყვილო, მაგრამ გამაადამიანებელი რწმენით, როდისმე სკოლაში დადგამდნენ, ძეგლივით, მაინცდამაინც, სკოლაში საიდანაც მგლის ბილეთით იყო თვითონ გამოძევებული და სადაც, მომავალში, მისთვის უცნობი ათასი ბავშვი, ძალაუნებურად სულ მის ხსენებაში იქნებოდა: ამ ხვრელში ძია დომენტის თვალი იყო (დომენტი ერქვა), აქ — ძია დომენტის ენა, აქ — ძია დომენტის გული, აქ — ძია დომენტის ჭიპი, აქ კი — ძია დომენტის საობრიო. თვითონაც ასეთი [illegible] და, მაგრამ სწამდა, [illegible] მოხდებოდა; სადაც არ უნდა მომკვდარიყო, სახელმწიფო მაინც მოიკითხავდა იმის ძვლებს, რაკი ფული წინასწარვე ჰქონდა გადახდილი; ხოლო ათასი ძანეთი, სახელმწიფოსთვისაც კი, საშოვნელადაა ძნელი და არა გადასაყრელად. სხვა არაფერი ედარდებოდა, არც დანაშაული და არც სასჯელი, იმაზე სწუხდა მხოლოდ, გარემოების გამო, პირნათლად რომ ვერ ასრულებდა მგლის მოვალეობას, რისთვისაც, მისი მეგობრების თქმით, სასჯელს კი არა, ჯილდოს იმსახურებდა მხოლოდ, სამართალი რომ ყოფილიყო, რადგან ცხოვრებისთვისაც ისევე აუცილებელია მგელი, როგორც ბუნებისთვის, თუნდაც იმიტომ, ბატონი ირემი რომ არ დაუძლურდეს, არ დაბეჩავდეს, და, ბოლოს და ბოლოს, წინა ფეხების ჩამოწყობაც არ დაეზაროს ქალბატონი ირმის გავაზე. და ასე, ნაძალადევი ხახა-ხათი, ხი-ხი-ხითი და ხო-ხო-ხოთი მალავდნენ ერთმანეთის სიძულვილს, ებრძოდნენ სიკვდილის შიშს, ციოლებდნენ გარდაუვალი აღსასრულის მოლოდინს — ერთ ბედქვეშ მყოფი წიგნის ჭია, მიწიერ სიამეთა ტრფიალი და მგელი, ჩვეულებრივი მგელი, რომელიც ხანდახან „ქვემეხის“ მოვალეობასაც ასრულებდა, როცა საჰმელი მეტი მოუვდოდათ და მოწყენილობისგან აღარ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ. „რაც იყოს იყოს, ერთხელაც დავაქუხოთ ჩვენი სულების მოსახსენებლადო“ — იტყოდა აირწინაღიანი და შარვალჩახდილი, მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი ბრტყელსახიანიც ისეთი ხმით უშვებდა გაზს, მართლა ქვემეხი გეგონებოდათ. აირწინაღიანი გვერდით ედგა, ბრძოლით აღგზნებულ მეზარბაზნესავით, და ჯურღმულიდან თავდაღწეულ გაზს ანთებულ კვარს ახვევდრებდა. გაზიც ერთბაშად ინთებოდა და შეხილით, გრუხუნით, ღეღეფის ფრქვევით მიჰქროდა ჭერისკენ. „ერთიც! ერთიც!

ერთიც!" — ყვიროდნენ „მაყურებლები", ჭოხს კი გრიალი გაუდიოდა.

ასე გადიოდა დრო. საღამოობით კაცალში ჩაუდგებოდნენ ერთმანეთს და ქოხის ირგვლივ დადიოდნენ, მუხლი რომ გაეშალათ, სუფთა ჰაერი რომ ჩაესუნთქათ ძილის წინ. „მეტი კი არაფერია ციხეო" — იძახდა ბრტყელსახიანი. ტყიდან ბოლქვა-ბოლქვა გამოდიოდა ნისლი—თითქოს ტყეში ნეშოს სწვავდნენ — და კიდევ ერთი დღე ითქვიფებოდა მოლოდინის, იმედის, გაურკვევლობის, არარაობის ბურუსში. მერე ბინძურ, აქოთებულ ტყავებზე მიეყრებოდნენ და ახლა ძილში აგრძელებდნენ ლაპარაკს, კამათს, კინკლაობას, წყევლასა და ვედრებას. გელა თვალდაჭყეტილი იწვა სიბნელეში და სუნთქვაშეკრული, თავგამოცარიელებული უსმენდა, როგორ სლუკუნებდა, როგორ წრიალებდა, როგორ იწურებოდა შიშით მისი არსება. ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია, არ აპყოლოდა, თავი არ გაეყადრებინა საკუთარი არსებისთვის. ნაჩუქარი რევოლვერის მომწუსხველ სიმძიმეს, სასიამოვნოდ შემაშფოთებელ სიცივეს იყო ჩაფრენილი, საკუთარ არსებაზე რომ ამაღლებულიყო როგორმე. აღტაცებული, აგანგაშებული შესაქცერად ვიწრო, ამოშავებულ თვალში, საიდანაც ყოველ წუთას შეიძლებოდა გამოვარდნილიყო სიკვდილი, თუკი უდიერად მოეპყრობოდი, დაივიწყებდი, რა მკაცრი და დაუნდობელი იყო ეს ვითომ უსულო, უგრძნობელი სავანი, რომელსაც ერთ წამში შეეძლო დაესვა წერტილი ნებისმიერი გაურკვევლობისთვის. ეჭვისთვის, შიშისთვის, ყოყმანისთვის, და რომლისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვის დაუფრთხობდა ძილს, ვის დაეძგერებოდა გაღვიძებისთანავე. სამაგიეროდ, ყურადღებისა და პატივისცემის წილ, სხვა ვერაკინ გაგიწევდა უფრო ერთგულ, უფრო საიმედო მეგობრობას: სხვა ვერაკინ და ვერაფერი განგაცდევინებდა ასეთ სასიამოვნო ძრწოლვას, ამგვარად ამმაღლებელი, ამგვარად გამაამაყებელი ბინისა და მოკრძალების ბაგა. მთლად ასეთი თუ არა, მსგავსი შეგრძნება, მხოლოდ მამის სიახლოვეს განეცადა გელას, ისიც ოდესღაც, და ახლა, იარაღისა და მამის ეს უცნაური, მოულოდნელი მსგავსება, ერთდროულად ბავშვობაშიც აბრუნებდა და ბავშვობიდანაც აძევებდა სამუდამოდ. ის, რაც მარტო მამამ ვერ შესძლო, ახ რაც მამამ დაიწყო და ვერ მოასწრო, იარაღმა დაამთავრა. აი, რას ნიშნავდა გელასთვის ნაჩუქარი რევოლვერი — უმამობით გაჩენილი სიკაცრიელის ამოკსებას! რკინის სიცივე და სიმძიმე ეფარებოდა სულში, ისევე დამაიმედებლად, როგორც ოდესღაც მამის უხეში და ღონიერი ხელის სითბო; და როგორც ოდესღაც, მამის სიახლოვეს, ახლაც ერთი სული ჭქონდა, როდის ჩაიდენდა ისეთ რამეს, ყველა რომ გაეოცებინა, თავისი საჩრიანობით, მოხერხებულობით, სიმარდითა და გულადობით. ირგვლივ კი არაფერი იცქცოდა. ისევ მოულოდნელად გაიკრიალებდა ხოლმე ფიქვნარი, როგორც ფელი, ნაპირს მიბმული ხომალდი; ისევ ყმუოდა მგელი; ისევ შფოთავდნენ ქოხის კუთხეში მიყუჟული ცხვრები; ხოლო გელა — ორი, უკიდურესად განსხვავებული ქვეყნის საზღვარზე იდგა: ბავშვობისა და კაცობისა. ბავშვობა უკვე გამოველო, კაცობას კი ახლა უნდა შესდგომოდა მხოლოდ: ამიტომ, თანაბრად ძნელი იყო იმ ერთი — როგორც ბავშვობისთვის უკანასკნელი, ისევე კაცობისთვის პირველი ნაბიჯის გადადგმა: არადა, აუცილებლად უნდა გადადგდა ეს ნაბიჯი, რადგან მერე გაარკვევდა საბოლოოდ, ღირსი იქნებოდა და გადარჩენისა თუ მაღლი იქნებოდა მისი დაღუპვა. რევოლვერი აიძულებდა ამ ნაბიჯის გადადგმას: რევოლვერი კი არა, მკვდარი მამა, რკინის მეშვეობით, ხელმეორედ შეცნობილი, არარა-

---

რკინის თეატრი
ოთარ ჭილაძე

ობიდან გაძოწეული სული მაძისა, რომელიც თავისი ბუნების, დინჯსულ-ლებისა და მოწოდების გამო, არ შეიძ-ლებოდა, არ ყოფილიყო რკინასავით მტკიცე, ჭაცური და პირდაპირი, თუნდაც ლედისაგან განსხვავებით, რადგან დედა ბორჩილების, მოთმენის, გაძლების, მიტევების ამბავებულ რძეს აწოვებდა აქამდე, მამა კი — მოქმედების, თუნ-დაც წინასწარ განწირულის, მაგრამ მაინც მოქმედების, ამბოხის, ბრძოლის მაგალითს აძლევდა. მაგრამ მაგალითი, მიბაძვას, განმეორებას კი არ ავალდე-ბულებდა, არამედ — მესამე, საკუთა-რი გზის ძიებას, რადგან მისმა მშობ-ლებმა, დედამაც და მამამაც, თავიანთი გზა იცოდნენ მხოლოდ, ისე ცხოვრობდ-ნენ, როგორც ის გზა აიძულებდათ, რო-გორც იმ გზას შეეფერებოდა, ხოლო ვიღაცას, თუნდაც მშობლის მიერ ერთ-ხელ უკვე გახვლილ გზას, ძალიანაც რომ მონდომოს, ძალაც რომ მოსდევდეს საამისოდ, ვეღარავინ გაივლის ხელმეო-რედ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ამქვეყნიდან ყველა თავის გზია-ნად რომ ქრება. ერთსა და იმავე გზა-ზე მარტო პატიძრები დადიან ცოხის ეზოში! გელამაც ერთი რაძე იცოდა მხოლოდ საფუძვლიანად, უფრო სწო-რედ, მთელი სხეულითა გრძნობდა, მის დღეში ჩავარდნილ კაცს, ოცნება-ზე მეტად, რკინა რომ ჭირდებოდა, დედაზე მეტად — მამა, რათა საკუთარი სიპატარავე, უმწეობა, უმეცრება ჭიუ-ტად კი არ დაეცვა — მნიშვნელოვანი გაეხადა, თავისთვის მაინც: იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ვინც არ უნდა გა-ეხადა თავისი ცხოვრების მაგალითად, მაინც გელად დარჩებოდა ბოლომდე. და აი, ისიც მადლიერების გრძნობით იხუტებდა გულში შავად მბზინავ რკი-ნას, შიშითა და მოწიწებით კოცნიდა, ცივსა და მძიმეს, როგორც მკვდარი მამის ხელს. გარეთ კი ტყე ჭრიალებ-და, მგელი ყმუოდა, ბნელ კუთხეში მიყუჟული ცხვრები ფაჩუნობდნენ. ხოლო ტყის ჭრიალით, მგლის ყმუილი-თა და ცხვრების ფაჩუნით უარესად გაიდუმალებულ წყვდიადში სამ ოტოლ-�eil სულს ეძინა, მეორეს — ... რებით. რიგრიგობით, ... წამოჯდებოდნენ ხოლმე, ჩაწითლებუ-ლი, ამღვრეული თვალებით მიაჩერდ-ებოდნენ გელას და ისევ მკვდრებივით მიეკრებოდნენ ბინძურ, გაფშეკილ ტყა-ვებზე. გელამ უკვე იცოდა, წიგნები რომ ეწყო აირწინაღის ჩახთაში, თანაც მის-თვისაც ნაცნობი წიგნები: „სამი მუშ-კეტერი“, „ქალბატონი ბოვარი“ და „როსკიპი“ — მაგრამ მაინც საშიში, მაინც შემაწუხებელი იყო ამ სამი უც-ხო კაცის ძილი. ხან ერთს დაუმზნე-და რევოლვერს, ხან მეორესა და ხან მესამეს, მაგრამ იმიტომ კი არა, მათი მოკვლა რომ უნდოდა, ანდა შეეძლო, არამედ — სიუცხოვის გრძნობა რომ მოეშორებინა სამუდამოდ, სანამ იმათ ეძინათ, უფრო დაახლოებოდა, უფრო გაშინაურებოდა იმათაც და რევოლვერ-საც. ისინი კი ძველებურად კვნესოდ-ნენ, ოხრავდნენ, ყვიროდნენ, იცინოდ-ნენ, ტიროდნენ: დაღებული პირები-დან დორბლი და ლორწო ჩამოსდიოდ-დათ; ოფლი ეყარათ წამოჭარხლებულ სახეებზე; საყელოები ახრობოდათ; მოჩაჩული, უხეში ტანსაცმელი აწუ-ხებდათ და ისევ კვნესოდნენ, ოხრავდ-ნენ, ყვიროდნენ, იცინოდნენ, ტიროდ-ნენ. იქნება, მადლიც ყოფილიყო, მართ-ლა რომ ამოეხოცა ისინი თავიანთ ლაჩ-რულ, შემზარავ სიზმრებში, მაგრამ საამისოდ ზედმეტად უცხოები იყვნენ ისინი; კი აფრთხობდნენ, კი აწუხებდნენ, მაგრამ მაინც გულგარეთ იყვნენ და, ამიტომაც, არც მათი მოკვლის უფლე-ბა ჰქონდა. თანაც დავალებულად თვლიდა თავს იმათგან, ვერ იშორებ-და, ვერ ივიწყებდა მოხარშული ხორ-ცის გემოს, გაზეთის სველი ნაკუწებია-ნად რომ შეჭამა მათი შეხვედრის პირ-ველ დღეს. გალურსული, გაოცებული ათვალიერებდა მისთვის ბოლომდე უც-ხოდ დარჩენილ სახეებს, ცარიელი ბოთლებივით რომ ტივტივებდნენ აშ-მორებული წყვდიადის ზვირთებში. მაგრამ ყველაზე უცხო, ყველაზე ზედ-

მეტი, ყველაზე შეუფერებელი ამ გარემოსთვის, მაინც თვითონ გამოდიოდა, ეს მისი წყვდიადი არ იყო და არცკი გაუკვირდებოდა, რომელიმე *მთვანეს, ან სამივეს ერთდროულად,* მორიგი წამიერი გამოფხიზლებისას, ვეღარ ეცნო იგი, კინწისკვრით გაეგდო, ყურით გაეთრია აქედან, ანდა სულაც მოეკლა. არც ეს იყო გამორიცხული. მაგრამ იმის მაგივრად, იმათი ძილით რომ ესარგებლა, თავქუდმოგლეჯილი გასცლოდა აქაურობას, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაბრუნებულიყო თავის საკუთარ წყვდიადში — სუნთქვაშეკრული იწვა და ელოდებოდა, მოუთმენლად, მღელვარებით, გაგაგეთ, იმედით... თუმცა, წესიერად არც იცოდა, რას ელოდებოდა. ახლა უკვე მტკიცედ იცოდა, უფრო ადრე რომ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, ვიდრე „უგზოობის ქვეყანაში“ მოხვდებოდა; ვიდრე ციხის საზღვრებს გამოსცდებოდა; უფრო ადრე, ვიდრე საკანიდან ამ განზრახვით გამოვიდოდა; ვიდრე ეზოს გადასჭრიდა; ვიდრე — მუხლებაკანკალებული, გულაფრიალებული — გალავნამდე მიაღწევდა; ვიდრე გალავანში ჩატანებული ფეხსადგილის მოყანყალებულ კარს კატასავით შეახტებოდა, იქიდან სახურავზე ამჯრებოდა, წელში მოკუზული გადირბენდა სახურავს და, თვალდახუჭული, ალაბედზე გადაეშვებოდა თავისუფლების წყვდიადში, სადაც, ვითომ, ნატო უნდა დახვედროდა, როგორც სხვენის აშმორებულ, მტვრიან, აბლაბუდებით გასქელებულ ბინდბუნდში ხედებოდა ხოლმე მერე, პირზე ხელფარებული, აფხუკუნებული, დამფრთხალი და აღტაცებული საკუთარი გამბედაობით, მათი საერთო საიდუმლოთი.

ყოველ ღამე ხედავდა ასეთ ნატოს. ყოველ ღამე მოულოდნელად გამოიკვეთებოდა ხოლმე ნატოს ბაფთებიანი კაბის სითეთრე, აბლაბუდის ნაკუწებით მოფენილი ნატოს თავი, ნატოს მკლავები. ყოველ ღამე სცემდა მისი თბილი, გაყუჩებული სხეულის სუნი, მიმზიდველი, ამაფორიაქებელი, მამშვიდებელი ერთდროულად, გამთანშეელიცა და მათი დამაკავშირებელიც. არა მარტო ესმოდა, ხედავდა კიდეც, როგორ ფეთქავდა ნატოს გული. თითქოს ღამესაც ნატოს გული ჩაედგა და საათივით განუწყვეტლივ ახსენებდა, დრო რომ გადიოდა, ყოველი მომდევნო წამი კიდევ უფრო შორეულს, კიდევ უფრო მიუღწეველს რომ ხდიდა იმისთვის ნატოს. ერთი წლის მერე ნატოს, შეიძლება, ვეღარც ეცნო, ანდა ალარ გაეყადრებინა თავი ვიღაც ნაცოხარი ბიჭისთვის; რაც მთავარია, ალარ დაეჯერებინა, ალარ დაინტერესებულიყო, უდანაშაულო რომ იყო იგი. ნატოს გულივით გაუდიოდა ბაგაბუგი ღამეს, მაგრამ გელამ ჯერ არ იცოდა, ნატო რომ უყვარდა, თუმცა მხოლოდ ნატოზე ფიქრობდა, ნატოზე წუხდა, ნატო ედგა თვალწინ — ნეტავი, როგორ არის, ნეტავი, რას ამბობს ჩემზეო. ძლივს შეიკავა თავი, ძლივს დააჭირა ენას კბილი, დედისთვის რომ არ ეკითხა, როცა იმან, გამთხოვებისას, შუბლზე აკოცა და უთხრა: შეიძლება, კარგიც იყოს, ასე რომ მიხდაო: ერთ წელიწადში ბევრ რამეს მიხვდები, ბევრ რამეზე აგეხილება თვალი და უკვე კაცი დაბრუნდებიო. „ხო. ხო. ხო“. — იმეორებდა ყეყეჩივით — გაღიზიანებული, გაბრაზებული, დაბნეული, დარცხვენილი, რადგან სრულებითაც არ ადარდებდა დედა; არც თავისი თავი; ნატოს დაკარგვისა ეშინოდა; გრძნობდა, უკვე რომ დაეკარგა, ისევე რომ არ არსებობდა ნატოსთვის, როგორც ბათუმში ჩამოსვლამდე. დედა ერთი წლის მერეც დედა იქნებოდა, ნატო კი, ერთი წლის მერე, სხვა ნატო იქნებოდა. შეიძლებოდა, საერთოდ ვეღარ ეხახა ნატო, მშობლებს წაეყვანათ აქედან, გაერიდებინათ, გადაკარგულიყვნენ სახლიანად, ბალიანად. ყველაფერი შეიძლე-

ბოდა მომხდარიყო ერთ წელიწადში. ერთ წელიწადში ის უკვე კაცი დაბრუნდებოდა, როგორც დედამ უთხრა, ბევრ რამეს მიხვდებოდა, ბევრ რამეზე ეიხილებოდა თვალი და, ძალაუნებურად, ნატოსაც ისევე უნდა გამოთხოვებოდა სამუდამოდ, როგორც ბავშვობას. საითაც არ უნდა გადაბრუნებულიყო, ჩაუდენელი დანაშაულის სარეცელზე გაშოტილი, ნატო შემოხედავდა ხოლმე გოოცებული, გამწყრალი თვალებით, და ისიც შფოთავდა, წრიალებდა, სიცოცხლით გაფუებული, აღმოსაცენებლად გამზადებული, როგორც თესლი — ხნულში. ნატოზე ფიქრი უღვივებდა სიცოცხლის ენერგიას და სუფთილს. მაგრამ ნატომ სიმართლე არ იცოდა. უფრო სწორედ, არ იცოდა და არც აინტერესებდა, ვის აძლევდა სიცოცხლეს, ვის აქეზებდა სასიცოცხლოდ. ეს უნდა მისულიყო ნატოსთან და, რაც შეიძლება მალე, სასჯელის მოხდამდე, სანამ სიმართლე აზრსა და ინმენენლობას დაკარგავდა და აღარაფრის გამოსწორება აღარ შეეძლებოდა. ვალდებული იყო, ასე მოქცეულიყო. სხვას რომ თავი გავანებთო, ნატო რომ არ ყოფილიყო, ამისთვისაც სულერთი იქნებოდა: მართალი იყო თუ მტყუანი, ციხეში იყო თუ გარეთ. მაგრამ, როცა საბოლოოდ გადაწყვიტა ციხიდან გაპარვა, როგორც კი თავისუფლების ცივი ჰაერი ეცა სახეში, უკვე იცოდა, უსვინდისოდ რომ იქცეოდა, უნებლიე სიკეთეს შეგნებული ბოროტებით პასუხობდა — ნატოსაც თავზე აბვევდა საკუთარ უბედურებას, უბრალოდ, იძულებულს ხდიდა, თანაზიარი გამხდარიყო მისი ცხოვრებისა, თითქოს ნატო დედა იყო, ის კი — შვილი, და მადლობას კი არ ეუბნებოდა გაჩენისთვის, ედიდგულებოდა — რაკი გამაჩინე, დამარჩინე კიდეცო. მაგრამ აღარც გაჩერება შეეძლო; კი არ მიდიოდა, აჩემებულ განზრახვას, სურვილს, ოცნებას, იმედს მიჰქონდა იგი, როგორც დინებას — ნაფოტი. არც უცდია, შეუმჩნეველად გაეცლო მოტიტიტლებული ეზო. უხილავ ძალას, დალუქულ ბელ ყინს მიჰყავდა, როგორც ფანტელი — სენს. თითქოს საკუთარ ეზოში მიდიოდა და არავის გაუკვირდებოდა, არავის გაბარაზებდა მისი დანახვა. სადღაც, ნატოს ქვეყანაში მატარებელმა ჩაიარა და ფეხქვეშ მიწა აანძგიბგა. მაინც არ აჩქარებულა, თითქოს არაფერი სჭირდა ასაჩქარებელი, თითქოს იმ მატარებელში იჯდა თვითონაც, თანაც ნატოსთან ერთად. ეზოში ვიღაცა პირს იბანდა; ბოლომდე მოშვებული ონკანიდან ზზუილით იღვრებოდა წყალი. მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, თავაწეული მიდიოდა, ბრმასავითი, ყრუსავითი. „თუ არასწორად ვიქცევი, გამაჩერონო“ — ფიქრობდა აღგზნებული. არ იცოდა, უნდოდა თუ არ უნდოდა, აჯობებდა თუ არ აჯობებდა, მართლა რომ გაეჩერებინა ვინმეს. სახეზე წყლის წვრილი წვეთები შეესხურა. ონკანზე დახრილი ლანდი ფრუტუნებდა, დგაფუნობდა, როგორც რომელიღაც დიდი ცხოველი ზოოპარკის აუზში. ცოტა უფრო იქით უკვე ჩანდა საპირფარეშოს ბრტყელსახურავიანი, ექვსკარიანი შენობა, გალავანში ჩატანებული, რომლის იქითაც სხვა ქვეყანა იწყებოდა, ნატოს ქვეყანა, სადაც ეს წუთია, მატარებელმა ჩაიქროლა, მაგრამ უიმისოდ, ისა და მისი სიმართლე ჯერ ისევ ღობის აქეთ იყვნენ და ჯერ საკითხავი იყო, გააღწევდნენ თუ არა აქედან. თუმცა, მისი გამოცხადებით დიდი არაფერი შეემატებოდა იმ ქვეყანას, როგორც დიდი არაფერი დაკლებია უიმისოდ (შეიძლება, ჯობდეს კიდეც, ასე რომ მოხდაო. — უთხრა დედამ). მაგრამ რაკი გაებედა, რაკი დაძრულიყო, ბოლომდე უნდა ეცადა საცდელი; თავად თუ ვერ გააღწევდა, სიმართლე უნდა უთხრა მოეშორებინა აქაურობისთვის, სიმართლეთ უსაშველოდ დამძიმებული გული უნდა გაეცალა, და რაკი დაეგვიანებინა, რაკი ერთი წამის მერე კიდევ უფრო დაგვიანდებოდა, სულერთი იყო, ვის ააწვდიდა ჩაქროლილი მატარებლის სარკ-

მელში თავის სიმართლეს. ჩაქროლილი მატარებლით აღძრული ჰაერის ტალღები აქამდეც აღწევდნენ. ონკანზე დახრილი კაცი კი, სიამოვნებისგან ოხრავდა, კუთაფდა, ხელისგულებს იტყაპუნებდა ყელ-კისერზე. „რატომ არ მაჩერებსო“ — უკვირდა და მიდიოდა. მიდიოდა და იცოდა, განწირული რომ იყო, ალარაფერი რომ აღარ შეიცვლებოდა მაინც, გააჩერებდა თუ არ გააჩერებდა ონკანზე დახრილი კაცი, რომელიც ორ ნაბიჯზე იდგა, მაგრამ ისევე შორს იყო მისგან, როგორც ნატოს ქვეყნისგან მისი სიმართლე. მიდიოდა და გრძნობდა, ყოველი ნაბიჯი კიდევ უფრო შორეულსა და შეუღწეველს რომ ხდიდა ნატოს ქვეყანას, საერთოდ რომ ვეღარ მოახერხებდა იმ ქვეყანაში შეღწევას, თუკი ხელს არ აიღებდა თავის სულელურ განზრახვაზე, თუკი დროულად არ გადაიფიქრებდა და თუკი ახლავე, ისევე შეუმჩნევლად არ შებრუნდებოდა ციხეში, როგორც, ეს წუთია, გამოპარულიყო იქიდან. მერე წელში მოხრილი გარბოდა და წარმოდგენილი სროლის ხმა ედგა ყურებში; წარმოდგენილი სროლის ხმა მიერეკებოდა და ისიც გარბოდა. იმ დღიდან მოყოლებული, ასე გარბოდა სულ, ვიდრე მართლა არ დაუშვებდნენ ტყვიას, ვიდრე იგრძნობდა, სირბილი რომ აღარ შეეძლო; ვიდრე ტყეში შეაბიჯებდა, როგორც სიზმარში ანდა ზღაპარში, და ვიდრე ხეზე მხრით მიყრდნობილ კაცს დაინახავდა და დამშვიდდებოდა, თითქოს თავიდანვე იმ კაცის სანახავად გამოქცეულიყო ციხიდან; თითქოს თავიდანვე იცოდა, მაინცდამაინც, იმ კაცს რომ გადაეყრებოდა უღრან ტყეში. მაგრამ ესეც მკვდარი, უსულგულო სიმშვიდე იყო, გონების დაკარგვას რომ მოსდევს და რა მოულოდნელად გაჩენილ იმედს. არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია, არცკი დფიქრებულა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის კაცი, ერთდროულად უცხოცა და ნაცნობიც, არარეალურებრივიცა და ჩვეულებრივიც, როგორც ნებისმიერი ხე, რომლის დანახვისას, ასევე არავითარ შემთხვევაში, [illegible] ფიქრებდა — პირველად ვხედავ ამ ხესო — რომლის აღსაქმელადაც სავსებით საკმარისი იქნებოდა ის ცოდნა, ის წარმოდგენა, რაც საერთოდ ხეზე გაჩნდა.

და აი, იმის მერე თოვლის ხაფანგშია გამომწყვდეული. საკუთარმა სისულელემ მოიყვანა აქ და უკვე თვითონაც ეჭვი ეპარება, მართლა თუ არსებობს ნატოს ქვეყანა; საერთოდ თუ არსებობს რამე, ამ კედლებგამომპალი ქოხის, ავად აჭრიალებული ტყის, მგლის ყმუილის, ცხვრების შფოთვისა და მისი ახალი მეგობრების გარდა. აქ მოსვლამდე, ციხეში გასატარებელი დრო, უსასრულოდად, მარადისობად ეჩვენებოდა, ხსოვნის, გრძნობის, სინდისის გადამლეკავ არაარაობად — მტკრის, ფერფლის, სილის მდინარედ — მაგრამ აქ მოსვლამდე, თურმე, არც ფიზიკა ჰქონდა წარმოდგენა და არც ხსოვნის, გრძნობისა და სინდისისა გაეგებოდა რამე. აქ მოსვლამდე, კიდევ ბავშვი იყო და უმეცრების უპირო საკანში გამომწყვდეული, ბრმად, ალალბედზე ცდილობდა იქიდან თავის დაღწევას; ანუ — დროს ედიდგულებოდა, ხსოვნას არ სცემდა პატივს, გრძნობას არ აცდიდა საბოლოო სახის მიღებას და სინდისს ედგა ჯიბრში. ახლა აღარც დრო არსებობდა, აღარც ხსოვნა, აღარც გრძნობა და აღარც სინდისი. არსებობდა მხოლოდ უგზოობის ქვეყანა, სადაც ხელმოკარულნი, განწირულნი, უფესვონი და უმობავლონი — საკუთარი ფეხით შედიან, ცოცხლად რომ ჩაიმარხონ თავი ძველ ცოდვებში, ამაზრზენ, შემზარავ მოგონებებში, ჩვენებებში, კოშმარებში, რადგან სიცოცხლეც ისეთივე უაზრობაა იმათთვის, როგორც სიკვდილი, სიცოცხლისაც ისევე ეშინიათ, როგორც

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილისა. ამიტომ, აღარაფერს აღარ ელოდება, აღარაფრის აღარ სჯერა, გარდა აღსასრულისა, რომელიც დღითი-დღე ახლოვდება, დღითი-დღე გარდაუვალი და ბუნებრივი ხდება, იმიტომ კი არა, მეგზური რომ არ ჩანს, მეგზურმა რომ დააღალატა. ანდა ვერ ამოაღწია აქამდე, დიდი თოვლის გამო, არამედ იმიტომ, თვითონვე რომ მოიკრა ერთადერთი გზა, მისი, მისთვის განკუთვნილი, რომლის არსებობაც ყველაზე ცხადად, ყველაზე მტკივნეულად, საერთოდ გზამოკრილმა, კედლებგამომპალ ქოხში გამომწყვდეულმა იგრძნო, და რომელიც მთებს გადაღმა კი არ მიდიოდა, არამედ ბათუმისკენ, ნატოსკენ. „ფული ჯანდაბას, თქვენ ისა თქვით, სხვაგანაც თუ არ არის ღმერთიო“ — იფიხის ხოლმე ბრტყელსახიანი. მაგრამ გელამ უკვე ისიც იცის, მისი ღმერთი მხოლოდ ნატოს სახლში რომ ბუდობს, ნატოს სახლის სხვენში, რადგან ღმერთი ალბათ ისაა, რაც გიზიდავს, გიყვარს, სიკეთის ჩადენის სურვილს გიჩენს, სამართლიანობის გრძნობას გიღვიძებს, რაც აუცილებელია და არა სასურველი, როგორც სიმძიმე, რომელიც კი არ ძირავს, წყალზე აჩერებს გემს, თუკი ზუსტად შეესაბამება გემის მოცულობას, როცა მეტი ანდა ნაკლები თანაბრად დამღუპველი იქნებოდა იმავე გემისთვის. გელასთვისაც აუცილებელი იყო და არა სასურველი უცხო სახლის სხვენში ჯდომა, რადგან სხვა სახლი, სადაც ცოცხალი მამის წარმოდგენა შეეძლო, არ არსებობდა; იმდენად იყო დატვირთული იმ სახლის სიმყუდროვით, ხმებით, ფერებითა და სურნელით, რამდენადაც მის ასაკს, სულსა და გონებას შეესაბამებოდა. მაგრამ ცხოვრების ზღვამ მაინც არ გაიჩერა, მაინც ჩაძირა, რადგან ბატონი პოლიციელისტერის აზრით, მამამისიც საკმარისი იყო ბათუმისთვის, საკმარისი კი არა — ზედმეტი, ის ძლივს მოეშორებინა თავიდან, და სანამ პირში სული ედგა, სანამ პოლიციელისტერის მუნდირი ეცვა, სანამ ძალა შესწევდა — არ გააბარებდა იმის ნათესავარს, ამოძირკვავდა, ამოშანთავდა, ტუფოლა ხარებისა და ოინბაზების, მიდამოს ინსპექტორ ფუი. დასწყეველოს ღმერთმა. შენ ხარ ჩემი ბატონი. რა მჭირს, ბიჭო, თქვენი დასაცინი!). და მართლაც, ასე თუ ისე, მაინც მიაღწია თავისას — მაინც ჩაუნერგა გელას დანაშაულის გრძნობა — დაარწმუნა კიდეც, ღირსი რომ არ არის მიტევებისა და გაგებისა, რადგან აღარც თვითონ შეუძლია სხვათა მიტევება და გაგება. ოდესღაც, მამის საფლავიდან ვეულური იასამანივით თავისთავად ამოსული რწმენა საკუთარი თავისა, საკუთარი დანიშნულებისა და მოვალეობისა, სადაცაა ხელში ჩაიკვნება და მერე აღარავითარი აზრი აღარ ექნება მის არსებობას, აღარც ნატოსთვის და აღარც სხვისთვის.

გარეთ კი იმოდენა თოვლი დევს, ტყეს ჭახანი გაუდის. ძველი, ჭაღარა ფიჭვები ძლივსღა აკავებენ ზვავებს. ლამის ქოხში შემოუვარდეთ სულის შემძვრელად, სისხლის გამყინავად აუმუვლებელი მგელი უკაცრობისა, უსასოობისა, მიუსაფრობისა... ოთხიავემ იცის, ეს მწყემსების სადგომი უკანასკნელი თავშესაფარი რომაა მათთვის და თუ იქამდე არ დაჭამეს ერთმანეთი, როგორც კი თოვლი დნობას დაიწყებს (როდის დაიწყებს თოვლი დნობას?), როგორც კი გზები გაბოჭნდება (განა ოოდისმე გამოჩნდება გზები?!), ამათთვისაც მოიცლიან, ალბათ ამ ქოხთან ერთად დაწვავენ, ჭირიანებივით. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, ერთ ბედქვეშ არიან, მაგრამ არაფერი აღიზიანებთ ისე, როგორც ერთმანეთი. თითქოს ყოველი მათგანი, განგებ, დანარჩენი სამის ჯიბრზე, აწკლაუნებს პირს ჭამისას; დანარჩენი სამის ჯიბრზე მოჰყვება ხოლმე წრიალს, წინ და უკან, დატყვევებული ნადირივით, ისედაც ვიწრო ქოხში, სადაც მათ გარდა, ცხვრებიც ცხოვრობენ, დამპალი, გაბინძურებული თოკით გამიჯნულ კუთხეში. თუმცა, ორი ცხვარიღა დარჩათ, უფრო სწორედ, ერთი, რადგან მეორე, ეს წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თია, გაათრიეს დასაკლავად აირწინაღიანმა და ბრტყელსახიანმა. გამეურულ ჯაჭვზე თოვლით სავსე კარდალი კიდია. დასვრეტილსა და გაჭვარტლულ თოვლს ორთქლი ასდის. ობლად დარჩენილი ცხვარი თანამოძმეების ჩლიქებით დაჭყლეტილ კუოკლში წევს; დაბნეული, მაგედრებელი თვალები აქვს, და სათვალიანს გავს, ოღონდ უსათვალოდ. საერთოდ, სათვალიანს ორი სახე აქვს, ორნაირი სათვალიანი არსებობს: „სათვალიანი“ და „უსათვალო“, სათვალე არა მარტო იერს, ხასიათსაც უცვლის. „სათვალიანი“ ანჩხლია, ბობოქარი, ადგილს ვერ პოულობს... მზადაა, მთელი ქვეყანა გადაბუგოს სიბეცისთვის, სიბრიყვისთვის, სიხარბისთვის, უგულობისთვის, უნდობლობისთვის, ურწმუნობისთვის. „უსათვალო“ — შედარებით მშვიდია, რადგან უმწეოცაა, საძრაობა ეკარგება: „სათვალიანის“ ცოდვების მონანიე, „სათვალიანის“ შეცდომების გულმოდგინე და კეთილსინდისიერი მკლეკვარია. როცა მისი სიანჩხლე და ბობოქრობა მოწყინდებათ ხოლმე, სათვალეს ართმევენ და ისიც მაშინვე მშვიდდება. ოდნავ მოჭუტულ თვალებს აქეთ-იქით დაატარებს, თითქოს უკვირს — ეს სად მოვხვდიო, და კი არ ლაპარაკობს, ვინმეს კი არ მიმართავს, ხმამაღლა ფიქრობს თავისთვის. ახლა მისი სათვალე აირწინაღიანს უდევს აირწინაღის ჩანთაში და ბრტყელსახიანთან ერთად, ცხვარს ატყავებს გარეთ.

— შეჩემა-მეთქი, ვეუბნები. განა გისმენს?! — ამბობს უცებ სათვალიანი.

— ვინ? — უნებლიედ ეკითხება გელა. ცეცხლის ცქერითაა გართული.

— ვინა და, შენი მამობილი. ქალებია მექისე. სუსუნაკი. ათაშანგი. მაგას თუ ჰგონია...

— მამობილი? — აწყვეტინებს გაკვირვებული გელა. თან ისევ ცეცხლსაა მიჩერებული.

— ...მაგას თუ ჰგონია, სულ ასე გაეუჩუმდები, ძალიან ეშლება. — აგრძელებს სათვალიანი.

— მამობილი? — იმეორებს გელა.

— მამობილია, აბა, რა ჩემი ეგეთი. მაგან არ გიპოვა ტყეში! — ამბობს სათვალიანი.

— მიპოვა? განა მე მეძებდა? — უარესად უკვირს გელას და ცეცხლს თვალს აშორებს.

— რა მნიშვნელობა აქვს, შენ იქნებოდი თუ სხვა. — იღიმება სათვალიანი. — მაგას ისეთი ცოდვა ადევს, შენ კი არა, მთელი ქვეყნის უპატრონო ბავშვებს რომ ბაწოს ფეხი, მაინც ვერ მოინანიებს.

— რატომა ვარ უპატრონო?! — სწყინს გელას.

— ყველანი უპატრონოები ვართ. — იღიმება სათვალიანი. — ყველანი! — ამბობს ცოტა ხნის მერე. — შენ იცი, რატომ მოიკლა მამაშენმა თავი? — ეკითხება უცებ. გელას არ სიამოვნებს მამის ხსენება. მაგრამ აინტერესებს, რას ეტყვის სათვალიანი, მართლა იცის თუ არა სათვალიანმა ის, რის გაგებასაც ამდენი ხანია ამაოდ ცდილობს. ისევ ცეცხლს უყურებს, სათვალიანს რომ არ შეუშალოს ხელი, თავისი მღელვარების, ანდა ცნობისმოყვარეობის გამომეღაენებით, არ შეარბილებინოს, ანდა არ გააზვიადებინოს სათქმელი, უბრალოდ და პირდაპირ ათქმევინოს ის, რასაც ფიქრობს, უბრალოდ და პირდაპირ, და არა მიკიბულ-მოკიბულად, დედასავით, ბებიასავით, ბაბუასავით, ანდა ლიზასავით. — იმიტომ რომ, ერთ მშვენიერ დღეს, შენ არ გეთქვა იმისთვის, რატომ იკისრე ჩემი პატრონობა. თუკი თვითონ უპატრონო იყავიო. უპატრონო პატრონი. როგორია?! — იცინის სათვალიანი.

გელა გაშტერებული შესცქერის სახეში. ყველაფერს ელოდებოდა, ამას კი არა. რამდენადაც ახსოვს, მამის სიკვდილში ყოველთვის თვითონ ადანაშაულებდა სხვებს და არა სხვები — იმას. როგორც დამნაშავეებს სჩვევიათ,

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

სხვები ცდილობდნენ ყოველთვის იმის შემორიგებას და არა ის — სხვებისას, დედა იყო, ბებია, ბაბუა თუ ლიზა. ის ეკითხებოდა სხვებს, რატომ მოიკლა მამაჩემმა თავიო, რადგან არ იცოდა; სხვებმა კი იცოდნენ და, ამიტომ, მეტნაკლებად დამნაშავეებიც იყვნენ, რაკი არაფერი იღონეს, ასე რომ არ მომზდარიყო; თუმცა, როგორც სხვების ნალაპარაკევიდან გამოდიოდა, თვითონ გელას მამა ყოფილა „ასეთი“ და, ადრე თუ გვიან, მოსახდენი მაინც მოხდებოდა. „პოეტების არ იყოს, ასეთებადაც იბადებიანო“ — უთხრა ერთხელ ბებიამ და იმის მერე გელასთვის წყლის ნაყვა იქნებოდა და მეტი არაფერი, თავისიანებისგან, ანუ სხვებისგან სიმართლის გამოძალვა; მაგრამ არც განზრახვაზე აუღია ხელი და დარწმუნებულიც იყო, როდისმე, დამოუკიდებლად, თვითონვე რომ ამოხსნიდა მამის სიკვდილის საიდუმლოს. და აი, გაშტერებული შესცქერის ახლა სათვალიანს სახეში და შემცბარი, აღგზნებული, აღელვებული ფიქრობს: ხომ შეიძლება, მართალს ამბობდესო; სხვები თუ მზოგავდნენ და მიმალავდნენ, ამან რატომ უნდა დამზოგოს, ან რატომ უნდა დამიმალოს სიმართლეო. რაღა არ დასწამეს, მაგრამ მამის მკვლელობა, თუნდაც ხუმრობით (ხომ შეიძლება ხუმრობდეს?), ჯერ არავის დაუბრალებია მისთვის. იღიმება და ვერც იღიმება. კი არ იღიმება, თავისთავად ეჭიმება ტუჩები და დაჭმუჭნული ნიკაპი უცახცახებს, თითქოს მამის კუბოსთან დგას ისევ და ჯიუტად იკავებს, ჯიუტად უთალონდება ცრემლს, რადგან ცრემლი, რაც არ უნდა ძნელი მოსათმენი იყოს იგი, მხოლოდ და მხოლოდ, მოღალატედ აქცევს მკვდარი მამის თვალში, იმასაც, იმავე წუთას, სხვების ბანაკში გადაისვრის, სხვების, რომლებმაც მამის სიკვდილის მიზეზი იციან და ცრემლით ცდილობენ თავიანთი დანაშაულის დამალვას. იმას კი არაფერი აქვს დასამალი, რადგან არაფერი არ იცის. ტუჩები ეჭიმება და ნიკაპი უცახცახებს. „არასოდეს არ ვიტყოდი... რატომ ვიტყოდი? — ფიქრობს დაძაბული, დაეჭვებულ[illegible] ბული. — არა. ტყუილია, [illegible] ბა“.

— არ შეიძლება. — ამბობს ხმამაღლა. — არ შეიძლება! — ყვირის, შინაგანი ხმის ჩასახშობად.

— რა? რა არ შეიძლება? — ეკითხება წინ გადმოხრილი, მისი მოულოდნელი გაცხარებით, ცოტა არ იყოს, დაბნეული სათვალიანი.

— თქვენ რა იცით... თქვენ რა იცით... — ლუღლუღებს გელა. სიტყვები არ ყოფნის, თუმცა, არც არაფრად სჭირდება სიტყვები, რადგან არც არაფერი აქვს სათქმელი. — თქვენ რა იცით... — იმეორებს უაზროდ, უმისამართოდ, ყოვლად მოულოდნელი, ყოვლად გაუთვალისწინებელი, ვინ იცის, რამდენი ხნის ნათმენი ცრემლი რომ შეიკავოს როგორმე. არა და, არასოდეს არ სდომებია ასე ტირილი; არასოდეს არ ყოფილა ასე განწყობილი, ასე გამზადებული სატირლად; არც მამის კუბოსთან. გრძნობს, შეეძალა რომ მისცემს ცრემლი, მაგრამ შეარცხვენს კიდეც: წყალში ჩაყრება ამდენი ხნის „ვაჟკაცობა“, ამდენი ხნის „უაჩაღობა“, ამდენი ხნის განმავლობაში ნათვალთმაქცევი გულგრილობა და არხეინობა. რა მემართებაო — უკვირს თვითონვე. უნებურად, მუცელზე ისკამს ხელს, რევოლვერის სიმკვრივეს დაეძებს აცახცახებული თითებით და უკანასკნელ წამს ისევ მკვდარი მამა ელანება მხსნელად: უფრო სწორედ, ამ ათითორმეტი წლის წინანდელი ჩვენება ცოცხლდება თავზარდამცემი სიცხადით. დაჩოქილი მამა გამალებული წმენდს საკუთარ ნაფეხურებს, თეთრად რომ დატყაპნილან სარკესავით მოკრიალებულ იატაკზე. „ვიღაცას კირი დაუყრია შემოსასვლელშიო“ — ამბობს მორცხვად მომღიმარი და, როგორც მაშინ, ახლაც ერთბაშად ეუფლება გელას, ლამის სიძულვილში გადაზრდილი, ლამის ზიზღის აღმძვრელი,

სინდისის მქენჯნავი, ძნელად მოსათმენი, ძნელად გადასატანი სიბრალულის გრძნობა; როგორც მაშინ, ახლაც უჩნდება მამის გვერდით დაჩოქების სურვილი; ხვდება, მიხმარება რომ სჭირდება მამას, დროზე რომ უნდა მოისპოს კვალი, ვიდრე დედა, ბებია, ბაბუა ანდა ლიზა შემოიხედავს ოთახში; მაგრამ, იმის მაგივრად, მართლა ასე რომ მოიქცეს, მამას მიეხმაროს, ახლაც გამომწვევად, ¡ქმაკინავად, გამაღიზიანებლად დაპყვირის მამის დაჩოქილ აჩრდილს; ნახე, რას გიზამენ, ნახე, რას გიზამენო.

— ჩუუუ! — ტუჩებთან ხელს ასავსებს სათვალიანი და თავით კარისკენ ანიშნებს გელას, ვითომ გარეთაც გაიგებენ ჩვენს ლაპარაკსო. — ვერაფერსაც ვერ მიზამენ, — ჩურჩულებს გელასკენ გადმოხრილი. — ეგენი, არც ჩემი ძმები არიან, არც ჩემი მოწაფეები... ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. — ქორქილებს ღვარძლიანად, ისევ სახეგაშეშებული. — მე ერთი ხელმოცარული კაცი ვარ. შენთან რა მაქვს დასამალი. ან რა აზრი აქვს დამალვას. — ჩურჩულებს გამალებული. — არაფრისგან არაფერში ჩასახული. არარსებული ტაძრის გლახა. არარსებული აკლდამის დარაჯი. არარსებული ცხოვრების მაჩანჩალა... პანღური და დაობებული პურის ყუა! აი, დიდი-დიდი, რასაც მე ვიმსახურებ, რადგან არც არაფერს ვაკეთებ და არც არაფერს ვ:შავებ. მაგათ კი ჰგონიათ, მართლა ქვეყნის დამაჭცევარი ვარ. ანარქისტი. მადლობას ეტყვით სახელმწიფო, რაღაი ეგ მომაშორეთ, ყველაფერი მიპატიებია თქვენთვისო, თქვენს ნებაზე იბოგინენთ ჩემს სალაროშიც და ობლის ლოგინშიც. ისე, რომ იცოდე, მართლა მაგათია ქვეყანა. მაგათ შეეწირა მოსცა და იესოც... ეგენი რომ გამოეყვანათ სიბნელიდან, ეგენი რომ დაესახლებინათ აღთქმულ ქვეყანაში. აბა, მოსე არც კი შეუშვა ღმერთმა აღთქმულ ქვეყანაში. შორიდან დაანახა, თითქოს შეახარბა, შეშვებით კი, ნურას უკაცრავად, ცოც! თვალთა შეხედა იხილეს, ხოლო ვერ შეხვიდე შენ. მუნ. — კარისკენ იყურება, ფუჭება, ვერაფერს ვერ ხედავს უსათვალოდ. კედელ უფრო იხრება წინ, გელასკენ, და ისევ ჩურჩულით აგრძელებს, დორბლის ბრჭყვიალა ზხეფები სცივა პირიდან. — ქრისტეც მაგათ აცვეს ჯვარს. სახელმწიფომ ხელი დაიბანა, გვერდზე გადგა, თქვენ იცით და თქვენმა მეუფემ. მაგათ კი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ჯვარს აცვით, ეგ მამაძაღლო; სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო; ოღონდ ჩვენს კაცს ნუ დაგვასვამთ თავზე და ვისაც გინდათ, იმას დავემონებითო; ჩვენსას უცხო გვირჩევნიაო. იცი, რატომ? შენიანი ცუდს არ მოგიწონებს, არც გაპატიებს; სხვას კი, მხოლოდ შენი ცუდი გაუხარდება; მიდი, მიდიო, გადაჭეზებს კიდევაც, რადგან ცუდის დამონება გაცილებით ადვილია, ვიდრე კარგისა. ცუდს სინდისი ჭუჭყიანი აქვს და, ბოდიში მომთხოვია, თავზე რომ დასაკორო, სიტყვას ვერ შეგიბრუნებს; არც შეგიბრუნებს, თუკი ამას დასჯერდები, თუკი ერთ-ორ კაპიკს კიდევ მოაპარვინებ, ერთ-ორ ობოლს კიდევ წააბილწვინებ და ერთი-ორჯერ კიდევ დააცდი მუცლის ამოყორვას. ასეა, ძმაო, ქვეყანა მოწყობილი. ვერ შეეიდ შენს ტვინში. კაცს სიკარგე არ უნდა, აღიზიანებს, რადგან ძნელია, მწარეა, მტკივნეულია, როგორც დამპალი კბილის ამოღება. სიგლახე კი, დაბოყინებასავით ადვილიცაა და სასიამოვნოც, - მით უფრო, თუ გამძღარიცა ხარ. ქვეყანა მაშინ დაიღუპა, როცა არჩევანამდე მივიდა საქმე, ქრისტე თუ ავაზაკიო, და იმის მერე სულერთია, ქრისტე იქნება თუ ავაზაკი, არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე, რადგან არცერთი არ არის შეუცვლელი. ქვეყანას თუ გადაარჩენს, მხოლოდ ბავშვი გადაარჩენს, ოღონდ — ჭკვიანი და

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

გამბედავი. ასე რომ, ტყუილად ყოყმანობ და ტყუილად გეშინია.

— მეშინია? — უკვირს გელას და უცებ მართლა იბურძგნება შიშისაგან.

— გეშინია. — იცინის სათვალიანი. — დიახაც, რომ გეშინია.

— რისი უნდა მეშინოდეს?! — მხრებს იჩეჩავს გელა და აბაგუნებული გული ლამის ამოუხტეს საგულედან.

— შე დედალო, შენა. — იცინის სათვალიანი.

აირწინაღიანმა პირველად რომ შემოიყვანა გელა ქოხში, სათვალიანი ისე აღელდა, ისე დაიბნა და ისე დაფრთხა, როგორც საყვარელ ბიჭთან მარტო დარჩენილი გოგო. „აი, ვისი ხელით უნდა მოვკვდე მეო“ — ფიქრობდა აღგზნებული, როგორც გოგო ფიქრობს საყვარელ ბიჭზე — თუ ვიქნები, მხოლოდ იმისი ვიქნებიო. მაგრამ, შეყვარებული გოგოსაგან განსხვავებით, გელას გულში საპასუხო სიყვარულის გაღვივებას კი არ ცდილობდა, არამედ — სიძულვილის, ზიზღის, რადგან მხოლოდ სიძულვილი და ზიზღი თუ აიძულებდა გელას, დაჰყოლოდა სათვალიანის ნებას, სათვალიანის გიჟური სურვილისთვის შეეწირა თავისი სისუფთავე, უცოდველობა, უმანკოება. თვითონვე უკვირდა, საიდან ამოსდიოდა ამდენი გესლი, ამდენი ღვარძლი, ამდენი სიბინძურე, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მღელვარებით, მეტი ვნებით, მეტი ჟინით სვრიდა და თითსავდა ყველაფერს, რაკი, ჯერ კიდევ შეიძლებოდა, ძვირფასი ყოფილიყო გელასთვის, რის გამოც, ჯერ კიდევ შეიძლებოდა, თავი შეეკავებინა იმას ცოდვისაგან. სხვა არაფერზე აღარ შეეძლო ფიქრი, მის სისხლში ამოსვრილი გელა ედგა თვალწინ, ელდისაგან ენა ჩავარდნილი, შეძრწუნებული, მაგრამ უკვე სამუდამოდ მიჯაჭვული მის გვამს, მის სახელს, მისი მკვლელი და, ამიტომაც, მისი ერთადერთი მემკვიდრე, მისი ერთადერთი გამხსენებელი, თუნდაც ზიზღით, სიძულვილით, წუევლით. მოუთმენლად, შფოთვით, წუხილით და, ამავე დროს, ენით თქმელი ნეტარებით ელოდებოდა სიკვდილს, როგორც გოგო პირველ ღამეს, და, თავზე ტაცაწყაფარაქუნეს, გაბედულ სულს, სუნთქვაშეკავებულს, ერთი სული ჰქონდა, როდის მიეახლებოდა შლეგი მიჯნური, ქმარი, მეუფე, და როდის შეეუღლებოდა სამუდამოდ. რევოლვერის კი უმიზნებდა ის (თანაც მის ნაჩუქარს), მაგრამ, ეგ იყო და ეგ. მეტს ვერ ბედავდა. ან თავს უფრთხილდებოდა, ან თავის იმედი არ ჰქონდა, მეტისთვის არ ვარგოდა ჯერ. რევოლვერს მიუშვერდა „მძინარეს“ და ამით იკლავდა ენს, ამით კმაყოფილდებოდა. ერთ სიკვდილს გაათავებდა ხოლმე, სიმწრისა და მრისხანების ოფლით გახვითქული, ფუჭი მოლოდინით გაბითურებული, დაუკმაყოფილებელი ვნებით გაკაპასებული, და შეშლილივით იმეორებდა გუნებაში: ონანისტო, ონანისტო, ონანისტოო. მერე თანდათან გაიცრიცებდა ცხოველისა და ადამიანის ნასუნთქით გასქელებული წყვდიადი და ერთხელ კიდევ ამოდიოდნენ არარაობის წუმპედან, არარაობის შლამიდან მისი მეგობრების გადაფთირებული სახეები, ამაზრზენნი, აუტანელნი, საშინნი, გამორიყული დამხრჩვლებივით, და ისიც, ერთხელ კიდევ გაწბილებული, ისევ ანთხვედა გესლს, ისევ წუევლიდა და აგინებდა ყველასა და ყველაფერს, ანჩხლი, აეკა, მძვინვარე, როგორც ცვედანის ცოლი, ანდა ტყუილუბრალოდ, გასაპამპულებლად გატიტვლებული მეძავი. სიკვდილი კი არ უნდოდა, ამ სიცოცხლეს ვერ იტანდა და მეორე სიცოცხლის იმედიღა ჰქონდა, მეორე სიცოცხლისა, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის მერე მოიპოვებდა. სიკვდილი გარდაუვალი იყო, ისევ რომ მოვლენოდა ქვეყანას, თუნდაც ყვავად გარდაქმნილი, მაგრამ ის აბოროტებდა, სიკვდილიც რომ არ შეეძლო თავის ჭკუაზე. უცოდველი ბავშვის ხელით სიკვდილი უკვე რაღაცას ნიშნავდა, უკვე აზრი იყო, თანაც მნიშვნელოვანი აზრი, დამამშვიდებელიც და

დამაკმაყოფილებელიც, რამდენადაც მხოლოდ ამ გზით დარწმუნდებოდა, იმანაც რომ შესძლო რაღაცის გაკეთება, თუნდაც ერთი უმწიკვლო სულის წაბილწვა. ამ სიცოცხლემ არ გაუბართალა. წარწერიან ქვასაც არ დაადებენენ საფლავზე, ესა და ეს გვამი, ნეშტი ანდა სულაც ლეში განისვენებს აქაო. ხოლო უწარწერო საფლავის ბინადარი არარაობაა, გინდაც არ გაჩენილიყოს საერთოდ, არ ეცხოვროს, არ ეღელვოს, არ ეტიროს, არ ეშფოთოს, არ ეწკავწკავოს, ვიდრე გეამად, ნეშტად ანდა სულაც ლეშად იქცეოდა. ეს კი იგივე იყო, პატიმრისთვის სასჯელის მოხდა არ ჩაეთვალთ, ციხის ეურნალში გამოგვრჩა შენი გვარიო. როგორია? არც იმას ჩაეთვლებოდა ეს ცხოვრება, ანუ ყველაფერი ის, რისი გულისთვისაც, რის გამოც, რითაც უნდა მომკედარიყო. ასე კი იმიტომ მოხდა, რაღაცა ისე რომ ეგონა, როგორც არ იყო; ანდა ეგონა, სხვანაირად რომ შეიძლებოდა ყოფილიყო რაღაცა მაინც. მისი ამხანაგები ქალებს დასდევდნენ, იცავდნენ, იხერავდნენ, ხვალემ იდარდოს ხვალისაო, და რესტორნიდან რესტორანში გადადიოდნენ, როგორც ასაკიდან ასაში, უფრო სწორედ. დროც ფეხებზე ეკიდათ და გარემოც! ეს კი წიგნში მიძვრებოდა, წიგნში ფუტფუტებდა მატლივით, ვიდრე ფსკერამდე არ ჩააღწია, საკუთარი უვიცობა რომ აღმოჩინნა იქ. ასედაც უთხრა წიგნმა: ბრიყვი ხარო, მონა ხარო, მიწა ხარ და მიწად იქცევიო.

— ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას... — ჩურჩულებს სათვალიანი. — აი, რა არის ქრისტე! აი, რატომ აცვეს ჯვარს შენმა მამობილმა და მისმა ერთგულმა ლაქიამ. გესმის? ხომ გესმის? — აი არ ეკითხება, ეევდრება გელას.

— არა. არ მესმის. — ბრაზიანად, მაგრამ გულწრფელად პასუხობს გელა.

ჯერ ისიც ვერ მოუნელებია, დედალი რომ დაუძახა წეღან სათვალიანმა, უპასუხოდ რომ დატოვა იგი; მაგრამ ბარლა დედლობით კი არ მოუჯადა, ეს, უბრალოდ, სათვალიანთან [illegible] ყოველგვარი ხალისი დაკარგა [illegible] ლაპარაკში რომ აჰყვეს, თვითონაც უნდა ჩაერიოს იმ თამაშში, სადაც ყველა ერთის წინააღმდეგია, ერთი კი — ყველასი. ამ ქოხში თუ ზის, სწორედ იმიტომ ზის, ამგვარი „თამაშიდან“ რომ გამოსულიყო, ამგვარი ირითმეტიკისთვის რომ დაეღწია თავი, მაგრამ, ეტყობა, აქაც, „უგზოობის ქვეყანაშიც“, ამ ყოველსმომცველი თამაშის წესი წარმართავს ყველაფერს და არა სურვილი; სურვილი ექვემდებარება წესს და არა წესი სურვილს. კარდალში კი ნელა დნება თოელი. რკინის მძიმე კარდალი თითქოს ცეცხლს აწვება და კარდალის ქვეშ მომწყვდეული ცეცხლი საოცრადად ასავსავებს კიდურებს, რომელიღაც მრავალფეხა არსებასავით; ცდილობს, გამოუფრქვიოს კარდალის სიმძიმეს. „გაჭყლეტილი ცეცხლი“ — ფიქრობს გელა. შიშინებს, ტაკაცნობს, იალკანება სახსრებდამსხვრეული ცეცხლი. თოელით სავსე კარდალს ორთქლი ასდის. წეღან მოღლანდებული მამა, ახლა ცრემლიან ორთქლში ასვეტილა. გულხელდაკრეფილი დგას. მოღუშული, მოწყენილი თუ გამწყარალი იყურება გელასკენ. გელას რცხვენია, წეღან რომ დაუყვირა, დასცინა, მაგრამ მაინც ჯიუტად უსწორებს თვალს. ჯიუტად კი არა — უტიფრად, რადგან თავს ძლივს იკავებს, ბოდიში რომ არ მოუხადოს ათი-თორმეტი წლის წინანდელი და, რაც მთავარია, წეღანდელი სიმკაცრისთვის, დაუნდობლობისთვის. ბოდიშის მოხდის სურვილი აიძულებს უტიფრობას. ბოდიში კი არ დააახლოებს, უარესად დაამორებს მამა-შვილს; არც მამას გამოადგება რამეში და არც შვილს, რადგან მამამ უკვე დაიჩივლა ათი წლის წინ ნასვამი დაბრუნდა შინ და გვიან შეამჩნია, შემოსვლისას ცუ-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

დად რომ გაეწმინდა ფეხები; ხოლო სხვათა სისუფთავის, სხვათა წესრიგის პატივისცემამ და საკუთარმა მორიდებულობამ, ხათრიანობამ. საკუთარი კვალის მოსასპობად დაეჩოქა. ალბათ ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული მამობას; ანდა, უნებლიე დანაშაულმა, ერთი წამით დაავიწყა, უკვე მამა რომ იყო, ბიჭი რომ ეზრდებოდა, რომელიც არა მარტო უთვალთვალებდა მის ყოველ ნაბიჯს, სულში იბეჭდავდა სამუდამოდ. დაივიწყა და დაიღუპა, რადგან ისეთი ეჩვენა შვილს, როგორიც არ უნდა ჩვენებოდა: დაჩოქილი. საკუთარი კვალის მომსპობი! დაივიწყა და შვილიც დაღუპა, რადგან მისი შვილის სულს კირში ამოთხვრილი მისი ფეხების ანაბეჭდები შერჩა მხოლოდ, რისი გადაშლაც აღარც ტილოს შეუძლია, აღარც პარაფინსა და აღარც სალებავს. „ეგდე აქ და ჭამე ნაწყალობევი ხორცი“ — ამბობს ცრემლიან ორთქლში ასვეტილი მამა. შეიძლება, როგორც მათი ბოლო გასეირნების დროს, ახლაც თბილისის ზოოპარკში ჩაბერებულ ლომს მიმართავს, მაგრამ გელა მაინც თავის თავზე იღებს: ჯერ ერთი, აგერ უკვე რამდენი ხანია, ისიც ნაწყალობევ ხორცს ჭამა, მეორეც ერთი, ძალიან უნდა, მას მიმართავდეს მამა, მისი ბედით იყოს დაინტერესებული, გაღიზიანებული, თუნდაც აღშფოთებული, და არა ლომის, რომელსაც არაფერი სჭირს არც შესაცოდი და არც დასაძრახი, რადგან დაპატიმრებული კი არ არის, შეპყრობილია, და არა სისუსტისა და უმეცრების, არამედ საკუთარი სიძლიერისა და სიდიადის გამო. „აბა, **რა ვქნა? როგორ მოვიქცე?**“ — **პასუხობს მაშინვე,** ლაპარაკში რომ ჩაითრიის, **დაატუქსვინოს** ანდა დაამშვიდებინოს თავი, რაც, ბოლოს და ბოლოს, ევალება კიდეც იმას, ცოცხალი იქნება თუ მკვდარი.

— ჩუუუ! — ისევ ასავსავებს ხელს სათვალიანი და ისევ კარისკენ ანიშნებს გელას. — რა გახდა? რით ვეღარ მიხვდი? აბა, რისთვის გინუქე რამოლვერი? ოღონდ, მარტო მე კი არა, ისინიც, სამივენი ერთად... ძალზე... რამეთუ უმჯობესი არს, სამი კაცი შეეწიოს ერთისთვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს. შენც ხომ ასე გინდა? განა ვერ ვხედავ?! შენ გგონია, მართლა მძინავს? საუკუნეა, არ მძინებია. რაც გინდა, უნდა გააკეთო კიდეც, რადგან რაც გინდა, ღმერთისგან გინდა. აღასრულე ნება ღვთისა, შე დედალო შენა... არა თქვა ახლა, არ მინდაო. აბა, რატომ გვიმიზნებ რევოლვერს? გინდა, მაგრამ ვერ ბედავ. ხომ გინდა? — უარესად იხრება წინ, დაწვრილებული, დაგრძელებული, გაღიმებული, გაფაციცებული.

გელას შიშისაგან კანი ებურძგნება, ყურები უწევის, არ იცის, რა უპასუხომ. ხომ ვერ ეტყვის: ღამღამობით ვთამაშობ, თავს ვიქცევო. ანდა იმას ხომ არ ეტყვის, მოგჩვენებიათ, დაგსიზმრებიათ, არასოდეს მომიშვერია თქვენთვის იარაღიო. გრძნობს, როგორ უხუდება სახე, როგორ წითლდება სირცხვილისაგან, მაგრამ, საბედნიეროდ, სათვალიანი არ ელოდება იმის პასუხს და თვითონვე აგრძელებს:

— არადა, მადლს იზამ. მადლსაც იზამ და კაციც გახდები. ოსანა, რომელი ხარ მღილთა შინა! ასე ხომ არ აპირებ ცხოვრებას? ცხოვრება თუ გინდა, უნდა დაამტკიცო კიდეც, ღირსი რომ ხარ ცხოვრებისა. — სისინებს წინგადმოხრილი, სახედაძაბული. — იცი, რა ქნა შენმა მამობლმა? ხუთი წლის გოგო გააუპატიურა. ხუთი წლის ობოლი. იმედია, გესმის, რას ნიშნავს გაუპატიურება. — ქირქილებს გესლიანად, დამცინავად. თან კარისკენ იყურება. — ხუთი წლის გოგო. ჯერ არცკი ეტყობოდა გოგოობა. ობოლი. შენსავით უპატრონო. იქნება, შვილიც კი იყო, რომელიღაც ბომა ორმოში ბრმად ჩათესილი. შენ უნდა იძიო იმ ბავშვის შურიც. ასე ინება უფალმა, რადგან ჯერ შენც ბავშვი ხარ, უცოდველი, სუფთა და, ამიტომაც, უფლებამო-

სილი ჩვენისთანების მოსასპობად, ვიდრე თავად გახდები ჩვენისთანა. გინდაც არ გინდოდეს, ცხოვრება გაგბდის. ჯერ კი უფლებამოსილი ხარ. მხოლოდ შენ და სხვა არავინ. გესმის? მხოლოდ შენ და სხვა არავინ. გამოკარი ეგ ოხერი ჩახმახი. რისი გეშინია? პირველ მოწაფედ დაგსვამენ სკოლაში, სანიმუშო მოწაფედ. უფფოლად გასწავლიან. მადლობასაც გეტყვიან და, შეიძლება, წმინდა გიორგის ორდენიც კი მოგცენ. როგორია? ორდენსანი მოწაფე. მაჩვენე რა, მაჩვენე რა... გაწიეთ თქვენი ტურტლიანი ხელები. თუ ასე გინდათ, უნდა ჩახმახის გამოკვრაც შეგეძლოთ. როგორია? შურით დაიღებინებ ყველას პირს. ისა არტისტისასა. — ისევ ქირქილებს, პირზე ხელფარებული, თითქოს წინა კბილები აკლია და უსიამო სიცარიელეს მალავს. — არადა, ჩვენთან ერთად ჩალპები ამ ქოხში. ცოცხლად აქოთდები ჩვენსავით. მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გაგიბედია; ვერ გაგიბედია ის, რაც გინდა, რაც გეკალება კიდეც. შენ გგონია, შემთხვევით აგერია გზა? შემთხვევით მოხვედი, მაინცდამაინც, ჩვენთან? შემთხვევით გიპოვა მამობილმა? ღმერთმა მოგიყვანა, ღმერთმა! — ხელს მაღლა სწევს, თავად კი კარისკენ იყურება. — დაგინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, მაშინვე ისა თქვი: აჰა, მახვილი უფლისაი მეთქი.

— არაფერიც, — აწყვეტინებს გელა. — არაფერიც. — იმერობს გაღიზიანებული, თუმცა, სრულებითაც არ აინტერესებს, რა თქვა სათვალიანმა, როცა პირველად იხილა იგი, გათოშილი, მშიერ-მწყურვალი, ყინწმოწყვეტილი. — „ოხრანკა“ გეგონეთ. მოვიდა ოხრანკაო, ასე თქვეთ. მე არც „ოხრანკა“ ვარ და არც თქვენი მოკვლა მიფიქრია როდისმე. უბრალოდ...

— მართლა ასე ვთქვი? — არ აცლის სათვალიანი. — კარგად მოთქვამს. მახვილი ერთია: ერთიდაიგივეა. მხოლოდ სახელს გადაარქმევენ ხოლმე. მაგრამ არც ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი, ღმერთის ვალიდან ამოსულია, ანუ ნამდვილი, კაცური დანაბადებულის ჩადენა. შენც ადექი და დაიკეტე საშველი. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს. როგორი გასაძლებია, ყოველ ღამე ყურებზე ხელაფარებული იწვე და ელოდებოდე, აი, ახლა. აი, ახლა. აი, ახლაო...

— მოგშვიდთ, ბიჭებო? — ამბობს ბრტყელსახიანი.

ვერცერთმა ვერ გაიგო, როდის შემოვიდა ქოხში. გასისხლიანებული ხელებით ცხვრის თავი უჭირავს. ცხვრის თავს მაგიდაზე დებს, სათვალიანის წინ, და ცეცხლთან მიდის. „ერიჰა! ჯერ არც გამდნარა ეს ოხერი: როდისღა უნდა ადუღდესო“ — დასძახის თოვლით სავსე კარდალს. მერე ნაფოტს იღებს და თოვლში ურევს. დასვრეტილი, ძირგაწყალებული თოვლი დაბლა იწვეს და მძიმედ ბრუნავს; ხრაშა-ხრაში გაუდის. „რას შვრები, გაბინძურდა თოვლიო“ — უყვირის გელა, გახალისებული, განთავისუფლებული სათვალიანის ხმის ტყვეობიდან.

— გაბინძურდაო?! სისხლზე სუფთა რა არის? — იკრიჭება ბრტყელსახიანი, — ორ-ორი პეშვი დავლიეთ წეღან. ჯანში წავიდა. — კბილები მართლაც ჩაწიოლებული აქვს ცხვრის სისხლით. — სისხლი დიდი ძალაა... მე ისეთ ციხეებშიც მოვხვედრილვარ, სადაც მარტო სისხლი ფასობს; მარტო სისხლზე თამაშობენ ერთმანეთში. გვერდზე ქილა გიდგას. წაადგე, გადაიხსნი ძარღვს და გადაუვსებ მოგებულს. არც ფული გადის, არც ოქრო და ბრილიანტი. მოიგებ — გასძლებ. წაადგე და კარგად მეყოლე, მოიკითხე ჩვენიანები. იცოდით, ჩვენს პირისზიარებას ცოლ-შვილი რომ ჰყოლია? — ვაი ამ ქალებს! — ეკარებ თვითონვე, რაკი არავინ პასუხობს, გასისხლია-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ნებულ ნაფოტს ცეცხლში აგდებს და ქოხიდან გადის.

ცხვრის თავი მაგიდაზე დევს. დაკრეჭილ კბილებში ენის წვერი მოუქცევია და თეთრი, გაშეშებული თვალებით იყურება. სისხლიანსა და ბინძურ ბეწვზე, აქა-იქ, თოვლის ბრჭყვიალა, ქვადქცეული ბოლქვები აჰკრია. ცოცხალი ცხვარი წამომდგარა და კუთხეში მიუყუჩულა. „ბეე, ბეე, ბეეე“ — ხავის კიდევ ერთი თანამომძის სიკვდილით თავზარდაცემული. სათვალიანი ცხვრის თავს მისჩერებია და მაგიდის კიდეზე ჩამოწყობილ თითებს მოუსვენრად ათამაშებს, თითქოს კლაკნებზე ერთი და იგივე ბგერა გამოჰყავს ჯიუტად, გელას ჯიბრით, რადგან გელა დაძაბული ელოდება, როდის დაილაპარაკებს ისევ, ელოდება, რადგან აღარ უნდა იმისი ხმის გაგონება, აღარ შეუძლია; შეიძლება, ვეღარ შეიკავოს თავი და მართლა გაუხვრიტოს შუბლი: თუმცა, ასე იმიტომ ფიქრობს, ასე რომ ვერ მოიქცევა; საერთოდ რომ არ იცის, როგორ მოიქცეს, როგორ ილაპარაკოს ამ კაცთან. საკუთარი უმწეობა აღიზიანებს, რაც კი არ აშორებს, უფრო ააწლოებს იმასთან, მაგრამ, ამავე დროს, პატივისცემის, მოკრძალების გრძნობასაც უსპობს, ყველა უმცროსს რომ უნდა ჰქონდეს ყველა უფროსის მიმართ; უნდა ჰქონდეს, მაგრამ უმცროსის ბრალია თუ უფროსისა, ჯერჯერობით, მხოლოდ პირიქით ხდება. „ვერასოდეს ვეღარ გავაღწევ აქედანო“ — ფიქრობს დამფრთხალი, დაბნეული, შეურაცხყოფილი და ისევ ეჯიმება ტუჩები, ისევ უცახცახებს დანაოჭებული ნიკაპი. „მე რომ თქვენი მოკვლა მინდოდეს, მოგკლავდით კიდევაც!“ — ამბობს უცებ და თვითონაც წინ იხრება, სათვალიანისკენ, თითქოს თვალიც უნდა მიადევნოს საკუთარ ნათქვამს, ნახოს, როგორ იმოქმედებს იგი სათვალიანის სახეზეც.

— ერთი იცოდე, — ამბობს სათვალიანი. — შენ ჯერ არაფერი დაგიშავებია ისეთი, რისი პატიებაც არ შეიძლებოდეს, მაგრამ ყველა თავზე დაგაჯდება, ის შენი ბატონი, ბატონუფროსი, ტერი იქნება თუ სხვა. ეს ადამიანი ისეთ რამეს არ ჩაიდენ, რისი მიტევებაც ძნელია. არ შეიძლება. მე ჩემი გითხარი. დანარჩენი შენ იცი. შენს სინდისზე იყოს. — კბილს კბილზე აჭერს და ყბებზე კუნთები ებერება. ისეთი საცოდავი, ისეთი შეწუხებული სახე ადევს, გელა უნებურად თვალს არიდებს. წეხიერად არც გაგებინა, რას ეუბნება სათვალიანი, მაგრამ მაინც აძრწუნებს იმისი ლაპარაკი. „თვითონაა დედალიო“ — ფიქრობს საკუთარი შიშის მისაჩქმალად. „თქვენ თვითონა ხართ დედალი“ — ამბობს ხმამაღლა და უკვირს, რადგან სრულებითაც არ აპირებდა ხმამაღლა ამის თქმას. მაგრამ, იმავე წამს, მისთვისაც მოულოდნელად, იქამდე განუცდელი სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობა ეუფლება უცებ: პირველად ეუბნება თავის სიცოცხლეში, არა საკუთარ თავს, მეორე კაცს, თანაც მასზე უფროსს, მშიშარა ხარო, და არა ჯიბრით, იმ მეორე კაცის აბუჩად აგდების მიზნით, არამედ იმიტომ, ასევე პირველად თავის სიცოცხლეში, თვალი რომ ეხილება ნამდვილი შიშის, შიშის კი არა, ნამდვილი სილაჩრის დასანახად. — ლაჩარი ხართ. — რაღაცნაირად გახალისებული, არ აგვიანებს ამ ახალი აღმოჩენის გამომყღვანებასაც.

— ვარ. — მაშინვე ეთანხმება სათვალიანი. ყველაფერზე თანახმაა, რაც კიდევ უფრო ამაზრზენს გახდის ბავშვის თვალში, რომელსაც აშკარად ფეხებზე ჰკიდია იგი, არც მისი მსჯელია და არც მისი გამკითხავი. — ვარ. — იმეორებს სხარტად, როგორც მოსწავლე ანდა პატიმარი სიის მოკითხვისას.—ამასაც მოვითმენ, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა. მაგრამ შენ რაღა გამოდიხარ? აბა, დაუკვირდი. უსვინდისო. პატარა უსვინდისო.. ჩემთვის მოკვდომეთქი, რომ მეთხოვა, მაშინ რაღას იზამდი? სიმართლე თუ გინდა, შენ

ჩვენზე უარესი გველი იზრდები. კაცს ან თავის მოკვლა უნდა შეეძლოს, ან სხვისი მოკვლა, ან სხვისთვის სიკვდილი. შენ კი სუფთა გინდა დარჩე, დედიკოს ბიჭუნა... ყურის აწევა არ გსიამოვნებს, მაგრამ სხვას რომ ლაყუჩები აქვს ახეული, არაფრად მიგაჩნია. ტყვიაც არ გემტება იმისთვის. ჩახმახის გამოკვრაც გეზარება. ბოლო რომ მოუღო ომის ტახვა-ფშვალებას. დიახაც, რომ ლაჩარი ვარ, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამდი. მაგრამ არა მგონია, ისინიც ჩემსავით გაგიჩუმდნენ. — თავს იქნევს კარებისკენ. — როცა გიგებენ, რევოლვერს რომ უმიზნებ მძინარეებს. არა მგონია, ღმერთი-რჯული. არა მგონია. — ქირქილებს კამათში გამარჯვებული კაცივით.

— თოვლი გადნა. — ამბობს გელა. — თოვლი გადნა.

სათვალიანი გაოცებული უყურებს. უარესად დასძაბვია სახე. უარესად დანაოჭებია თვალებს ირგვლივ გაფერმკრთალებული კანი. გელა გრძნობს მის მზერას. მაგრამ ჯიუტად არ იყურება მისკენ. მოწყენილა. აღარ უნდა საუბრის გაგრძელება. თითქოს სილაჩრე გადამდები სენი იყოს, და თითქოს ხმითაც შეიძლება გადაედოს. კარდალის შავი მუცლით გაჭყლეტილი ცეცხლი გამწარებული იბრძვის — უაზროდ, ალალბედზე. გელასავით. დაძაბულობისგან ერთიანად ცახცახებს. კარდალი კი, აინუზწიც არ აგდებს იმის გაწამაწიას — მკვრივი, მყარი, პირქუში. ორთქლიანი, მსუყე წვეთები შეფრქვევია, თითქოს რკინაში გამოუქონავს თოვლის ცრემლს. გელა ცეცხლს უყურებს და მოუთმენლად ელოდება სათვალიანის ხმის გაგონებას, რადგან ტანზე უგრძნობს, სწორედ ახლა რომ ეტყვის სათვალიანი იმას, რისიც ყველაზე მეტად ეშინია, და რისი მოსმენაც ყველაზე ნაკლებად ამ კაცისგან უნდა. ისევ თავისთავად ეჭიმება ტუჩები. ისევ უცახცახებს ნიკაპი. ისევ შფოთავს, წრიალებს მისი ჭეშმარიტი, ძალით მიჩქმალული, ძალით უარყოფილი, ტანება და უფრო ადრე უარყოფილი, ... ული სიცილი, ვიდრე ... ვამდეს სათვალიანის ნათქვამს. „ჩვენს შორის მაინც შენა ხარ ყველაზე უმბერური“ — ეუბნება სათვალიანი; ის კი იცინის, იცინის, იცინის, თითქოს სიცილით ჩაახშობს დაუნდობელ სიმართლეს, თანაგრძნობის ნიღაბი რომ აუფარებია, რათა უფრო თავისუფლად ჩამოადოს მხარზე თავისი მძიმე, დამთრგუნველი მარჯვენა, უფრო იოლად დაანოჭოს საკუთარი თავმოყვარეობის, სიმტკიცის, სიჯიუტის კუბოსთან.

— შენ ჯერ დასაკარგიც არაფერი გაქვს, — აგრძელებს სათვალიანი ცხარედ, თითქოს ანეგდოტს ყვება და კი არ უშლის, უარესად აქეზებს მსმენელის სიცილი. — შენ ჯერ თვალიც არ აგიხელია. ორმოცი წელი ბრმად უნდა იხეტიალო უდაბნოში. ჯერ არაფერი გაგეგება, რადგან რაც იცი, მხოლოდ უფროსების ნაამბობით იცი. შენთვის ჯერ კიდევ საკითხავია, არსებობს თუ არა აღთქმული ქვეყანა. უდაბნოს კი გაჩენის დღიდანვე იცნობ. საკუთარ თავზე გიწვნევია იმისი სულისშემხუთავი სიცხეცა და ძვლების დამბზარავი სიცივეც. მრავალგზის გაგბერვია მუცელი შხამიანი წყლით და მრავალგზის ამოგირწყვევია უვარგისი საჭმელი. შენ ხომ ნამდვილი პორისა და წყლის არსებობაც ზღაპრად გაგიგონია? ამიტომ, სულერთია, საით წაგიყვანენ, წინ თუ უკან: თავის დასაცავად გიჭირავს მახვილი თუ თავის მოსასპობად. იცინე, იცინე, საბრალო მონავ.

რამდენი ვირიც ვიყიდე, ყველა ყროყინა გამოდგა. — ამბობს აირწინაღლიანი. გატყავებული ცხვრის ნახევარი თვითონ უჭირავს, ნახევარი — ბრტყელსახიანს. ორივეს ერთნაირად დაწნეულებია თოვლით დაბანილი ხელები. — რაღას უყურებ, დაკეკე. — ეუბნება ბრტყელსახიანს. თავის

ნახევარ ცხვარს კი ჭერში კიდებს კაუჭზე, მუხლში გადაჭრილი უკანა ფეხით. — ციხეში ერთი ნამინისტრალი იჯდა ჩემთან, დილიდან საღამომდე გაუთავებლად ლაპარაკობდა, შენსავით. პირს თუ არ ავუკრავდით, ისე არ გაჩუმდებოდა. სანამ ქრთამს არ ვიღებდი, დამცინოდნენ, ავიღე და დამიჭერესო. არც დღე გვქონდა მოსვენება, არც ღამე. სულერთი იყო, ვუსმენდით თუ არ ვუსმენდით. მე რომ ინგლისელების აგენტი ვიყო, თქვენთან როგორ გამაჩერებდნენო. აგენტობისა რა მოგახსენო და, ფუშიანი კი ნამდვილად იყო. შენც ფუშიანი ხომ არა ხარ, ჰა? — ეუბნება სათვალიანს და იმის გვერდით ჯდება. ტუჩებზე შეკავებული ღიმილი დასთამაშებს. თან დაწითლებულ ხელებს ისრესავს, ათბობს. — ჩემს წამალს ჯერ ძალა არ დაუკარგავს და არც მარტო ქალებს უხდება, რომ იცოდე. — ახლა ერთმანეთზე უპარტყუნებს გაშლილ ხელებს, თითქოს ტაშით აჯილდოვებს საკუთარ ხუმრობას. ფეხით დაკიდული ნახევარი ცხვარი კაუჭზე ტრიალებს. ალაგ ვარდისფერსა და ალაგ ჩალურჯებულ ხორცს თეთრი, სიფრფანა, ქაფივით დაბუშტული აპკი გადაჭკრია. სიგრძეზე გაჩეხილ ხერხემალს ძვლის წვრილი ნამსხვრევები და შედედებული სისხლის ნაფლეთები შერჩენია. ქოხი ხორცის სუნით იყლინთება. ნახევარი კისრიდან ჯერ ისევ წვეთავს სისხლი. ერთი წვეთი მაგიდის კიდეზე ეცემა, მომდევნო — იატაკზე. — რაო? რა მინდაო? — ეკითხება გელას. გელა არ პასუხობს. თითქოს შეკითხვა არც გაუგია. საბედნიეროდ, აღარც აირწინაღიანი აციდება. კარადაში წყალი უკვე ბუყბუყებს, ხორცის ნაჭრებს ატრიალებს, კუთხეში მიყუჟული ცხვარი დაძაბული, დაეჭვებული იყურება კაცებისკენ. ბრტყელსახიანს ობით გამომწვანებული, მწყემსების დანატოვარი ქაფქირი უჭირავს ხელში. მაგიდის კიდეზე სისხლის პატარა გუბე ბზინავს. ზუსტად ისეთივე გუბეა იატაკზეც, მაგიდის ფეხთან გასხეული ტყუპები. სეფ[illegible] [illegible]ენ უერთმანეთოდ. კაუჭზე დაკიდული ნახევარი ცხვარი აღარ ტრიალებს, დაამთავრა, ბოლომდე ამოწურა ცხოვრება. კარადალიდან ამომავალ ორთქლს სასიამოვნო, მადისაღძვრელი სუნი დაკრავს. რაღაცნაირად ჩამყუდროვებული, ჩაწყნარებული, დამშვიდებული ყველაფერი. კარადალის ოზშივარში, ერთი წამით, ისევ კრთება მამა; შეუცრავ ზონარს მიითრევს. აირწინაღიანს წიგნები წინ დაელაგებია, მაგიდაზე. აირწინაღის მოფუშული ჩანთა ისევ მხარიღლივ ჰკიდია. „წავიკითხო თუ წაიკითხავ?“ — ეკითხება სათვალიანს. „ჯერ სათვალე დამიბრუნე“ — გაბუტული ბავშვივით ბურდღუნებს სათვალიანი. „უი, სათვალე! კიდევ კარგი, გამახსენე. შენ ისა თქვი, თოვლში თუ წამომვარდა.—გახუნებულ ტილოს ჩანთაში იქექება. — არა. აქ ჩრის. ბედი გქონია. — ჩანთიდან სათვალე ამოაქვს, მაგრამ თითქმის მაშინვე, უკანვე აბრუნებს. თითქოს თავისი საკეთრება მოიძია და დამშვიდდა. — მოიცა. ჯერ პური ვჭამოთ და მერე. ჭამის დროს რომ ყბედობენ, კუჭი მიპატარავდება. ისევ მე წავიკითხავ“. სათვალიანს სათვალის ჩამოსართშევად გაშვერილი ხელი ჰაერში უშეშდება. აირწინაღიანი იცინის და თვალს არიდებს. „სადილის წინ ვინ გესიამოვნებათ, მილედი, ემმა თუ... სულ მავიწყდება, რა ჰქვია იმ შობელძაღლს. რა ჰქვია იმ გოგოს, დომენტი? შენ გეხსომება, წუწკი კაცი ხარ“. — ეძახის ბრტყელსახიანს. „აბა, რომელს?“ — ილრიჭება ბრტყელსახიანი, კარადალთან დაუუდებული, სურნელოვან ორთქლში გახვეული, ქაფქირმომარჯვებული. მშვენიერად იცის, ვიზედაც ეკითხებიან, ყოველ დღე ასეა, მაგრამ აირწინაღიანს იწვევს ბილწსიტყვაობაში, მოსწონს იმისი უხამსი ლაპარაკი; გემრიელად, მარილიანად ლტყვის რამეს. „აი, მამამ რომ გადააყუდა ტყეში“ — ახსენებს აირწინაღიანი.

„ჯანდაბას იმის თავი“ — უარესად იღრიჭება ბრტყელსახიანი.

— შენ ბიჭი გაკვს თუ გოგო? — ეკითხება სათვალიანი აირწინაღიანს.

მოულოდნელი შეკითხვა აირწინაღიანს ერთი წუთით აბნევს, ოგნეს. რაკიდენჯერმე იფურთხებს ცერა თითის მსუქან ბალიშზე, წიგნის გადაფურცლა კი ავიწყდება. ხან სათვალიანს ამოხედავს, ხან ბრტყელსახიანისკენ აპარებს თვალს, თითქოს იმ გზას ადგენს, ჯზუსტებს, მისმა სიიდუმლომ რომ გაიარა უიმისოდ; თითქოს არ იცის, რა სჯობია: მოუყრუოს შეკითხვას, არ ჩათვალოს სათვალიანი პასუხის ღირსად, თუ გამოამღვავნოს კიდეე ერთი სიიდუმლო, არანაკლებ მნიშვნელოვანი — ყველაზე მტკივნეულ, ყველაზე დამალულ, ჩირქით გამიდგულ მუწუჯზე რომ დაადგეს ფეხი. „შენ რა იცი, მე რომ შვილი მყავს?“ — ამბობს ბოლოს, ფრთხილად, შემპარავად, გაუბედავადაც. იძულებულია, ჩაახვევოს, ითრთოლებული, ძალმილეული ხმა დაიმორჩილოს. სათვალიანს მიმართავს, თუმცა ბრტყელსახიანს უყურებს, ბრტყელსახიანს ბურღავს ჯერ კიდევ მომღიმარი თვალებით; ჯერ კიდევ იმედი აქვს, ბტყელსახიანი რომ ანიშნებს რამენაირად — არ გამიყიდიხარ, არ წამოგო ანკეტზე, შენი გამოტეხა უნდა სათვალიანსო. ნირწამხდარი, შემცბარი ბრტყელსახიანი გამალებული ურევს ქაფქირს აბუბუყებულ კარდალში, ვითომ თავისი საქმითაა გართული და სხვა არაფერი ეყურება. „რა ენა ჩაგვარდა! ბიჭია თუ გოგო?“— არ ეშვება სათვალიანი აირწინაღიანს, სასაცილოდ, ყვინჩილასავით აფოფრილი, ატაცებული, ტუჩებათრთოლებული. სათვალე გინდაც დაუბრუნონ, მაინც ვერაფერს დაინახავს ალბათ, ისეა საკუთარი სითამამით შეპყრობილი, დამრმავებული. საერთოდ აღარ ადევს ფერი. მხოლოდ ყურები უბრიალებს წითლად. „ბიჭია თუ გოგო. ბიჭია თუ გოგო. ბიჭია თუ გოგო“. — იმეორებს გიჟივით. „რამდენი მოგცეს, ბიჭო? ... ღვარძლიანად ცრის ცბილებმე ... ნაღიანი. ბრტყელსახიანს მიმართავს, მაგრამ იმდენი სიძულვილი, იმდენი ღვარძლი და რისხვაა მის ხმაში ჩატეული, უნებურად, გულსაც ებურძგნება ხორცი. განძრევისაც ეშინია; კი არ ეშინია — არ შეუძლია, თითქოს თოკით დაუბამთ სკამზე, პირში კი ჩვარი ჩაუჩრიათ. და ზის ასე: უსუსური, უმწეო, უმნიშვნელო; არაფრის შემძლე; არაფრის მაქნისი. „შე დღეს მოვკვდები“ — მოულოდნელად იბადება მის გონებაში ცივი, ხორცლიანი, მაგრამ გადამრჩენელი, სასიამოვნოდ შემაძრწუნებელი ფიქრი. „შედღესმოკვდებიმედღესმოკვდებიმედღესმოკვდებიმედღესმოკვდები “— ზედიზედ იმეორებს გუნებაში, ერთსა და იმავეს, როგორც გვირაბი — მატარებლის ბორბლების დგანდგარს. ჯიუტად, გაუაზრებლად ებღაუჭება ამ ფიქრს, ამ ფიქრში ზის, როგორც მატარებელში და ბათუმისკენ მიქრის, ნატოსკენ, სარკმელში განვლილი ცხოვრების ნაფლეთები ელავენ და ქრებიან მატარებლის საწინააღმდეგო მიმართულებით. ჩაიქროლა მამის კუბომ, დედის გამეხებულმა სახემ, შავად გაზნითულმა რეზერვუარებმა, ნეოიის აყაყანებულმა ბაზარმა, ფრანგების ეკლესიამ... ნატო კი არ ჩანს, არ ჩანს, რადგან მატარებელი ბათუმის სადგურში კი არ ჩერდება, ისევ აქ დგანდგარებს, კედლებგამომპალ ქოხში, გელას გონებაში, კარდალის ობშივარში, მოხარშული ხორცის, მოხარშული სისხლის, მოხარშული ძვლის სუნში — — ნელნელა რომ იზრდება, ღონიერდება და საგუბარიდან თავდაღწეული წყალივით შლის და არღვევს ყველაფერს; ამ სუნის ზვირთებში ბრუნავენ უთავბოლოდ: სახეები, საგნები, ხმები, როგორც ხორცის ნაჭრები მდუღარეში. წონადაკარგულნი, წონასწორობიდან გამოსულნი, ჩასახარშად, ჩასანთქმე-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ლად განწირულნი. ცალკეული, ერთმანეთთან ძნელად დასაკავშირებელი სიტყვები იბურცებიან, ბუტბუტებენ და სკდებიან ამ უცნაური მდინარის ზედაპირზე, დამხრჩვალთა უკანასკნელი ამონასუნთქვივით, უკანასკნელი სულივით. მამაც აქ არის; ოღონდ მდინარიდან მარტო ხელებიღა მოუჩანს, მაჯებს ზემოთ; სანახევროდ მოღუნულ თითებს თითქოს რაღაც მრგვალი, უჩინარი საგანი უჭირავთ. გელა თავს არატრატებს, ეს შემზარავი ჩვენება რომ მოიშოროს, და მაშინვე უბრუნდება მხედველობა. სათვალიანი ფეხზე წამომდგარა. გაფითრებული, თვალებგადმოკარკლული, სასულეში ლუკმაგაჩხერილივით აბჩენს პირს; მაცოცხლებელ, არარსებულ ჰაერს დაეძებს პირით. აირწინაღიანი რქებში ჩაფრენია ცხვრის თავს, ისიც გაფითრებული, ისიც თვალებგადმოკარკლული. ისიც არარსებული ჰაერის მაძიებელი. თითქოს იმათაც, ეს წუთია, ამოუყუჩუმალავებიათ ბნელი, უძირო მორევიდან. ცხვრის თავი გალურჯებულ ენას უყოფს გელას და მაგიდაზე სისხლის ფართო, მბზინავ ზოლსა ტოვებს; მერე მძიმედ, ზანტად მიფრინავს, როგორც ბუ ღრსსით, და რქებით გულმკერდში ეხეთქება სათვალიანს, ცხვრის სადგომისკენ მიდგნის, სადაც თვითონაც იდგა ამ ერთი საათის წინ და სადაც მისი ერთადერთი თანამოძმე, გამწარებული არახუნებს თავს ჭოხის გამომპალ მორებზე. სათვალიანი ბინიერ თოკს აწყდება და თოკს იქით. ცხვრების დანატოვარ წუმპეში ეცოდება. ერთი ფეხი თოკზე აქვს ჩამოდებული, ხელებით კი გაგიეებულ ცხვარს ებღაუჭება. ბეეე, ბეეე, ბეეე — ბღავის თავჩარდაცემული ცხვარი. სათვალიანი ფართხალებს. ციგურებზე პირველად შემდგარი კაცივით, ვერაფრით ვერ მოუყრია თავი საკუთარი ფეხებისთვის. ბოლოს ნელა, გაუბედავად იმართება ფეხებზე. აქოთებულ წუმპეში ამოთხვრილი ხელები განზე უჭირავს. პატარა, მაგრამ ბრაზიანი ბავშვივით აბურძგნული, ჩიხში ... [illegible] გზამოჭრილი, აღსასრულის შეგრძნებით გამძვინვარებული, გაძლიერებული. უსაშველოდ გადიდებული თვალებიდან ცეცხლს აკვესებს; კბილები დაუკრეჭია. ცხვარი კი შფოთავს, წრიალებს; შარდში აზელილ კუჭულზე იმასაც უსხლტება ფეხი და ჭოხის დამპალ მორებზე არახუნებს თავს. „გაარუმეთ, გაარუმეთ. თორემ მოგკლავ“. — ღრიალებს ქალთა მკურნალი და გელას სმენაც ეხსნება; მხოლოდ მაშინ სწვდება სათვალიანის ხმა. სათვალიანი ჩქარჩქარა, სულის მოუთქმელად ლაპარაკობს, მაგრამ ყოველ სიტყვას გარკვევით, მკაფიოდ გამოთქვამს: წარღვნა, მიწისძვრა, ხანძარი მხოლოდ იმას ანგრევს, რისი აღდგენაც კიდევ შეიძლება. შენ კი მატლი ხარ რწმენისა, იმედისა, აზრისა, ოცნებისა... და მაშინ გამოდიხარ ჭუპრიდან, როცა ქვეყანა ნანგრევებშია ჩამარხული, როცა ქვეყანა უპატრონო ბავშვთა თავშესაფრადაა ქცეული და შენს მატლურ ენის გამკითხავი არა ყავს, თავისუფლად დაბოგინობს ობლის საწოლში, პირზე ბალიშაფარებული ობლის სხეულზე, რათა ტლანქად, დაუფიქრებლად, დაუნანებლად მიასრისოს იგი საწოლზე. ტალახიანი ფეხის ანაბეჭდივით შეატოვოს იმისი ჯერ კიდევ კვირტგაუშლელი სიცოცხლე ნაცრისფერსა და ნესტიან ზეწარს. ჯერ კიდევ ბრმა, გულუბრყვილო, რომელმაც სიკვდილის წინ ბაბა დაგიძახა და რომელიც ნებისმიერ უცხო კაცს უმალ ბაბად ჩათვლიდა, ვიდრე... უცად სათვალიანი მთელი ძალით აწყდება კედელს და აქოთებულ წუმპეში ამოსვრილ ხელებს. იქამდე განზე რომ ეპირა, სახეზე იფარებს. სროლის ხმა მერე ესმის გელას, როცა სათვალიანი უკვე მუხლებზე დგას, სახეზე ხელებაფარებული. სროლის ხმა თითქმის მაშინვე მეორდება და ამჯერად, არა შიში, არა გაკვირვება, ყველაფრისგან გამანთავისუფლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფრისგან გამომთიშველი სიმშვიდე ეუფლება გელას. გულგრილად უყურებს, როგორ უშეშდება თანდათანობით თვალები აირწინაღიანს, როგორ ამოდ ცდილობს, მოეღაუჭოს მაგიდას, თავი შეიმაგროს სკამზე, რადგან ჯერ კიდევ არ იცის, რომ მკვდარია, ჯერ მხოლოდ სათვალიანი ჰგონია მკვდარი და არაფერი არ არის ამაში გასაკვირი, რადგან თვითონვე ესროლა სათვალიანს, იგრძნო კიდეც, როგორ დაეძგერა სათვალიანს მისი რევოლვერიდან გამოვარდნილი ტყვია, მაგრამ ამას რატომღა ექაჩება მიწისკენ სხეული? რა მოხდა? „გამაგებინეთ, რა მოხდა?“ — ჰკივიან მისი გაშეშებული თვალები. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: თავა შეჯამა თხან, თხა შეჯამა მგელმა, რომელიც ახლა გელასაც შეახრამუნებს და ტყეს მიაშურებს, თუკი გელამ არ დაასწრო და სათვალიანის ნაჩუქარი რევოლვერით თავი არ დაიცვა, ანუ იმას არ გაუსვრიტა თავი. მაგრამ გელას არც ახსოვს, რევოლვერი რომ უდევს შარვლის სარტყელში. გინდაც ახსოვდეს, მაინც არ ჩაერევა ამ სისხლიან თამაშში, რომელიც უიმისოდ დაიწყო და უიმისოდ უნდა დამთავრდეს. ის მხოლოდ მაყურებელია, თანაც გულგრილი; არც პიესა მოსწონს, არც მსახიობთა თამაში: მშვიდად ელოდება სპექტაკლის დამთავრებას და მისთვის სულერთია, როგორ დამთავრდება იგი. აირწინაღიანი უკვე სანახევროდ გადავარდნილა სკამიდან, ნაღის ცარიელი ჩანთა ჰაერში ჯერ ლოს; ხოლო მისი რევოლვერი ცხვრის სისხლის გუბეში აგდია, მაგიდის ფეხთან: დაუსწრია პატრონისთვის და პატრონს ჯერ კიდევ ჰგონია, კი არ კვდები, რევოლვერის ასაღებად ვიხრებიო, მაგრამ უკვე გაქვავებული, უკვე გამოთიშული გონება ისევ უნათდება ერთი წამით; მაინც ასწრებს მკვლელისკენ გახედვას, გაკვირვებისგან პირის გაღებას — და ასე, გაკვირვებული, პირდაღებული, ბრტყელსახიანისკენ კისერმოღრეცილი — ეზანყება მიწაზე. ბრტყელსახიანი კარდალთან დგას; ერთ ხელში ქაფქირი უჭირავს, მეორეში — რევოლვერი, და გელას მისჩერებია გაღიმებული, თითქოს იმის გაუბედაობაზე ანდა გულმავიწყობაზე ეღიმება და კი არ ახსენებს, ელოდება, რიდის გაიხსენებს თვითონ, მისი ჯერი რომაა ახლა, იმან რომ უნდა დაუსვას ყველაფერს წერტილი. მაგრამ გელა განა იმათი მსაჯულია? „მე რა შუაში ვარ? რა ჩემი საქმეა? — ფიქრობს მშვიდად, აუღელვებლად, — შემიძლია, მაგრამ არ მინდა. განა, რაც შეუძლია, ყველაფერი უნდა გააკეთოს კაცმა?“ — ახლა ეკითხება წეღან მოლანდებულ მამას, მაგრამ კარდალის ოხშივარში ბრტყელსახიანი დგას მხოლოდ — მომღიმარი, მომლოდინე. ბეეე, ბეეე, ბეეე — ხავის თოკზე ყელჩამოდებული ცხვარი.

მედეა კახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედრება

თუ გინდ გავჩნდე
წიწვად, ბარდად,
თავს არ ჩავთვლი
საწყალობლად,
თუ ცამ ფიფქად ჩამომბარდნა,
მე არ მინდა
სხვა წყალობა.

არ ვინატრო საბინადროდ
არც ტაიგა,
არც ტრამალი,
ჩემი შავი მიწის გარდა
არ ვინდომო სხვა წამალი.

ღმერთს სიცოცხლეს
კვლავაც მოვთხოვ,
თუ არ მიმცემს
ქარებს უცხოს.
თუ ჩაუდგამს ჩემს სულს ფოთოლს,
ქართლის ბაღში სამეუფოდ!

●

თუ კართან
სარეველა იზრდება მიწყივ,
არ შეიძლება არ მოცელო,
უცხო **საყ**დარში
ლოცვას ვერ იტყვი,
არა გაქვს
თუ შენი სამლოცველო.

გვცემოდა გაუხდელად
თალხი და ძაძა,
სინდისი საამისოდ
ვის არ ეყო,
ვერ წამოაყენებ
დაქცეულ ტაძარს,
არა გაქვს თუ შენი
ქვის სამტეხლო.

ვინც იცის,
ყადრი სიგელ-გუჯრის,
ვინც სწავლობს ზეპირად
გალაკტიონს,
არ შეიძლება,
გინდ იყოს მუნჯი,
სამშობლოს ტკივილებმა
არ აკივლოს!

●

ვაიმე ჯამბაზს
უკრავენ ტაშს,
ვაიმე ტყვიას
ესვრიან შაშვს,
ვაიმე წყალი
აკლდება თერგს —
ვერ ვარჩევ მზისით
შავსა და თეთრს.
კალიის ჯარი
ესევა ზვარს,
აძრობენ ენას
ზედაზნის ზარს.
არავინ უძრახავს
სიმღერას ყვავს —
შემნდობი ცოდვის
არავინ გვყავს,
კვლავ სასაკლაოსთვის
ვიმეტებთ ხბოს,
შეუნდე ღმერთო,
შეუნდე ბრბოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველანი
თავთავიანთ საქმეს აკეთებენ,
ბარავენ,
თიბავენ,
მიზომილ ნაკვეთებზე.

არავინ ტყუვდება
ზღაპრებით, არაკით,
საბრალო ბებრის ყანას
არავინ არა მკის.

აღარ ღაღადებენ
გელათში კელაპტრები
მტრის ჯავრშეუჭმელი
მამულში ვეღარ ვკვდებით,
არავინ იხსენებს
ბიძინა ჩოლოყაშვილს,
სიკვდილი არჩია
ვინც ყოფნას მონობაში.

არავის სჭირდება
ღვინია ერთგული,
რწმენის, მეგობრობის
ფიცში შებმული.
ობოლს და უქონელს
არვინ უშლის გულს,
არავინ მოუხმობს
ზღაპრიდან უფლისწულს,
ცოტნეა, არსენა,
ლაშა თუ თამარი,
ყველასთვის საკუთარი
საქმეა მთავარი!

მდინარე

დადიხარ ტყე-ღრე
შიშველ ფეხებით
გალაღებული
გლეხის ბალღივით.
ველს სულს უბრუნებ
ერთი შებერვით,
მუდამ გზაში ხარ
რბენით დაღლილი,
თავს უშურველად
ჩვენთვის იწვალებ,
შენ ხარ თამადა
ყველა ნადიმის
და მაინც
ამ დიდ დედამიწაზე
ვერ გიპოვია
შენი ადგილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი

არც ბრალმდებელი,
არც დამცველი,
არც მხოლოდ მოწმე,
სამივე ერთად და უფრო მეტი
იყო პოეტი.
ხშირად ნათლავდნენ ბავშვად და ჩიტად,
რათა ნათქვამი მისი
ჩაეთვალათ ბავშვურ ტიტინად
და ყურთასმენის დამატკბობელ წყობილ
გალობად.
როცა ეძებდა სილამაზეს, ყველასგან დევნილს,
უგვანობასაც ამხელდა ამით
და მითს
ამსხვრევდა მშვენიერების გარდაცვალების,
მაშინ მიამიტს
უწოდებდნენ
და იცოდებდნენ.
ცხენს ადარებდნენ თვალსაფარიანს,
რომელსაც გვერდით ვერ შეემჩნია აჭრილი
შამბი,
შორს კი გზას ჭვრეტდა.
ცხენი თუ იყო, იყო ფეშანგი,
ოლონდ მაღლა რომ მიჰყავდა რემა.
ხშირად ნათლავდნენ ბავშვად და ჩიტად,
კამფეტითა და ნამცეცებით ვითომ აძღებდნენ.
და ვერ ხვდებოდნენ: სიმღერა მისი,
არც ტიტინი და არც გალობა,
იყო ყოველთვის მეტყველება დაუმარცხებლის!

პასუხი

„ხგრევა იყო ჩემი ბეატრიჩე“ —
გაიკაფა უარყოფის გზები...
მერე ყველგან გაბატონდა კიტჩი
სიახლეთა თვითმიზნური გზნებით.
იყიდება მოდერნიზმის მარკით.
არჩევანი არის მეტად ფართო—
ყოველგვარი ოპ-პოპ-ბოდი-არტი,
ყურს და თვალს რომ ართობს.
არის ერთი გოდება და ურვა.
კლასიკასო ადევს ათფა მტვერი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელს რენესანსს გადაწონის თურმე
ერთი énfant tèrrible.

...და დაიძრა მომღიმარი ლუვრიდან.
...და მთელი გზა ლიტანიას უვლიდა
ცრემლისფრქვევით. მონუსხული
მსოფლიო...
შორს იჭრებოდა ნათელი
თვალთაგან მომავლისა,
ამაყად მოგზაურობდა
ჯოკონდა, მონა ლიზა.

სიტყვა

სიტყვა უცოდველია, მოწყალე და კეთილი,
არასოდეს ყოფილა ბოროტი ან ავი.
ეს ჩვენა ვართ გულღია ანდა გულჩაკეტილი,
ეს ჩვენა ვართ გულთბილი ანდა გამყინავი.
სიტყვა უცოდველია და არ მუხანათობს,
ჩვენთანაა ყოველთვის, ჩვენი აზრის მთვლელი,
დაუზარებელია, მუდამ უღალატო,
ეს ჩვენა ვართ ერთგული ანდა გამყიდველი.
სიტყვა უანგაროა, არ უთვლია ნუთები,
ანგარიში არ უყვარს და არც გასამრჯელო,
ეს ჩვენ ვეძებთ მოგებას — კარგებიც და
ცუდებიც,
სიტყვებს შეფარებულნი, სიკეთეზე ვმსჯელობთ.
სიტყვა უცოდველია.

ნუ ეზომები

ნუ ეზომები.
მოჭრილია სულ სხვა არშინით.
არც უკვდავება.
დავიწყებაც ხომ არ აშინებს!
არ ვინდა. გირჩევ.
შეჯიბრება შენ ეს ავბედი.
ნუ ეტოლები.
ეორემ უფრო პატარავდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ჟუთათელაძე

დონ-კიხოტი

ეს გაუმარჯოს
  იმ არარსებულ ბედნიერებას,
რომელიც ყველა ჩვენგანში ყვირის...
უკანასკნელი მანქანის სხივი,
რომელიც ეუჩაზე დიდი ხანია
  უკვე აღარ ჩანს,
თვალებს მიჰყინვია.
ეს გაუმარჯოს იმ ჩარჩოებს,
სადაც უწინ ბავშვობა იდგა
და ახლა მხოლოდ ჩარჩოებია...
ვინლა მოგგკითხავს სინდისს(?!),
თუ ჩავლილი მანქანის სხივი,
რომელიც უკვე აღარ ანათებს,
ჩადგა თვალებში...
ქუჩა ახლა ცარიელია,
როგორც სხეული...
  უკვე აღარც სიცივეა
და აღარც სიცხე,
გაზაფხულმა გადაიარა
და გაკაწრა ყველა ძარღვი,
ჟონავს წყალი ყველა ძარღვიდან...
გამხმარ ხეებზე
სიზმრის თეთრი კრავი ქანაობს...
და დგას კაცი,
რომელსაც ჩარჩოში ბავშვობის
დამწყვდევა უნდა;
და დგას კაცი,
რომელმაც უკანასკნელი
მანქანის სხივი
მზედ უნდა აქციოს;
და დგას კაცი,
რომელიც ძარღვებს
სისხლით ავსებს;
და დგას კაცი,
რომელსაც ხელზე უსვენია
ბედნიერება შენთვის და ჩემთვის!
და შესწევს ძალა
ისევ იყოს ადამიანი...

●

ვიღაცა მიმსხვრევს ნაფერებ
  ღიმილს,
გალურსულ ხეებს სიგრილე
  კვეთავს...
თოვლი მოსულა, ქარი დამდგარა,
სიმღერა დადის დარდად და რეტად.
გაწუწულ ღრუბლებს მხრებში
  ხრის ჟრუოლა.
თოვლი კი მოდის, მოდის და ქრება,
ზამთარში მაისს მოუთოვია
ამ ღამის ცისფრად ამოლექსება.

გამინაპირდა ყველა სურვილი,
ცარაფერი მინდა და ვმღერი,
მუსიკალური ფერების ველზე
კვლავ გაბატონდა ცისფერი ფერი.

მე მუსიკაში ვმაღლდები ძლიერ,
გზა მინავლდება თოვლში და ხმებში
და საკორწინო ავგაროზებად
მკერდზე დამათოვს ფიფქების თქეში.

მე ლილისფერი მხრები მაქვს ახლა,
ყვითელი როკვით დაფრინავს სევდა,
როგორც დაფურცლულ
  ბაბუაწვერას
თოვლში მომინდა ცეკვა და ცეკვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ხმაში როდი მღერის ტკივილი,
ყველა ხმას უნდა მისცე ნუგეში,
გაუხედნავი თეთრი კვიცივით
აწყდება სხეულს დროთა სიმძიმე.
ილევი, როგორც ღამის სიცივე
და როცა მზეში გაიხვითქები
მაშინლა ამჩნევ თმისა და კაბის
გამოხუნებულ ფერთა ნაფლეთებს;
და გიკვირს, როგორ ხუნდება სული
ყრუდ დარაზული დარაბის მიღმა:
ერთი მოტივის განმეორებით
დალლილი ტვინი ირევა ძიებაში.
შენი ტკივილის ამღერებისთვის
დიდი ხანია აღარ გცალია,
რომ დაუბრუნდე ნატყვიარ
სურვილს,
ძალიან ბევრი უნდა დალიო.
ერთ ხმაში როდი მღერის ტკივილი,
ვერ გამოიცნობ სიცილს და ოხვრას
და შენ იდგები ხალხში მარტოკა
სხვათა ავდარში
და სხვისი მზის ქვეშ.

შ. რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლის
„რიჩარდ III“-ის ნახვის შემდეგ.

რიჩარდ გლოსტერის
ბოროტება
პარტერში მხოლოდ სიკეთეს
ტოვებს?..
მაგრამ სინდისი
ჟამიჟამ ყოველს
გვახსენებს, რომ გვაქვს
შავი ფესვებიც;
და იმწამსვე ვკლავთ
რაღაცას სათნოს,
რაღაცას ღვთიურს...
სამოთხეში კი არ მივდივართ,
თვითონ მოდის სამოთხე ჩვენთან
და ახლა ხუთი გამხმარი ტოტი
სინჯავს ნაყოფს,
მის სიმკვრივეს
და მრგვლოვან ფორმებს..
თუმცა ნაყოფმა
ისევ ნაყოფი უნდა დაბადოს,
უნაყოფობას ბადებს ჩემში.
როგორც ფენიესი
აღმდგარი ვარ საკუთარ თავში
და განველტვი
ყოველგვარ საშოს ბინიერების...
მხოლოდ ერთი კითხვა მაწამებს
ევას მოდგმის სიბერეს და
ხანოვანებას:
—საიდან მოდის ამდენი ტანჯვა?
იმ ერთი ბილწი
და შტერი ქალის
გაჩენისათვის
ისევ ჩვენ
რატომ გვერჩის და გვერჩის
მაღალი ღმერთი?!.

დაბრუნება

კარი ღიაა
და ფეხაკრეფით
შემოდის ჩემში
ჩემი სხეული
და ჟანგიანი
ჩემი სახსრები
ვერ ელევიან
ჩვეულ სიჩუმეს.
გალაქუნია
ირგვლივ სამყარო..
შეუმჩნეველი რჩებათ მნახველებს
აკინძული ნაფლეთები
ჩემი არსების
და მე ვბრუნდები!..
თქვენ დაინახავთ
ყაობისფერი დაღლილობისგან
აღმართულ ლოდებს,
სიფრიფანა ღიმილის ფარდას
და გაიხარებთ,
რომ მე დავბრუნდი.

ლილი ნუცუბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი ლექსი საქართველოს სიყვარულს

მთები

აქეთ მთები,
იქით მთები
მთების იქით
მთები კიდევ,
ამ მთებისთვის
ვიფერფლებით.
ამ მთებისთვის
ეკვდებით კიდეც.

მზეზე გამოაბრწყინებენ
კალთებს შორის
გაშლილ მდელოს,
მთები კი არ ამძიმებენ.—
ამშვენებენ
საქართველოს!

●

ვიცი ეს ყველაფერი
ზღვა, მთები და ჩანჩქერი
ცის და მიწის ნათელი
და სიმდიდრე განთქმული. —

უპირველეს ყოვლისა,
დამანახვე ქართველი,
უპირველეს ყოვლისა,
გამაგონე ქართული!

მერე წავალ...

გული მიტევს.
ჩემს წინ თითქოს,
შავმა ეტლმა
გადიელვა,
სხვას ვის ჰკითხა,
მე რომ მკითხოს
მოსვლა
ბიჭელ გაბრიელმა.

ერთხელ კიდევ
ოვალს შევავლებ
მთას და მდელოს
მაყვლებიანს
მერე წავალ,
საქართველოს
ჩემს მეტი ნუ
დაკლებია!

ჯემალ ქარჩხაძე

მალალი კაცი

ერთ მხარეს კლდეა, მეორე მხარეს ხევი. შუაში ნაცრისფერი გზა გადის.

ნაცრისფერ გზაზე ავტობუსი ძირახრახებს.

მგზავრები ინჯღრევიან და ერთმანეთს მხრებით ეჯახებიან (რასაც მერე გამოლაპარაკების საბაბად იყენებენ). ზოგჯერ, როცა ავტობუსი მოულოდნელად შეანელებს სვლას, სკამებიდან იაე წამოიწევიან, თითქოს გაფრენას აპირებენო. სინამდვილეში გაფრენის საშიშროება არ არსებობს. მაგრამ უკან დაშვებისას რომ არაფერი იტკინონ, ცდილობენ, სიმძიმის ცენტრი ტერფებზე გადაიტანონ და ინერციის ძალას რაღაცა დაუპირისპირონ.

ავტობუსში ხალვათობაა, თუმცა დასაჯდომი ადგილები თითქმის მთლიანად დაკავებულია (სულ ბოლო მერხია თავისუფალი. იქ მხოლოდ ერთი მთვრალი კაცი ზის, რომელსაც პორთფელი ორივე ხელით მაგრად ჩაებღუჯავს და სამედდოდ ჩაუხუტებია გულში).

მძღოლს უკან გადავარცხნილი თმა, დაბალი შუბლი, მასიური სახე, სქელი, ჯაგარა წარბები და იმედგაცრუებული გამომეტყველება აქვს.

მგზავრები ჭრელი ხალხია. ყველას თავისი გზა აქვს, თავისი მიზანი და თავისი ქერქი. მაგრამ ამ სიჭრელეში არის ერთი საერთო ფერი. ერთი საერთო ნერვი, რომელიც ყველას კრავს, ყველას აერთიანებს, ყველას ერთ წრეში აქცევს და ბიოლოგებსა და სოციოლოგებს სახეობრივი კლასიფიკაციის სამუშაოს აძლევს. ეს ის საერთო ნერვია, რის გამოც მგზავრები მშვიდობიანად სხედან ერთმანეთის გვერდით. ერთმანეთს არ ერჩიან და ერთმანეთის არ ეშინიათ. მეტიც: საერთო ნერვი, საერთო ფერი აიძულებთ ერთმანეთის იმედი ქქონდეთ. პატივი სცენ ერთმანეთს, გაუფრთხილდნენ და ზუთგი გაუმაგრონ. ასეც იქცევიან.

ავტობუსში ცხელა და ოფლის სუნი დგას. მაგრამ მგზავრებს ეს არ აწუხებთ. კარგა ხანია შეეჩვივნენ და ველარ გრძნობენ.

მგზავრებს თითო ხელი საერთო ნერვზე უკიდიათ და მშვიდად სხედან საერთო წრეში, სადაც მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთგაფრთხილების წესი მოიოხოს. რომ ნამდვილ ძღელვარება სიმშვიდის ფარგლებში ჩა-

ეტიოს, ნამდვილი ემოციები რაციონალურად დაიბარჯოს და ნამდვილი აღშფოთება ზუსტად იქნას დოზირებული.

მიუხედავად სიცხისა, ავტობუსში სიხალისეა. მხიარულება და სასაუბრო თემათა მრავალფეროვნება.

მაგალითად, სქელი ფაშფაშა დედაკაცი (წინა რიგში, ფანჯრის მხარეს), რომელსაც პატარა თავი, განიერი ყბები, ორკეცი ღაბები და უზრდელობამდე კმაყოფილი სახე. აქვს, ზნეობრივ პრობლემებს იკვლევს.

(ეს ჩვენი ნაქები გულიკო თურმე კაი ორი წელიწადია უნამუსოდ დაეთრევა კუროებში. აბა! ქმარს, როგორც წესია. მისი უსაქციელობა ყველაზე ბოლოს შეუტყვია. უბაწში კაცი არ იყო დარჩენილი, ეს ამბავი რომ არ სკოდნოდა. ეგ კი არა, თითისტოლა ღლაპები, არაფრისგან არაფერი რომ არ გაგებათ, ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ თურმე. წამო, ჭალაში წავიდეთ, გულიკობანა ვითამაშოთო. აბა! ისე, რომ გაუგია, ნამეტანი კი წყენია საწყალს. გულდადუთქეულს უთქვამს თურმე, ჩემი გულნარასგან ასეთ რამეს სწორედ არ მოველოდიო. ოჯახის დანგრევა მაინც ვერ გაუბედია. კი არ გაემტყუნება! კაი ათი წლის ცოლ-ქმარი არიან და გაუჭირდებოდა, არა რა იქნებოდა მიჩვეულის გადაჩვევა. პირობა კი დაუდია იმ არდასაცლელს, მეტს ალარ ვიზამო, მაგრამ, ქალმა თუ გაიწია, იმას პირობით კი არა, ჯაჭვით ვერ დაამაბ. კბილით დაგიღრღნის იმ ჯაჭვს და თავის უზნეობას მაინც იზამს).

მეორე ქალი, რომელიც ამ ამბავს ხარბი ყურადღებით ისმენს, იმ ასაკსაა მიტანებული, როცა „გულიკოს ეფექტი“ თანდათან განყენებულ თეორიად იქცევა. ჩათქვირებულ სხეულს სიმკვრივე უკვე დაუკარგავს და უმიზნო დეკოლტეს ქვეშ ამოზნექილი შემოდგომის მკერდიც გედის გაჭიანურებულ სიმღერას მიუგავს. იქნებ ამიტომაცაა, რომ ფაშფაშა მეზობლის ნაამბობი ზედმეტად ახლო მიაქვს იმ თავის მოშიშვლებულ გულთან, ერთიანად წამოპილპილებული თვალებიდან აღშფოთების ცეცხლს აკვესებს ეს ამ. (ეუფლიან გულიკოს სულ ისეთი [illegible] რთავი სახელებით იხსენიებს, როგორიცაა, „წუპაკი“, „მიწაწასაყრელი“ (ანა „მიწადასაყრელი“, როგორც სხვა, ნაკლებ გაწიწმატებული ქალი იტყოდა, არამედ „მიწაწასაყრელი“) და „გავარდნილი“. (ეს ზნეობრივი გაფფორება სავსებით გასაგები რეაქციაა. ამას ოოლად მიხვდებიან ისინი. ვისაც არასოდეს მისცემია შემთხვევა საყვარელი გაეჩინა, ან, კიდევ უკეთესი, ერთხელ მიეცა ასეთი შემთხვევა და ისიც ხელიდან გაუშვა).

პატარა ტანის, გამხდარ, ლოყებჩაცვენილ ახალგაზრდას, რომელსაც შუაში გაყოფილი და სუფთად დადავარცხნილი შავი თმა აქვს, სწორნაკვთებიანი სახე, გულღია გამომეტყველება და თაფლისფერი, ჭკვიანური თვალები, გრძელულვაშიანი ჭაღარა გლეხი მოუგდია ხელთ და პატრიოტიზის პროცედურას უტარებს.

(ყველამ თავი დაგვანებოს, ძია კაცო, თუ შეიძლება! ჯერ იმდენი გაკეკეთონ, რამდენიც ჩვენ გაგვიკეთებია. და მერე გველაპარაკონ. ჩვენ, ჩემო ბატონო, სისხლიც ბევრი დავღვარეთ და ოფლიც. და, საერთოდ, საქართველო გზა საქართველოზე გადიოდა. ვინ გამოხატა ერის ლიტერატურული გენია ისე უხვად, როგორც რუსთაველმა, ბარათაშვილმა, გალაკტიონმა? ვაჟა ფშაველზე არაფერს ვამბობ. ერთ მოზრდილ ერის მარტო ცოტნე დადიანის თავდადება ეყოფოდა სატრაბახოდ. ჩვენ კი, ვინ მოთვლის, რამდენი ცოტნე დადიანი გვყავდა, რამდენი მინდია და, როგორც პოეტი იტყვის, „და რამდენი კიდევ ყაზბეგი“! მაგრამ არ ვტრაბახობთ. იმიტომ რომ არ გვიკვირს. ჩვენთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, ასე ვთქვათ, ნორმალური სიტუაცია).

ჭკვიანთვალებიანი ახალგაზრდა ვაჟა ფშაველს ხსენებაზე რატომღაც ოდნავ დაიმორცხვებს და ხმასაც დაუწევს, ჭაღარა გლეხი დაინტერესებული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული უსმენს და, შიგადაშიგ, თეთრი, აპრეხილი ულვაშები უცნაურად უთრთის.

ვეება, ბეჭებგანიერი ჯეელი (ბრტყელი თავი, სქელი, შუბლზე ჩამოშლილი თმა და გაუპარსავი პირისახე) ისე ზის, რომ სკამის სამი მეოთხედი უჭირავს. და თუმცა მის თანამესაუბრეს, კაფანდარას, გაძვალტყავებულს, თვალებგამოღლამპულს, რომელსაც ისეთი შესახედაობა აქვს, კარგად თუ არ დაკვირდი, ვერც მიხვდები, გამურულია, შავია, თუ სულაც ბოლში გამოყვანილია, იმ დარჩენილ ერთ მეოთხედზე მეტი არც სჭირდება, მაინც ისე საცოდავადაა მიკუნჭული კუთხეში, როგორც ეს დაჩაგრულსა და გაუბედურებულ კაცს შეეფერება.

(ბიჭო, შე კაი დედმამაშვილო, თუ დალევა არ შეგიძლია და, საერთოდ, თუ გალსტუკით ხარ დამადებული, რას წამომიჯექი ამ მამაპაპურ სუფრაზე, რომ წამომიჯექი! მოვდივარ მე ბიბლოთეკაში და გიშლი ხელს? კარგი, მოხვედი — მოხვედი, ბოლოში მაინც დაჯექი, შე კაცო, და ისე იყავი, ვითომ არა ხარ. მამალივით რომ მოიფხორები და ჭრელ გასლტუკს მოაფრიალებ, რატომ იმას არ ფიქრობ, რომ შეიძლება ეგ ჭრელი გალსტუკი ცუდად ჩამყვეს გულში! ამის მერე რომ კიდევ სუფრის თავში გამომეჯგიმები და მეტრიან ენას წაიგდებ, გაგლახავ, თუ ძმა ხარ. აბა რას გიზამ! ბიჭო, შე მამაცხონებულო, ხომ იცი, ორ ბოთლ ღვინოს რომ დავლევ, ის ორი ბოთლი ღვინო ვინმეზე უნდა გამოვინელო. რას მეჩხირები თვალში! ოჯახაშენებულო, ან გვერდზე მიდექი, ან მითხარი მაინც, ჩემი დირექტორის სასიძო თუ ხარ, და სხვას გავლახავ, ჩემთვის სულ ერთი არ არის! სამსახურს რატომ მაკარგვინებ და საციხედ რატომ მიხდი საქმეს! ის ორი გროში რომ არ მქონოდა შავი დღისთვის გადანახული, ხომ ციხეში უნდა ვყოფილიყავი ახლა! ციხეში გამძლები ვარ მე?!)

ბოლო სიტყვებზე პერანგის კბილდა ღილსაც იხსნის, ბანჯგველიან მკერდს გამობერტყავს და საწყალობელი თვალებით მიჩჩერდება თანამესაუბრეს. თანამესაუბრე ერთს ხარბად შეხედავს უზარმაზარ მკერდს, მერე ტუჩებს უცნაურად მოპრუწავს, სწრაფად აარიდებს თვალს და ფანჯარაში დაიწყებს ყურებას.

მარცხენა მხარეს, შუა რიგში, ბიჭი და გოგო ზის. ბიჭი მაღალია, დიდშუშებიანი სათვალე უკეთია, გრძელი თმა აქვს და სერიოზული სახე. გოგო ძალიან ლამაზია, გახეხილი ჯინსის შარვალი და მკვრივ სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნილი ბიჭური ხალათი აცვია.

(გრძნობის ორგანოები იარაღია, მეტი არაფერი. ჩვეულებრივი იარაღი, როგორც ჩაქუჩი, როგორც კალამი, როგორც რადიომიმღები. ჰო! ან, ეს კარგი შედარება მოვიფიქრე! — საყვარო გადამცემია, ადამიანი კი — მიმღები, რომელიც ხუთ ტალღაზე მუშაობს, რაკი გრძნობის ხუთი ორგანო აქვს. სამყარო უამრავ სხვადასხვა სიგნალს გვიგზავნის თავისი არსებობის შესახებ. ჩვენ მათგან მხოლოდ ნაწილს აღვიქვამთ, კერძოდ, იმ ხუთს, რომლებიც ჩვენს ტალღებს შეესაბამება. მაგრამ, რაკი სიგნალი მრავალგვარია, მიღებაც მრავალგვარი უნდა იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობს ჩვენგან განსხვავებული ცნობიერება, რომელსაც სხვა იარაღები, გრძნობის სხვა ორგანოები აქვს. ერთდროულად ერთსა და იმავე სივრცეში არსებობს უამრავი ცნობიერება, რომლებიც სამყაროს სხვადასხვა სახით აღიქვამენ. ოღონდ ეს მრავალი ცნობიერება თავთავიანთ განზომილებაში იმყოფება. მეცნიერებას კი გულუბრყვილოდ ჰგონია, თითქოს ჩვენი ხუთი საცოდავი ორ-

---

ჯემალ ქარჩხაძე
მაღალი კაცი

განო სამყაროს ყველა პარამეტრს ამოწურავს. მეცნიერება ხუთი პაწაწკინტელა წერტილის მიხედვით ცდილობს უსასრულო სამყაროს ხატი შექმნას. რა ჭეშმარიტებაზე შეიძლება ასეთ დროს ლაპარაკი!)

ბიჭი ისეთი ყოვლისმომცველი გატაცებით ლაპარაკობს, რომელიც მოგვიანებით, როცა ალტაინება გაიკლის, ყელში ცივ სიმშრალესა და სიცარიელის გაუგებარ გრძნობას ტოვებს ხოლმე. ლამაზი გოგო თვალს არ აშორებს. მისი ოდნავ მიბნედილი მზერა ბიჭის სახეს ელამუნება, ტუჩებზე შედარებით ხანგრძლივად ჩერდება. აშკარაა, სამეცნიერო-ფანტასტიკურ სიგნალებს ისე ბეჯითად არ აღიქვამს, როგორც ამას მოსაუბრის ცეცხლოვანი თავდავიწყება მოიფხოვს. გოგო დროდადრო სახეს ძალიან ახლო მიუტანს სახესთან და თავის მხრივ გახშირებული სუნთქვის მძაფრ სიგნალებს უგზავნის, მაგრამ მისი სიგნალები უკვალოდ იკარგება, რადგან ბიჭი სხვა ტალღაზე მუშაობს.

მძღოლი დროდადრო სარკიდან გამოხედავს სალონს, წამით თვალს გადაავლებს თავის სამწყოსს და მერე ისევ ნაცრისფერ გზაზე გადააქვს ყურადღება.

უფრო მნიშვნელოვანი ავტობუსში არაფერი ხდება.

ცხადია, მგზავრი სხვაც ბევრია (ღიპიანი, ლოყებღაჟღაჟა კაცი, შავებიანი დედაბერი, სუფთად ჩაცმული, სუფთად გაპარსული და სუფთად დავარცხნილი ოხუნჯი ახალგაზრდა, მკერდმაღალი და ტუჩებშეღებილი ქალი და სხვ.), სხვა თემებიც მუშავდება (ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური და აი შემდეგ), მაგრამ ეს ყველაფერი ძირითადი მგზავრებისა და ძირითადი თემების წვრილმანი ვარიაციებია და მათზე არ შეეჩერდებით.

სულ ბოლო რიგში, როგორც უკვე ითქვა, ერთი მთვრალი კაცი ზის, პრეთფელი ორივე ხელით ჩაუბღუჯავს, გულში საიმედოდ ჩაუკრავს და, ძალი რომ არ მოერიოს, ბეჯითად და უშედეგოდ ცდილობს უაზროდ ფიქრებს ერეული ფოკუსი წინა რიგში (ალბათ ბოთ) ბჯდომი ქალის თეთრ მუხლებზე გაასწოროს.

შეიძლება აღვნიშნოთ კიდევ ახალგაზრდა ქურდი, რომელიც მოწყენილი და ცოტა გაღიზიანებული დგას უკანა კართან. მას იღლიაში დაკეცილი გაზეთები ამოუჩრია, შარვლის უბე შეუკრავი აქვს და აშკარად უკმაყოფილოა იმით, რომ ავტობუსში ასეთი ხალვათობაა.

რაც შეეხება იმ მაღალ კაცს, თავისთვის რომ ზის ჟურნალში თავჩარგული, მას ჯერჯერობით არავინ ამჩნევს (მომდევნო გვერდებზე, იცოცხლეთ, იგი ყურადღებას მიიქცევს. დაბნეულ მგზავრებს ისე აერევათ, ისე აეშლებათ და ისე აებურღებათ წლობით ნახარისხევი, დანომრილი და ანბანზე გაწყობილი ემოციები, რომ კარგა ხანს მოუნდებიან მათს ხელახლა გაცალკევებას) ოდონ ამოვიდა, ისიც არავის გაუგია (გარდა იმ ქალისა, რომელიც მის გვერდით ზის, ფანჯრის მხარეს).

ამოსვლით კი კარგა ხანია ამოვიდა. ამოვიდა უსაშველოდ მაღალი, გამხდარი, ბეჭებში მოხრილი. გრძელი სახე და გრძელი, წვეტიანი ცხვირი აქვს. ქერა თმა კეფაზეღა შემორჩენია. ძველი, გაცრეცილი, ყავისფერი კოსტუმის ქვეშ თეთრი ხალათი აცვია და წვრილკვანძიანი, შავი ჰალტუხი უკეთია. ხელში გატენილი საქაღალდე უჭირავს. ამოვიდა, დაჯდა, საქაღალდედან რაღაც ჟურნალი ამოიღო, ჩარგო შიგ თავი და აღარც აუწევია. გვერდით მჯდომმა ქალმა, რომელსაც ზომაზე დიდი ქკერდი და წითლად შეღებილი ტუჩები აქვს, ერთი მოხედა, უკმაყოფილოდ აიბზუა ცხვირი და მრგვალი გავა ოდნავ, მაგრამ აშკარად დემონსტრაციულად მისწია ფანჯრისკენ. მაღალ კაცს, ცხადია, ეს არ შეუმჩნევია.

როდესაც ავტობუსი იმ ადგილს მიუახლოვდა, რომელიც ბედისწერის მი-

ერ წინდაწინვე იყო არჩეული, მარჯვენა რიგში, ფანჯრის მხარეს მსხდომმა მგზავრებმა მზეკალა შორიდანვე შეამჩნიეს (ოღონდ, მზეკალა თუ ერქვა, რაღა თქმა უნდა, ჯერ არავინ იცოდა). ამაში საკვირველი არაფერია. საკვირველი, რომ არ შეემჩნიათ, ის იქნებოდა, რადგან, ჯერ ერთი, გაჩერებაზე მის მეტი არავინ იყო, და მეორეც, თუნდაც ხალხით ყოფილიყო გაჭედილი ავტურობა, მისი გარეგნობისა და მისი ჩაცმულობის პატრონი მაინც წამსვე მიიქცევდა ყველას ყურადღებას.

ფერ-უმარილის სქელი, უსწორმასწორო ფენით მოთხუპნილი სახე თეთრად უბზინავდა და ამ თეთრ ფონზე ალისფრად გაფერადებული ტუჩები ისე ჩანდა, თითქოს თოვლში ყაყაჩო ამოსულიყოს. ქუთუთოებზე და თვალის უპეებში მუქი ცისფერი საღებავი ეცხო, წამწამები შავად მოეთხვარა. ასეთივე შავი, ძალიან მსხვილი და ოდნავ ირიბი ხაზები მისდევდა თვალის კუთხეებიდან საფეთქლებისაკენ. თმა უამრავ წვრილ ნაწნავად ეყარა კისერზე. ტანთ ეცვა რუხი ფერის გულდახურული კაბა, რომელიც კოჭებამდე დასთრევდა და ისეთი ფოჩებით ბოლოვდებოდა, ძველებურ სუფრებს რომ აქვს ხოლმე. კაბის ზემოთ პალტო ეცვა. მართალია, თხელი. საგაზაფხულო პალტო იყო, მაგრამ ამ გაგანია სიცხეში ასეთი პალტოც კაცს გახურებულ ღუმელად მოეჩვენებოდა. თუმცა ეს სხვათა შთაბეჭდილებაა. მზეკალას წინაშე, როგორც ჩანს, ტემპერატურის პრობლემა არ იდგა. მას პალტოც ეცვა და ხელთათმანებიც (რომლებიც ზოგიერთი უტყუარი ნიშნის მიხედვით, ერთ დროს თეთრი უნდა ყოფილიყო). მკერდზე უსწორმასწოროდ გამოჭრილი თუნუქის მედალი ეკიდა.

იდგა გზის პირას ლაღი და ამპარტაკანი, ფეხებთან მომცრო, შავი ჩემოდანი ედო, მარჯვენა ხელი აეწია და ჭუჭყიანი ხელთათმნის თითებს მსუბუქად უქნევდა ავტობუსს.

მძღოლმა ავტობუსი გააჩერა და ფანა კარი გააღო.

მზეკალამ ჩემოდანს ხელი ... და ზელში ამაყად გამართულ ... რი ღირსების გრძნობით თავით ფეხამდე გამსჭვალული, დედოფლის აუჩქარებელი ნაბიჯით და თხელი სხეულის ოდნავი რხევით წამოვიდა. ავტობუსთან შეჩერდა და ცოტა შეყოყმანდა, ნაბიჯიც კი გადადგა უკან. წამით ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს გამგზავრება გადაიფიქრაო. მაგრამ მერე თავის თავს წყნარად გაუღიმა და ამოვიდა. უნდა ითქვას, რომ, როდესაც მარჯვენა ხელი ავტობუსის ღია კარს მოსჭიდა და გვერდზე გადახრილმა, ჩემოდანი და ცალი ფეხი ერთად შემოდგა საფეხურზე, მის ჰაეროვნებასა და შეუვალ ღირსებაში მცირეოდენი ბზარი გაჩნდა.

მძღოლმა კარი დახურა და ავტობუსმა გზა განაგრძო.

მზეკალამ ჩემოდანი დადგა, წელში გამართულმა და თავაწეულმა აუჩქარებლად მოავლო მგზავრებს ამაყი მზერა, მერე იმ მთვრალ კაცს მიუბრუნდა, გულში ჩახუტებული ჩორთფელით რომ იჯდა და ძილს ებრძოდა, საღებავებად ქცეული წამწამები ნაზად ააფახურა და ჰკითხა:

— ჩემო მთვლემარე მეგობარო, ხომ ვერ მეტყვით, ამ ხომალდს კურსი საით უჭირავს?

მთვრალმა კიდევ უფრო მაგრად მიიკრა გულზე ჩორთფელი და ძალთა უკანასკნელი დაძაბვით თვალის გახელა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. წარბები კი ასწია, მაგრამ ქუთუთოებს ძვრაც ვერ უყო. მაშინ ამ უიმედო საქმეს თავი მიანება და თქვა:

— აამ... ბლლ... ბ...

რაკი მთვრალისგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, მზეკალამ სინანულით გადააქნია თავი და ახალგაზრდა ქერდისკენ მიტრიალდა, რათა

ჯემალ ქარჩხაძე
მაღალი კაცი

ახლა მისთვის მიეცა იგივე კითხვა. მაგრამ ახალგაზრდა ქურდმა, შესაფერისი საბუთი პირობების უქონლობით ისედაც განაწყენებულმა, არ მოისურვა მზექალასთან საუბარი. თვალები დაუბრიალა, ჰააო! — ერთი შეუღრინა და მუქარისთვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცა, მარჯვენა ბეჭი მოწყვეტით წამოაგდო წინ. მზექალა წამით შეკრთა, მოიკუნტა, თავი მხრებში ჩარგო, თეთრ სახეზე პანიკურმა შიშმა გადაურბინა. მაგრამ შიში მყისვე დასძლია, ისევ გაიმართა, ისევ ლაღი და ამპარტავანი გახდა, უიღბლო ქურდს ერთი გამანადგურებელი ზიზღით შეხედა და უცებ ხმამაღლა, მთელი ავტობუსის გასაგონად შემოსძახა:

— მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, ვარსკვლავები და-მზენია ჩემი.

ამ განცხადებაზე თითქმის მთელმა ავტობუსმა მოიხედა.

(გარდა მთვრალისა, ორი მძინარე ქალისა და ჩვენი ნაცნობი მაღალი კაცისა, რომელიც კვლავ ჟურნალში თავჩარგული იჯდა. რაც შეეხება მის გვერდით მჯდომ ქალს, იმ ქალმა მაშინვე მოიხედა, ოღონდ სანამ მზექალას შეხედავდა, მისი მხედველობის არეში კვლავ მაღალი კაცი მოხვდა და ხაზგასმულად უკმაყოფილო სახე მიიღო).

მძღოლმა სარკეში შეავლო თვალი მზექალას, ხმადაბლა გაიცინა და მზერა ისევ ნაცრისფერ გზაზე გადაიტანა.

ფაშფაშა ქალმა, რომელმაც გულიკოს თავქარიანობა სერიოზული მსჯელობის საგნად აქცია ფართო, კმაყოფილი ღიმილით შეათვალიერა მზექალა და თქვა:

— ვაი, შენ კი მეისპი, შენ!

შავგებში ჩაცმულმა კაფანდარა დედაკაცმა, რომელიც მოპირდაპირე რიგში იჯდა, იგივე აზრი ასე გამოთქვა:

— გაჭრი, ეჰანდე!

ხოლო მის უკან რომ მსუქანი, ღიპიანი, ლოყებღაჟღაჟა კაცი იჯდა, იმ კაცმა ისეთი ხმით დაუმატა, თითქოს ყელში ვიღაც უჭერდა:

— ჯოჯოხეთსაო ერთი მაშხალა აკლდაოო!

ამით ავტობუსმა ამოწურულად ჩათვალა თავისი დამოკიდებულება მზექალასადმი. მოტრიალებული თვალები ანევე მიტრიალდნენ.

მზექალა ერთხანს ახალგაზრდა ქურდის გვერდით იდგა. მართალია, ბოლო სკამი, სადაც მთვრალი იჯდა, თავისუფალი იყო, მაგრამ იქ დაჯდომა არ მოისურვა. ჩემოდანი აიღო, ცოტა წინ წაიწია და წელიანდელივით ხმამაღლა გამოაცხადა:

— პროკურუტეს სტუმრებო! ხომ ხედავთ, ზენა ქარმა დაუბერა. დაუთმეთ ადგილი უცხო სილამაზეს.

პასუხად აქა-იქ სიცილი გაისმა.

ჭკვიანთვალებიანმა ახალგაზრდამ ღიმილითა და გაკვირვებით (ქვედა ტუჩი გამობზიკა და თავი რატომღაც მოწონების ნიშნად დაიქნია) შეხედა მზექალას. მერე თეთრულვაშაპრეხილ მეზობელს მიუბრუნდა:

— პროკურუტე ერთ კაცს ერქვა. ვინც ზომაზე გრძელი იყო, ფეხებს აჭიდა. ვინ ზომაზე მოკლე იყო, — ჭიმავდა.

— უყურე შენ! — გაიკვირვა თეთრულვაშიანმა და აპრეხილი ულვაში კიდევ უფრო აიპრიხა. — არსენა არ ყოფილა!

— არსენა რად ყოფილა? — ვერ გაიგო ჭკვიანთვალებიანმა, მაგრამ გამოძიება დაეზარა. — ეტყობა ეს ქალი განთლებული ქალია. ეგებ სწორედ განთლებამ გააგიჟა. სად შეუძლია საუკუნეებით გადაღლილ გონებას...

მაგრამ ჭკვიანთვალებიანს ამ დროს მზექალა მიუახლოვდა და შეაწყვეტინა:

— ჰაბუკო, ვერა გრძნობთ, რომ ზენა ქარი უბერავს?

ჭკვიანთვალებიანმა გულიანი ღიმილით ახედა, მერე საჩვენებელი თითი გაილოკა, მაღლა ასწია და დარწმუნებით თქვა:

— კი. მართლა უბერავს.

— მაშ, ადექით და დაუთმეთ ადგილი უცხო სილამაზეს.

ჭკვიანთვალებიანი არ დაიბნა. ხელ-

ახლა გაილოკა თითი, ხელახლა ასწია მაღლა და თქვა:

— შეკმცდარვარ. ჯერ არ უბერავს.

— როცა დაგიბერავს, გვიანი იქნება! — მწყარალად უთხრა მზექალამ და ამაყად შეაქცია ზურგი.

ამაზე მგზავრებს ისევ გაეცინათ. ჭკვიანთვალებიანმა კი პალტოს ქამარში ჩაავლო ხელი, სწრაფად მოსწია და, როცა მზექალამ ამაყად მოიხედა, ისეთი სახით დაიწყო ფანჯარაში ყურება, ვითომ არაფერი ჩაედინოს.

ფაშფაშა ქალმა თავისი ორკეცი ღაბაბი მოატრიალა და ხმამაღლა დაუძახა:

— აქით მოიწი, ერთი, ქალო, შენი კაბის უზორი მაინტერესებს.

მის გვერდით მჯდომმა ქალმა, გულიკოს თავშეუკავებელ ქცევაში რომ წელან ტერმინოლოგიური სიცხადე შეპქონდა, ხმამაღლა და ცოტა ხელოვნურად გადაიკისკისა.

სათვალიანმა ახალგაზრდამ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— რას ერჩიან ამ უბედურს!

მზექალამ ქედმაღლური მზერა მიაპყრო ფაშფაშა ქალის ღაბაბს. მერე უცებ თვალები გადმოუქაჩა, ენა გამოყო და უთხრა:

— ეეე!

იმ ორმა მძინარე ქალმაც გაიღვიძა.

ახლა მხოლოდ ჩანთაჩახუტებული მთვრალი და ჟურნალში თავჩარგული მაღალი კაცი არ იღებდნენ მონაწილეობას საერთო მხიარულებაში.

მზექალა ოდნავ წამოედო ვიღაცის დადებულ ფეხს, დროზე შეიკავა თავი, გასწორდა, კვლავ ამაყი სახე მიიღო და ახალ მსხვერპლს მიადგა.

— გრძნობთ, როგორ უბერავს ზენა ქარი?

მსხვერპლმა, სუფთად ჩაცმულმა, სუფთად გაპარსულმა და სუფთად დაკარცხნილმა ოხუნჯმა სწრაფად, გაზეპირებულივით მიუგო:

— ვგრძნობ, აპა არ ვგრძნობ!

— მაშ, დაუთმეთ ადგილი უცხო სილამაზეს.

— მე არა, მარა, — ისევ მოიბადიალა და ულივით გამოეპასუხა მსხვერპლი, თუ მოგწონვარ, ჩემ ქალს [illegible] აკე და იქნება იმან დაგითმოს თავისი ადგილი.

ავტობუსი ხორხოცობდა

ლოყებღაღაჟა ღიპიანმა თავისი ყელში წაჭერილი ხმით წამოიძახა:

— გაჰყე, გოგო, გაჰყე. იგრე შეგინახავს, ზენა ქარს არ მოგაკარებს.

სათვალიანმა ახალგაზრდამ ველარ მოითმინა:

— რა არის ბოლოს და ბოლოს! დაანებეთ თავი, თავისი უბედურება ეყოფა საწყალს!

ამ სიტყვებს მხოლოდ მზექალამ მიაქცია ყურადღება. მიხედა სათვალიანს, ინტერესით შეათვალიერა, მერე ახლო მივიდა და უფრო მეტი ინტერესით დააცქერდა. ბოლოს ჭკითხა.

— თქვენ ვისი ტიკიტომარა ბრძანდებით?

სათვალიანმა ტუჩები მოკუმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— შენთვის ვამბობ. შე საცოდავო...

მზექალამ სევდიანი სიბრალულით შეხედა. მერე მის გვერდით მჯდომ გოგოს უთხრა:

— ობილად ჩაცვით, გეთაყვა. და ორპირ ქარში ნუ გაიჩერებთ, არ გაგიცივდეთ.

გოგომ გაბრაზება დაიპირა, მაგრამ ბიჭს შეხედა და სიცილი წასკდა.

სათვალიანის უკან ის მაღალი კაცი იჯდა.

მზექალამ მისკენ გადაინაცვლა და გაშლილ ჟურნალში ჩახედა. ერთხანს თვალებმოჭუტულმა უყურა, ოდნავ დაიხარა კიდეც, მერე ქვედა ტუჩი გამობიცა, მხრები აიჩეჩა და ასე მხრებაჩეჩილი გაჩერდა იმის ნიშნად, რომ რაღაცას ძალიან უცნაურსა და ძალიან გაუგებარს წაიწყდა. ბოლოს უთხრა:

— ჯერ არ მოუფიქრევია თქვენთვე ზენა ქარის ჭროლვას?

მაღალ კაცს არ გაუგია.

ჯემალ ქარჩხაძე
მაღალი კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მზექალამ მოკაუჭებული საჩეხებელი თითი მხარზე დაუკაკუნა:

— უფლისწულო!

მაღალი კაცი შეკრთა და თავი ასწია. მზექალას დანახვაზე კიდევ ერთხელ შეკრთა, თვალები წამით დახუჭა და გაახილა და ცოტა დაგვიანებით მიუგო:

— ბატონო!

— თვითონ ბატონო და დიდო თავადო! — მზექალამ განებივრებული არისტოკრატის მოწყალე ღიმილით გაიღიმა. — ადგილს ხომ არ დაუთმობთ უცხო სილამაზეს?

მაღალმა კაცმა ხელი დაავლო საქაღალდეს, რომელიც მუხლებზე ედო, გაშლილ ჟურნალთან ერთად ჩაბღუჯა და სწრაფად წამოდგა.

— მაპატიეთ... — დმნაშავეს შეწუხებულ სახეზე სიწითლემ გადაჰკრა — ვერ შეგამჩნიეთ. მაპატიეთ. დაბრძანდით.

მზექალა კაცს მისჩერებოდა და მისი ღიმილი, როგორც წამი დილის მზეზე, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გაქრა. ნაკვთები არ გასწორებია და ღიმილისთვის გაწყობილი, მაგრამ უღიმილოდ დარჩენილი სახე ნიღაბს დაემსგავსა. მერე ეს ნიღაბი შეშფოთებითა და გაკვირვებით გაიჟღინთა. უყურებდა მზექალა მაღალ კაცს, რომელმაც თამაშის ნაცნობი და დიდი ხნის დადგენილი წესები მოულოდნელად დაარღვია და რა ექნა, არ იცოდა. ბოლოს სხვა მგზავრებს მოავლო ფრთხილი და გამომცდელი მზერა, რათა მათგან მაინც მიეღო ამ უცნაური გამოცანის პასუხი. მაგრამ ავტობუსში გაკვირვების დუმილი იდგა. ავტობუსი თვითონ მოელოდა პასუხს. მაშინ მზექალა ნელა, გაუბედავად შევიდა დათმობილ სკამსა და წინა სკამის საზურგეს შუა. ოღონდ შევიდა არა ისე, როგორც ჩვეულებრივ შედიან, არამედ ისე, რომ სახე შეთავაზებული სკამისკენ ჰქონოდა, ზურგი კი — წინა სკამის საზურგისკენ. თან მთელი ამ ოპერაციის განმავლობაში მაღალ კაცს უჩუმრად უთვალთვალებდა. მაგრამ მაღალ კაცს, ეტყობა, მოვლენათა შემდგომი მსვლელობა ალბათ აინტერესებდა. როგორღაც მოეხვეჭინა საქაღალდის იღლიაში, ამბრენიან ავტობუსის ზედა სახელურზე ხელის მოკიდებაც და ჟურნალის გადაშლაც. იდგა და კითხულობდა. მზექალა ჩაკუცქდა, სკამის საჯდომს ორივე ხელი დაადო და ფრთხილად მიუსვ-მოუსვა. მერე გათამამდა და უფრო გულმოდგინედ შეამოწმა. ასევე გულმოდგინედ, საფუძვლიანად შეამოწმა საზურგეც. თან ცალი თვალი მაღალი კაცისკენ ეჭირა. ბოლოს შეტრიალდა, ხელები სკამის სახელურებს ჩაავლო და დაიხარა, მაგრამ ერთბაშად მაინც არ დაჯდა. ჯერ ოდნავ შეეხო სკამს და მცირე ხნით გაიტრუნა. მერე ნელ-ნელა დაეშვა. რაკი ამ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, გაბედულება მოემატა, თამამად შეტრიალ-შემოტრიალდა, საზურგესაც გაეხახუნა და უცებ გახარებულმა წამოიწყო:

— რა ვქნა, რა ვუყო თავსაო, ამ ჩემს პატარა ქმრისაო, არცა აქვს შენახვის თავი, არცა მანებებს თავსაო.

ორგვლივ კვლავ გაისმა სიცილი, მაგრამ ეს უღონო, ცოტა არ იყოს, გაუბედავი სიცილი მალევე ჩაქრა. ჰაერი მაღალი კაცის გაუგებარი საქციელით იყო დამუხტული.

მაღალმა კაცმა ცალი თვალით ჩამოხედა მზექალას და ისევ კითხვა განაგრძო. მისმა ყოფილმა მეზობელმა, დიდმკერდიანმა, და ტუჩებშეღებილმა ქალმა, უკმაყოფილო სახე მოატრიალა, მაგრამ, ეტყობა, რაღაცამ შეაშინა, კუთხეში მიიყუჟა და ფანჯარას აეკრო.

მზექალამ კი, სიმღერა რომ მოათავა, თავის ფიქრებს გაუღიმა და სევდიან-მეოცნებე ხმით თქვა:

— ეეჰ, აგვისტოს ბოლოს ლამაზი ქალები მოილოგინებენ...

ლოყებლაჟოლა ღიპიანმა თავისი ყელში წაჭერილი ხმით ხუმრობა სცადა:

— როგორი დანატრულებული ყოფილა, კაცო!

მაგრამ შავებიანი დედაბრის მეტი ვერავინ გააცინა.

ავტობუსის მშვიდ თავდაჯერებაში ბზარი გაჩნდა.

თითო პატარა პროკურუტე ყველას გვიზის სულში. და ისეთი რამის ჩადენას, რისი ჩადენაც თვითონ არ შეგვიძლია, ვერც სხვას ვაპატიებთ.

(შეძლებაშიც არ არის საქმე. განა ჩვენ კი ვერ დავუთმობდით ადგილს მაგ მზეკალას, ვთქვათ, მე — ჭკვიანთვალებიანი პატროიტი, ან მე — დიდსათვალიანი ფანტასტი, ან მე — პროფესიონალი ოხუნჯი, ან მე, ან მე, ან მე?.. მაგრამ ჩვენ ერთმანეთის დანდობა ვიცით და ერთმანეთის გუნება-გაწყენილებას ეუფრთხილდებით. ჩვენ ჩვენ-ჩვენი სულებიდან ერთი და იგივე ნივთიერება გამოვყავით და საერთო მნიშვნელი შევეძებნეთ, რათა მშვიდად და თანხმობით ვიცხოვროთ. განა ჩვენ არა გვაქვს გული ფარული ხიზჯი? მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ბედს შევურიგდეთ და გულიკოს ცოდვებს ამოვეფაროთ. ისიც კარგად ვიცით, რომ, როცა ეგ აყლაყუდა ფაცხაფუცხით წამოვარდა და მზეკალას ადგილი დაუთმო, სულაც არ ფიქრობდა ამით სილა გაეწნა ჩვენთვის. მაგრამ ჩვენ ხომ (არ ვამხელთ თორემ) ჩინებულად გვესმის ჩვენი მდგომარეობის ორჭოფულობა! ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჩვენი გაჩუმება არ შეიძლება, რადგან, გავჩუმდებით თუ არა, მაშინვე ,ჩვენი სიჩუმე ალაპარაკდება!).

არა, ავტობუსი, ცხადია, არ ფიქრობდა და მიზეზების გაცნობიერებას არ ცდილობდა. ოღონდ ,ალაპოტიდან იყო ამოვარდნილი და ეს აწუხებდა.

სიჩუმე მზეკალამ დაარღვია. ,ჯერ ხელი ასწია და საჩვენებელი თითი მაღალ კაცს დაყვეზე მიუკაკუნა, ხოლო როცა კაცმა ჩამოჰხედა, გაუღიმა, თვალები აუტუტუნა და ნაზად უთხრა:

— გმადლობთ.

— რისი მადლობა, რას ბრძანებთ!— მიუგო კაცმა, — პირიქით, ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ შეგამჩნიეთ.

— იქ, სადაც ბავშვობა გავატარე, ასეთ საქციელს, რაღა თქმა უნდა, საგანგებოდ არავინ აღნიშნავს, მაგრამ ,დედამიწაზე, განსაკუთრებულ სიფაქიზეს საჭირო. ყურადღებით უყურებ, ოთ, რომ სულ მცირე სიკეთეს ,ვ გამოგვეპაროს. როგორ მოგწონთ ჩემი მედალი?

მაღალი კაცი დაიხარა, მედალი ყურადღებით დაათვალიერა და გაიღიმა. დიდი პირი ჰქონდა და ღიმილი არ უხდებოდა, რაღაც უცნაურად, სასაცილოდ უგანიერდებოდა სახე.

— საუცხოო მედალია. სადა და ,ორიგინალური.

ავტობუსი გატრუნული იყო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არაფერი ესმოდა.

— სიმღერისთვის მომანიჭეს. — მზეკალამ ალერსით გადაუსვა ხელი მედალს. — იქ, სადაც ბავშვობა გავატარე, ასეთი სიმღერისთვის, რაღა თქმა უნდა, მედალს არავინ იძლევა, მაგრამ აქ, დედამიწაზე ყველაფერი ძვირად ფასობს. ხანდახან მიკვირს კიდეც, ასე როგორ მოსწონთ ამ სულელებს ჩემი სიმღერა, რომ მედალს მაძლევენ!

— ,ძმვენიერი მედალია. — კიდევ ერთხელ \ დაადასტურა მაღალმა კაცმა.

— რაც მთავარია, ერთადერთია. თქვენი კეთილშობილების ამბავი დედას და მამას უნდა ვუამბო. უეჭველად ვუამბობ, ამბობენ, მგელი ბატკანს მოერევაო, მაგრამ მე ეგ არ მჯერა. თქვენ როგორ ფიქრობთ, მოერევა?

მაღალმა კაცმა ავტობუსის სახელურს ხელი გაუშვა, გაკრეცილი პიჯაკის ,ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მელოტ თავზე მოისვა. მერე ცხვირსახოცი ისევ ,ჯიბეში ჩაიდო და ხელი სახელურს მოჰკიდა.

— სიმართლე გითხრათ... შეიძლება მოერიოს კიდეც.

მზეკალამ გამომცდელად შეხედა.

— ორ ბატკანსაც მოერევა?

— ორს... უფრო გაუჭირდება, ალბათ, მაგრამ...

მზეკალამ გულკეთილად შესცინა.

ჯემალ ქარჩხაძე
მაღალი კაცი

— სისულელეს ყბედობთ, რაინდო. ბატკნისა ხორცი იჭმევა და არა გამოხედვა. ამას წინათ სიზმარში გველეშაპი ვნახე. საშინლად კეთილი თვალები ჰქონდა. დედაჩემს და მამაჩემს იცნობთ?

— შორიდან.

— გაგაცნობთ როდისმე.

მაღალი კაცი შეკრთა.

— რას ამბობთ! რა ღირსი ვარ!

— კეთილშობილების არც ერთი ნამცეცი არ უნდა დაიკარგოს. — თითი ასწია მზექალამ. მერე საზურგეს მიაწვა, ხელები მუხლებზე დაიწყო და თვალები დახუჭა.

მაღალმა კაცმა ჟურნალი დახურა და საკაღალდეში ჩადო.

ცოტა ხნის შემდეგ მზექალამ თვალები ისევ გაახილა. სახეზე ღიმილი ეფინა.

— მზე დედაა ჩემი... — დაიწყო ხმადაბლა, მაგრამ იქვე შეწყვიტა და ისევ მაღალ კაცს მიუბრუნდა. — პატარა რომ ვიყავი, დედამ სხივების აკვანი დამიწნა. სანატრები გაგიგონიათ?

— დიახ.

— თეორი ეშმაკები არიან. და ძალიან სწრაფად მრავლდებიან. მელიებივით დასუნსულებენ ყველგან. მაგრამ, თუკი მოინდომებ, შეგიყვარდება. დედა ადრე იძინებდა. სხივების აკვანს მამა მირწევდა. უფროსი და-ძმები თავზე დამციმციმებდნენ და ნანას მიმღეროდნენ. მოგისმენიათ როდისმე ვარსკვლავების სიმღერა?

— ბავშვობაში მომისმენია. — მაღალ კაცს ხმა ოდნავ შეეცვალა. — სამწუხაროდ, ცუდად მახსოვს... ქვემოთ კოინდარი იყო, ბლები და კაკლები, ზემოთ — უამრავი კრიალა ვარსკვლავი.

ავტობუსი სუნთქვაშეკრული ისმენდა.

— საოცრად მღერიან, — მზექალამ ისევ დახუჭა თვალები. — რაც მთავარია, ხმა არ ისმის. ხმა, ხომ იცით, როგორ აუხეშებს და აფუჭებს სიმღერას.

— დიახ. — შეცვლილი ხმით დაუდასტურა მაღალმა კაცმა.

— მე თქვენ კარგად მახსოვხართ. — უთხრა მზექალამ. მერე უცებ რაღაცამ გააკვირვა, გასასვლელი ყურადღებით მოათვალიერა, სკამის ქიმოჩა შეეხვა ფეხელი სხეულით გადაკიდებულ ... კაცს დააკვირდა და შეშფოთებული ხმით ჰკითხა. — ჟურნალი რა უყავით?

კაცმა საკაღალდეზე მიუთითა.

— შევინახე.

— აა! — თქვა მზექალამ. — ასე გატაცებით რას კითხულობდით?

— ისეთს არაფერს. ერთი ვეტერინარის სტატიაა: „როგორ ავირიდოთ ბრუცელოზი“.

— ვეტერინარებმა უნდა აირიდონ?

— დიახ. არა, საქონელს უნდა აირიდონ.

— აა! მერე რაო, აირიდეს?

— ჯერ არა, მაგრამ იმედს არ კარგავენ. — მაღალმა კაცმა გაიცინა. — ამ ავტორს თუ დავუჯერებთ, ორი გზა არსებობს თურმე საამისოდ: ან ბრუცელოზი უნდა მოისპოს, ან საქონელი.

მზექალამ შუბლი შეიჭმუხნა, ერთი წამით ჩაფიქრდა. მერე უცებ გაუნათდა სახე.

— სწორია! მშვენიერი იდეაა! — ერთ-ერთი არ უნდა იყოს და ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. სხვათა შორის, მე უკვე საკმაო საბუთები მოვაგროვე. ამ მოკლე ხანში ალბათ უკვე საჯაროდ გამოვალ და საბოლოოდ დავამტკიცებ, რომ ქართველი იმავე ნივთიერებებისაგან შედგება, რისგანაც ფრანგი. ამისათვის საჭიროა ქართველებმა ფრანგულად ილაპარაკონ. — აქ მცირე ხნით გაყუჩდა, თვალები მოჭუტა, ჩაფიქრდა და მერე ხმადაბლა წამოიწყო. — დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, თავი ყველას მირჩევნია, მაგრამ ერთი სხვისი შვილი მთლად ქვეყანას მირჩევნია. — სიმღერას რომ შორჩა, ისევ მაღალ კაცს მიუბრუნდა და მადლიერი თვალებით შეცინა. — ვიცი, რატომ შეინახეთ ჟურნალი. რაინდი თავს იმის უფლებას არ მისცემს, რომ მანდილოსანს ეშაასებოდეს და თან ცალი თვალით ბრუცელოზს კითხულობდეს. ხომ ასეა?

— დიახ. ასე გახლავთ. მაგრამ. აბა, ეს რა რაინდობაა!

— რაინდს თავმდაბლობაც შვენის. როგორი ანბანით წერია ეგ სტატია, მხედრულით თუ ხუცურით?

— მხედრულით.

— გინდათ, მე და თქვენ ხუცური აღვადგინოთ და მხედრული განვდევნოთ?

მაღალმა კაცმა მხრები აიჩეჩა.

— რა საჭიროა! ხალხი მხედრულსაა მიჩვეული. ანბანი კი ანბანია. სულ ერთი არაა?

— რა არის სულ ერთი, ბრუტოს? ორი სხვადასხვა ხაზი სულ ერთია? — მზექალამ ნაღვლიანად გადაიქნია თავი — ადამიანი დეგრადაციის გზას ადგას. თქვენც კი, რა ძალიან დაგგრძელებიათ ცხვირი.

მაღალმა კაცმა გაიღიმა და სახე გაუგანიერდა.

— ცხვირი მართლა გვარიანად გრძელი მაქვს.

— მერე ეგ კარგია? და, საერთოდ, რად გინდათ მაგ ბრუცელოზებს რომ კითხულობთ? არ გირჩევნიათ „ტრისტანი და იზოლდა“ წაიკითხოთ, ან „წმინდა გონების კრიტიკა“.

— როგორ არ მირჩევნია, მაგრამ ეს სტატიაც ხომ უნდა წაიკითხოს ვინმემ. სულ წაუკითხავი რომ დარჩეს, ცოდო არაა?

მზექალამ ნაღვლიანი სახით შეხედა მაღალ კაცს და თავი დაუქნია.

— ეგ კი მართალია, მაგრამ, მე რატომ არავის ვებრალები? — ამ სიტყვებზე თავი ჩაქნიდრა. მცირე სიჩუმის შემდეგ ისევ ასწია და ყურადღებით დააცქერდა მაღალ კაცს. — ძალიან კარგად მახსოვხართ. ორჯერ გნახეთ სიზმარში, ოღონდ ეს ადრე მოხდა. სანამ დაიბადებოდით. ღმერთები ადამიანის შესაძლებლობებს ანგარიშს არ უწევდნენ. არც ქრისტე, არც ბუდა, არც მაჰ... — აქ შეჩერდა, იდუმალი გამომეტყველება მიიღო, მაღალი კაცი საჩვენებელი თითით მოიხმო და, როცა ეს უკანასკნელი დაიხარა და თავი თავთან მიუტანა, ჩურჩულით ეთხრა.

— მაჰმადი, ჩემი აზრით, საერთოდ არ ყოფილა ღმერთი. თვითმარქვი იყო. — ეს რომ თქვა, თითი ტუჩებზე მიიდო. — ჩუშ... — და ხმამაღლა გაგრძო. — არავინ არ უწევდა ანგარიშს ადამიანის შესაძლებლობებს.

— იქნებ ჩვენ ვერ ეწევდებით...

— თვითონ განსაჯეთ, — შეაწყვეტინა მზექალამ. — ამა, ზნეობრივი კოდექსები რა მოსაგონი იყო! განა სატანაც ღმერთი არ არის? მომეცით, ეგ საქაღალდე, მე დაგიჭერთ.

— არა, ნუ შეწუხდებით. მძიმე არ არის.

— მანდილოსანს ნუ ეურჩებით. — ღიმილით დაუქნია თითი მზექალამ. საქაღალდე გამოართვა და მუხლებზე დაიდო. მერე უცებ გადაიკისკისა და მხიარულად დაიწყო: — ფსიქიატრებს სასტიკად წყინთ, მე რომ მზისა და მთვარის ასული ვარ. თავი ისე უჭირავთ, ვითომ არცა სჯერათ. სინამდვილეში სჯერათ, როგორ არ სჯერათ. მაგდენი ჭკუა კი აქვთ. მაგრამ, — მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია. — შურთ.

— უნდა შეხვიდეთ ფსიქიატრების მდგომარეობაში, — თქვა მაღალმა კაცმა. — მაგათ ისეთი ხელობა აქვთ, რომ სხვანაირად არ შეუძლიათ.

— მართალია. მაგრამ ძალიან ნერვიულები არიან. ყველაფერზე გული მოსდით.

— რა ქნან...

— არა. მე არ ვეჯავრდები. ან კი როგორ გინდა გაეჯავრდე. ნამდვილი ბავშვები არიან. ფრენა ხომ იცით?

მაღალი კაცი შეკრთა, თვალი აარიდა მზექალას და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. მერე ნელა, ძმიძედ გაიქნია თავი უარის ნიშნად.

— ადრე ვიცოდი, — თქვა და გაჩუმდა. მზექალა უყურებდა და ელოდა. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მაღალმა კაცმა წყნარად, ოდნავ მოგუდულ

ხმით განაგრძო. — მერე დამავიწყდა. ახლა მიწაზეღა დავდივარ.

მზეკალამ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

— რა საშინელი ძალით ვიზიდავთ მიწა! ეგრე თუ გაგრძელდა, ხომ იცით, რომ შეიძლება ქვეწარმავლად იქცეთ?

— ვიცი. — წყნარად მიუგო მაღალმა კაცმა.

ამის შემდეგ ავტობუსში ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა.

მაღალი კაცი ფანჯარაში იყურებოდა. მზეკალას ქვედა ტუჩი კბილებით ეჭირა, ორივე ხელის მტკაველები ერთმანეთზე მიედო და გულმოდგინედ აზომებდა. დანარჩენი მგზავრები დროის ამ მონაკვეთში, შესაძლოა, სულაც არ არსებობდნენ.

ბოლოს, როდესაც მტკაველები ტოლი აღმოჩნდა, მზეკალამ თქვა:

— მე არ მიგატოვებთ.

— გმადლობთ, — მიუგო მაღალმა კაცმა ისე, რომ ფანჯრისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ყოველთვის ვილოცებ თქვენთვის. არ შეიძლება, ჩემი ლოცვა არ ასრულდეს.

მაღალმა კაცმა მზეკალას შეხედა.

— საიდან გაქვთ ამოდენა სიკეთე?

მზეკალამ კმაყოფილი სახით გაიღიმა.

— მე ხომ მზისა და მთვარის ასული ვარ! — და დაუმატა. — შემდეგ გაჩერებაზე ჩავდივარ.

— უკვე?

— გწყინთ?

— დიახ. მაგრამ ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ეს ჩემი ეგოიზმია.

— ეს კეთილშობილური ეგოიზმია. — მცირე ხნით გაჩუმდა. მერე ერთბაშად შემოტრიალდა. სახეზე უცხო შუქი ეფინა. — გინდათ, საუკუნო მეგობრები გავხდეთ?

— მერედა, ეს შესაძლებელია?

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ოღონდ თქვენს მისამართს ტყუილად ნუ მომცემთ. თქვენთან ვერ მოვალ. ბოლოსდაბოლოს, მანდილოსანი ვარ. სამაგიეროდ თუკი თქვენ [illegible]...

— მაღალ კაცს ახედა და თბილად გაუღიმა. — მოხვალთ?

— თუკი ნებას მომცემ.

— ნება მომიცია. — ზვიადი მოწყალებით უთხრა მზეკალამ, ჩემოდანი მოიჩოჩა, აიღო, მუხლებზე დაიწინა. მაღალი კაცის საქალაღდეს ზემოთ დაგახსნა. ჩემოდანში ორი გათლილი და ორიც გაუთლელი ფანქარი იდო, ერთი საშლელი და უამრავი წითელი ფლანგი აჭრელებული ფურცელი. მზეკალამ ეშმაკური სახით ახედა მაღალ კაცს, ხელნაწერებზე მიუთითა და ცოტა მოიდუმალო ხმით უთხრა: — წაგიკითხავთ როდისმე. — მერე ხელნაწერებს ქვეშ შეჰყო ხელი, სუფთა ფურცელი ამოიღო, ზედ ფანქრით რაღაც დაწერა, ოთხად გაკეცა და მიაწოდა. — აი ჩემი მისამართი. ახლა ჩვენ საუკუნო მეგობრები ვართ.

კაცმა ფურცელი გამოართვა და პიჯაკის გულჯიბეში ჩაიდო.

მზეკალამ ჩემოდანი დაკეტა, ძირს ჩამოდგა, სკამის საზურგეს მიაწვა და თვალები დახუჭა.

— ვინძლო არ დაივიწყოთ ჩვენი საუკუნო მეგობრობა.

— არა, რას ბრძანებთ! — მიუგო კაცმა.

— რა ბედნიერი ვარ! — ნელა, მეოცნებე ხმით თქვა მზეკალამ მცირე სიჩუმის შემდეგ და თვალები გაახილა.

— წარმოგიდგენიათ, ბედნიერი ადამიანი დედამიწაზე?

— რატომაც არა! — მიუგო მაღალმა კაცმა. — ბედნიერება ხომ სუბიექტური განცდაა და...

— სისულელეს ნუ როშავთ, ჩემო საუკუნო მეგობარო. — გააწყვეტინა მზეკალამ. — რას ნიშნავს „სუბიექტური!“ ასეთი სიტყვა არ არსებობს. თუ არ გჯერათ, შინ რომ მიხვალთ, გადაქექეთ ყველა ლექსიკონი და დარწმუნდებით. ბედნიერებას ერთი მარტივი ფორმულა აქვს: უნდა გიყვარდეს. დედამიწაზე კი სიყვარული ძნელად მოიპოვება. — ამ სიტყვებით ახედა, თბი-

ლი, ალერსიანი მზერა მოავლო და დაუმატა: — გასაგებია, რომეო?

— გასაგებია. — ხმადაბლა მიუგო მაღალმა კაცმა.

ავტობუსი გაჩერებას მიუახლოვდა.

— ჩემი ჩასვლის დროა. — თქვა მზეკალამ, მაღალ კაცს საქაღალდე მიაწოდა, წამოდგა და ჩემოდანი აიღო. — თუ მესტუმრებით, ხომ კარგი... ძნელი კია, მაგრამ...

— გესტუმრებით. — უთხრა მაღალმა კაცმა და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — ფსიქიატრებს ძალიან ნუ გაუჯავრდებით. ცოდონი არიან.

— არ გავუჯავრდები. — მიუგო მზეკალამ.

ავტობუსი გაჩერდა.

მზეკალა თვალებდახრილი იდგა. მერე ჩურჩულით თქვა;

— ნუ გამაცილებთ.

— კარგი. — მაღალი კაცი ფანჯარაში იყურებოდა.

მზეკალამ თავი ასწია. ცოტა ნაძალადევად გაიღიმა.

— ნახვამდის. — უთხრა და ხელი დედოფლის ზვიადი ჟესტით გაუწოდა. მაღალმა კაცმა მისი ხელი ხელში აიღო. სულ ცოტა ხანს ასე ეჭირა. მერე დაიხარა და ხელთათმანს, რომელიც, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ოდესღაც თეთრი უნდა ყოფილიყო, უხმოდ აკოცა.

მზეკალა შეტრიალდა და გასასვლელისკენ წავიდა. მიდიოდა ამაყი, წელში გამართული, ცალი წარბი ოდნავ აეზიდა და ხან მარჯვნივ მსხდომთ მოაკლებდა ქედმაღლურ მზერას, ხან მარცხნივ მსხდომთ.

მგზავრები მისკენ არ იყურებოდნენ.

ჩასასვლელს რომ მიაღწია, შეჩერდა, ჩემოდანი ძირს დადგა, პალტოს ჯიბიდან დაჭმუჭნილი ქაღალდი ამოიღო, რამდენადაც შეიძლებოდა გაასწორა და მძღოლს გვერდით მკვეთრი და ამაყი მოძრაობით დასდო.

— ხურდა საჭირო არ არის, — მოწყალე ღიმილით თქვა და ხელა, დინჯად ჩავიდა.

მძღოლი მგზავრებს მოწყალეტლი იყო და წარმოდგენა არ ჰქონდა, ეროვნული ბიბლიოთეკა მოხდა სალონში. ამიტომ, დანახვაზე გაეცინა, კარი დაკეტა და ავტობუსი დაძრა.

მაღალი კაცი კვლავ თავის ადგილას დაჯდა, საქაღალდედან ჟურნალი ამოიღო, გახსნა და თავი შიგ ჩარგო. სახე და ცხვირი კიდევ უფრო დაგრძელებოდა. სანამ ჩასვლის დრო მოუვიდა, არც თავი აუწევია და არც ჟურნალი გადაუფურცლავს.

მზეკალას ჩასვლიდან მაღალი კაცის ჩასვლამდე ავტობუსში დუმილი არ დარღვეულა.

ცხელი ჰაერი უცნაურად იყო დამუხტული მრავალი ერთიმეორის გამომრიცხავი და ერთმანეთში გადახლართული ცნებებით.

დაცინვის როყიო ხმას ერთი სული ჰქონდა, თავისუფლად გაენავარდა, მაგრამ გაკვირვების მარწუხებში მოქცეულიყო და თავი ვერაფრით ვერ დაეხსნა.

ზიზღი და მოწიწება ერთმანეთს გამოსდებოდნენ, სხვადასხვა მხარეს იქაჩებოდნენ და ერთ ადგილას ტრიალებდნენ.

შურს საკუთარი თავი ტკივილისგან ვერ გაერჩია. აღშფოთებას ისე გადაეროდა ზემოდან პატივისცემა, როგორც აქორჩილ ტალღას ზეთი; სიმახინჯე და სილამაზე ერთ ჩარჩოში მოქცეულიყო.

და იდგა დუმილი. მძიმე, ხმამაღალი დუმილი.

ერთ მხარეს კლდე იყო, მეორე მხარეს ხევი. შუაში ნაკრისფერი გზა გადიოდა. ნაკრისფერ გზაზე ავტობუსი მირბარახებდა.

სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ახალგაზრდა ქურდი უკვე ჩასულიყო, ხოლო მთვრალ კაცს, რომელიც განმარტებით იჯდა ბოლო რიგში, ჩანთის მაგიერ ცარიელი ხელებიღა ჰქონდა გულში ჩახუტებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ფეწირული

●

სადაც საფლავთა ზღვაა და დელგმა,
თავჩაღუნული დავყურებ ერთ ქვას.
— ბაბუაჩემი, — მინდოდა მეთქვა,
— დათა ერქვა.
თხუთმეტი შვილი! აი, სიმდიდრე!
სხვაფრივ არ იყო მდიდარი, ვიცი.
და სამერმისოდ, იყო ის ვიდრე,
ჰყავდა კვიცი.
სხვისი ბუხრის ცეცხლს უბით ათბობდა,
არ იყო კაცი ის საზიანო,
ჰყავდა უღელა ხარი და ძრობა
საზიარო.
უთქვამს: კაცებმა რომ ცას იარონ,
(რაიც ჯერ არასოდეს ყოფილა)
რაღაც უნდა გქონდეს საზიაროდ,
გაყოფილად.
კაცს თუ არ უთესავს საზიაროდ,
კაცი თუ შინაა ჩაკეტილი,
რაღა ბევრი ვთქვა, ვისაზრიანო,
არაა კეთილი.
მაგრამ კაცურად თუ გინდა ყოფნა,
(ჩემს მტერს, სულ საოხრავ-საკუთარი!)
რაღაც უნდა გქონდეს განუყოფლად,
საკუთარი...
სახელი გჭირია საკუთარი,
ცოლი დაგშვენდება საკუთარი,
და კიდევ რა? — ნასათუთარი,
მამული საკუთარი!

ვაი სოფელო!

დაზამთრებია სოფელში ოდას
ცისა და მიწის საზღვარზე რომ დგას.

პალატში უკვე აღარ თვრებიან,
ოდის პატრონსაც დაზამთრებია.

ჯავრი მსჭვალივით მიდგა და მოდგა,
რკინის მკვნეტელთა რა იქნა მოდგმა?

მთუბს დაჰყოლიან ლამაზ თმებიანს,
ცთუნება ველარ დაუთმენიათ,
არცა სწყუროდათ, არცა შიოდათ,
მაინც დატოვეს სოფელში ოდა.

მამული მამას მიუგდეს ძეთა,
დაჰპირდნენ ქალაქს ხელთუქმნელ ძეგლთა.

ისედაც, მარად ჭირში მყოფელი,
მთლად საძველმანოდ იქცა სოფელი.

გადრეკილ ბებერ ძვალთა და ძელთა
ღრჭიალი, ქალაქს არ ესმის ძეთა!

თამარ დაუშვილი

მდევს...

ამ შუქით სავსე ფანჯრების იქით
მგონია ჩემს წილ ბავშვობას ღვიძავს,
ფრონტზე წასული მამების მითით
ფხიზლობენ დღესაც ლადო და მირზა.

მამა ვით მამა, დედა ვით დედა,
ძლივს შეწყვეტილი ვაი და ვიში,
მდევს უდაბური პლანეტის სევდა
და... ცარიელი ქალაქის შიში.

ამაღლება

გზად
დარიალი,
სტეფანწმინდა
და თერგი მღვრიე.
კდემა...
ქარქაშში ჩაჭედილი
ელვა მახვილის,
ზეცა —
ღმერთების სათათბირო
და... უნებლიე:
„კავკასიონი ჩემ წინაა“, —
წამოძახილი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

•

ძიება ახლის, საუკუნო ძიება ახლის
და გვირილების თოვლისფერი, უმანკო თოვა,
მე დავინახე საოცნებო, ცისფერი სახლი
სადაც ოდესმე საოცნებო ჭაბუკი მოვა.
მთვარის სხივები შეაფრქვია ტალღამ ნაპირებს
და ათინათში ჩაიკარგა ჩემი სხეული,
მე სული ჩემი, უწმინდესი, მოლზე გავფინე,
შენს შესახვედრად სამოთხიდან გამოქცეული.
ცისფერი სუნთქვა სასოებით გარე უვლიდა,
რასაც ოცნება, სიყვარული, სიმღერა ჰქვია,
აქ გაზაფხული კვირტებივით სკდება გულიდან
და ცისფერ ქარებს საოცნებო სახლისკენ მიაქვთ.
ძიება ახლის, საუკუნო ძიება ახლის
და გვირილების თოვლისფერი, უმანკო თოვა,
მე დავინახე საოცნებო, ცისფერი სახლი,
სადაც ოდესმე საოცნებო ჭაბუკი მოვა.

ᲬᲕᲘᲛᲐ

ვზივარ და ვითვლი ნისლისფერ წვეთებს...
წვეთებს რომელიც,
თუმც მალე ქრება,
თავის საქმეს მაინც აკეთებს:
წამიხდინა სულ მთლად გუნება.
მთელი კვირაა აღარაფრის არ მაქვს ხალისი,
ცრის და...
ქალივით უსათუოდ გააქვს თავისი.

•

ვაეღოთ კოლხურ კოშკის კარები,
რეკდნენ და ხმობდნენ მწუხრის ზარები
ეზოში, კაკლის ხის ფესვებს ქვევით,
უკვდავნეშტიან მუხის ნიჟარას
მიაცილებდნენ ცრემლების ფრქვევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაფლაოზე გავივლი ოდეს,
ვათვალიერებ საფლავის ლოდებს.
„აქ განისვენებს... აქ განისვენებს“.
ვკითხულობ და თვალს ცრემლი მისველებს.
მაინც მამხნევებს ერთი რამ დღემდე:
ქართული ცოცხლობს ქართველის შემდეგ.

●

მესმის ფანდურის წკრიალი
და მივლის ამო ჟრუოლანი
„ქალების ნაზი სიცილი,
ვაჟების მიმოხდომანი“.
სათიბის შემდეგ ლხინობენ
არგუნისაებრ მავალნი.
ქალებს შეხედავ, — ისეთნი,
ეარსკვლავნი ამომავალნი.
ვაჟებს შეხედავ, — ისეთნი,
ერეკლეს შთამომავალნი.
ისმის სიმღერა შატილის
მაღალ ციხიდამ ბარადა.
სამშობლოს საკეთილდღეოდ,
ვამულის გასახარადა.

●

თავსამკაულად გვირგვინს ვიკეთებ
ყვავილით დაწნულს ნაირფერებად.
ავსებული ვარ ნათლის სიკეთით
და ბნელის ჩრდილი ვერ მომერევა
მეკეცებიან თუმცა მუხლები,
ჩაუხრელად რომ აღმართ უვლიათ.
ო. სული ჩემი, ხელშეუხები
უბევრს კრძალვით დაღალულია.
თავსამკაულად გვირგვინს ვიკეთებ,
რომ მზის სხივები ზე დამნათოდეს.
და ჩემს ყვავილწნულს ასე ავიტან
დაღლილ მუხლებით სააღმართოზე.

დალი მაზმიშვილი

შენ — რესპუბლიკავ!

მზისკენ იწევენ დროშები რხევით,
ციდან დროშებზე მზისფერი წვეთავს,
მიზანს, აზრსა თუ სურვილს
გამხელილს,
შენი დღეების სილრმიდან ვხედავ!
შენ — რესპუბლიკავ! თაობის
რწმენავ,
მამა-პაპათა ძვალთსაფიცარო!
ახალგაზრდულო, სულ რომ
მოღელავ,
ლაღო, მიმღწევო, მებრძოლო ქნარო!
მე ის სხივი ვარ, შენ რომ გჭირდები,
შენ რომ მეტყვი და მზადყოფნა ვიცი,
ოლონდ მითხარი და დავიწვები,
სხვას გავუნათებ შენი გულისთვის.
მუდამ მაოცებს ურიცხვი ფერი
შენს ყოველ გოჯზე როგორ
თავსდება
ყველას ჩვენ ჩვენი ენგური გველის,
ყველას ჩვენ ჩვენი გვცდის
თავდადება!
იქნებ უბრალოდ მოსჩანს შორიდან

ხელზე შემხმარი აყალოს ფერი,
პირველ სიყვარულს — მკერდი რომ
შესძრა,
მას რესპუბლიკის ერქვა სახელი!
შენი უღელი მოჰქონდათ ოდით
ქეთევანის თუ თამარისთანას,
მთაწმინდის კალთაც მამულიშვილთა
ძვალთშესანახით ამშვენებს ქალაქს!
შენ დგახარ შენი ტკივილით,
განცდით,
გაქვს წიწამურიც, სარუსთაველოც,

შენ შენს მწვერვალებს სიმაღლეთ
ასცდი,
კვლავ გასატანო, საფრენო ლელო!
მშვიდობის დროშით, მზიანი დარით,
მზის და სინათლის სივრცეს რომ
ჩემობ,
კვლავ ივლი რწმენად, სიახლედ
ხვალის,
შენ — რესპუბლიკავ! სიმტკიცევ
ჩვენო!

ზედაზნიდან

მდუმარ ტაძართან შემომეფეთა
დაუვიწყარი შრიალი ხეთა...
აქედან ჯვრამდე ცისფერი გზაა,
სვეტიცხოვლამდე ლამაზი მცხეთა!

ვუსმენ იფნარის საამურ ყღერას,
ქარი ამღერებს ნანატრ ხმებიანს...
მგონია მალე ზედაზნიანად
ცის სილურჯეში აფრინდებიან!

ლექსით დაიწყო

მალე აპრილი დადგება ალბათ
და დაკოცნიან მიწას იები,
შემოენთება სერს ყოჩივარდა,
გზებს — ვარდისფერი აკაციები.

დაუსრულებლად იმღერებს ქარი
ეერ ხეებზე, ასეო დიდ წვაზე...
ასე მგონია ოიოქოს ეხოვრება
ლექსით დაიწყო დედამიწაზე!

შემოდგომა

სცივა მზის ცხელი მტევნები
ფრონის ნამიან ჭალებს,
ღელედან სერზე აიტანს
სიო უეცარ ალერსს...

შეუერთდება ლაჟვარდებს
ყანათა მწიფე ფერი,
დირბში მოსულა ლაზარე,
სახლიკაცებთან მღერის!

ქეთევან კვინტრაძე

მამულს

ყველაი, ჩემი ყველაი:
თავი, ნენაი, მამა და
თვალში ჩამჯდარი ზენაი,
ოცნება — ჩემი ლაბადა.
არსი — სამადლო იღბალი,

ვინც ამ ზღაპარში დამბადა.
ვინც გამაყოლა ამ გზაზე
ერთ სასიკეთო ამბვადა,
ყველაი შენვე მოგივალთ
ვალმოხდილ მამა-პაპადა.

თამარ კაკიაშვილი

თამარ კაკიაშვილი ინგილოა, კახიდან. ამჟამად თბილისში ცხოვრობს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუშაობს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. უყვარს პოეზია და თავადაც წერს ლექსებს...

●

ულამაზესად,
უსაყვარლესად,
დედობის ქარმა მომიალერსა.
აი, დამფრთხალი
ნუკრების კვალი
ასდევს და ასდევს
თოვლწყალის კრიალს,
აი, მინდვრების ჟუჟუნა თვალი —
მოსულა ია.
მე მინდა ყველას გავუნაწილო
ეს გული,
როგორც ჩუმი ფერება,
დე, უკვდავების წვიმა ვაწვიმო
ჩემი ოცნების
ლამაზ ფერებად.
მარტის ღიმილი
მემსხვრევა პირზე
და გაბრწყინებულ
თვალებით ვხედავ, —
იმ ნათელმოსილ
ბილიკებს მივსდევ
ოდით რომ ადგა
ქართველი დედა!

●

ჩემსავით შავო ზღვაო,
სუნთქავ, ლივლივებ მზეზე,
თეთრაფრიანო ნავო,
მინდა, ვიმღერო შენზე, —
შენზე... პატარა ნავო...
და არა იმ დიდ გემზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყანობილის მთაო

ყანობილის მთაო,
ამოიღე ხმაო,
თორემ სადაც არის
შენსას იტყვის სხვაო.

ფეხზე დამდგარა დღეს საინგილო

ო, საინგილოვ, ვერ მოგსპო ვერვინ,
არ მოგიხრია მტრების წინ ქედი
და გითქვამს ბევრი სიმღერა კარგი,
მაგრამ არასდროს სიმღერა გედის.
ო, საინგილოვ, მრავალი მოვლე,
მედგრად ხვდებოდი მომხვდურთა
ხორომს
თუ არ კვდებოდით ბრძოლებში
ხოლმე,
ჩვენ გვჭირდებოდი და მისთვის
მხოლოდ.
დღეს დაგვდგომია კარგი ამინდი
ვართ ბედნიერი დღეთა მაყარნი...
და მე ინგილოს სხვა არა მინდა
ია-ვარდები გადმოგაყაროთ...
იმიტომ გიმღერ და სანთელს გინთებ,
რომ მსურს შევამკო რითმი
ზურმუხტით,
რამეთუ ცაის სიანკარეში
მტკვარს ესიტყვება ჩემი ქურმუხიც.

ახალი სახელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან გიგინაშვილი

ქალაქ თბილისის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების მუშა ქალი რუსუდან გიგინაშვილი ამ რამდენიმე წლის წინ პირველად ვიხილეთ თელავში გამართულ ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკის თათბირ-სემინარზე. იგი უბრალო მსმენელი იყო ამ თათბირ-სემინარისა. არც ლექსი წაუკითხავს და არც სხვის წაკითხულ ლექსზე უთქვამს თავისი აზრი.

ახლა იგი პირველად მოვიდა „ცისკარში" და მორიდებით დაგვიტოვა პაწია, ცისფერ-ყდიანი რვეული, რომელშიც ეს ლექსები იყო ჩაწერილი.

ალმომაჩინეთ

ჩემში ბორგავს და იწვის ყოველი,
გამოუცნობი ცეცხლი მაშინებს,
ამქვეყნად, აბა რისთვის მოვედი,
გემუდარები, ალმომაჩინეთ!
ალმომაჩინეთ, იქნებ ვინა ვარ,
იქნებ წყარო ვარ უკვდავებისა,
იქნებ ვშრიალებ თქვენს წინ
ჩინარად.
იქნებ ცრემლი ვარ, ცრემლი
შვებისა.
იქნებ კვირტი ვარ, იქნებ ბალახი,
ხელი შემახეთ, არ შეგაშინებთ. —
ნუ გეყოლებით თუნდაც ნანახი,
გემუდარებით, ალმომაჩინეთ!
ჩემში ზღვა ბორგავს, ღელავს
ზვირთები,
შმაგი ქარშავა ტალღებს აცინებს. —
მალე ჯეგირებს გადმოვდინდები,
გემუდარებით, ალმომაჩინეთ!

ქართველო

ფიქრნარევი ყველა კლდე და ქარაფი,
ოღრო-ჩოღრო ჭირვეული ბილიკი,
ტყე და ტყესთან გაუვალი წარაფი,
და ენგურის პირაქეთ და პირიქით,
ზვრები, მძიმედ დატენილი ცურებით,
ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ ვინმემ გათელოს,
ამ ედემში კიდევ რას ისურვებდი,
შენია და გაუფრთხილდი, ქართველო!

●

ცეცხლის თასი მზეს სათიბში დავარდნია,
გახურებულ მკერდს უგრილებს მიწას სიო,
ჩემი თმები უმოწყალოდ დაბარდნილა,
გაზაფხულო, იქნებ თოვლი მომაცილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარძალივით აიფარა
სარკმელმა ღამე,
სიჩუმე ხელებს უფათურებს
გაუშლელ ლოგინს.

ჩუ... კართან რალაც გაშრიალდა,
თუ მოხდა რამე,
არა და ბოლო აღარ უჩანს
მომქანცველ ლოდინს.

სიკო. 1942

ნავთიაა! მარილიი! — ბავშვების
კივილი
ქუჩის სიხარულიც იყო.
ურემზე მიკრული ფიქრი და
ტკივილი,
ნავთისგან გამურული სიკო.
ნავთიაა! მარილიი! პურზე და
სიმინდზე
დედიი! ნავთი — სიკოა იქო...
სოფელი ჰკიდია ურემის იმედზე,
მოდიან იმედი და სიკო.

ნავთიაა! მარილიი! მოიცა, ქაა! —
ქალთა შეკივლებაც იყო.
„ურმის საგორავებს დაუდეთ ქვა!“ —
პატარებს არიგებდა სიკო.
თოკების არტახებში გაკონილი,
ზის და არიგებს თითქოს,
თითები ნავთით აქვს გაქონილი,
ხელს სულ ვერ დაიბანს სიკო.
ნავთიაა! მარილიი! გამორბის
სოფელი.
სიკოო! ჰაი, სიკოო!

სურათი

ჩემი სოფლის კუდქიცინა გზები,
ახალ-ახალ ოცნებათა წყება,
სასწაულთა შემოსევა გზნებით
სადღაც, ქოხში, ვიღაცა რომ წყრება.

ფეხშიშველი სირბილი და დაღლა.
ჩურჩული და უცოდველი კოცნა,
მუხის ჩრდილში, წამწამების დახრა.
და პირველი გაზაფხულის შოსვლა!

შარა

როგორ ვენდო, ღმერთო ჩემო, ამ შარას
აიწყვიტა, გამალებით გარბის,
მომანოდეთ, მომაწოდეთ ავშარა,
დავაბა და მოვიშორო დარდი...
ნეტავ საით მიაქანებს ამ ჭადრებს,
საით გარბის, ასე ერთად ყველა, —
ვეჩხუბები, ერთი სიტყვაც არ მკადრეს,
ჩემგან არც ერთს არ ეტყობა წყენა.

ჩემს სხეულში დავანებულ სულს
მე ვიცი, რომ ცაში ფრენა სურს.
ისიც ვიცი რომ ტყვეობა სძულს,
მიტომ ცისკენ იყურება სულ.
გაფრინდება, როცა მოვა დრო,
მე დავრჩები გაძარცული რტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა დუმბაძე

მთიანი აჭარის სოფელი მეძიბნა. მშობლიური სკოლა. დამწყები პედაგოგი, დამწყები პოეტი, ნათელა დუმბაძე.
პირველივე რვეულში ვიგრძენით მადლი პოეზიისა.
მალე „ჟოროხმა“ ფართოდ გაუღო კარი.
დღეს კი „ცისკარი“ თავის მაღალ ტრიბუნას უთმობს ახალგაზდა პოეტს. ამაზე დიდი ცნობა-აღიარება სად იქნება.
ჩემო ნათელა, ნიშვიერად, წმიდად, შთაგონებით გეშენებინოს ლექსი. გეშენებინოს იმ ქართული სიტყვით, აჭარელმა დედამ რომ სამასწლიან მონობაში გაუბზარავად გამოატარა და გადაგვირჩინა. ალალი დედის საგზალი, მთელი სიცოცხლის საგზალი! გზას გილოცავ!

ფრიდონ ხალვაში

●

წვიმს...
ჩემი სული ნაწვიმარი მოლივით ლბება
ყვავილთ ლოყებზე ჩამონადენ უთვალავ
ცრემლით....
ო, ნუთუ, ნუთუ დამივიწყეს თვალებმა შენმა,
ფერმკრთალი ფიქრით გადაღლილი ამაოდ გელი.
ნუთუ ამაოდ მიფიქრია... ოცნება ჩემი
აუხდენელი სიზმარივით შერჩება წამწამს!
არა!
არ მინდა დავიჯერო ღალატი შენი...
წვიმა ასველებს ჩემი სულის კვამლიან ნამწვავს...
და მაინც ეჭვი არ მასვენებს, სულს წვავს და
წეწავს,
ოცნების ზეცას ახატია თვალები შენი!..
წვიმს...
ჩემი სული ნაწვიმარი მოლივით ლბება
ყვავილთ ლოყებზე ჩამონადენ უთვალავ
ცრემლით...

●

ჩუმია ტკივილი...
სევდა და ცრემლები...
წავიდა ბავშვობა უკვე.
და ეს სიჭაბუკე შრიალა ვერხვებით
იმ წარსულს საკმეველს უკმევს...

...ისევ ცრემლებია...
სევდა და დუმილი,
სუროში ფიქრივით წასული ძელქვა.
ტკივილი — რომ მხოლოდ ფიქრი და
მხოლოდ გატაცება ერქვა.

●

მტირალა ტირიფი
ტირის და
ტირის...
გული მოიოხოს — აცალე!
აცალეთ!
სევდა გასჩენია ოდითგან ტირიფს,
ხომ ვერ გაიცინებს ნაძალევ!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲣᲠᲛᲐᲜᲐᲣᲚᲘ

ᲭᲠᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲘᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

(ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲜᲘ, ᲛᲝᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲨᲘᲐᲕᲘ)

ᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲙᲘᲗᲠᲔᲑᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲘᲗ, ᲙᲐᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲨᲘᲚᲐᲕᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲗ, ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲛᲔᲖᲘᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲝᲜ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲨᲘᲚᲐᲕᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲐᲑᲐᲪᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲘᲪᲘᲐ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲘᲪᲘᲠᲙᲕᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲭᲐᲓᲝᲑᲣᲚᲘ ᲘᲪᲘᲙᲠᲔᲑᲓᲐ, ᲩᲐᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲐᲡᲘᲗᲘᲡ ᲪᲘᲪᲚᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲛᲝᲛᲮᲣᲪᲔᲑᲘ ᲭᲐᲜᲓᲜᲔᲑᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲣᲚ, ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ. ᲘᲫᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲠᲗᲛᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲫᲕᲔᲚ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲠᲘ ᲛᲐᲒᲜᲔᲑᲘ ᲚᲘᲛᲐᲨᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲛᲪᲝᲪᲛᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲚᲣᲛᲣᲚᲘ ᲚᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲝᲛᲮᲣᲪᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐ, ᲑᲘᲠᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲝᲚᲗᲐᲜ ᲗᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲧᲝᲤᲔᲑᲓᲐ ᲔᲕᲔᲤᲮᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲛᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲓᲐᲡ ᲐᲠ ᲡᲐᲛᲘᲯᲐᲠᲝ ᲮᲕᲐᲠᲐᲛᲫᲘᲡ ᲛᲘᲠᲗ ᲜᲐᲗᲔᲓᲕᲐᲛ ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲤᲘᲐᲚᲔᲠ ᲚᲔᲥᲡᲗᲐ ᲮᲢᲠᲘᲙᲝᲜᲔᲑᲡ. ᲣᲬᲝᲛᲝᲓ ᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲣᲜᲐᲬᲚᲐᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘ! ᲠᲝᲒᲝᲠᲐ ᲛᲘᲓᲒᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲒᲔᲓᲔᲚᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲜᲘᲡ ᲩᲐᲤᲣᲠᲓᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲗᲠᲣᲚᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲘᲡᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲝᲪᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲬᲘᲗᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡᲮᲐᲜᲘᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲤᲨᲐᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲩᲠᲔᲚᲘᲐ ᲣᲛᲘᲚᲐᲣᲠᲘ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲜᲔᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲡ, ᲛᲝᲚᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲨᲘᲐᲕᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ, ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲠᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲣᲯᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲠᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ — ᲐᲮᲚᲝᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲯᲔᲓᲔᲑᲓᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲛᲝᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲯᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲯᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲜᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲫᲐᲕᲗ, ᲐᲠ ᲒᲕᲘᲯᲐᲢᲔᲑᲓᲐ.

ᲒᲐᲜᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲭᲠᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲘᲚᲐᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲪᲝᲢᲐᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲔᲡᲗᲣᲛᲠᲔᲑᲛᲔᲓ ᲗᲥᲕᲐᲡ, — ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲜᲘᲠᲝ ᲗᲣ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲪᲔᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ, ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘᲔᲑᲘ, ᲔᲗᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲔᲗᲜᲝᲛᲔᲪᲘᲜᲘᲠᲔᲑᲘ, — ᲠᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲭᲠᲔᲚᲘᲡ ᲔᲣᲬᲧᲝᲜᲔᲑᲘᲡ. ᲮᲐᲜ ᲗᲕᲘᲗᲝ ᲛᲐᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲓᲘᲗ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲗᲐᲜᲔ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ. ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲒᲐᲒᲔᲣᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘᲜᲘᲗ — ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲣᲮᲯᲐᲓ ᲛᲘᲐᲬᲧᲝᲗ ᲛᲗᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ.

ᲭᲠᲔᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲪᲘᲠᲙᲕᲘᲗᲓᲐᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲯᲔᲠᲘᲗ, ᲭᲘᲪᲘᲗ, ᲭᲣᲙᲣᲯᲐ-ᲛᲐᲡᲣᲗᲘᲗ! ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲐᲕᲗ. ᲒᲐᲛᲝᲩᲠᲘᲚᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲭᲣᲠᲐᲑᲘᲗ, ᲒᲐᲣᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ, ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ, ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲗ.

●

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲭᲠᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲘᲚᲐᲣᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲘᲑᲚᲐᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗ, ᲨᲝᲗᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲐᲡᲐᲣᲗᲘᲗ. ᲭᲐᲛᲐ-ᲡᲛᲐᲪ ᲨᲝᲛᲘᲔᲠᲘᲐ ᲘᲪᲜᲝᲓᲐ. ᲐᲠᲪ ᲧᲝᲜᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲧᲣ ᲡᲕᲐᲛᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲠᲗᲝᲓᲐ. ᲪᲝᲢᲐᲡ ᲓᲚᲔᲓᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲐᲫᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲡ, ᲘᲪᲘᲗᲝᲓᲐ: ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲚᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲣᲨᲔᲑᲘᲐᲜ!

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲛᲔ ᲭᲘᲯᲐᲚᲘ ᲓᲚᲔᲓᲔᲓᲐ, ᲒᲐᲮᲐᲚᲘᲡᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲐᲮᲔ ᲣᲚᲘᲛᲝᲓᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲘᲠᲛᲐᲜ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲚᲔᲜᲐ.

ᲐᲮᲚᲝᲜ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲒᲐᲣᲪᲣᲮᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲚᲔᲥᲡᲗᲐᲛᲝᲐ-ᲙᲐᲤᲘᲐᲛᲝᲨᲘ. ᲞᲝᲔᲢᲘᲠᲘ ᲞᲐᲞᲔᲠᲜᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲑᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲮᲣᲪᲣᲯᲐᲡ. ᲭᲠᲔᲚᲘ ᲠᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲚᲔᲥᲡᲗᲐᲛᲝᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲤᲘᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ —ᲣᲐᲠᲔᲡᲐᲓ ᲓᲘᲜᲯᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲘᲠᲔᲚᲘ. ᲘᲪᲘᲗᲝᲓᲐ ᲒᲐᲩᲣᲛᲣᲚᲘ

ბა, რადგანაც ვინმე აჯობებდა. რიდესაც თვითონ გაიმარჯვებდა, უპირატესობას არ შეიმჩნევედა. იტყოდა:

— მერე შენ მაჯობებ, გული არ გაგიტეხდეს.

თუ დაიღლებოდა და სასმელი აღარ უნდოდა, იტყოდა:

— შვილებო, მეძინება. ახლა მე დავწვები, ძილს მოვიხდიო.

სამაგალითო მთიელი, მისაბაძი იყო ყველასთვის.

საშუალო ტანი, ცისფერი თვალები, თეთრი პირსახე ქართული პროფილით, გამბდარი, — ღრმა სიბერემდე მაძიებელი და შემოქმედი, ნამდვილი არაგველი, „დარდის სავალი გზა-ბილეკი...“ — როგორც თვითონ ამბობდა თავის თავზე.

ჭრელას ვთხოვე:

— ძია ჭრელი, მიამბეთ თქვენი ცხოვრების, თქვენი ახალგაზრდობის, მწუხარების, ლექსების შესახებ, კაფიობის შესახებ. ყველაფერი მიამბეთ!

მან მიპასუხა:

— ჩემო დისწულო, ვის რაში აინტერესებს ან რად უნდა ჩემი ცხოვრების, ჩემი დალონების ამბავი, ჩემი თავს გადანაყარი. ერთი უბრალო ფშაველი ვარ და ვინ იცის, რამდენია ჩემისთანა და ჩემზე უკეთესი კაცი, ნიჭიერი მოლექსე! იქნება ხკობდეს, მათი ისტორია ჩაიწერო?

— არა, ძია ჭრელი, თქვენზე უკეთესი ფშაველები შეიძლება იყვნენ, მაგრამ თქვენ მაინც ყველასაგან გამოირჩევით, ლამაზად შეგიძლიათ ეზრის გამოთქმა. ალბათ არც დაიზარებთ, არც გვიეკადრისებთ.

— თუკი რამეში გამოგადგებით, მიმსახურეთ! — თქვა ჭრელამ და დაიწყო:

— დავიბადე ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტ წელს ფშავის სოფელ კანატიანში!

ჩემს ბაბუშობასა და ახალგაზრდობაზე ნუროფერს მკითხავ და მომპაყოლებ. ძალიან მწარე ბავშვობა და ახალგაზრდობა მჭონდა. იგი შიმშილში, ტანჯვასა და გაჭირვებაში გავატარე.

როგორ ვისწავლე წერა? — მეკითხები და სხვებიც მეკითხებიან ზშირად. ძველ დროს ფშაველი წერა-კითხვის მცოდნენი ძალიან ცოტანი იყვნენ. მთაში არ იშოვებოდა ქაღალდი, ფანქარი. ერთ ჩემს ნათესავს ვთხოვე ესწავლებინა ჩემთვის წერა-კითხვა. ქაღალდად სიპ ქვები ვკქონდა, ფანქრად ნახშირი ან პატარა ნატეხები ქვისა. ძალზე მონდომებული მოსწავლე ალმოჩნდი — მალე ვისწავლე წერაც და კითხვაც, ვისწავლე ხუცურიც. 20 წელს გადაცილებული დავიოჯახდი. იმდენი შევძელი, რომ ერთხანობას დიაკენადაც კი დავიწყე მუშობა ფშაველ. მანამდე კი ვისწავლე დურგლობა, ალტაროობა.

მეუღლე რომ შეკირთე, ჯუკერობდი, ამდენი გაჭირვების შემდეგ მაინც ბედნიერად ვიცხოვრეთ-მეთქი. შეგვეძინა ბიჭი. ორი წელიწადი, რომ გახდა, დაგვეღუპა.

ძველ დროში ფშაველი სად ნახავდით ექიმს. ძალიან ბევრი ბავშვი იღუპებოდა, არ იყო წამალები. ექიმთან თინანეთში უნდა წავსულიყავით, მაგრამ ვინ წამოგვყვებოდა ასე შორს, არ იყო გზები.

ძალიან განვიცადე პირველი შვილის სიკვდილი. გული გამიტყდა, მაგრამ გაიარა დრომ, ისევ იმედი მოგვეცა მომავლისა. თურმე რა მელოდა... კიდევ გვეყოლა შვილი, ისევ ბიჭი. სამი წლისა ისიც დაგვეღუპა. შესამე ვაჟიც გარდაგვეცვალა. მეგონა, გაგგიჟდებოდი. შეგვეძინა მეოთხე შვილი. შვილი წლისა ავად გახდა. გვეშინოდა, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდით, თვალებში ჩავხედავდით, ვეალერსებოდით. მანაც მოავარი სული წინადადეს დალია. ოთხი შვილის პატრონები ცარიელები დავრჩით. მეუღლე მწუხარებისაგან ზშირად კარგავდა გონს, წყლით აბრუნებდნენ. დახედავდა ჯერ კიდევ დაუსაფლავებელ შვილს და ისევ გული მისდიოდა...

მე მაშინ ვეღარ გავუძელი მწუხარებას, თავის მოკვლა გადავწყვიტე. მოშივიდა გული — მთელი ჩემი ცხოვრება ხომ ტანჯვა, ნაღველი და მწუხარება იყო. ავიღე თოკი და ტყეში წავედი თავის ჩამოსაბრჩობად. ის იყო ჩამოვბაი საბელი და თავი უნდა გამეყო შიგ, რომ დაფეთებული ხალში მომიდგა თავს ძახილით: რას ზვრები, ჭრელა, ხომ არ გაგიჟდიო! დამიწყეს დარიგება, გამხნევება, წამიყვანეს სახლში. ამის შემდეგ თავის მოკვლა აღარ მიცდია. ჩემი მეუღლე — ბაბალე კი სამუდამოდ დაავადდა ყოფდა.

ისევ თავისი გზით წავიდა ცხოვრება. კიდევ შეგვეძინა ორი ბიჭი — გივი და ქიჩირი. გაიზარდნენ, ისწავლეს. დამავიწყდა ადრე განცდილი მწუხარება, მაგრამ სიმწარე მაინც არ მეოვებდა. არ ვიცი, რა ვაწუნენ ან ღმერთს, ან ბუნებას, რომ უფრო მწუხარე დღეები გამითენა. ახალგაზრდობა მიდიოდა, წელოვანება მომემატა, დავავადმყოფდი, დავუძლურდი. სწორედ ამ დროს მომიკვდა მეუღლე, ამომეგარდა კერა.

ღმერთს მადლობა, რომ მეუღლეს დამეღუპა უფრო ადრე, ვიდრე იგი თავისი მეზუთე შვილის, 26 წლის ქიჩირის სიკვდილს შეესწრებოდა. ქიჩირი მოკვდა რაღაც უეცარი სენით, რამდენიმე დღეში გათავდა. მე მისი ავადმყოფობა არც ვიცოდი. დეპეშა მომივიდა — თბილისში სასწრაფოდ ჩამოდიო. ჩავედი და შვილი

ბიოგრაფი თურმანაული

ჭრელა უქილაურის ბაკვეთილები

დალუპული დამბზდა. მაშინ დიდი მწუხარების გამო გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, შვილი ბმით დავიტირე. ალარ მახსოვს როგორი სიტყვებით მოვთქვამდი; დამავიწყდა, გავემარჯვები. შეიძლება ჩემი ნატირლები ვინმემ დაიმახსოვრა სხვამ.

მე დიდი ფიქრის კაცი ვარ და არ ვიცი რატომ, ჩემი სული მაინც ლექსს მიმართავს დარდების გადასაურელად. ლექსს რომ დავწერ, თითქოს ძძიმე ტვირთს ვიხსნი მხრებიდან.

მეკითხები, როდის დავწერე პირველი ლექსი?

პირველი ლექსი, რომელიც ჩემს ხსოვნას შემორჩა, გამოვთქვი მაშინ, როდესაც 7 ან 8 წლის ვიქნებოდი. ჩვენ გვკავდა სახედარი, რომელსაც თოკით ვაბამდით საძოვარზე. ერთხელ დედამ მითხრა: წადი, შვილო, აუშვი სახედარი, წყალი დალევინე და წამოიყვანეო. წავედი, მაგრამ სახედარი იქ ვეღარ ვნახე. დაეგლიჯა საბელი, აშვებულიყო, ძნაზე მისულიყო და კარგადაც გამძღარიყო. თოკი ალარ იყო გამოსადეგი და უმისოდ წამოვიყვანე, თან გზაში ასე წავიგულისხმე:

ვირო, მოგიკვდეს გამზრდელი,
რად დამიკარგე საბელი.
შენ იმის დასიც არა ხარ,
ძნა შემიჭამე რამდენი .

არც კი ვიცოდი მაშინ, თუ ეს ლექსი იყო. უბრალოდ უფროსებს ვბაძავდი. მეორე დღეს ბიძაჩემმა ეს ლექსი სტუმრებს უამბო. თურმე იქვე ტუეში იყო და მე რომ ლექსს ვამბობდი ხმამაღლა, გაეგონა.

ლექსებს საკმაოდ ბევრს გამოვთქვამდი, მაგრამ ყველა ალარ მახსოვს.

ერთხელ, დაახლოებით 14 წლისა ვიქნებოდი, ბიძას ტაეში სასაბელ მუშის აყრას ვშველიდი. მუშაობის შემდეგ დავისვენეთ და წყალთან პურის საჭმელად წავედით. იქ ჩვენებური გოგონები დაგვხვდნენ, სამნი იყვნენ, ჭრელ წინდებს ქსოვდნენ, ჩემზე უფროსები იყვნენ, მოვინდომე გართობა. ავიღე მსხვილი ბალახის ღერო, ჩავუშვი წყალში, შევინარეცე წყალი და შემდეგ გადმოვასხი. ქალებმა ამაზე დამცინეს, ჩემი ნამოქმედარი სხვანაირად გაიიზრეს; ბალახის ღეროს „საწრინტებელს“ ვეძახდით. გოგოების დაცინვამ გამბარაზა და ასე წავუღელეს:

გამახედინთ, ქალებო,
ჭრელიას საწრინტელასა,
ჩხუბად კი ნუ გაგიხდებათ,
გეკმაინებათ ყველასა.

ეს ლექსი და სხვა ლექსებიც გახმაურდა სოფელში და თანდათან სახელი გამოვარდა, როგორც მოლექსესა და მოკადოვეს.

ჩემს ახალგაზრდობაში თბილისში წავედი მეზობელ ფშაველებთან ერთად საკვერად. ქალაქები და ინდუარები წავიყვანეთ გასაყიდად. ვივაჭრეთ და ქალაქის დათვალიერება დავიწყეთ. სასადილოშიც შევედით. ...ფული დაგვრჩა, ქურდებმა მოგვპარეს. რა თქმა უნდა, სახლში მადლობას არავინ მეტყოდა. მეც ხომ სინდისი ჭეკნიდა. მაშინ ვთქვი ჩემს თავზე ეს ლექსი:

კარგ მოქალაქე მოგიყვედ
ნათელლის ქალო — ბაბალე,
ქალამ-ინდაურ გაეყიდე,
ოცდაათ თუმან დავთვალე,
სუ ყაჯ-აბრაშუმ ვიყიდე,
ნახეკარ დუქან დაეცალე,
რად გინდა ჩითის კაბები,
აბრაშუმ გამიიცვალე.
ზოგი ქურდებმა მამპარეს,
რაც ფულ მრჩა, თავად შეეკამე.

ზოგჯერ პური არა გვქონდა ოჯახში. პურს მაღაროსყარის ფურნიდან ყიდულობდით; ერთხელაც მაღაროსყარში სახლიდან გამგზავნეს პურზე. იქ ძმა-ბიჭები შემხვდნენ, თითოოროლა ჭიქა დავლიეთ და ისე შევყევით ქეიფს, რომ სახლში მესამე დღესაღა მივედი; მივედი ცარიელი. სახლში გაბრაზებულნი დამხვდნენ. მეც ვგრძნობდი ჩემს დანაშაულს და წავიკაფიავე:

მაღაროსკართ გამამგზავნეს
ჯალაბთ, პურის საყიდლადა.
მე ლეანოზეგ გადმოვაწყე
პურის ყიდვის მაგივრადა.
ჯიშად მაუდის ჯაბანსა (განთქმული მოლექსე
იყო. მეც იმას ვგეკვარო)
ეგრე იქამს აღვილადა,
ცარიელ რომ მიუვედ,
სამივ შადგა სატირლადა, (ცოლ-შვილი)
გაროთეულ შაეშზადა (მეუღლე)
აღმასკომში საჩივრადა,
— შენთან ყოფნას ის მირჩევნავ,
ცალკე ეიყო ათწილადა.

— ამდენი იუმორის— კაფიისა და ლექსის ხალისა, წადილი, საიდანღა ჭკონდა? — შეეკითხე ძია ჭრელას.

— არ ვიცი, ლექსი თვითონ მომაკითხავდა ხოლმე და ხანამ სათქმელს არ ვიტანდი, ვერ მოვისვენებდი. ერთხელ ჩემი სიძე — ლაზარე წელაშვილი და მეზობელი ქალი მესტყუმრნენ. მინდოდა მათი საფერი პატივისცემით დავხვედრიდი, მაგრამ ოჯახში ხომ ყოველთვის არაა საშუალება სტუმრებს კარგად დახვდე. მოვუხარშე ანტრია, რომელიც ნიორწყალთან ერთად იქმევა. რაღა თქმა უნდა, ზინკლის მოხარშვა აჯობებდა, მაგრამ ვერ შეეძელი. სანამ ისი-

ნი, ან სხვები დამცინებდნენ ლეკსებით, მეკე დაცინე ჩემ თავს:

წუხელა მყვანდნენ სტუმრები —
კუჭრანიკი ქალი და ლაზარე.
ხინკალ კი ვეღარ მოვასწარ,
ანტრიაიფი ჩავყარე.
სიძეს ნიორწყალ დავუდგი:
— ჰამე, დროება ატარე!

ერთხანობას სახლიდან წავედი და ლაფანუურში დავიწყე შუშაობა. მაშინ ლაფანუურის საბჭოს თავმჯდომარე იყო კაკაური. ისიც გავლექსე:

რა ლამაზ თავმჯდომარე ჰყავ
ლაფანუურლებს კაკაური,
ერთიმეც თთან აქა მჭრდეს,
მენამეა მჭნა აქაური,
დედაკაციც აქ მამგვარა
ჩემი გულის ნანდაური.

ჩემს ახალგაზრდობაში ფშავში კიდევ იყო შემორჩენილი ქალ-ვაჟის ნადობ-ნაძმობობა — წმინდა, უჩრდილო სიყვარული და ურთიერთპატივისცემა. მეცა მყავდა ნადობი, მასთან დავდიოდი. ერთხელ მასთან წასულმა დაკვარგე წინსაფარი — „ფართუკი", მაშინ „ფართუკის" გაკეთება რატომღაც მოდაში იყო. დავბრუნდი სახლში და ჩემი თავი ვალექსე:

ეთმე, ჩემო ფართუკო,
ქალთან წოლამ დამფუპარ,
ახლა გარათეულ მეტყვის: (მეუღლე)
— მიიტანე, რა უყარ,
ალარ ვიცი, სად დაკვარგე,
ალარ ვიცი, რა ვეუბრარ.

ერთხელ ჯალაფთ ძროხებში გამგზავნეს. მე კი ჩემს ნადობთან წავედი. ძროხები უმწყეფოდ დარჩნენ. მე მეორე დღესვე მივედი შინ. მადლობას, ცხადია, არავინ მეტყოდა.

გუშინ ძროხებში გამგზავნეს
დღესაც მაუვდი ღილითა,
მამფრინდა გარათეული, (მეუღლე)
კინაღ გამგლიჯა კბილითა,
იქნებ ვეღარცა წაბეიდე,
თვალებს სუ დაგხარი ფრჩხილითა.
— შენ რას აკეთებ, ლიაცო,
მაგთვეენა წოლა-ძილითა,
ჩაგიკიმ ჭრელებ კაბები
დაღებილია ღილითა.

ძალიან მემარჯვებოდა კაფიაც და ლექსობაც. ამიტომ შეკიბრში ხშირად გამარჯვებული გამოვდიოდი. ეროწინააღმდეგეს სიტყვას ვუგებდი, პასუხში ვჭობნდი. ხშირადაც დავმარცხებულვარ, უჭობნიან ჩემთვის. კაფიის, ლექსობის მთავარი ნიშანი ისაა, რომ მოწინააღმდეგე გიწყევს და ლექსით გეუბნება სათქმელს. ლექსს იქვე, წინასწარმოუზადებლად თხზავს და ამბობს. შენც ლექსითვე უნდა უპასუხო ისე, რომ მოპაუკრის ლექსის დაბრუნებული ... რებოდეს, მასთან გარითმული უნდა იყვეს შენი პასუხიც. სხვაგვარად არ შეიძლება. თუ არ შეგიძლია, არც უნდა ილექსო. უნდა იცოდე მოწინააღმდეგის ნაკლი და კარგი მხარე, რათა სიტყვაში მოუგო. ალინშნო ნაკლი და თუ საჭიროა, დადებითი მხარეც. ეს ძალიან კარგი წესი გვაქვს ფშაველებს.

ბოდ, მეც დავიწყე კაფიობა, ჯერ გაუბედავად, შემდეგ კი თანდათან დავვოსტატდი და სახელიც გავიოქვი.

ახლა დავბერდი, ისე ვეღარ ვლექსობ, ამის გული ალარა მაქვს. გავიხსენებ ჩემი ნათქვამი კაფიებიდან რაშდენიმეს.

დღეიმა-ხატობაში ვართ, ღამე უნდა ვათეოოთ, მაგრამ თხლად გვაცვია და ვიცით, რომ შეგვცივდება. აქვეა ჩემი თანასოფლელი იაკოფი. მას სტუმრად მოსული სიძეც წამოუყვანია. როდესაც დადამდა და საკმაოდ შეგვცივდა, იაკოფს შემომღერა:

— მიშველე, მოკეთე კაცო,
გაყინა სიძე-ბატონი.

მე — გაიხადენ და დაბურენ
მთიან კი გაცვიან პალტონი,
ან ნაბად ამიიტანე,
რად გინდა სახლში ნაკონი.
უნაბდოდ რად მასდიოდი,
ახალი სიძის პატრონი.

ეს კაფია ახე დამთავრდა, იაკოფს ალარაფერი უთქვამს.

ადრეც გითხარი, ერთხელ კახეთში წავედი. აქ, ქეიფში შემხვდა მარკოზა — ჭიჭოელი კაცი, რომელსაც კარგი კაფიაობითა და მოლექსეობით თავი მოაქვს ხალ. ნას ვალდებული, რომ მე ფშავიდან ვიყავი და კარგად ვლექსობდი. მან გამომიწვია სალექსოდ. მერიდებოდა უცნო ჩხარეში ლექსობა, მაგრამ რადგან გამომიწვია, მეც ალარ დავიხიე უკან.

მარკოზა — ახლა კი შაგხვდი, ჭრელაო,
დაგამტვრევ, როგორც თხილია.
მე — სანამ მე გამტეხ, ჯეილო,
მანამ არ მოგტყდეს კბილია,
ცივ წყალ ფალიე მალეკა,
ცხელ გული გიგრილეკა.
მარკოზა — არ ვეშალება მარცალო,
არც სფეკილეში ფქვილია:
კარეში რისთეის ჩამოხვედ,
რაღა ხარ გამოჭრილია?
მე — შენ სადღა გიდგა ბეღელი,

ბიორგი თურქანაული
ჭრელა უჟილაურის ბაკვეთილები

შარშანდელ დამეკარგილია,
არც ხო ძველისძველ შენა გაქვ,
შენდაც სულ გაწყვეტილია.

მარკოზა — ეგეთა სიტყვებს ნუ ამბობ,
ოთხით დაგვიბამ ბრთხილია,
იქნება აქით გაგგზავნოთ
ყვავივით გახეხილია.

მე — ის ხელფეხს მალე გაიხსნის,
რომელიც გამოცდილია;
გუშინაც მუქარა მთხოვე,
გულსა მაქვ შამოყრილია.
მგონია, ჭიჩოელი ხარ,
ეოლმა არ მოგჭრას ქბილია,
ვერ მახარშა ხინკალი,
არაგვში გადაყრილია.

ჭიჩოელებს ფშავლები დასცინიან ეოლისადმი სიყვარულში. მათვე მიაწერენ ამ ამბავს: ფშვინისაკენ მიმავალ ჭიჩოელებს მორეკში ხინკალი ჩაუყრიაო, მალე მოიხარშებაო, ეს ფაქტი გამოვიყენე მის გასაჩუმებლად. გაბრაზდა ჩემი მოწინააღმდეგე, კინალამ ნაგნით მომკლა, ხალხმა ძლივს დააკავა.

ჩვენს ლექსობაში მაშინ არ ჩარეულა ერთი მოხუცი კაცი, ცნობილი მოლექსე — ტოკა: ბოლოს მან გამოთქვა, შემომიღერა:

— ე ჭრელა ჩემთან გაღმოხდეს,
ვერ ეტყვით ტოკასავითა,
მაგას ისრ შამოვაბრუნებ
ახალწლის გოგასავითა (საახალწლო ყვერი,
რომელსაც სახლში შეაგორებდნენ)
ბეგბერ კაცი ვარ, მაგრამა
დავატყრობ გოგრასავითა.

მე — უცხო ვარ, შამოგებარეთ
არამის ცოდესავითა,
მალედაგ არ შაგაშინო,
ნუ ჰკიეი თოქმასავითა, (ხარიკითაო)
ცრემლებ არ ჩამამდინო,
გატეხილ კოკასავითა.

ტოკა — ჯელ კაცი ხარ, მაგრამა
დაგაბამ ძროხასავითა.

მე — რუსულ ფარაჯა ჩაგიცომ,
გიხდება ჩოხასავითა.

ტუულილდა. ვუთხარი იმიტომ, რომ მან მაჯობა. ძროხასავით დაგაბამო, რომ მითხრა, უნდა გავჩუმებულიყავი, გარუმებაც და საკუთარი დამარცხების აღიარებაც ვეუკადრებაა და ლამაზია.

ერთხელ პაკლე ბოძაშვილმა შემომიღერა:

— ჭრელამ ლექსობა დაიწყო,
მითამ შოთასა ჰგავისა,
თავადაც კაი ბიჭია,
ცოლ-შვილიც კარგი ჰყავისა.

მე — თავ დამანებეთ, ბოძანო,
ნუ ამამაგეთ ჭირითა,
მე რაღა ლექსობა მიხდა,
არ იტყვით ერთის პირითა.
დამჩაგრა წუთისოფელმა,
ცასა კკიდივარ კბილითა.
ისეთია ბაბალე — (მეუღლე)
მზე, ამოსული დილითა.

ერთხელ შემხვდა ჩემი ძმობილი, ცნობილი ფშაველი მოლექსე, დავით ბოძაშვილი. მაშინაც ვილექსეთ.

დავითი — შენთან შეხვედრა მინდოდა,
უძალაურო ჭრელო.

მე — მეც ვიყავ მაგის მსურველი,
ვილექსოთ მე და შენო.

დავითი — ენივალნი დაგლამებიყო,
ღმერთმა არ გაგითენაო,
სამ დღესა ვლესე ხანგარი,
უნდა მამეკალ, ჭრელაო,
თავ შავიკაკვე კიდევა,
არ იყოს ხალხის ენაო.

მე — შენ მე ვერ მამკლავ, დავითო,
ისიც კარგად მჯერაო,
შენ რო ტყვიები მესროლო,
ხელით დაიჭერ მენაო.

დავითი — გადარჩი გერმანელებსა,
ვერ გადამრჩები მენაო.

მე — გერმანელებმა ვერ მამკლეს,
რას გამამრჩები შენაო.

ჩემი ნათქვამი კაფიების მცირე ნაწილია მახსოვს, ხალხსაც დაავიწყდა. უმრავლესობა დაკარგული და დავიწყებას მიეცა.

ერთხელ, როდესაც ვსაუბრობდით ძველებურ ფშაურ წესზე — ნადობა-ნამმობობაზე, ქალ-ვაჟთა ურთიერთის დანდობა-მოყოლაზე, ძია ჭრელამ გაიხსენა თავისი პირველი ნადობა ქალი, რომელიც ძალზე ჰუკარებია. ეს ქალი განთქმული ყოფილა თავისი სილამაზით. შეხვედრია რაღაც ავადმყოფობა, წინათ ხომ მთაში სიკვდილიანობა ხშირი იყო. ექიმი არ იყო, წამალს ვერ ვშოულობდით, და გარდაცვლილა.

— ჩემი პირველი ნადობი რომ მოკვდა, მეც მაშინვე უნდა მომეკლა თავი და დამემთავრებინა ჩემი სიცოცხლე ამით.

— ამას მართლა გულით ამბობ, ძია ჭრელა?

— შეკვეთხე მე.

— ჰო, მართლა ვამბობ, ჩემი განადგურება ჩემი ნადობის სიკვდილით დაიწყო და მერე არც გამიხარია.

ერთ ჩემს სატრფიალო გატაცებას წინ აღუდგნენ როგორც ჩემს, ისე ჩემი ნადობის ოჯახში. მაფრთხილებდნენ, მემუქრებოდნენ, რომ ამას კარგი შედეგი არ მოყვებოდა, რომ ჩემი საქციელი არ იყო ქკვიანური. და მაშინ, გულიდან დარდი რომ გადამეკარა, ვახეთში წავედი. წავედი, მაგრამ დარდი ოჯახისა, მოვალეობის გრძნობა და ნადობის სიყვარული თან

წამყვა. მაშინ, კახეთში ყოფნისასაც გამოვთქვი ლექსები:

მთიდან ჩამოწვა ნისლები,
მთელი მიდამო დაფარა,
გული გონებამ დაადნო,
ტვინი ნაღველმა დაღარა,
ცრემლი მდის შეუშრობელი,
რო წმინდა წყარო, ანკარა,
ცრემლმა, ჩემ ჩამონადენმა,
სალი კლდე ორად გაყარა.
ნეტავი, ჩემო ლამაზო,
მანდამც მამყოფა, აქ არა,
გულის, გონების ყვავილსა
ერთხელამც კიდევ შამყარა,
სულამც იმასთან მამყოფა,
ცოცხალმაც ალარ გაგყარა.
ზოგი ლექსი ალარ მახსოვს იმდროინდელი, ზოგი კი ისევ შემორჩა გონებას.

გაზაფხულ დაგვიახლოვდა,
ახლად აყვავდა იალ,
მოგელი დაწუხებული
მთიდან მონაბერ ნიავო,
ჩამომიტანე ამბავი,
ვის დარჩა ჩემი მზიაო,
ვინ აუყვავა გულ-მკერდი,
ან ხელ ვინ გადახვიაო;
ფშავის ხვე ჯოჯოხეთია,
კახეთი — სამოთხეაო.
ფშავ სულამც გადმოაბრუნა,
ზედ გულზე გაარღვიაო,
ვინაც მე ძალიან მშურობს,
ის ქვეშამც მააქციაო.
შენი გულისთვის წავსულვარ,
სამშობლო დამითმიაო,
რომ მე ფშავს ვიყო მოსული,
ის რაღა სიცოცხლეაო.
შენ ასდგე, ეხლა სხვას გაყვე,
ჩემთვის ხო სირცხვილიაო.

ეს პატარა ლექსიც მაშინ ნათქვამია:

არაგვის ხეობაზედა
ერთი ყვავილი ჰყვავისო,
იმას ხელ არავინ ახლოს,
თავის პატრონი ჰყავისო.

კიდევ ეს მახსენდება: მიყვარდა, ცეცხლი მედგბოდა, მშველელი კი არავინ იყო:

ტარიელივით უნდა ვკნა,
უნდა გავიჭრა ველადა,
მეხაც ისრ უნდა ვიარო
საყვარლის საძებნელადა,
თუ ვერ ვიპოვნი, ვიტირო,
ჩამოვიღვარო ცრემლადა.

ერთხელ მაღაროსკარისენ მიმავალს გზაში შემხვდნენ ჩეჩი ნადობი და ერთი მისი მეგობარი ქალი. გულმა ბაგბუგი დამიწყო, ვეფიფური მოვახერხე სხვა. მხოლოდ ეს ეფიფური ვუთხარი. გზაშივე გამოვთქვი ლექსი:

მაღაროსკართ დავინახე,
ორი მგზავრი მომდინარე,
იცინოდნენ, მოდიოდნენ,
გვერდსა ჰყვანდა მზესა შთვარე
შეეკრთი რაღაც იმათ ნახვით,
გვერდზე ვეღარ გავიარე,
გული ცეცხლით მიდიოდა
ფრიდგახვე მდებიარე.

ბევრი ლექსი მოიკვამს სიყვარულზეც. ახლა მეხსიერებაც დამისუსტდა, ყველა ლექსის გახსენება სადღა შემიძლია, გულისხმაც ალარა მაკვს, შენც ნუღარ შემეკითხები.

უკანაფშავში, ხატში ყოფნის დროს, ძალიან მომეწონა ერთი ახალგაზრდა ქალი. თვითონაც კარ დროსა ვიყავი, რა გამაჩერებდა და ლექსი ვთქვი. ახლაც მახსოვს:

არავინ მამწონებია
დალალის ქალივითა,
კობტა წითელ კაბა ეცვა,
ელავს ცეცხლის ალივითა.
ქვეშოოოაზე გამამცილდა,
გაიპარა ქარივითა,
თვალწინაით დამეკარგა
ქვაზე ჩიტის ყველივითა,
აბ, მაგასამც მამახვი
ქვეყნის ცოდვა-ბრალივითა!

სევდისა და ნაღველის მეტი რა შემხვედრია ცხოვრებაში. ეხეც ხომ გიამბეთ. ამაზეც ისევ ლექსის თქმით გადავიყრიდი ნაღველს, ბევრი მიტირია, ბევრიც მიმღერია, მაინც არა ჯტუდებოდი:

ეტირი. ჩამამღის ცრემლები,
როგორც ნაწვეთი კლდისაო,
თავ მებრალება იმითა,
ვარ უბედურის დღისაო,
ჯელებ დამიძახებენ:
ჩვენთან გადმოხე, ბიძაო.
ისე ვარ ჯელებთანა,
როგორც ოქროში — ბრინჯაო.
ერთხელ მეც კითო მოკვდები,
ჩაგებარები მიწაო,
გავხდები შენი ერთგული,
მერე რაც გინდა მიყაო,
მეც იმას ვიქამ ნიადამ,
რაც უნინ სხვისად გიქნაო.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ვთქვი ეს ლექსი:

ჯიორგი თუთიშვანაული
ჭრელა უჭილაურის გაკვეთილები

ჭრელამ თქვა თავის თავზედა:
ბეჩავ კაცი ვარ, ცოდვილი,
ფეხს ფეხზე ვეღარ ვაცილებ
მაძე საწუთროს ბორკილი.
ჩემი სიცოცხლის მანძილი,
ტანჯვით გაელვე ორწელი,
თვალზე ცრემლ არ მაშრობია,
რაკი ერთ მიყვეს ჭორწელი.
სახლიდან გამისტუმრებავ
ერთი მანქანა ცოლ-შვილი,
სხვა საქმეს რაღას ვაკეთებ,
ბორო, შენ რადარ მოგილი.
ოთხოთხ ვაჟი მყავ, ოხერო,
შენ მკერდზე შამოწყობილი,
მეხუთე დედაც იქ არი
იმათთვის ჩამოდგნობილი.

როდესაც 28 წლის ვაჟი დამეღუპა, ეს ლექსი ვთქვი საკუთარ თავზე:

საწყალო უძილაურო,
დამდნარო სიკვდილ-სევდისა,
ნეტავი არ გასჩენიყავ,
რძე არ გეწოვა დედისა,
თუ გეკნებოდა სიცოცხლე
ცაზე მიმბეულის ბეწვისა,
ერთხელ არ გათენებულ-
დღე სიხარულის შენთვისა.
დადიხარ შუდამ მტირალი,
ვეზე წინ გიდგა ცრემლისა,
წყალ შაინც დამალეინა
ნაკური შენილი ძვლებისა,
გულ კოით დაისვენებდა
ბევრჯელ დაკრული მეხისა.
ალარც გულმ მამკლა, ალარც სხვამ,
რამ მშობა ეგეთ ხე-ქვისა,
მოდით, ჩამჭოლეთ, თუ ძმა ხართ,
ეისაც კარგ გინდათ ჩემთვისა;
ყაციმც ნუ დაიბადება
ქვეყნად ჩემფერა ბედისა,
ამის მოგინდა დაწერა
ლექსს, შვილთა მოგონებისა.

ძია ჭრელას მე გავახსენე ადრე დაწერილი ლექსი:

ერთ სიტყვა მაქვის სათქმელი,
ანა ვთქვა, არ იქნებათ:
ძნელი ყოფილა, ვაჟკაცი
როცა გულითა დნებათ,
თუ ამას შეეესწრებოდი,
ნუმც გაგჩენიყავ დედაო,
ჩემიმც აკაენ მოგშლია
და პირქვეშეც იბერტყებათ.

თუ ვინმე კარგი ვაჟკაცი გამოაკლდებოდა სოფელს და ფშავს, ძია ჭრელა მას გულით დასტიროდა.

ფშაველი დაილუპა მეცხვარე გიორგი ფუროსაშვილი, კარგი ვაჟკაცი, ყველგან ცნობილი თავისი გულკეთილობით. ის დაკავადებული იყო ფუფუნებელი სენით. სიკვდილამდე ბევრი ეხვეწა გიორგი ხატებს, სალოცავებს, საკლავიც ბევრი დაუკლა, მაგრამ გაღეღუნლმა მეხაწორავმა ვერაფერი უშველა:

გიორგი ფუროსაშვილო,
რად ეგრე, დედამტრისასა,
სიცოცხლის მონატრულ იყავ,
თავს როგორ აძლევ მიწასა.
მიწათაც გახარებია
წვენს დაკლეკად ვაკეკაცისასა,
ხატისას ნურას მიამბობთ,
ნურცარას ეშმაკისასა,
რადარ უშველეს ხატებმა
ტანჯულსა დიდის ხნისასა.

ასეთი იყო ჭრელა უძილაური, ყველა ამბავს გამოუმაურებოდა, ყველას სწყდებოდა მისი თვალი, მისი გონება.

— როდესაც ფაშისტური გერმანია ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა, მეც სხვებთან ერთად გამიწვიეს სამშობლოს დასაცავად. ხაკმაო ხანს ვიბრძოლე ფრონტზე, ორჯერ დავიჭერი. ორჯელვე განვიკურნე და ფრონტს დავუბრუნდი. მე მაშინ დროული ვიყავი, როგორც ფშაველები იტყვიან ასაკოვან ადამიანზე და თანაც მიღებულმა ჭრილობებმა ჩემი ჯანმრთელობა გაუარესა, ამიტომ დემობილიზაციით დამბრუნეს სახლში.

ფრონტზე ყოფნისასაც ბევრი ლექსი დავწერე. ამ ლექსებში აღწერე ჩემი ფრონტული ცხოვრება, ბრძოლა, ტყვიის ავდარში ყოფნა, თანამებრძოლთა დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, მტრისადმი სიძულვილი, სიკვდილის მოლოდინი და თვალებში ყურება. ბევრი ამ ლექსთაგან დაიკარგა, ბევრი ახლა ხალხმა ზეპირად იცის.

მაღაროსკარში შეისვენეს ჩარგალში ვაჟაობის დღესასწაულზე მიმავალმა მწერლებმა — გ. ლეონიძემ, ს. ჩიკოვანმა, გ. ნაცარაშვილმა. შეიარეს მაღაზიაშიც და გაესაუბრნენ იქ მყოფ ფშაველებს. მათ შორის ჭრელა უძილაურიც იყო.

— რომელი იცნობდით ვაჟას? — იკითხა გიორგი ლეონიძემ.

— მე ვიცნობდი — უპასუხა ჭრელამ.

— როგორი კაცი იყო?

— ძალიან კარგი, ლამაზი, კაცთ საკითხი კაცი, ფშაველების ფარი და ხმალი.

— სად უუვარდა ვაჟას ქეიფი?

— სადაც ძმობილები და მეგობრები, ნათესავები ჰყავდა.

— თუ იცოდა ვაჟამ კაფიობა, ლექსობა?

— არ ვიცი, მასთან არც მიკფიავებია და არც მილექსებია. ამბობენ, არ ემარჯვებოდაო.

— სად შეხვედრიხარ, სად გინახია ვაჟი?

— აქ, მაღაროსკარში.

— თუ გიყვარი მისი ლექსები?

— ჩვენ კი არა, მთელ ქვეყნიერებას უყვარს ვაჟას ლექსები...

ჭრელი მწერლებს შეეთხზვებზე ხხარტ და ზუსტ პასუხებს აძლევდა. კიდევ რაღაცეები ჰკითხეს და ახლეე მოკლე პასუხები მიიღეს. მწერლებს გაუცინათ. გ. ლეონიძემ თქვა:

— ეს უშველელ კაფიეიით ვეეესაუბრებოო. გამოეშვეიდე

(იქნებ არც კი ვარგოდეს ამდენი ფიქრი) — გავლილი ბილიკი ვარ; დანგრეული ჭოხი ვარ, მოაშო მიტოვებული; ჯოგრის გაწყალებული ლოგინი ვარ; ფიქრთა ხახთუმელი, ცრემლთა ხაბანი ვარ, მწუხარება რომ დამიფარავს ხშირად...

— ძია ჭრელა, შენ ისეთი ნაფიქრალი გაკვს, რომ ყველა მინდა ჩავიწერო, დავიმახსოვრო.

— მე ფიქრის კაცი ვარ... ბევრი რამ მანჯავლა ცხოვრებამ, დარდმა, სიხარულმა. ზოგჯერ ისეთი აზრი მომივა, თვითონ მინდა ჩავიწერო. ხან სიბნელე მიშლის ხელს, მეზარება ადგომა, ხან ფანჯარი და ჭაღალდი არა მაქვს... მერე კი მავიწყდება, ალარც ხალისი მაქვს რაიმეს წერის, მაგრამ ხანდახან მაინც ვწერ. ზოგჯერ ისევ გამიწევს გული ლექსის თქმისა და დაწერისაკენ. ზოგჯერ კიდეც ვიტყვი... ხან მთელი ღამეები არ მძინავს. ერთხელ ასეთი სიტყვებით გამოვთქვი ჩემი ნაფიქრალი, ღამეს ვეკამათებოდი მაშინ:

— უჰ, სულ მე არ გათენებდე, ღამევ,
აბა ერთხელ შენც გამათენე —
გულწყლიანმა და დარდიანმა,
ნეტა ვეოც მაშინ გიიგებდი,
როგორ ძნელია ათენებდე
ღამეებს თვალებცრემლიანი.

თავიდანვე ჭიუტი ბუნებისა ვიყავი. არ მინდა დარდმა გამგებლობა; დამაბეჩოს, დამარეოს. გეცოდინება, რა ლამაზადა თქვა ერთმა ფშაველმა:

გაგა ლალი ვარ, რო ვმღერი,
გულისა დარდებს ვიქარავი,
ვინაც ჩემზე თქვა — ლალია,
ჩემსავით ლალიმე ის არი.
მამას მაუკვლენ ლეკები,
ძმას კი ნასროლი ისარი,
ანდა მაუკვლენ ნაძმობსა,
არც ძმაზე ნაკლებ ის არი.

— მართლაც კარგი ლექსია, მეც მომწონს და ჩემს თბილისელ ძმადნაფიცებსაც. ზეპირად იციან.

ჭრელა ამბობს:

— ჩემი გული დასანგრეცად გამზადებულ სახლსა ჰგავს. არ ვიცი, როდის დაინგრევა. ბევრჯელ დაბაკარა დანგრევა, დაქცევა. არ ვიცი. რაღა იჭერს.

— თქვენი გული რკინასავით ცხოვრებისაგანაა ნაწრთობი. ჯერ კიდევ დიდხანს გემსახურებათ! გიერთგულებთ.

— ვითომ ასეა? — შემეკითხა.

— ასეა, ასე, ძია ჭრელა.

— ხან იმას ვფიქრობ: რამდენს რგებია ჩემზე უარესი ბედი, რამდენს მოჰკვდომია ჩემზე მეტი ფიქრები, ახლობლები და ვერაფერი უქნია. ვერც ვერაფერს მე ვიზამ. რა ქარად თქვა გომეფრელმა ლუკა მახარაშვ ფრონტიდან გამოგზავნილ ლექსში:

კაცს ცოცხლად დაბადებულსა
ჭირიც შეხვდება, ლხინიც.
სუყველას უნდა გაუძლოს,
გულ უნდა ჰქონდეს რკინისა.

ოც წელზე მეტს ვთიბე მწუხარება, როგორც ბალახი, შამბიანნი; ვერ დავამთავრე მისი თიბვა, იმისთვისა ვარ დარდიანი. ფიქრებიც დამიბერდნენ; ფიქრიც კაცივით ბერებული, — ფიქრებიც გამიჭალრავდნენ. აზრებიც და გრძნობებიც. კაცივითა ბერებული, ვაფო! — ისევ გიიგეო ორა. — მე დიდი დღე ალარ დამრჩენია. ვინ დათვალა, მე კი არ დამითვლია, რამდენი დღე მოკვდა და წავიდა ჩემი ნიცოცხლისა. ეხლა ძალიან მალე მე თვითონაც წავალ, მაშ ცახა ხელ ჭკეკანას კი არ შეეახმები და გამოვეკერები, მიწას მივებარები.

— ხომ არ გაშინებთ სიკვდილი, ძია ჭრელა, რატომ ახსენებთ ასე ხშირად სიკვდილს, სიუსტეს...

— როგორ გითხრა! არ ვიცი, — ფიზიზლებით კი ვფიზიზლობ, არ შომეპაროს სიკვდილი, არ გამბადოს შავეთის ყმა,— ღიმილი გაიარა პაასუხში — სიკვდილზე კი არა, სიცოცხლეზე უნდა იფიქროს კაცმა და ამით გაილამაზოს დარჩენილი დღეები, თუკი ამის უნარი შერჩება კაცს. სიკვდილს სიკვდილისფერი კაცი უნდაო, უოქვამს მთის ხალხს.

— ახლა ოთხმოც წელს გადაცილებული კაცი ვარ. ზოგჯერ ვიტყვი ხოლმე — სიცოცხლე ალარ მინდა, შომძულდა, რაკომ არ ვკვდებიმეთქი. ტკუილია! ვტკუი. ავად რომ გავხდები, ისევ წამლებისკენა მაკვს თვალები — არიქა, ჩქარა დავლიო, იქნებ რამე მიშველოს, არ მოკვედე-მეთქი. ასეთი ყოფილა კაცის ბუნება —ღიმილით ამბობს ძია ჭრელა.

— შენ მეუბნები, ხშირად ახსენებ სიბერესო. ბებერი ვარ და იმიტომ. ახალგაზრდობაში სიბერე არ გამხსენებია, არ მიფიქრია მასზე. ამისთვის არ მეცალა, დრო არა მქონდა. დავბერდი და... დავწერე ეს ლექსი:

ცუდი ყოფილა სიბერე,
ეგ არას მამღის ჩკვაშია,
წაგართომს სილამაზესა,
გაგწირავს შუა ბაზაშია.

ბებერი კარ, გულამოცლილი, სულგაბზარული. ასეთი კაცი რაღა ხასიცოცხლოა!

ძია ჭრელას თავისებური შეხედულება ჰქონდა ადამიანის სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე.

— ჩვენი სიცოცხლე ხის ნათოსია (წულისგან გამოტანილი ხეა), ჩემი ახალგაზრდობა წუალმა წაიღო. შუა კაცობაც წუალმა წაიღო და

სეფდის ნიადაგარმა. ეკვსჯერ დამკრა საწუთრომ ისარი გულში. ეკვსჯერ ჩამცა სატევარი სულში სიკვდილმა, ეკვსჯერ გამოგძარა გული... მოხუცებულობასაც წყალი წაილებს, ვწუვდები ჩემი გაჩენის დღეს. არ ვიცი, რისთვის დავიბადე; არ ვიცი, როდის ვიყავ ჭეშელი; არ ვიცი, როდის ვიყავ შუახნისა, არ ვიცი, როდისა ვარ მოხუცი,— უცბად მკითხა; — უაზროდ ვლაპარაკობ, არა? დღედაღამემ მომაბეზეა. სიცოცხლეი ისეთია, გაზაფხულზე გახარებს, შემოდგომაზე და ზამთარში კი გალანდს. იმიტომ, რომ შემოდგომა და ზამთარი სუსხიანია. ვიღაცა გიჯავრდება, ღამეს გიდადებს, ძილს გიგონძლებს, მაგრამ არ კმაწავს და იმითაც გტანჯავს. სიბნელეს ბეგრს გიჩვენებს, სინათლესა და სიცოცხლეს ცოტას. მერე კი ეეტეკვის: მე კარგი გიეავი, უფრო მეტი გაფიზლეო. გაზაფხულზე თბილი, ხალისიანადა ხარ, მაგრამ რასაც გაზაფხული დაგასვენებს, ზამთარი დაგლლის, დაგტანჯავს, დაგაზრობს...

ერთხელ ჭრელას სიმინდის თოხნაში მიეეხმარე, სამუშაო რომ დავამთავრეთ, ჭრელამ თქვა:

— გაუმარჯოს კაცის მარჯვენასა,
ცის ნამსა, დედამიწის მოსავალსა;
ხარის ქედსა, გუთნის ფეხდსა,
სახნისსა და საკვეთელსა,
მზესა და მოვარესა, სტუმარ-მასპინძელსა.

თან დააყოლა: ასე ვამბობდით წინათ, უანის მკას რომ ვამთავრებდითო.

ლამაზად იცოდა დალოცვა. აი, რა მახსოს: „ჩემო მომავლებო, ჩემო კარგებო, იცოცხლეთ, იბედნიერეთ. ზრდილობა არ დაგეკარგოთ!

ჩვენს მთას, ჩვენს ფშავს, ჩვენს საკართველოს, ჩვენს დიდ კვეყანას გაუმარჯოს.

გაგამრავლოო.

მტერს — მტრობა, მეგობარს მეგობრობა მიიგეთო.

გაუმაოჯოს ცის ნამს, ამომავალი მზის სითბოს, ხარის ქედს, კაცის მარჯვენას.

ეოეკაცურ სიყვარულს გაუმარჯოს!"

დალევდა სასმისს, დაგვიბრუნებდა და იტყოდა:

— თქვენსამც ჭირს დავლევ!

თუ დაიფიცებდა, იტყოდა:

— მოღალული მზის მაფლს გეფიცებით!

— სალამსა და გამარჯვებას გეფიცებით!

— პურ-მარილის გამჩენს გეფიცებით!

ზემოთაც ვთქვით: საკვირველი მეხსიერება ჰქონდა ჭრელა უძილაურს — იცოდა ძველი ამბები და გადმოეცმები. ანდაზები, უამბავი ხალხური ლექსი, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი", გურამიშვილის „დავითიანი", ვაჟაფშაველას პოემები და ლექსები. ...[illegible] არ გაუშვებდა, თუ რამე დაიბეჭდებოდა. [illegible] ბეგსტოეთზე, თამამად გამოსხვავდა თავის აზრს და შენიშვნებს, ჯავრობდა, როცა შეცდომით წერდნენ მთიანა და მთიელების შესახებ.

— ეხლა დავიღალე, ჩემო ღიხწეულო, — მეტყოდა, როცა საუბრით და

გაძარცვული ძმადაფფლებისგან, მეგობრებისგან, ჩემი ტოლი და სწორი ფშველი მოზუცებისგან, ცოლ-შვილისა და ნათესავებისგან.

შემოდგომის უფოთლო ხე ვარ და სხვა არაფერი, წახაქცევად გამზადებული ხე ვარ, შტოები რომ დალეწეს.

საკვდილი უველაზე დიდი მტერია ჩემი, მაგრამ ვიცი, ვერაფერს დაგაკლებს, ვერაფერით დაგაღარებს, ვერ მოგკლავ, ჩემი სიცოცხლის ორი წელი ფუჭხარებასა და საკვდილიანობას მოვანდომე, ერთი წელი კი ვითომ კარგად ყოფნას. ჯერ რა სიბარული მომცა წუთისოფელმა, ისიც დარდმა და ნაღველმა დამიჩაგრა.

ბომ ასეთი ცხოვრება ჭკნნდა, დაღონებულს ბევრი რამ მოთქვამს და მიფიკრია, ასე დავიჩაგრე, მაგრამ ეს ოხერი სიცოცხლე ისე ლამაზია და მშვენიერი კიდევ ვერ დამითმია.

ჩემო ეოგინ! დროის სვლას და მდინარებას რა შეაჩერებს, ჩემი მოუსვენარი სულის სახლი — ჩემი სხეული მოძველდა და შეიჩუა, კედლები კი დაებზარა, შეშინდა და შეშფოთდა ჩემი ისედაც გაწამებული სული და სიცოცხლე, შეწრიალდა და წასვლას აპირებს სადღაც. აბა სად წავა, სად შეიფარებს იგი თავს?! არ ურჩევნია მშვიდად იყოს, დარჩეს თავის ძველ ბინაში — ჩემს დაბერებულ სხეულში. რა თქმა უნდა, რომ ურჩევნია. ისიც ვიცი, რომ ჩემსავით ალბათ ბევრია, ბევრი მოზუცი ჩემსავით მდგომარეობაში და ფიქრებში იქნება, მაგრამ რას ვიზამთ, ასე დაბერელ ბუნებამ და მას უნდა დავემორჩილოთ.

მართალია, ვმაგრობ, მაგრამ ზოგჯერ სევდა მომეძალება; ბინი ყმა და მონამორჩილი ვხდები. ერთხელ ძალიან გულდამძიმებული და დალონებული რომ ვიყავი, მაშინ ეთქვი და დავიხოჭავლე კიდეც:

დარდი ბილიკად გადაქეცა,
მასზე დავდივარ და ვხეტიალობ,
მე ჩემი ცრემლი რას მეყოფა,
წვიმიანი დღით ცრემლიანობ.

როგორ მითქვამს, ეხლა შენ განსაჯე. ასე არ მეთქვა, არ შემეძლო, ეს რომ ეთქვი, თითქოს დავიხვენე, ძმიმე ტვირთი ჩამოვიღე მხრებიდან.

მე ჩემი სიცოცხლის ორი წელი, როგორც ადრე გითხარ, მწუხარებაში და დარდში გამიტარებია, ერთი წელი კი ალბათ სიხარულსთვის დამითმია. მე რა დამითმია, ზოგჯერ მხიარულება თვითონაა გაბუტული. ასე რომ არ იყოს, ჩემთან როგორღა მოვიდოდა, როგორ მომაკითხავდა. ასეცე სიმღერა-ყაფიაობისა და ლექსობიას სურვილი ხელს მიწვდიდა, მეხმარებოდა, რომ სევდას არ დავეჩაგრე და სიკვდილს არ გავეტეხე.

მე მგონი ვეხსომება ეს ამბავი. ბრძენმა მოხუცმა ხვთისო ქისტაურმა სიკვდილის წინ რომ დამბარა: შენი ჭირიმე, ქრელავ, მე რომ ყოველდღეი, ბევრს ნუ მიტირებ-მიგლოვებ, წუხს ჩემი მეგობრები და ნათესავები ტირიან ჩემ ნაცვლად. ვიცი, რომ შენ აუცილებლად [illegible] ორმოცზე, აი მაშინ შემოსძახე შენებურად ფშაური სიმღერა; ოლეკეს, ალაფიავე და ჩემი ალტივისცემა ეს იქნებაო!

ბომ გახსოვს, ხვთისო ქისტაურის ორმოცზე რომ ვიმღერე. მე ჩემი მეგობრისა და ძმადაფიცის თბოგანა შევასრულეთ. ცუდად მოვიქეცი? არ ვიცი, ასე უნდა მოვქცეულიეყავი თუ არა, სხვანაირად კი მე არ შემეძლო.

ჩვენს სიცოხლეს რომ ეაკვირდები, ჩემსას, შენსას, სხვისას, ასეთი აზრი მეგბადება: ცხოვრება წინ გვიდგამს მრავალნაირი საკვებით სავსე სუფრას. ჩვენ ამ სუფრას ეუსხედეართ და, გვინდა თუ არ გვინდა, რაც უნდა მწარე ლუკმა შეგვეხდეს, მაინც უნდა ავიღოთ და ვიგემოთ. მე პირადად ასე ვარ — რაც ცხოვრებამ შემომთავაზა, უველაფერი ვიგემე, არაფერი ჩემი წილი არ დამიყლია. მაინც ვცოცხლობ, ვიჩიჩნებ, ვარხებიმ, ვმუშაობ, როგორც შემიძლია. თქვენც ასე ბართ, მოსახვლელი მაინც მოვა. — მოსახდენი მოხდება. ეს მტკაცედ მწამს. ღმერთს ვემდურები ზ ზრაფა — მომეცი ასეთი ბედი-მეთქი, მაგრამ ჩემს სამდურავს ღმერთიც და ბუნებაც გულგრილად ეკიდება.

— რა არის, ვაუო, სულ ასეთი გამხდარი უნდა იყო? — მეუბნება ერთხელ ძია ჭრელა— ცოტა ხორცი მოიკარი, ფერფლნაზე მოდი.

— რა ვიცი, სულ ასეთი არა ვარ? სიმართლე რომ ვთქვა, არც მინდა გასუქება. ასე უფრო ჯანმრთელად ვგრძნობ თავს. ასე მირჩევნია.

— მე კი ძალიან დავდნი. ძველი ეოფილა, კაცი რომ ხორცით დაიწყება დნობას და კლებას. აი, ჩემი მკლავები... ასე დაიწყო დნობა მთელმა სხეულმა.

— არც ისე ძალიან ხართ გამხდარი. — ვცდილობ მის გამხნევებას — როგორც გგონიათ.

— გამხდარი ვარ და კიდევაც გავდიდი. უნდა გავდიდე, დავდე. უნდა ბევრი ვიმუშაო, ვიმოძრაო. რად მინდა, ლეში და ხორცი ვიყო. მიხარია, რომ ვხდები. ხორცი ხომ მაინც მიწამ უნდა შეეამოს, ქვა-კაენშას და მიწას შეეჩიოს. ამაზრზენია ამის თქმა, მაგრამ ასეა და რა ვქნათ. სანამ ცოცხალი ვარ, იმდენს ვიმუშავებ, რომ რაც ხორცი შემრჩენია ძვლებზე, ისაც აქვე, საამბეოს დავადნო და ზავეთში ცარიელი ძვლებიღა მივუვიდე მამა-აპაათ. რად მინდა ხორცი გავიყოლო, რა მიტა ტვინ მადლობას? მიწისათვის ზ ეკიდო, რომ ან მოვიდ ფერო? ჭია-მატლისათვის, რომ გავაძღო? ეარა, საამბეოსე მოვიხმარ ჩემს ხორცს. რაც შეიძლება ცოტა ხორცი მიწას — ასეთია ჩემი ანდერძი ეკელასათვის.

საკვდილ-სიცოცხლეზე ბევრს ვსაუბრობ-

დით. დამამახსოვრდა მისი ერთი ნათქვამი სიკვდილზე:

— ეს ოხერი სიკვდილი კაცთაგან ხელშეუქცეველი და ხელშეუბარუნებელი მტერია. ხელს ვერ შეუბრუნებენ, არც არავის შეუბრუნებია ხელი მისთვის. ვერ შეებრძოლები, ხმლით ვერას დაკალებ, ფარს ვერ შეუფარებ, ტყვიას ვერ ეცხრი, ვერსად გიეცლები. სიბრალული არ იცის, ყველა ერთია მისთვის. ხვეწნას არავისას შეისმენს. სიკვდილთან გამარჯვებული კაცი არ მინახავს ჯერ. სიკვდილის სიკვდილს ჯერ არავინ შეხვრებია.

მე ვეღარფერს გავხდი მასთან. მთელი ოჯახი გამიწყვიტა....

* * *

ერთხელ საუბარი ჩამოვარდა ცნობილ ხალხურ ლექსზე „მედ ყივრად შავიყარენით". ძია პრელამ მითხრა:

— ამ ლექსს ვმღეროდით ფშაური სიმღერის დროს, უფრო ხშირად კი ფერხისას რომ დავიბამდით, მაშინ, ხატობა-დღეობებში.

მე მაშინ წაკითხული მქონდა გიორგი შატბერაშვილის წერილი ამ ლექსის სადაურობის შესახებ, სადაც ნაწერალი ამტკიცებს, რომ ლექსი ქართლის ბარშია შექმნილი და აქ მოხსენებული ლაშარის ჯვარი ხელოვნურადაა შემოტანილი. ამის შესახებ პრელასთვის არაფერი მითქვამს, მხოლოდ შევეკითხე: ეს ლექსი ფშაველი კაცის ნათქვამია, თუ ბარელისა?

მან მიპასუხა:

— ფშაველის ნათქვამია. ასე რომ არ იყოს, უცხო ლექსს ფშაურ ხატობებში ფერხისას სიმღერის დროს არ იმღერებდნენ. ამას გარდა, ლექსში ნათქვამია: ცოლი მიმყავდა ცოლისმძმასსა. ასე მხოლოდ ფშაველები ამბობენ. ბარელი ქართველი ცოლის ძმებს მოყვრებს უწოდებს.

ასე თავისებურად ახსნა მან ამ ლექსის სადაურობა.

პრელამ მიამბო ჰაეგჰავეძეებისა და ფშაველების ბრძოლის შესახებაც:

ჰაეგჰავეძეებს და ფშაველებს ბრძოლა ჰქონიათ ადგილების გამო ფშავში, კერძოდ ფუძნარში.

ამ ბრძოლაში თავი უსახელებია ჩემ დიდ პაპას ლოსეურა უძილაურს. მას დაუჭრია ხმლით ჰაეგჰავეძე. ამაზეა ნათქვამი ფშაური ლექსი:

ბრალია შენი სიკვდილი
ფუძნარში, ჰაეგჰავეძო,
თავში გგრილს სამი ნახმლევი,
ზედ ერბო-კვეიცი გაძეო,
ადვილად ალარ მორჩები,
ლოსეურათ ნაგდეო.

ლოსეურას შთამომავლობა ახლა ლოსეურაშვილებად იწერება და ჩვენს ბიძაშვილებად ითვლებიან.

მე ვუამბე პრელას მწერლის და [illegible] ლევან ახალიანის წერილის შესახებ, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით ჰაეგჰავეძეების გვარის შთამომავლობა ბარში მოსულია ფშავის მხრიდან. ამან პრელა ძალიან დაინტერესა და მთხოვა მომეტანა ეს წიგნი. თხოვნა შევუსრულე, რისთვისაც მეტად კმაყოფილი დარჩა.

პრელა 88 წლისა იყო, როდესაც სახლში ვეხეტუმრე ზაფხულში. შინ მარტო იყო. ჩემი მოსვლა ძალიან გაუხარდა, ბევრი ვისაუბრეთ. მაშინ მან გადმომცა რამდენიმე ლექსი წინა დღეებში დაწერილი. ამ ლექსებიდან ჩანს, თუ რაზე ფიქრობდა, რას განიცდიდა ძია პრელა ამ პერიოდში. მოვიყვანთ რამდენიმე ნაწყვეტს:

დამბადა წუთისოფელმა,
ამბარდა, ამაყვირო,
ქარის ცისგან ამიგო,
ბევრი რამ შამაპირო,
რაც მამცა, ისეე წამართვა,
ცრემლადაც ამატირო,
პატარა გული, ტანჯული,
ექვსჯერ კი გამიგმირო,
ბოლოს სულ თანაც წაიღო,
ცრემლიოა აქვითირო,
ჩემი შრომა და წვალება,
სუფაკელა დაიქირო,
ესეთა ყოფნა — სიცოცხლემ
საქმე

ეს ოხერ წუთისოფელი
ძნელა მწვავს, მაგრა მედება,
ის მეწყინება ღილითა,
ნაწოლს რო გამითიდება.

ბოლო ორი სტრიქონის აზრი ასეთია: დაბერდა, დაუძლურდა, ველარა დგება ღილით ლოგინიდან, ხან ავადაა, ძალაც ალარა აქვს და ხურვილი, ხალისი აღგომისა, წინათ გათენებას რომ არ უცდიდა და ადრე დგებოდა, ახლა კი მწოლარეს უთენდება ეს სწყინს და უკლავს გულს.

— რას იზამს კაცი. სიბერე როსტომს მორეკილია და ჩვენ ვინა ვართ.

— ჩემი ამ ქვეუნად ალარავინაა დარჩენილი, ვარ უთვისტომო, მარტოდმარტო — დეიდაშვილი არა მყავს, მამიდაშვილი არა მყავს, არც ფინუოლები და ძმისწულები, არც ბიძაშვილები და დედი ძმისშვილები... სიმწარე ვარ და სხვა არაფერი.

ჩემი არც ხისა, არც ქვისა, არც კაცისა — არაფერი არ არის ამ ქვეყანაზე.

თვალებმა დამაკლეს, ველარა ვხედავ. ან კი რადღა მინდა რომ ვხედავდე — ჩემი წილი ყველაფერი ვნახე: მიწა, ზზე და მთვარე, დარდი და მწუხარება, სიხარული... აკ რა ზვილები და ზვილიშვილები მყავს სანახავი.

ყურთაც დამაკლეს, მაგრამ ბევრს არას ვდარდობ. რა დამრჩა მოსასმენი, რაღა უნდა გავიგონო. დაზრდილი და დავაკაცებული ჩემი ვაჟების ხმა, ჩემი მეუღლის ქვითინი, ქვეყნის მხიარულება?

მუხლებმაც მიმტყუნეს, ფქვა და ტკივილი დამიწყეს, დაბეიუძლურდნენ. რაღას ვიზამ: მათაც ბევრი მატარეს, მემსახურნენ, ზიდეს ჩემი სხეული და სული.

ალარც ხელებში მაქვს ძალა, ან რაღა დამრჩა გასაკეთებელი, რაღა გავაკეთო ამ ხელებით? გლოვის ლექსები ვწერო? ამგვარი ლექსები:

სალმის თქმადაც ვეჯავრები,
ვინც მე ხელით გაეზარდეო,
ნეტავი ხალს ვხსომებიაყავ
წელს მამკვდარი სხვა წლამდეო,
ჩემი სიტკვაც ყოფილიყო,
სანამ არი ცა და ზზეო,
რაღა კი ალარ კაცის ყოფნა,
თუ არა ყავს ძესა ძეო,
არც ღმერთსა აქვ სამართალი,
სწორად ვამბობ ამას ზეო.

ჩემი სიცოცხლის ყოველი დღე, ჩემს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი მაახლოებდა მრავალ სატანჯველთან, სიკვდილთან, დარდთან, როდის მოვრჩები დასასრულისაკენ მიმავალ გზაზე ხეტიალს. საკმაო ხანი ვიცოცხლე. ახლა დასახლოს ვნახავ როგორია. იქნებ შევალო მისი დანახვა, თუ ვერ ვნახავ, ხომ ვიგრძნობ მაინც მის დასაწყისს. არ მეშინია? ვშიშობ. —

84 წლის ჭრელა უძილაურს ვესტუმრე შინ. შეწუხებული იყო მარტოობით. იხვე სიკვდილსიცოცხლეზე ჩამოვაყენა საუბარი:

— ვარ მარტო მოზუცებულობის დროს, სულ ფიქრი და ფიქრი დღეცა და ღამეც. რატომ უნდა ვიყო მარტო, რად დამსაჯა ბუნებამ ასე, რომ ალარავინ შემარჩინა, კაცის ნახვას და ხმის გაცემას დანატრებული ვარ. ამა რა კარგი ფიქრი უნდა მიტრიალებდეს გონებაში. ეს ლექსი გამოვიქვი ამ ზაფხულს:

ალარც სიკვდილი მოვიდა,
თავისი ბასრი ცელითა,
სანამდე ცოლ-შვილი მყავდა,
არ გამოსულა ჩემითა.
სულ ერთ გორაზე ასვენაე
ხუთ შვილი თავის დედითა.

1979 წლის გაზაფხულზე ჭრელა მაღაროსკარში ვნახე:

— ჩემო გოგო, აი, კიდევ მოვედი, კიდევ შეეხვედი გაზაფხულს ფშავში; მიხარია თოხმოცდამეხუთეჯერ უნდა მოვძოვო დაბერებულმა ხარმა გაზაფხულის ბალახი. მთელი ზამთარი დუშეთში გავატარე. გულმა ველარ გაძლო, ჩემს ფშავს მოვაშურე. აქ უნდა შეეხვედე გაზაფხულს — ყვავილთა ამოსვლას, ფოთოლთა გამოშლას. ველარ ვიძინებდი, ველარ ვისვენებდი, მეძახდა ფშავი, არაგვის ხეობა, მთა-კალდინი. ძახილი მესმოდა ძილშიც, ღვიძილშიც და წამოვედი.

— მიხარია, რომ კარგადა ხარ, მზნედ გამოიყურებით, ამ გაზაფხულს და ზაფხულს ხშირად ვიქნებით ერთად, სტუმრებსაც შეეხვედებით. კინოში უნდათ თქვენი გადაღება. ბევრი სმენითი თქვენზე და დაინტერესებული არიან ძალიან. ორკერ იყვნენ და გეძებეთ, ვერ ვნახეთ. თქვენისთანა მთიელი მოზუცების გადაღება უნდათ. აუცილებლად მოვალენ ამ გაზაფხულზე.

— თუ ახე ძალიან უნდათ, უარს როგორ გეტყვი. მეც მინდა ჩემთან იყოთ, მეხალუბროთ, ხმა გამცეთ და ამაძარცხოთ; მარტო ყოფნა ხომ იცი, როგორ მეჭირვება.

— ძია ჭრელი, რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისში ხალხური პოეზიის სალამო უნდა მოაწყონ ვახუშტი კოტეტიშვილმა და ალეკსი პინჭარაულმა. ვიცი, არ დაგვზარდები და შენი ლექსებით გამოხვალ.

— თუკი რამეში გამოგადგებიან, არ დაგზარდებით. თუ ვინმე ჩემს ლექსებს მოისმენს, რატომ არ გამოვალ. ნეტავი „ჯვარი წინანა“ — საკრძალული სიმღერა რომ იცოდნენ ფშავში, ის აღგვადგენინა და მოვასმენინებდით თბილისე-

ლებს. მოეწონებოდათ ალბათ. მე თვითონ ვითავებდი ამ საქმეს, როგორ ფიქრობ, არ იქნებოდა კარგი?

მაგრამ სიკვდილმა აღარ დაიცალა საღამოზე დასწრება.

სიკვდილის წინა დღეებში ამბობდა:

— გულით ვამბობ, ხუმრობით ნათქვამად არ ჩამითვალოთ: ეხლა ჩემთვის სიკვდილი კორწილივით არის. თქვენც ასე მიიღეთ. ჩემს საგლოვად კი არა, სამხიარულოდ მოდით ჩემი გასვენების დროს. მოხუცი კაცის სიკვდილი უველამ ასე უნდა მიიღოს. ჩემი ხნის კაცს დიდი გლოვა და ტირილი არ უხდება. ანკი ვინა მყავს დამტირებელი.

— ასე ფიქრობთ, ძია ჭრელა?

— ასე ვფიქრობ.

— კაცი რომ მოკვდება, დამტირებლები მაინც გამოჩნდებიან.

— ასეა... ისე კი, ჩემი ნება რომ იყოს, გაზაფხულზე ან შემოდგომაზე მოკვდებოდი. გაზაფხულის წვიმიან დღეებს ჩემზე კვითინად მივითვლიდი, შემოდგომის დღეების ფოთოლცვენასაც ჩემს დატირებად ჩავთვლიდი.

ამის შემდეგ ვეღარაფერი ვკითხე და ვეღარც საუბარს მოვაბი თავი.

სიკვდილის წინ ჭრელა ავად გახდა, ასთმა აწუხებდა. მაღაროსკარში იწვა თავის ახლო ნათესავთან — სანათა თანდილაშვილთან. ახლობლებმა მოვინახულეთ:

— რა დაგემართათ, ძია ჭრელა, გუშინ კარგ ხასიათზე იყავით, დღეს კი ლოგინში ჩაწოლილხართ.

— რა ვიცი, ვაუებო. გაზაფხული შარიანია, უგუნებოდ გავხდი.

მაინც კარგ ხასიათზე იყო, იცინოდა, ხუმრობდა, თავის თავგადასავალს იხსენებდა, ნათქვამ ლექსებს და ბოლოს თქვა:

— კაცო, რა მოუვიდა იმ მიქელ გაბრიელს, რომ აღარ მოდის, ხომ არ დავიკარგეო, ტაკტ ხალი რომ ვარ.

მაგრამ სიკვდილი ძალიან ახლოს იყო, ჩვენ ვერ ვხედავდით მხოლოდ.

ვერც მეორე დღეს ადგა. ჩვენ შევშფოთდით, დუშეთში დავაპირეთ მისი წაყვანა. არ უნდოდა წასვლა. სანათას ეუბნებოდა:

— ჩემო ქალო, დუშეთში ნუ წამიიყვანთ, არა მწადიან. მალე მოვრჩები აქ, ფშავში. შენს სახლში მომიწყეს პატარა კუთხე. შენ კარგად მომივლი და მალე გამოვკეთდები. არც დაგაღონებთ, არც შეგაწუხებთ.

— ოღონდ შენ გახდი კარგად. სულ შენრ არაა ეს სახლი. ოღონდაც გამგაგრდი. ავადობამ არ დაგრიოს ხელი.

— გავმაგრდები, ჩემო ქალო, გავმაგრდები.

ჭრელა მაინც წაიყვანა დუშეთში მისმა ერთადერთმა შვილმა გიგამ, როდესაც ის კიდევ უფრო ცუდად გახდა, შვილი ექიმების მოსაყვანად გაეგზავნა. ჭრელამ მაშინ უთხრა:

— არ წახვიდე, მე ვერავინ მიშველის. ისინი აღარ არიან ჩემთვის საჭირონი. შენ იყავი ჩემთან. სიკვდილის წინ მინდა შენ გიყურო— ჩემს სისხლსა და ხორცს, რომელიც სიკვდილს გადაურჩი. ასე კარგია, სიკვდილს დამშვიდებული შევხვდები!..

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ჭრელა უძილაურო, სიბრძნის დამშრალო და შეწუვეტილო წყაროვ, სათნოების ჩასულო მზევ. ფშაველ მოხუცთა სიცოცხლის ბიდან მოწყვეტილო ფოთლით, ფშავის თვალებიდან დავარდნილო ცრემლო, უშენოდ ულამაზოა, შენი წასვლით გაფერმკრთალდა ფშავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ფანქარი

ჟაკ პრევერი

ერთ მშვენიერ დღეს

იყო მარტოკა, არაფრის, არვის
არ შინებია. როგორც ფერიამ
ერთ დღეს ვიღაცამ მოუხმო მალვით,
თავისთავს უთხრა — არაფერია.

მართალიც იყო, ბოლოს და ბოლოს,
თავის სიმართლით გულს მოერია,
რადგან კარებთან იჭვია მხოლოდ,
და იჭვის მეტი არაფერია.

ერთ მშვენიერ დღეს, მშვენიერ
დილას
უეცრად უცხო ხმამ დაუძახა,
ნაცნობი კარი გააღო ფრთხილად,
ისევ დახურა, ვერავინ ნახა.

მართალიც იყო, ბოლოს და ბოლოს,
თავის სიმართლით გულს მოერია,
რადგან კარებთან იჭვია მხოლოდ,
და იჭვის გარდა არაფერია.

მარტოობის წინ როს მარტო დადგა,
შეშინდა, მწარედ ეცვალა ფერი,
რადგანაც იგრძნო, მიხურულ
კართან
იდგა არავინ და არაფერი.

კოლ ელუარი

●

ვით სინათლისკენ, მოვდიოდი მე შენსკენ მშვიდად,
მდუმარებაში განსხეულდა ჩემი არსება
და ნატვრა ჩემი მოფარფატე იალქნებს შლიდა.
სიზმრის ნაკადად რუდუნებდა ღამე და თბილად
ნდობის ნაღვერდალს უნახავდა ოცნება დილას.
შენი მკლავები ცისარტყელად აენთნენ ლამის,
ტუჩები შენი სველი იყო პირველი ნამით.
ჩემს დაღლილობას ჩუმად სცვლიდა სიმშვიდე მრეში
და მე მიყვარდა,
ვით პირველად ჩემს სიცოცხლეში.

თარგმნა მანანა გოგოლაშვილმა

ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲧᲐᲠᲝ

რა თქმა უნდა, ის კვლავ არ არის... კვლავ გადაღებები. ახლე ველოდით.

უბრალოდ შევიდით მის სამუშაო ოთახში. ფოტოები... კინოფილმებიდან, ცხოვრებიდან; ფოტოპორტრეტი, ავტოპორტრეტიც... წარმოსადეგი ახალგაზრდა.

დოკუმენტური კინო, ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული დარგი კინოხელოვნებაში. რეჟისორ-დოკუმენტალისტს, რრგორც კრავის სწვავს, ისე ესაჭირობა მაგვილგანიერება, დროის შეკრნების ალღო, ფაქტურ დაკვერის უნარი.

ყველაფერს ამას ვახტანგ მიქელაძე მშვენივრად ფლობს. სწორედ ამიტომაც მისი ფილმები შეიძლება გაგებულად შეფასდეს, როგორც თანამედროვეობის აქტუალური საკითხების ფიქსატორი.

დოკუმენტურ კინომდე მოსვლა კი იოლი რადია. მის საკურსო ნამუშევარს „გზის მშენებლები" ერქვა, როცა მომავალი რეჟისორი მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სწავლობდა. ამ ფილმმა ხომ მაშინათვე საერო სიმპათიები დამისახურა. ამას მოსდევს მისი შემდგომდროინდელი ფილმები: „თანამემამულეები გაბაირა რიდლოიეთში", „საკრთველო, ლეგენდები და თქმულებები" (რომელიც გასათანთან თანაავტორობით იქნა გადაღებული), პროფესიონალურ დონეზე შექმნილი კორტეტის გამოკვეთის თვისებური სტილით, რეჟისორული ხელწერით გამორჩეული „მკვლელია" და „პურის მცველის" პორტრეტები, ხარატული ფილმები — „ბაკურიანი-74" და „ქართული ფინალი".

როდესაც რეჟისორის პროფესიონალურ დონეზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი, სრულმეტრაჟიანი ფილმი „ბაბი". ეს პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, ბიოგალამურის მაგისტრალის, საუკუნის მაგისტრალის ფილმია. მამაცი მშენებლების შესახებ. მასში შუქდება „ბამის" მშენებლობის სცენები, მისი სიძნელეები; ის სიძნელეები კი, რასაც ფილმის გადაღების, ფილმზე მუშაობის სიძნელეები ჰქვია, კადრებს მიღმა რჩება. ბათუმის მეორე რესპუბლიკურ კინოფესტივალზე ფილმს პრიზი მიენიჭა.

უკანასკნელ თავის ნამუშევრებში — სრულმეტრაჟიან ფილმებში — „წინ კომუნისტები" და „კომკავშირი", ვახტანგ მიქელაძემ, ისე, როგორც ჯერ არასდროს მანამდე, შესძლო მთელი თავისი შემოქმედებითი უნარისა და პროფესიონალური შესაძლებლობების კონცენტრაცია. ორ საათიან საეკრანო მოთხრობაში ჩვენი პარტიისა და კომკავშირის შესახებ, რეჟისორმა მოახერხა ეს ყველაფერი გადმოეცა იმდენად ემოციურად, ნათლად, მხატვრულად რომ საეკრანო ეკვივალენტი არსებითად კიდევ უფრო გაიზარდა. ფილმში რეჟისორს უუფრადღებოდ არ დარჩენია ისეთი ღირსშესანიშნავი ეტაპები, როგორიც მაგალითად კომკავშირული მოძრაობის დაკვეყცებაა.

საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია, რომელიც რეჟისორს გადაეცა ფილმებისათვის — „წინ კომუნისტები" და „კომკავშირი", ანარეკლია მისი შემოქმედებითი კონცეფციებისა. იგი იქცა გამოხატულებად იმ დიდი მოწონებისა, რაც დაიმსახურა ზემოაღნიშნულმა ფილმებმა სამეგობრო მაყურებლის წინაშე.

ვიკვირდებით რა რეჟისორის სამყაროს, ვატრიალებთ რა ობიექტივს, სხვადასხვა კუთხით წარმოჩინდება ვახტანგ მიქელაძე, როგორც თვითმყოფადი რეჟისორი.

ციური ხეთერელი

გზაადაგზა

ერთ-ერთ ინტერვიუში, — როგორი გაუხარ-ვიებია მწერლობაზე თქვენს მაშინდელ და ახლანდელ შეხედულებას შორის, — სერგო კლდიაშვილი აცხადებს:

— ძალიან დიდი. მწერლობა მწერლობისათ-ვის — ჭაბუკობაში ასეთი განყენებული შეხე-დულება მქონდა. მერმე კი... დიდი ხანია მწერ-ლობა იმ საშუალებად მიმაჩნია, რომლითაც ხალხს უნდა ემსახურო. მაგრამ შეუძლებელია ამ სიტყვებში მხოლოდ მისი მდიდარი ლიტე-რატურული მემკვიდრეობის მკაცრი მსაჯული დავინახოთ და აქვე მწერლის ადრინდელი შე-მოქმედების ფურცელი არ გავიხსენოთ, რომლებ-შიც მკაფიოდ გამოკრთის ადამიანისადმი, სიცო-ცხლისადმი, მშობელი ქვეყნისადმი ავტორის უსაზღვრო სიყვარული, მათდამი ფაქიზი, უაღ-რესად მგრძნობიარე დამოკიდებულება. კითხ-ველის ამგვარი განწყობილების მყარ საფუძ-ველს იძლევა მინიატურები: „ქალი“, „პირველი სიტყვა“, „დაბრუნება“, „ტკვრნა გზაჯვა-რედინზე“ და სხვა.

„შენი თასიდან ვსვი მე ჭეშმარიტი სიცოცხ-ლის წყენი... ვეზიარე და მივიღე ჩემს სულში შენი ლხინი და მწუხარეა, ვეზიარე შენს ლაღ მთა-გორაკებს, ამღვრეულ მზეს, ვეზიარე, მივი-ღე და მივიჩნიე“ — კითხულობთ მინიატურა-ში „პირველი სიტყვა“[1].

წარუხოცელია სოფლის მშიერებით ავსებუ-ული სურათების ფერადოვნება ერთ-ერთ ადრინ-დელ მინიატურაში „დაბრუნება“[2], რომელიც მან თავის უახლოეს მეგობარს ხანდრო ციბეკეი-ძეს მიუძღვნა:

„დახტოვა ქალაქი... ხალისით შეუდგა ჯერ ბალებს, მერე აღმართებს... გადაღმა წუნარი სოფელია, დაჩრდილული ორღობეები, გრძელ წვერა მეზობლები.

ბარი დაეტაკა ბარს. ორივეს კუნთები ღონიე-რია, თვალები ცეცხლიანი. ხანჯლებივით აილესა რქები ერთმანეთზე. ჰაერს შეერია მტვერი. გა-ხელებული მზე ქაფად გადაიღვარა ორ მხეკან-ტანში. მორჩენ ბუღრაობას და მძიმეჭ ნახიჯებით გაუდგნენ გზას. ამძიმებდათ ხორცის სიმრავლე და სიმშურვალე ბარძაყებზე...

ახ, ეს სოფელი სულ არ შეცვლილა! მხოლოდ გამრავლებულა ეზოები და დავიკაცებულა საკვიროკ ლედვები.

მახსინძელი იხდიდა ბოდიშს ლარიბი ვახშმის-თვის. სუფრაზე ეყარა ცხელი ჭადები, ხაინები პირამდე სავსე მხუკანი საციკვი. აქვს ღვინო. მახსინძელს უხაროდა, მისი მწვავებით დაწურე-ლია, და ხელადები არ ცარიელდებოდა. ფარვა-ნები ეხვევიდნენ სანთელს და ცვიოდენ წვეწი. ანავანს ეცემოდა ცვარი, მაგრამ ღვინოს შეკონ-და სითბო ტანში. ყველა შეიქნა ძვირფასი და საყვარელი: ბაკონილი ტუჩები ლოცნად ერთ-მანეთს“...

ყველაზე ადრე დახტოვა გალავანი და ჩქარი ნაბიჯებით დაეშვა ორღობეებში. გაიარა წიხ-

[1] გაზ. „თემი“, № 89, 1912.

[2] „მეოცნებე ნიამორები“, № 8, 1922.

ვილები და გაყვა მდინარის ნაპირებს. მებადურები იქერდენ კალმახებს. დაჯუბებულ კალაპოტთან შეგრძოვილიყვნენ ბავშვები. ტანისამოსი დაეგდოთ ქვებზე. იხეტიალნენ ხილაში და ყვავილით შეეფერებოდნენ წყალში. მზეზე ბრწყინავდა ბავშვების ხალიფლების ტანი. ეიეფინთ მორეკეს ცხენები. დაუშალეს ეკდენი და ჭენებით ჩარეკეს მდინარეში. ჩქარობდნენ ცხენები ბინაზილას და ფრუტუნით ერეკებოდნენ წყალს ნეტეტებიდან". ამ პატარა მინიატურის ნაწყვეტებიდან ნათლად ჩანს, რომ გრძნობათა სიწრფელეთ და აზრის სიცხოველეს, ღრმა ემოციურობა, ბალასი ნიჭიერება და ძალდაუტანებლობა, ფრაზის მოკნილობა იმთავითვე ეტყვიან სერგო კლდიაშვილის წერის მანერის უძვირფასეს თვისებებად. ადამიანური ბედებითა და ფიქრებით შეკმნილი მის პირველსავე კმნილებებს უკვე აქვს უფფლება მწერლური სიტყვა ეწოდოს, რადგან იმ პირველსავე სტროკონებს კარგად ძალუძთ აშკვეფნიერი პირველკმნილი სიწმინდე და მხატვრული სიტყვის ძერწვის სინატიფე, რაიდენადაც სულის ლტოლვანი დაგვანახოს და ეკვ. გრძნობინოს:

„ჭერ არ გადმოგბიჯებს შენი ქოშები ჩემ ეკვ. კარს, მოწნულს თმილის ნწნელიდან, მაყარის მხრებზე არ მოიხეკვის სეფე ქალი სამამხარიოლო წოფილ ამბრშუმს, მაგრამ ყოველთვის ბარ რემ საათებში და არ არის დრო უშენოთ.

დღეების გარდაცვლა მიაძლოვებს შენს მოსვლას.

შენ შემოხვალ როგორც დიდი სიხარული. ნაწლიჩების სიჩუმე ალერსით დაენდება ძეერგასი ქალბატონის ნაბიჯებს და ყველი სიხარული და მოწყენა გადმოიბიჯებს მზოლოდ შენთან. იქნება საათები, რიცა ხარვეული გახდები მზოლოდ შენ და შენი თმების ხურნელებაში დამოვრდეს დამეზარება დატოვება აშლილ ნაწნავებში დასიზმრებულ სამყაროების".

სერგო კლდიაშვილის მეტყველების სტილი უალრესად პოეტური, ეს ითქმის განსაკუთრებით მის უბრწყინვალეს მინიატურებზე, რომელთა კითხვისას არ შეიძლება არ გაგახსენდეს ტიციან ტაბიძის ნათქვამი სანდრო ცირეკიძის შესახებ: „სანდრო ცირეკიძე თანაბრად ეკუთვნის პოეზიას და პროზასაც"[4], ხოლო ეს აზრი ლიგიკურად განასახოვნებს იმ საშუალებებს, რომლებსაც თავად მწერალი ხალხის სამსახურს უწოდებს.

და განა ვის ეპარება ოდნავად ეჭვი იმ ჭეშმარიტებაში, რომ ჭვეყნის, ხალხის სამსახური ნაყვარები მწერლობის, ერის კულტურის ალიარინებისათვის ზრუნვა იყო ციხეეკუანწყლეთ მოკმედების, სიცოცხლის უპირველესი მიზანი.

ამ მოკლე ხანში, — წერს გაზეთი „ოქროს საოლი იაშვილი, — ვაპირებთ ეურნალის გამოცემას... ეურნალი ემსახურება ჩვენს ლიტერატურას, კრიტიკას და ახვა წმინდა ენციკლოპედიურ დარგებს... ცხადია, ამ სიტყვებში, პოეტის ამ გულწრფელად განაცხადზეა მზოლეი. ხალხისადმი მათი უანგარო სიყვარული უნდა დავინახოთ. თვით ისეთ მოღვაწეთა მიწვევა ეურნალში („ოქროს ვერძი" — ც. ხ.), როგორებიც იყვნენ კაჟა ფშაველი, კიტა ანაბიძე, ზალვა დადიანი, კოტე მაყაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვახილ ბარნოვი... ნათლად მოწმობს ციხეეკუანწყლეთის მიერ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ხასელოვანი ტრადიციების მიღებას და. დადასებას.

რაოდენ ნაშზეეფლია ამ მხრივ ტიციან ტაბიძის სიტყვები დიდი ქართველი პროზაიკოსის და მამულიშვილის დავით კლდიაშვილის მიმართ:

„დავით კლდიაშვილს არ ახასიათებს სასოწარკვეთილება და პესიმიზმი. მან იგრძნო ამომავალი კლასის გამარჯვების ნიშნები და ამიტომ ამ გამარჯნიცა და განადგურების ფონზე ესალმება ახალ ცხოვრებას. ეს არის სწორედ მეზეზი, რომ დავით კლდიაშვილი მშრომელმა ქართველმა ხალხმა მიიღო როგორც თავისი მწერალი და კომისარია საბჭოს დადგენილებით პირველს ზან მიეკუთვნა საკრთველოს ხალალხი მწერლის სახელწოდება[5].

ხოლო თვით მწერალი შემოკმედისათვის ძრავალ ხაზურ ღირსებათა შორის გამოარჩევს — „ხანიერშოა მისი (დავით კლდიაშვილის — ც. ხ.) დიალოგი, თხრობის ეკონომია, მახვილი თვალი, ეულწრფელობა, და, რაც მთავარია, ადამიანის სიყვარული... აი, ამას ვხედავთ და დღეხაც ვხედავთ დავითისაგან[6]" — აღნიშნავს იგი ერთგან. ამ ღირსებებთანაა ზეიარებული სერგო კლდიაშვილის მადლიანი კალამიც. მისი მწერლური კეთილშობა. ეს ფენომენი აძლევს მას ხაშეალებას მზოლოდ რამდენიმე ანზაცით მეათეულის თვალწინ გამოაცაროს ადამიანის მთელი ცხოვრება და სამუდამოდ დაანახოთროს იგი:

„დედამ გოგონას ანიკა დიდი ბნიდან ეკიდა. ში შეესალი თავის. მზიანი ბავშვობის ხასიათვარი, ოკრობთნიანი, ციხეერთგულება.. ნოდელ ტარსაკლინის ქალიშვილიან დედოფალა. ბავშვი დედოფალას არ ეშორებედა ეხალთუოებდა. ეკალიანა ატატებელი დაჰქონდა. ფამით კი ინეფებდა გულში ან ისე ინანებდა.

გოგონა ბეიზარდა. დედოფალა ალარ ახოთრა ფა. მაშინ ის ეკრანდაში შედგა და შეიანა, რა. გორც თავისი მზიანი ბავშვობის ხასხოვარი.

[3] „მეოცნებე ნიამორები", წიგნი მეეხუთე, 1921.

[4] გაზ. „ეპოეზიის დღე", № 1, 1922.

[5] № 11«, 1913.

[6] ტიციან ტაბიძე, თხზ. ტ. 2, გვ. 86.

წლები გავიდნენ. გოგარა დაკვლდა. შეიცნო სიყვარული, განიცადა ტანჯვა, მაზდოლების ხიცდელი და მრავალჯერ კარიშხალმა გადაიარა მის თავზე. როცა თვითონაც დედ გახდა, ძველ-მანუს შორის კარადაში შენახული დედოფალი გამოიღო და შვილს ეჩუკა.

ამ გოგონამაც გულში ჩაიკრა ოკროსთმიანი, ცისფერთვალება, წითელ ტარსიკონის კოშტიანი ნი დედოფალ. შეხარდა, უალრესად, არ ეშორებდა, ბოლო, როცა გაიზარდა, კარადაში შედო და შეინახა, როგორც თავისი მზიანი ბავშ-ვობის სახსოვარი" („დედოფალ").

მაგრამ, მაინც, სერგო კლდიაშვილის სამწერ-ლო შემოქმედების ამ დედ ღირსებათა შორის განსაკუთრებულია ის ღრმა პოეტური განცდები, რომლითაც იგი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. უშინაურესად ეს უკმნის სწორედ მას ხაუკეთესო შესაძლებლობას ღრმად ჩაგაბე-დოს ადამიანის სულში, გადმოსცეს მისი ხულეკ-ერი განწყობილება, ღელვანი, ფიქრები, მოგვითხ-როს რა მშვენერია სამყარო თავისი მრავალფერ-ოვანებით და მრავალგვარობით, რა ბრძენია ეგ ადამიანი ეს ბედ-ბედ-ბედ-

ბი, ყოველი ხე და ბუჩქიც სიხარულის ბმას გამოსცემდა. მღერიდა ბზეც, რომელიც ოყრიდა ჯადმოდგრილიყო ამ მადლიან მიწაზე, არა, არა. სოდეს არ დახცხრება ჩემი ქვეყნის ბზე, ჩემი ქვეყნის ხალიჩაი".

ამ რწმენით სუნთქავენ მისი უკეთესი ქმნილებების პერსონაჟებიც, რომელნიც თანამედროვეობის ღრმა განცდით ცხოვრობენ და ყოველგვარი სიყეთისა და დოვლათის შემწმას უფლებინან თავიანთ სიცოცხლეს.

სერგო კლდიაშვილი გარემოსთან იშვიათი მჯერწმინაერე სიმეგობთაა დაკავშირებული. ეს არის ხაწინდარიც ინ სოცარი ფაკტისა, რომ თვით ჯერ მისთვის უხილავი სამყაროო ხალელოდაც წარმოისახოს მწერალმა, ამას მოწმობს მისი ხიტყვები „სვანური მოთხრობების" შესახებ:

„ჩემი სოფლიდან, სიმონეთიდან, სვანეთის მთების რამდენნაირ თეთრი მწვერვალი მოჩანს. ბავშვობაში გაბაკეცები ვეუფრებდი ბოლმე ბთ და ვოცნებობდი ახლოს მენახა. იმ მწვერვალების ძირში მისვლის შემთხვევა მხოლოდ 1932 წელს მომეცა. მანამდე კი, ერთი-ორი წლით ადრე, უკვე დაწერილი მქონდა რამდენიმე ნაწარმოები ციკლიდან „სვანური მოთხრობები". სახელდობრ: „ლაშბეთის ბატონი", „უშგული", „ხალდე", „ფუდ კოშკი", „წარმართი", „მურაზაანი".

მაგრამ ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სერგო კლდიაშვილი გამონაკლისი არ ყოფილიყო. თავის მეგობარ თანამოკალმეთა შორის. სწორედ, ეს ერთიერთ სულის თანაშიარა სწრაფვანი თუ ლტოლვანი, მისწრაფებანი, ზრაბვანი უფლებდა მყარ საფუძველს ცისფერყანწელთა ახეთ მეგობრ სიაწლოვეს. ამიტომ დღეს, როდესაც ერთი რომელიმე მთაგანის შესახებ ვსაუბრობთ, შეუძლებელია თვალწინ არ გვედგას ეს ბრწყინვალე თანავარსკვლავედი თავის უაღრესად საინტერესო მეფოთვარე სიცოცხლით, მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრებით, და შემთხვევით არ არის, რომ კიდევ უფრო საინტერესო და ძვირფასი ხდება სერგო კლდიაშვილის სახელი, როგორც მწერლის, მოკაკლაკის და პიროვნებისა, როდესაც იგი თავის ღრმად შინაარსიან ცხოვრების ეპიზოდებსა და საყვარელ ადამიანებზე გვესაუბრება, რადგან ამ საუბრებიდან ერთგვარად მისი პორტრეტიც წარმოჩნდება, პოეტური ბუნებით, ეკეთილშობილების, დიდ-ბუნებოვნების მკაფიო ნიშნებით აღბეჭდილი. როგორც ნათელშეტყველია ამ მხრივ თუნდაც ირაკლი ანდრონიკაშვილის მიმართვა მწერალთადმი:

„საყვარელო სერგო, ოყროკაცო, კვლავაც უწინდებურად გვიყვარხარ, ადფრთოვანებულთა ვართ თქვენით... თქვენზე ფფიერობთ და ამით საკუთარი თავისთვისაც სიკეთეს ვიმეთ, რადგან თქვენზე ფიერი ადამიანს აღამაღლებს".

შორიელ დღეთა მოგონებებს, რაზედაც ალი ხანტერეხოდ, მისთვის დამახასიათებელი ბრ მბეჭდაობით გვიამბობს სერგო კლდიაშვილი, პირობითად შეიძლება ასეთი კატეგორიებად მივუსადაგოთ: „ტიციანის პირველი ლექსი", „ლიტერატურული წრის ჩამოყალიბების ცდა", „ლიტერატურული ბრძოლები", სერგო კლდიაშვილი და ტიციან ტაბიძე მოსკოვში", „ახვე ქუთაისში", „ტიციანის პირველი სიყვარული", „ჩვენ და რუსები", „ანდერი ბელი თბილისში", „მაიაკოვსკი", „ასტეროიდი"... ამ მონათხრობებისან ძნელი არ არის გზადაგზა მიაკვე და თვალი გაადევნო მწერლის მღელვარე ცხოვრებას, ღრმად შეიგრძნო ის სიხარული და ტკივილები, მისი სულიერი სიცოცხლის რეა ათეული რიგ იტევს.

„მე ბალუმში ვსწავლობდი. 1909 წელს გადმოვედი ქუთაისში. ვსწავლობდი ქართულ გიმნაზიაში — იგორენს მწერალი — ტიციანი კლასიკურ (რუსულ-ს კ.) გიმნაზიაში სწავლობდა, მაგრამ ჩვენ შემთხვევით, უცაბედ დავუახლოვდით ერთმანეთს.

ტიციანი საუკეთესო მოსწავლე იყო გიმნაზიაში. ზნირად, როდესაც დიდი ადამიანების ცხოვრებას ეხებიან, რატომღაც ცდილობენ, რომ მათ უველაფერი დადებითი მიაწერონ, არა, მე ამბტომ არ ადგენშნავ ამას. ტიციანი ნამდვილად ბეკნი მოსწავლე იყო. ტუოუბა, მას ისე ჰკრთდა დრო განაწილებული, რომ კარგად უთავსებდა ერთმანეთს ლიტერატურულ საკმიანობას და სავალდებულო საგნების მოამზადებას.

ჩემმა ნაცნობობამ ტიციანთან ბეკრი რამ მოვცა. ტიციანის საშუალებით გავეცანი იმ წმერლებს, რომლებიც მანამდე არ გამეგონნა. განსაკუთრებით მახსოვს მისი გატაცება ვერლენით, ალერთად, ფრანგული პოეზიით. ის უფრო ღრმად სწვდებოდა იმათ პოეზიას და როგორც მასწავლებელი მიხსნიდა ახალ მიმდინარეობებს პოეზიაში.

ტიციანს ოთახში ბუბარი ჰქონდა. ჩვენ ზზრიად ბუბართან ვკაფიოსლლობთ ხოლმე. მე ძალაან მიყვარდა ეს ბუბარი და შემთხვევით არ ჩამრჩა იგი ხსოვნაში.

ქუთაისში ზზირად იმართებოდა საღამოები. მე დავსწრებივარ საღამოებს აკაკის, ვაჟას მონაწილეობით. მოსწავლეებს საღამოზე დასწრების უფლება არ ჰქონდა, ტიციანს მითუმეტეს, ეკრძალებოდა ქართულ თეატრში შესვლა, რადგან კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. ქართულ გიმნაზიაში კი არ იყო ამდენი სიმკაცრე. მე მოწმობა მქონდა და არ მშორდებოდა ნებართვა. ჩვენ მოვაბერხეთ და შევიპარეთ თეატრში, ვუყურეთ კოტე მაყაშვილისა და სანდრო ზაქნიაშვილის გამოსვლას. მაშინ უკვე დაბეჭდილი იყო სანდრო ზაქნიაშვილის ლექსების წიგნი „ხევდა

ბალი". ჩობაში გამოწყობილი ვხედავ ამ სალამოს ხანდრო. იგი მაშინ თვითონაც ახალგაზრდა იყო, მაგრამ მე, რამდენიმე წლით მასზე უმცროსს, ის უკვე მოწიფული კაცად მეჩვენებოდა და სახოგანი შეეკუთვნები.

ლიტერატურულ საღამოზე გიორგი ქუჩიშვილიც იყო მოწვეული — „განაგრძობს მწერალი,— ის ცნობილი იყო როგორც კარგი პოეტი და განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა დამსახურებული დემოკრატიულ წრეებში. ბინად იგი ტიციანთან იყო ჩამოსული, საღამოს წინადღით ჩამოვიდა ქუთაისში. მეორე დღეს ტიციანი გამზადებინა წასვლა. შინ გიორგი დარჩა მარტო. მას უნდოდა ლექსი დაეწერა, მაგრამ საწერ-კალამი ვერ უსაბამს ოთახში. როცა ტიციანი დაბრუნდა გიმნაზიიდან, მას ახეთი სურათი დახვდა, გიორგის ბუხრიდან ნახშირი გამოეღო და ქაღალდზე წერდა ლექსს. ტიციანს მოეწონა ეს ლექსი და სთხოვა პოეტს წაეკითხა იგი საღამოზე. გიორგიმ მართლაც წაიკითხა და დამსწრე საზოგადოებას წაკითხვამდე გამოუცხადა — „მე ახლა წაგიკითხავთ ტიტე ტაბიძის ოთახში ნახშირით დაწერილ ლექსსო".

ტიციანს, როგორც ვთქვი, 1909 წელს შეუხვედი ქუთაისში, როცა ბათუმიდან გადმოვედი. განსაკუთრებით დავუბოლოდით 1910-1912 წლებში.

ტიციანი მაშინ უმთავრესად მინიატურებს ბეჭდავდა, პროზაში მუშაობდა. ამ მინიატურებიდან რამდენიმე უძღვნა ერთ გიმნაზიელ გოგონას, ვინმე გოგუცა ქავთარაძეს. ახლა, როცა ამ ამბავს გიამბობ, მეცინება და აი, რატომ:

მე, ტიციანი და მისი მეუღლე, ნინა მაკაშვილი, რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდით. ჩაიარა ერთმა ძალიან ჩასუქებულმა, საოცრად ხანგაბაგანდარულმა და უგემოვნოდ ჩაცმულმა, ახე ორმოცეა-ორმოცდახუთი წლის ქალმა. ნინამ თავისებურად გაიცინა, ხმამაღლა და ტიციანს უთხრა: „აი, შენი მუზა მოდიხო". ეს ისე ხმამაღლა სთქვა და ისე გულიანად იცინოდა, რომ ტიციანს ეუცოდა კი მოუვიდა და სთხოვა ნინას გაჩუმებულიყო. მეც ვეღარ ვიკავებდი სიცილს და ნინას ავუბა ხმარი. მართლაც, რაღაც ხიბლი ცვლილება იყო ამ ქალში. ქუთაისში ჩვენ ის გვეჩვენებოდა საოცრად ნაზი და მომნიხიანი, ახლა კი ჩვენს წინაშე იყო სულ სხვა არსება. საოცრად გამოცვლილიყო. მე ვიტყოდი პირდაპირ დანგრეულიყო. იმ ფეღლიდან მას შერჩენოდა მხოლოდ ლაპარაკის იერი. როგორღაც ღუღუნით ლაპარაკობდა, თითქოს ენას გიჩლეკდა. ის იყო იმ დროს იერიოტ ლაზარე შერდლიის მეუღლე. ეს ლაზარეც განათლებული კაცი იყო, მაგრამ რაღაც ღრმა პროვინციის დაღი ეხვა. გოგუცა და მისი ქმარი ხავსებით შეეფერებოდნენ ერთმანეთს. მე ვიგრძნო, რომ ტიციანი ოდესღაც შეეჯავრისას ცდილობდა აერიდებინა თავალი, არ შეეტყდა მისთვის.

ცხოვრების გრძელ და ბედნიერ გზაზე მოვაღილი ტაბილი მოგონება ანათებს მზეცოფილი მწერლის გონებას. იგი სიყვარულით [illegible] „თემის" რედაქტორის გრიგოლ [illegible]

1918 წელს — ამბობს მწერალი — მე და ტიციანმა დავამთავრეთ გიმნაზია და სწავლა განვაგრძეთ მოსკოვის უნივერსიტეტში. ამ პერიოდში უკვე ბევრი რამ ჰქონდა დაბეჭდილი. გაზეთ „თემის" რედაქტორი გრიგოლ [illegible] ბოლმეიც ეგზერ ბოლმეი წერილებს მოსკოვში, როგორც მისი გაზეთის თანამშრომლებს. მან კორესპონდენტის ბილეთებიც გამოგვიგზავნა, მაგრამ არ გამოგვიენებია, მხოლოდ მოსკოვის გაზეთში „Русское слово"-ში ვთარგმნილით ზოლმე პატარა-პატარა ცნობებს და ამით მონოტარის ვიღებდით.

ერთხელ, მოსკოვში სწავლის პერიოდში, თბილისში ჩამოვედი ორი დღით. გადავეშვიდე „თემის" რედაქტორთან ოჯახში მიესალმეფაცი და შენახა. მივედი. როდესაც კარი გამიღო, სახტად დარჩა და მკითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით? მე ვუთხარი ჩემი გვარი და გოგიცესული დარჩა:

— თქვენ სულ ბავშვი ყოფილხართ, მობრძანდეთ!

შემოიყვანა ოთახში და, რას ვხედავ, აკაკი! ეს პალტო აეცვა, თავზე ქუდი ახურავს, სავარძელში გადაწოლილა. აკაკი ორჯერ იყო ჩვენს ოჯახში, მასთანაც ვიეყავი ხხვიტორში, მაგრამ მაინც ვერ მიცნო. ალრე ქუჩაზეც მყავდა ნანახი, კალთის ღილი გავუხსნია, მაგრამ ამაც შემოუხედავს, მის თავი მაღლა აეწია, ზეციხაკენ იხედებოდა, ხელები წინ წამოსწია — „ამბალმთა ზეციოო" — მითხრა და ისევ ბანაგრძო გზა.

გარდასული დღეთა სიშორე სრულიად არ უშლის ხელს მწერალს ადადგინოს მეხსიერებაში მისთვის დაუვიწყარი, ხასიათმოვნო ფაქტები:

მახსოვს, ერთხელ როცა დავით კლდიაშვილი ძალიან ავადმყოფი იწვა ქუთაისის საავადმყოფოში, იქ მოვიდა დავითის ხანაბავად კიტა ანაშიძე. დიდხანს დაპყო მასთან, გაართო თავისი ენაწყლიანი სიუხრით, ტუნება გამოუკეთა დავითს, და როცა უკან, ქალაქში ბრუნდებოდა ეტლით, მეც მასთან ერთად გამოვეგზავრე. გიმნაზიელი ვიეყავი, ბავშვი და ეს უკვე მოწიფული კაცი ისე მელაპარაკებოდა მწერლობაზე, თითქოს ჩემი ტოლი ვყოფილიყავი. უნდა გითხრათ, რომ მისმა ასეთმა მოპკრობამ ჩემდამი რაღაც პატივისცემაც კი მაგრძნობინა, ამამაღლა ჩემს თვალში, რომ ასეთ გამოჩენილ პიროვნებას, ერუდირებულ კაცს შეეძლო ჩემთან ასეთი დარბაისლური საუბარი გაება. იმ მომენტიდან კიტა ანაშიძისადმი პატივისცემის გრძნობა და სიყვარული კიდევ უფრო გამაძლიერდა. კიტა ანაშიძე მართლაც დიდი ინტელიგენტი იყო, დიდად გონებაგახსნილი, განათლებული და კეთილშობილი. ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ის თვალსა-

ჩინო ფიგურას წარმოადგენს. თავის დროზე მან ძალიან დიდი გავლენა იქონია ქართული მწერლობის განვითარებაზე. კიტა აბაშიძე დიდად განსწავლული იყო არამარტო ქართულ მწერლობაში, იგი იყო ამავე დროს რუსული და უცხოური მწერლობის შესანიშნავი მცოდნე. უცხოეთის მწერლებს, განსაკუთრებით ფრანგებს, ორიგინალში კითხულობდა. მისი წერილები ქართულ, რუსულ და უცხოურ მწერლობაზე ძალიან დიდ შემოქმედებას ახდენდა ქართველ მკითხველზე.

კიტა იყო მაღალი, მშვენიერი ტანადობის და, საერთოდ, მომხიბლავი შეხედულობის კაცი. კინაღამ კიტა და დავითი ერთმანეთთან დაბლოებულნი იყვნენ და გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი, ამიტომ მე არა ერთი შემოხვედვა მომეცა, მოგეხსნა კიტას საუბრები და ხშირად მენახა ის ვიწრო წრეში. კიტა საერთოდ ახალგაზრდა კაცი იყო, როდესაც გარდაიცვალა. ბევრი ამ ახალგაზრდა ბიჭეთაგან ბესლანეთა გაშლილ და კიტა ალბათ ბევრის გაკეთებას შესძლებდა ქართველ მწერლობაზეო, რომ ასე ადრე არ მოსწრაფებოდა სიცოცხლე. ახალგაზრდა იყო, მაგრამ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პირველ ხიტყვას ქართველი საზოგადოება არა თუ ეურეს უგდებდა, არამედ დიდ ანგარიშსაც უწევდა.

მინდა აქვე გავიხსენო ვაჟას ჩამოსული ქუთაისში — ამბობს ხეროო კლდიაშვილი — ვაჟას უბადლო ნიჭის თაყვანისმცემელი ბევრი იყო ქუთაისში — კიტა აბაშიძე, პეტრე ყიფიანი, ისაო ბაკრაძე და სხვები. მათ გადაწყვეტეს გაანწყენებული ვაჟას შერიგება იმერეთთან, ვაჟას მოწვევა იმერეთში. ვაჟას ჩამოსვლა ქუთაისში აღფრთოვანებულ ყველ თავის მემოარეში. როგორც ჩანს, ვაჟა ერთხანს ნაწყენი იყო აკაკის ლექსის გამო — „ენას გიწერენ ფშაველო". ყველამ ვიცით ის შესანიშნავი პასუხი, რომელიც ლექსითვე გასცა ვაჟამ აკაკის. დავითი ვაჟას დიდი თაყვანისმცემელი იყო. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც მამამ მოიტანა ვაჟას ლექსების კრებული და აღტაცებით უკითხავდა დედას. მეც უნებურად, ბავშვი, ყურს ვუგდებდი ბოლმე და ბავშვობიდანვე რაღაც შევინიშნეთრიცე კაცად მისი პოემები. აგრეთვე ვაჟა იმიტომ მიუყვარდა, რომ „ქეკლიანს" თითქმის ყველა ნომერში მისი ლექსები იყო დაბეჭდილი. ვაჟას და შო მდგომელის ლექსებს ბავშვები დიდი სიყვარულით ჯა ინტერესით მოეკლოდათ.

როგორც ვთქვი, დავითი დიდი თაყვანისმცემელი იყო ვაჟა ფშაველისა, უყვარდა და ძალიან აფასებდა მის შემოქმედებას. თავის მემოარეშიც, ეხება რა ვაჟა ფშაველას, იგი „ლეგენდარიზ" უწოდებს მას.

ხალხს უნდოდა ხალამ გაემართა ამ ხათაყვანებელი პოეტისათვის. შეხვედრისას ლექციებში იმდენი ქება-დიდება შეესხეს ვაჟას, რომ მსმენელები განცვიფრებული იყვნენ და ოდნავ დაეკვებულიც — ასეთი დიდი პოეტია ვეიკო? მაშინ ჯერ კიდევ ბევრს ვერ გაეგო, თუ რა დიდი პოეტი ეიყვნ საკართველოს მსმენელებს. ვაჟას ჩამოსვლას ქუთაისში ერთი ... ...

ნობით რამდენიმე სურათი იქნა გადაღებული ვაკახან. ამ სურათებიდან მახსოვს ორი სურათი — ჯაფუი, სადაც სხვათაშორის ჩანდა ნიკო ლორთქიფანიძე, ჯაკე ლორქიკია და მეორნი ინ ეკლაძე. შემდეგ ცალკე იქნა გადაღებული დავითის და ვაკას სურათი. მე წინ ვიდექი და ვუყურებდი, როცა ისინი იღებდნენ სურათს, ვიკამ თითით მანიშნა, მითხრა — „მოდი ბიუნა, აქა, დადექი ჩვენსა", მეც ის იყო დავაპირე მისვლა, რომ ისიდორე კვიკირიძემ რბილად მითხრა — მოიცადე, ჯერ ამათ გადავიღებ და მერე შენც, მათთან ერთადო, მაგრამ მეტი სურათი არ გადაღლია, რაზედაც ძალიან ბრაზდება გული.

ვაკა იქ რამდენიმე ოჯახში იყო სტუმრად, მაგრამ მე ბავშვი ვიყავი, იქ არაფერი მეხაკვებოდა და არც ვიცი რა სურპრები ჰქონდა ვაკას, როგორ მიიღეს, მაგრამ დარწმუნებულები ვარ, რომ ვინაიდან მისი ჩამოსვლა კუთხისში დღესასწაულად იქნა მიჩნეული, მას ყველგან დიდი პატივცემულობით მიიღებდნენ.

როგორც ავნიშნე, მე და ტიციანმა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძეთ მოსკოვის უნივერსიტეტში — კვლავ ახალგაზრდობის წლების გადახვნად მწერლის მოგონების თვალი — 1913 წლის შემოდგომაზე მე კაპირესი შესვლის საკითხი ფაკულტეტზე. მაგრამ ვინაიდან მოსკოვში მხოლოდ მოსკოვის ოლქის მოწყალეებს ღებულობდნენ, ამიტომ იურიდიულ ფაკულტეტზე შევედი იმ განზრახვით, რომ ერთი წლის შემდეგ მედიკურზე გადავიდოდი. იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციებს პირველ წელს ხშირად ვერ ვეხსრებოდი, რადგან ფფიქრობდი მეორე წელს მაინც უნდა გადავხულიყავი სამედიცინო ფაკულტეტზე და ამ მიელი ერთი წელიწადი უმთავრესად მოვანდომე თეატრების, მოსკოვის ცხოვრების გაცნობას.

ტიციანი მოსკოვის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, ის იქაც ბეკონად მეცადინეობდა. ხშირად დავდიოდით თეატრში. პოლიტექნიკური მუზეუმის დარბაზში ხშირად ითართებოდა ხოლმე დიდი ლიტერატურული საღამოები, სადაც გამოდიოდნენ ვალერი ბრიუსოვი, კონსტანტინე ბალმონტი, ბალტრუშაიტანი და სხვა რუსი პოეტები და პროზაიკოებები.

იმ მიზნით, რომ „ვეფხისტყაოსანი" რუსულ ენაზე ეთარგმნა, ბალმონტი სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში, სანდრო ყანრელთან ცხოვრობდა თბილისში, იქ, სადაც ახლა ლიტერატურის ინსტიტუტია (პირველ სართულზე).

თბილისში ბალმონტის ყოფნის დროს, ტიციანი ჩამოვიდა საქართველოში. აქ გაეცნო ბალმონტს, დაუახლოვდა და შემდეგ მოსკოვშიც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

საქართველოდან ბალმონტმა წაიღო „ვეფხისტყაოსანის" ბწკარედები. უკვე ბევრი თავი თარგმნილი ჰქონდა. ტიციანი ეცნობოდა თარგმანს და უკითხავდა მას მოსკოვში მყოფ ქართველ ხალხგადგომებს.

მაშინ მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი იყო სუმბათაშვილ-იუფანი. ჩვენ ერთ სალამოს ეცხოვრობდით. ტიციანი მიდიოდა ხოლმე ხოლმე ამასთან ბალმონტის ბელნაწერებით.

წელიწადში ერთხელ, თოთხმეტ იანვარს, მოსკოვში, კრემლის ეკლესიაში იყო წირვა. 1914 წლის 14 იანვარს გამართულ წირვის შემდეგ კონსერვატორიის დარბაზში მოეწყო დიდი საღამო. ამ დროისთვის დიმიტრი არაკიშვილს დაწერილი ჰქონდა რამდენიმე არია ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე".

საღამოზე სუმბათაშვილ-იუფანი (გამოვიდა ბალმონტის თარგმანის კითხვით. რამდენიმე ფრაგმენტი თარგმანისა წაიკითხა ბალმონტმა. სიმფონიური ორკესტრი ასრულებდა მუსიკალურ ნაწყვეტებს არაკიშვილის ოპერიდან.

მოსკოვში ჩემმა მეგობარ არავინ იყო ტიციანთან დაახლოებული. რასაკვირველია, ქართველი სტუდენტებიდან ბევრი მეგობრობდა მასთან. ერთ-ერთი მათგანი იყო მხატვარი შალვა ქიკნიძე, რომელიც სწავლობდა იქაურ სამხატვრო აკადემიაში. ამასთანავე, იურიდიულ ფაკულტეტზეც უნივერსიტეტში. მაგრამ მეტ დროს ანდომებდა მხატვრობაზე მუშაობას. ბევრი სურათიც აქვს გაკეთებული. მოსკოვში არამბარო ჩვენ, ქართველები ვიფანახებდით შალვა ქიკნიძის ნიკიერებას. უამრავი იქაური მხატვარიც. შალვა ქიკნიძეს იწვევდნენ მხატვრული ეუფნალების რედაქციაში, ხშირად ათავსებდა გრაფიკულ ნახატებს ცნობილ ეუფნალში „Рампа и жизнь"-ში და „თეატრსა და ცხოვრებაში". თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა თბილისში კარიკატურულ ეურნალ „ეშმაკის მათრახში".

1919 წელს წავიდა უცხოეთში და რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა ქვლის ტუბერკულოზით. მარკვენა ხელი სტკიოდა, დაზიანებული ჰქონდა და მარცხენითი ხატავდა. განათლებული კაცი იყო, კარგი მცოდნე ლიტერატურისა.

ტიციანი თავისუფალ დროს მწერლობას უძღვნიდა, გატაცებული ვიყავით მოსკოვის თეატრებით. განსაკუთრებით სამხატვრო და კამერული თეატრებით. გვბიძღვავდა ტაიროვის თეატრალური ხელოვნება.

მაგრამ ფერი ახეთი შემთხვევა — მოსკოვში ტვერის ქუჩაზე მივდიოდი, უეცრად შევნიშნე, შუა ქუჩაში ოთხი, მაღალი, მოსული ვიყავი მოდიოდა, კარგად ჩაცმული, თავზე ეფრთხა კატლეტიის ქუდები. ისინი დემონსტრატიულად მოაბიჯებდნენ შუა ქუჩაზე და ავეიტრებდნენ მოძრაობას, და, ცხადია, ხალხის ყურადღებას იქცევდნენ. ესენი იყვნენ ვლადიმერ მაიაკოვსკი. დავით ბურლიუკი და ორი კიდევ სხვა, აღარ მახსოვს ამეგობდ.

მაშინ ცნობილი იყო ბურლიუკი და მაიაკოს-

კი, განსაკუთრებით მაიაკოვსკი. „Облако в штанах" გამოსული იყო უკვე მისი ეს პოემა.

მაიაკოვსკი და ბურლიუკი მხატვრებიც იყვნენ და მათ მოაწყვეს მოსკოვში თავიანთი სურათების გამოფენა. მონაწილეობდნენ სხვა ფუტურისტები მხატვრებიც. მე და ტიციანი ერთხელ წავედით ამ გამოფენაზე, ვინაიდან ჩვენთვის უფრო ნაცნობი იყო მაიაკოვსკის სახელი, მეტი ყურადღება მისმა ნამუშევრებმა მიიქცია. ამ ხუთეთვიდან მახსოვს ერთი ასეთი რამ — ფერად-აჭრილებულ ტილოზე მოკრული იყო შუაზე გაჭრილი კატელეასის ჭუდი, ეს იყო და ეს.

მნახველებზე რა შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორი იყო მათი რეაგირება, ვერაფერს ვიტყვი ამაზე. მაგრამ მაშინდელ პრესაში უარყოფითად შეუხვდნენ ამ გამოფენას და დაცინვით და აღშფოთებით იხსენებდნენ. ჩვენზე კი, ალბათ, იმიტომ რომ მაიაკოვსკით ვიყავით დაინტერესებული, თითქოს კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა და მისი ამხანაგების სურათებმა.

სად გიეცნო და დაუახლოვდა ტიციანი მაიაკოვსკის, არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ მაიაკოვსკი. ტიციანი, პასოლი და გირიგი ლეონიდე, შემდეგ, როცა აქ ხაბეროთა ხელისუფება იყო დამყარებული, ძალიან მეგობრულად იყვნენ ერთმანეთთან.

მაიაკოვსკის ახლოს არ ვიცნობდი, თუმცა ჩქონდა შემთხვევა ამისა. რომ უფრო ახლოს ეცოდინოლაკვი მასთან. სიმართლე გითხრათ, — ამბობს მწერალი — ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ იგი საოცრად მაღალი კაცი იყო, და მე ისე პატარა ვიყავი მასთან შედარებით, რომ არ მსიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა.

ეს ამოდენა კაცი, ნამდვილი დევი, იყო საოცრად ფაქიზი ადამიანი. მახსოვს, ერთხელ, რომელიღაც აწყენინა ერთ-ერთმა მოფუტურისტო პოეტმა, მან ისე მოიწყინა, რომ შეეწინწნე მის თვალებზე ცრემლებიც კი. მე უნებურად გავიფიქრე, იმ ჭარბეული ფუტურისტისთვის ხელი რომ მოეკიდა უბრალოდ მას, ალბათ შეშფეთებულებივით ხელში და თუ წამოუვიდა ცრემლები, ეს იმის გამო, რომ მან არ გაიმეტა ის ახალგაზრდა, თავისი ფიზიკური ძალა არ გამოიჩინა ამ მეტიჩარას წინააღმდეგ. წყენა კი ძლიერი იყო.

ერთი სალამო მახსოვს, რომელიც მან გამართა რუსთაველის თეატრში. ხალხი არც თუ ისე ბევრი დასწრებია. მაიაკოვსკი, როგორც ყოველთვის, ხალიჩი ენამახვილობით წარმოსთქვამდა ფრაზებს თავისი მოხსენებიდან და მერე კითხულობდა: თავის ლექსებს. როდესაც მაიაკოვსკიმ დაამთავრა თავისი გამოსვლა, შემდეგ პასოლი გამოვიდა სცენაზე და ილაპარაკა მაიაკოვსკის პოეზიაზე. სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ალბათ ვერ მოახდენდა შთაბეჭდილებას იუდეტრიალზე, რადგან მის შემდეგ გამოსვლა დ ილაპარაკა, ისეთი ძლიერი შთაბეჭდილების შემდეგ ძალიან ძნელი იყო. მაგრამ პასოლმ თავისებურ ენაზე, ჩუმ ხმით, ნელ-ნელ ამოიღო ხმა, ... ვარია, პოეტური ხატვით დიდი ... მოახდინა მსმენელებზე, უპირველეს ყოვლისა, თვით მაიაკოვსკიზე. მაიაკოვსკი კუთხეში იდგა, ხელები გულზე დაეკიფიფა და საოცარი ღიმილით უყურებდა პასოლს, რომელიც მაღალ შეადგენდა ამ ... ...

დიდი რისკი იყო, პოპოლიო კალ-ა-ა. ჯერ ... ვანდარსთა პოლი იდა, პოლიციია ფეხზე იყო დამდგარი და ჯარისკაცებზე გაგზავნა ჭკონდა ოფიცრობას, მაგრამ ჩვენ არავითარი შიში არ გვაქრებედა და თამამად მივიწევდით ეზაჩრებაზაკენ ჯარის გამოსაწვევად. თვითონ ჯარს რომ ჩვენთვის წინააღმდეგობა გაეწია, ვერაფერს გავხდებოდით, უბრალო მსვლელები შევიენ-ბოდით მხოლოდ, მაგრამ ჯარი, რომელსაც მოგზაურებული ჭკონდა ომი, სიხარულით ეგებებო და რევოლუციის დაწყებას, რადგან ეს გარეშეოა ხელს უწყობდა ომის დამთავრებას. გარდა ამისა კიდევ, უკვე თვითონ ჯარისკაცები იყენ-დნენ ინიციატივას, ისინი ირჩევდნენ უფროსებს და ნაწილებად შემდგარნი მოდიოდნენ იარაღ-ებსმეულნი, რომ გამოეცხადებინათ თავიანთი თა-ვი რევოლუციის მომხრეებად. მათი დამხმარებით იყო სწორედ, რომ ეს იარაღი კიდევ უფრო მეტი შეიძინა ხალხმა და ჯალაშნი უკვე მოჭალაქეთა-გან შემდგარი მრავალი რაზმი დადიოდა.

ყველაზე უფრო ჭირდა ვანდარმერიის პოლ-კისა და პოლიციის განიარაღება, მაგრამ ისინი იმდენად სულიერად დაცემულნი იყვნენ, რომ ვეღარც კი უწევდნენ მოჭალაქეებს წინააღმდე-გობის გაწევას.

ლაგრენტიევის ჭურჭნი მოვდიოდი, როცა შე-მომეხმა ყვირილი „ამბანაგო სტუდენტო, მო-დით აქეთ!" იმ მოჭალაქემ დამანახვა, რომ სარ-დაფში ჩამალულიყვნენ პოლიციელები და შე-მომთავაზა, წამიყვანა ისინი. მართალია, თოფი მეკიდა მხარზე, მაგრამ, როგორ შემეძლო ოს-კოვის პოლიციელებთან ჩასვლა და იმათი წა-მოყვანა. წამოვედი, ვიცნობე ეს ამბავი იმ უბანს, სადაც მე ვიყავი გამაგრებული. გავეგზავრთეთ ოთხი-ხუთი კაცი, მივადექით იმ სარდაფს და ჩავძახეთ პოლიციელებს ჩვენი ულტიმატუმი, თან დავემუქრეთ, რომ ამოსულიყვნენ, თორემ ხელუუმბარებით დავგლეჯდით.

არ ვიცი, ვის უფრო ეშინოდა, იმათ თუ ჩვენ, როცა ისინი ზეკით ამოვდნენ. თორმეტნი იქნე-ბოდნენ, კაი დიდი პოლიციელები, ჩასუქებულნი, ამბანი, ზოსი „ბუღიები". მორჩილად წამოვა-დნენ, სრულიად წინააღდეგობა არ გაუწევიათ და მოვიყვანეთ ჩვენს უბანში. იქ მათ ადგილზე ტოვებდნენ, რასაკვირველია, არ სხედნენ, რად-გან ისინი უბრალო მოსამსახურეები იყვნენ და ზოგჯერ უფრო იყენებდნენ თავისი მზნეებისა-თვის. პუშკინის ქუჩთან, „ხტრასტენო მოედ-ანზე", განუწყვეტელი მოგნები იმართებოდა. ეს მიტინგი არ წყდებოდა არასდროს, მთელი ღა-მის განმავლობაში, არც დღეით, არც საღამოთი. სულ იცვლებოდა ორატორებისა და მსმენელების ნაკადი.

ერთი ხაღამოს, „ხტრასტნოე მოედანზე" გა-ვიარეთ მე და ფრონტიდან ჩამოსულმა ჩემმა ნათესავმა სიმონ გოდაბერლიძემ. იგი შემდეგ-ში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, სახალხო კ. სიარი საკათოლიკოში, უკვე მაშინდელ ოფიცრობის დროს, ბილშევიკების ორგანაბი იყო.

პუშკინის ძეგლს რომ მივუახლოვდეთ, ...

თავმოყრილი იყვნენ ახალგაზრდა ძალები, რომლებიც ახალ გზებს ეძებდნენ ლიტერატურაში. ციხფერკაენწყლელები უმთავრესად იბრძოდნენ ერა ელსაკოსებთან წინააღმდეგ, პირველი, ელსაიოსებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ბრძოლა ელსაიოსებთან ეპიგონების წინააღმდეგ წარმოებდა. ეს ეპიგონები იყვნენ ისინი, რომლებიც იბრძოდნენ ამ ახალგაზრდების ჯგუფს. ელსაიოსებმის: ეს მომბაძველებიც მრავალრიცხოვანი იყვნენ და არც თუ ისე ადვილი საქმე იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მით უფრო, რომ ახალი არავითარ საშუალებებს არ ერიდებოდნენ, იკამდისაც კი მიდიოდნენ, რომ ადმინისტრაციულ ძალებს მიმართავდნენ ოფიციალურად. — დასძენს წერილი.

მეტად საგულისხმოა სიბეოთა კავშირის ხახლხო არტისტის აკაკი ვასაძის მოგონება პოლო ია ზეველთან, საერთოდ, ციხფერკაენწყლებთან დაკავშირებით:

„ახლაც სინორულია ვიხსენებ, რა დიდ თანაგრძნობას გვიწევდნენ პაოლო და მისი ვეგობრები ახალი თეატრის დამკვიდრების საქმეში, რა დიდ შემაერთებელ, შემადუღებელ ძალად იქცეოდნენ ისინი ყოველივე ახლის, მოწინავეები ჩვენს საშშოსლოში.

დაუვიწყარია მათ მიერ გამართული ლიტერატურული საღამოები ქუთაისში. სცენა უჩვეულოდ იყო მორთული. აქ ვერ ნახავდით დეკორაციებს. სცენაზე იდგა ერთი მაგიდა, რომელზეც იდგა ერთი ციხფერი ხუფრა. ზედ მიმთხვეული იყო ბრონეულის ყვავილები. მაგიდაზე იდგა ქაქრიანი ჭიქები და ერთი-ორი ბოთლი ღვინო. ყველაფერი ეს განათვალული იყო თაფლის სანთლით. მაგიდას უსხდნენ — ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბაძე, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა ფუხაიძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა ყარმელი, ალი არსენიშვილი. იყო ლექსების დაუსრულებელი კითხვა.

საღამოებს ძირითადად ახალგაზრდობა ეხერებოდა. როგორც ცნობილია, ციხფერკაენწყლებს უზდებოდათ ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებასთან, ამიტომ მათ მიერ მოწყობილი ლიტერატურული საღამოები არ მთავრდებოდა ფარდის დახურვით. უჩვეულო იყო ამ სპექტაკლების დასახარულიც. ცხარე კამათი გრძელდებოდა ფოიეში, კუჭაში...

მახსოვს ერთ-ერთ საღამოზე ვიღაც ეროგნამ ელენე დარიანის ციკლის ლექსების შესახებ პაოლოს კითხა:

— ხომ არ დაგვიხატავდით, დაგვიბასიათებდით ამ ელენე დარიანს?

